რ. ქაქულია

მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფა და ნარმოების ეფექტიანობის ამაღლება აგროსამრეწველო კომპლექსში

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი — 1988

რ. კაკულია. მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის სრულ-
კ 178 ყოფა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლება აგროსამრეწ-
ველო კომპლექსში. — პირველი გამოც. — თბ.; საბჭოთა სა-
ქართველო, 1988. — გვ. 284.

ნაშრომში სკკპ XXVII ყრილობისა და 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შუქზე გაანალიზებულია აგროსაშრეწველო კომპლექსში განხორციელებული ახალი ეკონომიკური მექანიზმი, მისი მნიშვნელობა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში, ამ დარგში ჯერ კიდევ არსებული პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები.

რეკომენდებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფინანსებისა და კრედიტის კათედრის მიერ

რ ე ც ე ნ ზ ე ნ ტ ე ბ ი:

აკადემიკოსი ვ. ჩანტლაძე,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. გ. ხელაია.

38010C0000 — 075
K————————————— 85 — 88 © გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1988.
M 601(08)—88

I SBN 5—529—00217—X

შესავალი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობამ შეიმუშავა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარის, თვისებრივი გარდაქმნისათვის სტრატეგიული კურსი. „ეს კურსი, — აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მიხეილ გორბაჩოვმა 1987 წლის 23 იანვარს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე. — თანამიმდევრულად და მტკიცედ, მე ვიტყოდი, კიდევ უფრო შეუპოვრად უნდა განვაგრძოთ, ვიდრე ამას აქამდე ვშვრებოდით. იმაში, რომ იგი საჭიროა, დღეს კიდევ უფრო დარწმუნებული ვართ, ვიდრე გუშინ“ [1].

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმისა და სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებით სსრ კავშირში დაიწყო გარდაქმნის პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს უძრაობის მოვლენების მტკიცე დაძლევას, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების საიმედო და ეფექტიანი მექანიზმის შექმნას. „გარდაქმნის საბოლოო მიზანი, ვფიქრობ, ნათელია, — აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმზე მ. ს. გორბაჩოვმა, — ქვეყნის ცხოვრების ყველა მხარის ღრმა განახლება, სოციალიზმისათვის საზოგადოებრივი ორგანიზაციის ყველაზე თანამედროვე ფორმების მინიჭება, ჩვენი წყობილების ჰუმანისტური ბუნების რაც შეიძლება სრულად გამოვლენა მისი ყველა გადამწყვეტი ასპექტით — ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და ზნეობრივი ასპექტით“ [2].

პარტიამ გარდაქმნის ეტაპზე დააყენა მთელი რიგი საჭირბოროტო პრობლემები, რომელთა შორის ერთ-ერთი პირველთაგანია სასურსათო პრობლემა.

---

[1] „კომუნისტი“, 1987 წლის 25 იანვარი.

[2] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები, 1987 წლის 27—28 იანვარი, თბილისი, 1987, გვ. 21.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის მიერ შოწონებული სასურსათო პროგრამა 1990 წლამდე პერიოდისათვის ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაგეგმვისა და შართვის პრინციპულად ახალი ნაბიჯია. სასურსათო პროგრამა ითვალისწინებს სურსათით ქვეყნის სრული უზრუნველყოფის პრობლემის გადაწყვეტისადმი კომპლექსურ მიდგომას. ამ პროგრამის ძირითადი მიზანია, რაც შეიძლება მოკლე დროის მანძილზე საიმედოდ უზრუნველვყოთ პროდუქტებით ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა.

პარტიის XXVII ყრილობის მიერ სასურსათო პრობლემის უმოკლეს ვადაში გადაწყვეტის ამოცანის დასმა იმით არის განპირობებული, რომ აგროსამრეწველო კომპლექსში უზარმაზარი საწარმოო-ეკონომიკური პოტენციალი, მაღალკვალიფიციური და კომპეტენტური კადრები გაგვაჩნია, რომლებსაც ძალუძთ აგროსამრეწველო კომპლექსის მეურნეობრიობის მეთოდებზე გადაყვანა.

ყრილობამ დასახა ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა დარგის ეფექტიანობის გადიდება. „მათი არსი ის გახლავთ, — აღინიშნა პარტიის XXVII ყრილობის პოლიტიკურ მოხსენებაში, — რომ შევცვალოთ სოფლის სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია. შევქმნათ უფრო ღრმა ინტენსიფიკაციის, პროდუქციის გარანტირებული წარმოების პირობები. მთავარი ყურადღება ეთმობა მეურნეობრიობის ეკონომიკურ მეთოდებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დამოუკიდებლობის გაფართოებასა და თავიანთი საქმიანობის შედეგებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერებას“ [1].

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის მიერ აგროსამრეწველო კომპლექსის სამეურნეო მექანიზმის სრულყოფისათვის შემუშავებულ სტრატეგიულ კურსში თანამედროვე მოთხოვნების დონეზე განვითარებული და გაღრმავებულია პარტიის აგრარული თეორია, ახლებურადაა დაყენებული აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოო ძალთა განვითარებისა და წარმოებით ურთიერთობათა სრულყოფის პრობლემები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში, სკკპ პროგრამის ახალ რედაქციასა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრისა და ივნისის პლენუმების მასალებში ჩამოყალიბებული დასკვნებისა და თეორიული დებულებების მოთხოვნათა შესაბამისად, აგრო-

---

[1] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის (შემდეგში სკკპ) XXVII ყრილობის მასალები. თბილისი, 1986, გვ. 46.

სამრეწველო კომპლექსში მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფის ამოცანები აისახა „ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსში მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებულ ერთობლივ დადგენილებაში. ეს პრინციპული მნიშვნელობის პარტიული დოკუმენტი მიზნად ისახავს აგროსამრეწველო კომპლექსის მთელ სისტემაში ფულად-სასაქონლო ურთიერთობათა განვითარებას, სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლას, აგროსამრეწველო კომპლექსის სახელმწიფო მმართველობის ახალშექმნილი ორგანოების — სახაგრომრეწვისა და მის ადგილობრივ ფორმირებათა შემდგომ აღმავლობას.

დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ პარტიის მიერ შემუშავებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების სტრატეგია მოითხოვს აგროსამრეწველო კომპლექსში შექმნილი მთელი ეკონომიკური პოტენციალის უფრო ეფექტიანად გამოყენებას, ქვეყნის სრულ უზრუნველყოფას სურსათით, სოფლის სოციალური გარდაქმნის ამოცანების უმოკლეს ვადაში გადაწყვეტას. ამ საქმეში უმნიშვნელოვანესი როლი უნდა შეასრულოს დაგეგმვისა და მატერიალურ-სტიმულირების სრულყოფის ღონისძიებებმა. „თუ ვაპირებთ სერიოზულ წარმატებებს მივაღწიოთ აგროსამრეწველო წარმოებაში, — აღნიშნა მ. გორბაჩოვმა, — მარტო ტრადიციული გზებით არ უნდა ვიაროთ. მხოლოდ თუ თავს მოვუყრით რესურსებს, შევქმნით პრიორიტეტებს გადამწყვეტი მიმართულებებით, მარჯვედ გამოვიყენებთ უპირატესობებს, რომლებსაც მართვის ახალი სამეურნეო მექანიზმი და სტრუქტურა შეიცავს, შეეძლებთ ვიმოქმედოთ ეფექტიანად, სწრაფად განვავითაროთ წარმოება, წარმატებით გადავწყვიტოთ სსრ კავშირის სასურსათო პროგრამით დასახული ამოცანები“ [1].

აგროსამრეწველო კომპლექსში მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის შემდგომი გარდაქმნები სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების, მისი საკავშირო და რესპუბლიკურ ფონდებში მიწოდების დაგეგმვის ახალი მეთოდების დამკვიდრების გზით უნდა წარიმართოს. საზოგადოებრივი წარმოების განვითარების დაგეგმვის ახალი წესი მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშების პირადი დამხმარე მეურნეობების მართვას. მნიშვნელო-

---

[1] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები, 1986 წლის 16 ივნისი. თბილისი, 1986, გვ. 38.

ვანი ადგილი ეთმობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადამმუშავებელ მრეწველობასთან და ვაჭრობასთან ინტეგრაციის გაღრმავებას.

მეურნეობრიობის ახალ პირობებში იცვლება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკური სტიმულირების, ხელფასის ფონდის, დაფინანსებისა და დაკრედიტების, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, საინვესტიციო პოლიტიკის დაგეგმვის წესები. აგროსამრეწველო კომპლექსის დარგთა დაგეგმვის სრულყოფა ძირეულად გარდაქმნის მმართველობით ურთიერთობებსაც.

ამრიგად, როგორც პარტია მოითხოვს, დაგეგმვის მთელი სისტემა სრულად უნდა შეესაბამებოდეს ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსის დაჩქარებული ზრდის ამოცანებს, ფართო გასაქანს იძლეოდეს დაგეგმვის დემოკრატიზაციის, წარმოების ყველა რგოლის კომპლექსური და პროპორციული განვითარებისათვის.

უახლოეს პერიოდში ნორმატიულ მეთოდებზე გადავა პროდუქციის წარმოების, შესყიდვის, რენტაბელობის, თვითღირებულების, ხელფასის დაგეგმვა; მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება წარმოების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები, შეიცვლება დაფინანსებისა და დაკრედიტების სისტემა.

1987 წლიდან მოკავშირე რესპუბლიკებსა და ოლქებზე არ დაიყვანება კარტოფილის, ბოსტნეულის, ბაღჩეულის, სუფრის ყურძნის, ციტრუსების, ხილის, ხორცისა და რძის, კვერცხის და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის გეგმები. მათ ხუთწლედის წლების მიხედვით დაუწესდებათ საერთო-საკავშირო ფონდებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდების გეგმები, ამ ფონდებიდან დოტაცია. სამაგიეროდ, რაიონებსა და საზოგადოებრივ მეურნეობებს მეთორმეტე ხუთწლედში ცალკეული წლების მიხედვით განესაზღვრებათ სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის მტკიცე გეგმები.

დაგეგმვის ახალ პირობებში სასტიკად იკრძალება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დაყვანილი სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის მტკიცე გეგმების შეცვლა. ეს კი მოითხოვს დაგეგმვის სერიოზულად გაუმჯობესებას. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის მოცულობის დაგეგმვისას მკაცრად უნდა გავითვალისწინოთ მიწის კადასტრის მონაცემები, საწარმოების ძირითადი ფონდებითა და შრომითი რესურსებით აღჭურვის მაჩვენებლები. წინააღმდეგ შემთხვევაში დასახული ღონისძიებები სათანადო ეფექტს ვერ მოგვცემს. ამ მომენტების გაუთვალისწინებლობით უნდა აიხსნას ის, რომ ჩვენს რესპუბლიკაში საზოგადოებრივ მეურნეობათა 25—30 პრო-

ცენტი ჯერ კიდევ ვერ ასრულებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის გეგმებს.

1986—1990 წლებში გაგრძელდება კოლმეურნეობებზე, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებზე მეთორმეტე ხუთწლედის საშუალო წლიურ მოცულობაზე ზევით სახელმწიფოსათვის მიყიდული სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის ფასებზე 50-პროცენტიანი ფასდანამატის გაცემა. საყურადღებოა ისიც, რომ 50-პროცენტიან ფასდანამატის პროდუქციაში შეტანილია სუფრის ყურძენი, ციტრუსები, ხახვი, ნიორი და სხვა პროდუქტები.

დადგენილებაში მკაცრი ღონისძიებებია გათვალისწინებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის დავალებათა აუცილებლად შესრულების უზრუნველსაყოფად. საერთო-საკავშირო ფონდებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიუწოდებლობა დაიფარება მომდევნო კვარტალში ან წელიწადში რესპუბლიკების, ოლქების რესურსებიდან. არავის არ აქვს საერთო-საკავშირო ფონდებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადატვირთვის გეგმების შეუსრულებლობის უფლება.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გეგმები უნდა შემუშავდეს როგორც საზოგადოებრივი მეურნეობების, ისე მეურნეობების ტერიტორიებზე მცხოვრებ მოქალაქეთა პირადი დამხმარე მეურნეობების განვითარების გათვალისწინებით. ეს ხელს შეუწყობს სასურსათო ოპტიმალურ დაგეგმვას. საყურადღებოა, რომ პროდუქციის სახელმწიფოსათვის მიყიდვის საერთო მოცულობა არ უნდა იყოს წინა 5 წლის მიღწეულ საშუალო წლიურ დონეზე ნაკლები.

ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსში მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება სერიოზულ ამოცანებს სახავს მეცნიერ-ეკონომისტების წინაშე. აგროსამრეწველო კომპლექსის დარგთა დაგეგმვის ნორმატიულ მეთოდებზე გადაყვანა მეცნიერებისაგან მოითხოვს თითოეული დარგისათვის ოპტიმალური ნორმებისა და ნორმატივების შემუშავებას, რაც რეგლამენტაციას გაუკეთებს საწარმოებისა და გაერთიანებების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ყველა მხარეს. ამჟამად მეცნიერ-ეკონომისტთა ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანაა აგრეთვე, ხუთწლედის მანძილზე ხელფასის ფონდის სტაბილური ნორმატივების შემუშავება და მისი მეცნიერული დასაბუთება. ამ ნორმატივებით უნდა შევძლოთ სოფლის მეურნეობის პროდუქციის

წარმოებისა და რეალიზაციის გადიდებაში საწარმოთა დაინტერესების არსებითად ამაღლება. ასევე აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა დონეზე უნდა დამუშავდეს ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების შრომის ანაზღაურების ნორმატივები.

ამრიგად, ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსში მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფის ვრცელი პროგრამა შემდგომ აფართოებს აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოების დამოუკიდებლობას და უფლება-მოვალეობას, არსებითად ზრდის მათ დაინტერესებასა და პასუხისმგებლობას საბოლოო სახალხო-მეურნეობრივი შედეგებისათვის, უზრუნველყოფს აგრარულ სექტორში ძირეულ გარდატეხას.

ეს ნაშრომი თანამედროვე პირობებში აგროსამრეწველო კომპლექსში საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მეურნეობრიობის ახალი ეკონომიკური მექანიზმის როლისა და მნიშვნელობის განხილვის პირველი ცდაა ქართულ ენაზე. მასში შესწავლილია მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფის გზები მთლიანად სახალხო მეურნეობაში და განსაკუთრებით აგროსამრეწველო კომპლექსში.

წიგნში განხილულია მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის კატეგორიის არსი და მისი მნიშვნელობა სოციალისტური წარმოების წესის განვითარებაში, საქართველოს სსრ აგროსამრეწველო კომპლექსის არსებული მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის ანალიზი და მისი სრულყოფის აუცილებლობა, გზები და საშუალებები; დიდი ადგილი აქვს დათმობილი რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოებისა და ორგანიზაციების მეურნეობრიობის ახალ მეთოდებზე გადასვლას, ეკონომიკური მექანიზმის ძირითადი ელემენტების — წარმოების მართვის, დაგეგმვის, ფასწარმოქმნის, ეკონომიკური სტიმულირების, შრომის ანაზღაურების, საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობების, სამეურნეო ანგარიშის, დარგთაშორისი და შიდადარგობრივი კავშირურთიერთობების, საინვესტიციო პოლიტიკის განხილვას; ნაჩვენებია აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების თანამედროვე ეტაპზე თითოეული ამ ელემენტის პრობლემები და მათი გადაწყვეტის კონკრეტული გზები; მეურნეობრიობის ახალ მეთოდებზე გადასვლა როგორ აფართოებს საზოგადოებრივ მეურნეობათა დამოუკიდებლობას, საბოლოო შედეგებისათვის მათი დაინტერესებისა და პასუხისმგებლობის ამაღლებას, რაც რეალურ გარანტიას იძლევა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

ნაშრომს წითელ ზოლად გასდევს ის, რომ აგროსამრეწველო კომპ-

ლექსის მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის გარდაქმნა და მისი ქმედითობა ნიშნავს საწარმოო-ეკონომიკური პოტენციალის ეფექტიანობის ამაღლებას, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების რაციონალურად გამოყენების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, მოგებისა და წარმოების რენტაბელობის ზრდის სტიმულირებას საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების გადიდების, არამწარმოებლური ხარჯებისა და დანაკარგების ლიკვიდაციის, პროდუქციის ასორტიმენტისა და ხარისხის გაუმჯობესების ბაზაზე. ყოველივე ეს ხელს უწყობს სახელმწიფოს ცენტრალიზებული შემოსავლების გადიდებასა და საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის განუხრელ ზრდას.

წიგნში დიდი ადგილი ეთმობა აგროსამრეწველო კომპლექსში სახალხომეურნეობრივი რეზერვების, მათ შორის საფინანსო რეზერვების გამოვლინებას და მათ სამეურნეო ბრუნვაში ჩართვას. სახალხო მეურნეობრივი და საფინანსო რეზერვები განხილულია როგორც საზოგადოებრივი კვლავწარმოების აუცილებელი ელემენტი და მისი განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყარო.

თავი I

სოციალისტური წარმოების ეფექტიანობის ეკონომიკური შინაარსი და კრიტერიუმები

პარტიის XXVII ყრილობის მიერ დასახული საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალურ პრაქტიკულ ამოცანათა სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას. ეს განპირობებულია იმით, რომ საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის გადიდება ყოველთვის გამოდის ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ფაქტორად და სოციალური ამოცანების გადაწყვეტის წყაროდ. ქვეყნის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის მატების ტემპი წარმოგვიდგება საზოგადოებრივი შრომის ერთობლივი დანახარჯების ზრდის ტემპისა და მისი ეკონომიკური ეფექტიანობის კოეფიციენტის სახით. სხვა თანაბარ პირობებში რაც მეტია საზოგადოებრივი წარმოების გაფართოებაში ჩადებული შრომის ერთობლივი დანახარჯების ეკონომიკური ეფექტიანობა, მით მეტი მატერიალური დოვლათი გააჩნია საზოგადოებას სოციალური საკითხების გადასაწყვეტად.

სოციალისტური წარმოების წესი კაპიტალიზმთან შედარებით დიდ შესაძლებლობებს იძლევა წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ასაწაღლებლად. ქვეყნის მაღალი სოციალურ-ეკონომიკური დონე ნიშნავს უდიდეს მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის, სახალხო მეურნეობის განვითარებული დარგობრივი სტრუქტურისა და კვალიფიციური კადრების არსებობას, რომლებიც ქმნიან საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების ობიექტურ პირობებს.

ქვეყნის საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანი გაძღოლა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როცა საფუძვლიანი თეორიული ბაზა გაგვაჩნია ყველა იმ კანონისა და ეკონომიკური კატეგორიის შემეცნებისათვის, ურომლისოდაც შეუძლებელია ეფექტიანი პრაქტიკული შედეგების მიღწევა.

სსრ კავშირის ეკონომიკაში ახალი ამოცანების გადაწყვეტა, რომლებიც პარტიის XXVII ყრილობამ წამოაყენა, ითვალისწინებს სამეურნეო მექანიზმის ღრმა გარდაქმნებს, მართვის ისეთი მიზანმიმართული, ეფექ-

ტიანი და მოქნილი სისტემების შექმნას, რომლებიც სოციალიზმის კაპიტალიზმთან უდიდეს უპირატესობათა სარეალიზაციოდ ჩააყენებს საბჭოთა ხალხის მთელს შემოქმედებით შესაძლებლობებს.

სოციალიზმის წარმოებითი ურთიერთობანი, რომლებიც კომუნისტური წარმოების წესის საერთო საფუძვლებია, საშუალებას იძლევა გავერკვეთ სოციალისტური წარმოების მოძრაობის ფორმასა, ეკონომიკური მექანიზმის არსსა, მიზანსა და თავისებურებებში.

„საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის დაჩქარების აუცილებელი წანამძღვარებია, — აღნიშნულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალ რედაქციაში, — ის, რომ ნიადაგ სრულვყოფდეთ წარმოებითს ურთიერთობას, უზრუნველვყოფდეთ მის სტაბილურ შესაბამისობას დინამიკურად განვითარებადი საწარმოო ძალებისადმი, დროულად ვაცნობიერებდეთ და ვწყვეტდეთ მათ შორის წამოჭრილ არაანტაგონისტურ წინააღმდეგობებს“ [1]. პარტიის პროგრამის ეს ფუძემდებლური დებულება სოციალისტური წარმოების ეფექტიანობის კრიტერიუმის შემეცნების გასაღებს იძლევა.

მეცნიერული თვალსაზრისით, კრიტერიუმი არის ნიშანი, რომელიც ახასიათებს შესასწავლი პროცესის ან მოვლენის თვისებრივ, ძირითად არსს და წარმოადგენს მისი შეფასების გასაღებს. კრიტერიუმი მოვლენის ძირითადი პრინციპია, მისი შეფასების საზომი. იმასთან დაკავშირებით, რომ არც ერთი ეკონომიკური მოვლენა არ არსებობს წარმოებითი ურთიერთობისაგან განყენებულად და, პირიქით, გამოხატავს ამ ურთიერთობის ამა თუ იმ მხარეს, კრიტერიუმებმა უნდა მოგვცეს ამ წარმოებითი ურთიერთობის თავისებურების ახსნა. აქედან დასკვნა: სოციალისტური წარმოების ეფექტიანობის კრიტერიუმი მჭიდრო კავშირშია სოციალისტურ წარმოებით ურთიერთობასთან, ეს კი ნიშნავს იმას, რომ იგი მჭიდრო კავშირშია სოციალისტური წარმოების წესის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოთხოვნებთან.

ამჟამად ეკონომიკური მეცნიერების წინაშე დგას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა — საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის კრიტერიუმებისა და მაჩვენებლების ღრმა თეორიული და მეთოდოლოგიური დამუშავება. ამ საკითხზე ერთიანი აზრი არ არსებობს. საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის კრიტერიუმებად ასახელებენ ეროვნულ შემოსავალს, მოგებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას და ა. შ. ამასთან მიაჩნიათ, რომ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტი-

[1] სკკპ XXVII ყრილობის მასალები. გვ. 227.

ანობის კრიტერიუმი საწარმოდან დაწყებული და საზოგადოებრივ საწარმოებამდე დამთავრებული, ერთნაირია, ხოლო ზოგიერთი ეკონომისტის მოსაზრებით, იგი არ შეიძლება ერთნაირი იყოს საზოგადოებრივი წარმოების სხვადასხვა საფეხურზე. „ერთი კი ნათელია: წარმოების ეფექტიანობის კრიტერიუმი მეცნიერულად დასაბუთებული უნდა იყოს და გამოდიოდეს საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონების მოთხოვნებიდან, ამასთან განზოგადებული კრიტერიუმი უნდა ახასიათებდეს წარმოების ამა თუ იმ დარგის მთავარ მომენტებს და გამოხატავდეს სამეურნეო ურთიერთობის ძირითად ამოცანებს, უზრუნველყოფდეს წარმოების შედეგების ხარჯებთან ოპტიმალურ შეწონასწორებას, რათა მინიმალური დანახარჯებით მივიღოთ მაქსიმალური ეფექტი“ [1].

ეკონომიკური ეფექტიანობა წარმოების ისეთი კატეგორიაა, რომელიც მის შედეგიანობას გამოხატავს. ეფექტიანობა — ეს არის შრომითი საქმიანობის შედეგად მიზნის მიღწევის, რეალიზაციის ხარისხის დონე.

ეფექტიანობა, როგორც მეცნიერული აბსტრაქცია გამოხატავს იმ ეკონომიკურ ურთიერთობებს, რომლებიც დაკავშირებულია სახალხო მეურნეობის ფუნქციონირება-განვითარებასთან, აგრეთვე იმ კავშირურთიერთობებს, რაც არსებობს სახალხო მეურნეობის დარგებსა და დარგს შიგნით სტრუქტურულ ქვედანაყოფებსა და რგოლებს შორის.

ეფექტიანობის კატეგორიას საბჭოთა ეკონომისტების დიდი ნაწილი ეკონომიკურ ეფექტიანობასთან აიგივებს, უფრო კონკრეტულად, მის რაოდენობრივ მაჩვენებელთან. ისინი ეფექტიანობას განმარტავენ, როგორც სასარგებლო ეფექტის (შედეგის) შეფარდებას ამ შედეგის საწარმოებლად გაწეულ დანახარჯებთან. ასეთი გაიგივება ვიწრო გაგებით სწორი და მართებულია, მაგრამ ეფექტიანობის საერთო თეორიის ახსნას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ე. ი. ადრე ეფექტიანობის კატეგორიას, განიხილავდნენ, როგორც მატერიალური წარმოების კატეგორიას, ხოლო დღეს მთლიანად კვლავწარმოების პროცესების კატეგორიას. თანამედროვე პირობებში საკმარისი როდია ეფექტიანობის საზომად გამოვიყენოთ მიღწეული შედეგების შეპირისპირება დახარჯული შრომის რაოდენობასთან, არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ ხარისხს, რომლითაც მიღწეული შედეგები აკმაყოფილებს საზოგადოების მწარმოებლურ და არამწარმოებლურ მოთხოვნილებებს. განა უარსაყოფია ის

---

[1] რ. კაკულია. საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საფინანსო მეთოდები. თბილისი, 1978, გვ. 16—17.

ფაქტი. რომ ხშირად წარმოებულ პროდუქტზე შრომის დანახარჯების გადიდება არ იწვევს მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილებას. უფრო მეტიც, ზოგჯერ მიღწეული შედეგების გადიდება, პირიქით, ამცირებს საზოგადოების მოთხოვნილებათა ხარისხს.

ეფექტიანობის, როგორც ეკონომიკური კატეგორიის, გარკვევისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო საწარმოო ძალების, არამედ წარმოებით ურთიერთობათა ანალიზისას მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას შრომის ორადი ხასიათის შესახებ.

როგორც ცნობილია, საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ქვეშ იგულისხმება თანაფარდობა წარმოების პროცესში ცოცხალი და განვითარებული შრომის დანახარჯთა მასასა და იმ პროდუქტთა მასას შორის, რომლებიც შექმნილია ამ დანახარჯთა მეშვეობით. ამ სიდიდეების თანაფარდობით წარმოების ეფექტიანობის განსაზღვრას უდიდესი მეცნიერული ღირებულება გააჩნია. ყოველი წარმოების წესის შეფასებით უმაღლეს კრიტერიუმს წარმოადგენს მათი უნარი, თუ როგორ ძალუძთ განავითარონ საწარმოო ძალები. საწარმოო ძალთა განვითარება კი გამოიხატება შრომის ნაყოფიერების ზრდაში.

წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების აზრით, არის საზოგადოებრივი შრომის ეკონომია კვლავწარმოების პროცესში, რაც სხვა არაფერია, თუ არა მატერიალური და შრომითი რესურსების მომჭირნეობით უფრო მეტი ეფექტის მიღება. როგორც წესი, წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის არსი ყველაზე მეტად ვლინდება დროის ეკონომიის კანონში, რომლის მოქმედება საზოგადოებრივი წარმოების ყველა დონეზე ერთიანია.

პარტიის XXVII ყრილობაზე ხაზი გაესვა იმას, რომ 70-იან წლებში მნიშვნელოვნად შენელდა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ზრდის ტემპი. „ეკონომიკა ინერციით განაგრძობდა განვითარებას, — ხაზგასმით აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში, — მნიშვნელოვანწილად ექსტენსიურ საფუძველზე — მიჰყვებოდა წარმოებაში დამატებითი შრომითი და მატერიალური რესურსების მოქცევის გზას. ამის შედეგად სერიოზულად შენელდა შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი და შემცირდა ეფექტიანობის ზოგიერთი სხვა მაჩვენებელი“ [1]. საზოგადოებრივი წარმოების მართვის პროცესში აუცილებელია „...შევცვალოთ სამეურნეო მექანიზმის მიმართულება, დავძლიოთ მისი ხარჯვითი ხასიათი, მიზნად დავისახოთ ხარისხის გაუმჯობესება და ეფექ-

[1] სკკპ XXVII ყრილობის მასალები. გვ. 34.

ტიანობის გადიდება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, ადამიანის ფაქტორის როლის გაძლიერება. ეს არის მთავარი, რაც საქმით მოასწავებს სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის შემდგომ სრულყოფას და ახალ ფართო ასპარეზს შეუქმნის საწარმოო ძალების განვითარებას“ [1].

პარტიის XXVII ყრილობამ აღნიშნა, რომ მეთორმეტე ხუთწლედის მთავარი ამოცანაა გავაძლიეროთ ეკონომიკის განვითარების ტემპი და ეფექტიანობა იმ ბაზაზე, რომ დავაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, განვახორციელოთ წარმოების ტექნიკური განახლება და რეკონსტრუქცია, ინტენსიურად გამოვიყენოთ შექმნილი საწარმოო პოტენციალი, სრულყოთ მართვის სისტემა, სამეურნეო მექანიზმი და ამ საფუძველზე მივაღწიოთ საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომ აღმავლობას. იმის გამო, რომ საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი ამაღლება არის სოციალისტური საზოგადოების მიზანი, სოციალიზმის დროს მეურნეობრიობის ეფექტიანობის კრიტერიუმი არ შეიძლება რადიკალურად განსხვავებული არ იყოს სოციალიზმამდელი წარმოების წესებისაგან, ასევე მეურნეობრიობის ეკონომიკური ეფექტიანობა საზოგადოების მასშტაბით არ შეიძლება დავიყვანოთ მხოლოდ წარმოებული პროდუქტების მასის შეფარდებაზე, ცოცხალი და განივთებული შრომის იმ ოდენობაზე, რომელიც დახარჯულია მათ საწარმოებლად. სოციალისტური საზოგადოების მთავარი მიზნის — საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობის მიღწევა მოითხოვს არა მარტო საზოგადოებრივი პროდუქტის მასის ზრდას, არამედ მისი სტრუქტურის მუდმივ სრულყოფას, ე. ი. საზოგადოებრივი წარმოების დარგებს შორის, მწარმოებლურ და არამწარმოებლურ სფეროებს შორის საზოგადოებრივი შრომის განაწილების მუდმივ ცვალებადობას.

საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობისა და მისი კრიტერიუმების საკითხებზე საყურადღებო მოსაზრებები აქვთ გამოთქმული ა. თეთრაულს, ლ. აბალკინს, ნ. ცაგოლოვს, ა. ატამანჩუკს, ა. ლებედინსკასს, ვ. სემიონოვს, ვ. ვეჩკანოვს, ბ. პლიშევსკის, ვ. პოლტორიგინს, ა. ვავილოვს, პ. მალიშევსკის, ნ. შილინს, ა. რუმიანცევს, დ. გვიშიანს, ბ. მილნერს, მ. სიჩინავას, გ. მშვილდაძეს, ვ. სიტნინს, ი. იაკოვეცს, ი. კუზმინოვს, ი. სუსლოვს, ა. სელეზნევს, ე. კორიცკის, ზ. კოვაჩევს, ტ. პაჩევს, ვ. დიუკოვს და სხვ.

არსებული საზოგადოებრივი რესურსების პირობებში საზოგადოებრი-

---

[1] სკკპ XXVII ყრილობის მასალები. გვ. 58—59.

ვი პროდუქტის მასის ზრდა, რომელსაც თან ახლავს საზოგადოების წევრთა კეთილდღეობის ამაღლება, წარმოადგენს სოციალისტური წარმოების ეფექტიანობის სპეციფიკურ კრიტერიუმს. ეკონომიკური ეფექტიანობა გამოხატავს ურთიერთობას კოლექტივსა და მის წევრებს, კოლექტივსა და საზოგადოებას, შრომის პროცესში დაბანდებულ რესურსებსა და მიღებულ შედეგებს შორის.

საბჭოთა ეკონომისტების უმრავლესობის აზრით, საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა მრავალწახნაგოვანი ცნებაა. წარმოების ეფექტიანობა გულისხმობს სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოთხოვნებს, ე. ი. მასში ასახულია სოციალისტური საზოგადოების წევრთა მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების პრინციპი. სოციალისტური წარმოების ეფექტიანობის საერთო ზოგად კრიტერიუმად უნდა მივიჩნიოთ საზოგადოებრივი განვითარების თითოეული ეტაპის ეკონომიკური და სოციალური ამოცანების ოპტიმალურ ვადებში განხორციელება, რათა სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობა კომუნისტურში გადაიზარდოს.

ეკონომისტთა ერთი ნაწილის აზრით, — საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა ყველაზე ოპტიმალურად გამოიხატება ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელში, რომელშიაც, როგორც ფოკუსში, კარგადაა მოცემული წარმოების ეფექტი და შეესაბამება სოციალისტური წარმოების მთავარ მიზანს — საზოგადოების წევრთა მოთხოვნილებების უფრო სრულად დაკმაყოფილებას.

სოციალისტური წარმოების მთლიანობაში ეფექტიანობის კრიტერიუმებად შეიძლება წარმოვადგინოთ შეფარდებანი:

— საზოგადოებრივ პროდუქტსა და წარმოების ხარჯებს შორის;
— საბოლოო პროდუქტსა და ხარჯებს შორის;
— ეროვნულ შემოსავალსა და ხარჯებს შორის;
— ეროვნულ სიმდიდრესა და ხარჯებს შორის;
— ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტსა და ხარჯებს შორის;
— ეროვნულ შემოსავალსა და რესურსებს შორის;
— საბოლოო პროდუქტსა და რესურსებს შორის.

ამ საერთო ეკონომიკურ კრიტერიუმებს უნდა დაემატოს წარმოების ეფექტიანობის კრიტერიუმები და მაჩვენებლები გაფართოებული კვლავწარმოების ფაზებისათვის.

სოციალისტური წარმოების ეფექტიანობის ძირითადი კრიტერიუმი არ შეიძლება იყოს მარტო ეროვნული შემოსავლის შეფარდება საწარმოო დანახარჯებთან. ჯერ ერთი, ეროვნული შემოსავლის მოცულობა და

მისი დინამიკა არ იძლევა საზოგადოებრივი წარმოების სოციალისტური ბუნების გაგებას და არც მისი განვითარების სოციალისტურ მიმართულებას. როგორც პარტიის პროგრამის ახალ რედაქციაშია ჩაწერილი: „მართვის მთელი სისტემა მიზნად უნდა ისახავდეს იმას, რომ გაზარდოს სახალხო მეურნეობის ყოველი რგოლის წვლილი, რათა მივაღწიოთ უმაღლეს მიზანს — რაც შეიძლება სრულად დავაკმაყოფილოთ საზოგადოების მოთხოვნილებანი. ყველა სახეობის რესურსების უმცირესი დანახარჯებით ამ წვლილის ყოველწლიური ზრდა სოციალისტური მეურნეობრიობის გარდაუვალი კანონი, დარგების, გაერთიანებებისა და საწარმოების, ყველა საწარმოო უჯრედის საქმიანობის შეფასების ძირითადი კრიტერიუმია“ [1]. სავსებით მართებულად იქცევა მ. სიჭინავა, როცა ამ ფუძემდებლური დებულების განზოგადებით მთელი საზოგადოების მასშტაბით სოციალისტური წარმოების ეფექტიანობის ძირითად კრიტერიუმად წარმოადგენს მშრომელთა მუდმივად მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დონეს [2].

სოციალიზმის დროს უშუალოდ წარმოების პროცესის ეფექტიანობის ამაღლება და ნაკლები დანახარჯებით მეტი საწარმოო შედეგების მიღწევა ნიშნავს საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების განუხრელ ზრდასა და მატერიალური დოვლათის წარმოებაზე დანახარჯების შემცირებას. სწორედ ამიტომ უშუალოდ მატერიალური წარმოების ეფექტიანობის მთავარი კრიტერიუმია საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების დონე ან პროდუქციის წარმოებაზე განივთებული და ცოცხალი შრომის დანახარჯების ეკონომიის ხარისხი.

წარმოების ეფექტიანობის ძირითადი პრინციპის — „შედეგების მაქსიმუმი დანახარჯთა მინიმუმის პირობებში“ — თვალსაზრისით სოციალისტური საზოგადოება დაინტერესებულია ყველა სახის საწარმოო დანახარჯებში მიღწეულ იქნეს შრომის დაზოგვა, შრომის ეკონომია. ერთეულ პროდუქციაზე ცოცხალი შრომის დანახარჯთა შემცირება ხელს უწყობს მთლიანი პროდუქციის მოცულობის გადიდებას; განივთებული შრომის ეკონომია ზრდის წმინდა პროდუქტის მოცულობას და ამით მატულობს წარმოების მთლიანი შემოსავლის მოცულობა. შრომის ეკონომია ზრდის დაგროვების წილს ეროვნულ შემოსავალში, რაც სხვა არაფერია, თუ არა წმინდა საზოგადოებრივი შემოსავლის მასის გადიდება.

---

[1] სკკპ XXVII ყრილობის მასალები. გვ. 229.

[2] «Экономические науки». 1986, № 9, с. 4.

სოციალისტური წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საბოლოო შედეგია. ერთი მხრივ, წმინდა საზოგადოებრივი შემოსავლის გადიდება, ხოლო, მეორე მხრივ, საზოგადოებრივი შრომის ეკონომია. საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ზრდის გამოსახვის ამ ორ ფორმას შორის განსხვავებას დიდი მნიშვნელობა აქვს. თუ წარმოების ეფექტიანობის ზრდის აბსოლუტური შედეგები, რომელიც მიღწეულია სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში, გამოხატულია სხვადასხვა პროდუქტის ბოცულობის ზრდაში, თავის მხრივ, არავითარ შესადარ მასალას არ ბოგვცემს. ამასთან წარმოების ეფექტიანობის ზრდის ეს შედეგები თუ გამოიხატება შრომის შეფარდებითი ეკონომიის სახით, იგი მთელი სახალხო მეურნეობის მასშტაბით შეიძლება შეჯამდეს და შესაბამისი დასკვნებიც გაკეთდეს.

სოციალისტური წარმოების ეფექტიანობის ზრდის შედეგები შეიძლება წარმოვადგინოთ შრომის აბსოლუტური და შეფარდებითი ეკონომიის ჯამით, რომელიც გამოიხატება სამუშაო დროის ერთეულში.

შრომის შეფარდებითი ეკონომია პრაქტიკულად იძლევა წმინდა საზოგადოებრივი შემოსავლის მოცულობის ზრდას, ხოლო აბსოლუტური ეკონომია — წლიური სამუშაო დროის შემცირებას აუცილებელია შრომის ყოველნაირი ეკონომია ავსახოთ ერთ რომელიმე მაჩვენებელში. ეს მოგვცემს საშუალებას განვსაზღვროთ საზოგადოებრივი კვლავწარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდის ინტეგრალური სიდიდე, განვაზოგადოთ მისი ყველა ძირითადი მაჩვენებელი, როგორიცაა: წარმოების შრომატევადობა, მასალატევადობა და ფონდტევადობა.

ზოგიერთი ეკონომისტი ამტკიცებს, რომ უფრო მართებული იქნება, თუ მეურნეობის გაძღოლის ეფექტიანობას განვსაზღვრავთ არა დანახარჯების მოცულობით, არამედ წარმოების რესურსებით [1]. მაგრამ ეს გამოიწვევს დამატებით სიძნელეებს, რესურსები ერთგვაროვანი არ არის და მათ ვერ შევაჯამებთ.

მართებულად მიგვაჩნია ვ. ვეჩკანოვის მოსაზრება იმის შესახებ, რომ წარმოების რესურსებისა და საწარმოო დანახარჯების პრობლემები ერთი და იგივე პრობლემაა, ერთი და იგივე ეკონომიკური მოვლენაა [2].

საზოგადოებრივი კვლავწარმოების რეალურ პროცესში არ არსებობს ცალკე საწარმოო დანახარჯთა ეფექტიანობა და ცალკე წარმოების რე-

---

[1] Константинова Л. М., Соколинский Э. В. Экономическая эффективность общественного производства. М., 1974, с. 13.

[2] Вечканов В. С. Мера эффективности социалистического воспроизводства. М., 1978, с. 87.

სურსების ეფექტიანობა. წარმოების ფაქტორთა ეფექტიანობის ზრდა ვლინდება საზოგადოებრივი შრომის ეკონომიაში. მაგალითად, წარმოებაში მაღალმწარმოებლური და იაფი მანქანა-მოწყობილობათა დანერგვა ამცირებს ცოცხალი და განივთებული შრომის დანახარჯებს. მუშათა კვალიფიკაციის ზრდა, შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების გაუმჯობესება, წარმოების მართვის სრულყოფა ამაღლებს სამუშაო დროისა და წარმოების საშუალებების გამოყენების ეფექტიანობას, რაც გამოიხატება საწარმოო დანახარჯების ეკონომიაში.

დმრიგად, წარმოების ეფექტიანობის გაზრდა სხვა არაფერია, თუ არა წარმოების ცალკეულ ფაქტორთა ეფექტიანობის ზრდის საერთო შედეგი, ხოლო ამ ზრდის საზომად საწარმოო დანახარჯთა ეკონომია გამოდის.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ: საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ობიექტური საფუძველია სამუშაო დროის ეკონომიის კანონი. ამ კანონის მოქმედება გამოიხატება საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარების კვალობაზე საბოლოო პროდუქტის ერთეულზე ცოცხალი და განივთებული შრომის დანახარჯების მუდმივ შემცირებაში.

საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის განუხრელ ამაღლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე პირობებში, როდესაც წარმოების განვითარების მასშტაბები გიგანტურ სიდიდეებს აღწევს, მყარი ზრდა ახასიათებს როგორც მატერიალური წარმოებას, ასევე არამატერიალური წარმოების დარგებს, რაც ობიექტური წინაპირობაა საბჭოთა ხალხის მუდამ მზარდი მატერიალური და სულიერი კეთილდღეობის მისაღწევად. სწორედ დღეს აუცილებელია საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ყველა რეზერვი მოვაქციოთ სამეურნეო ბრუნვაში, რომელიც სამუშაო დროის მაქსიმალურ ეკონომიას იწვევს.

საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების სოციალისტური მექანიზმის საფუძველთა საფუძველია წარმოების საშუალებებისა და საზოგადოებრივი შრომის სახალხო მეურნეობის დარგებს შორის ოპტიმალური განაწილების ცენტრალიზებული დაგეგმვა, რომელიც, თავის მხრივ, გამომდინარეობს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციისა და გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების მოთხოვნებიდან. ამასთან წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მექანიზმი ეყრდნობა საწარმოებისა და გაერთიანებების სრულ სამეურნეო ანგარიშის პრინცი-

პებზე მუშაობას, შრომის ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით განაწილებას, კოლექტივის წევრთა ფართო ინიციატივას.

როგორც ცნობილია, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის განსაზღვრა ერთი რომელიმე განმაზოგადებელი, ინტეგრალური მაჩვენებლით შეუძლებელია. მის განსაზღვრისათვის უნდა გამოვიყენოთ როგორც განმაზოგადებელი (ეროვნული შემოსავლისა და რენტაბელობის დონის ზრდის ტემპები, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, ფასების), ასევე კერძო (შრომის ნაყოფიერების, პროდუქციის ხარისხის ამაღლების, ფონდტევადობის, მასალატევადობის და სხვ.) მაჩვენებლები.

საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა, მისი დინამიკა შედარებით სრულად აისახება დროის გარკვეულ პერიოდში წარმოებული და გამოყენებული ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელში. არსებული საწარმოო რესურსების პირობებში მაქსიმალური სახალხო-მეურნეობრივი ეფექტიანობა მიიღწევა ეროვნული შემოსავლის ზრდის მაღალი და მყარი ტემპების ანგარიშზე. სწორედ ამ მაჩვენებელში გამოიხატება სამუშაო დროის ეკონომიის კანონის მოქმედება.

იმის გამო, რომ საზოგადოების განკარგულებაში არსებული განივთებული და ცოცხალი შრომის მოცულობა არ შეიძლება თვითნებურად გავზარდოთ, შრომის ეკონომიით, დაზოგვითა და მატერიალური დოვლათისა და მომსახურების ღირებულების შემცირებით უნდა მივაღწიოთ საზოგადოების მასშტაბით სახმარი ღირებულების წარმოების მოცულობის გადიდებას და ამით საზოგადოებისა და მისი წევრების კეთილდღეობის ამაღლებას.

მთლიანად საზოგადოების მასშტაბით საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა ფასდება ეროვნული შემოსავლის მაჩვენებლებით: მოსახლეობის ერთ სულზე, მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულ ერთ მუშაკზე და საწარმოო ფონდების ერთეულზე.

სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საწარმოს (გაერთიანების) ეფექტიანობას განსაზღვრავს შემდეგი მაჩვენებლები: ცოცხალი შრომის ნაყოფიერება, განივთებული შრომის დანახარჯთა ეკონომია (პროდუქციის მასალატევადობის შემცირება), საწარმოო ფონდების გამოყენება (ფონდუკუგება), გამოსაშვები პროდუქციის ხარისხი, დროის ფაქტორი.

ჩამოთვლილი მაჩვენებლებიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია შრომის ნაყოფიერების ზრდა. შრომის ნაყოფიერება არის სამუშაო დროის, ცოცხალი შრომის ეკონომიის ინტენსიური ფორმა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ წარმოების ეფექტიანობა დაიყვანება ცოცხალი შრომის

ეკონომიაზე, ხოლო წარსული შრომის ეკონომიას მასთან არავითარი კავშირი არა აქვს.

განივთებული შრომა წარმოების საშუალებათა ღირებულების სახით შრომითი ღირებულების თეორიის შესაბამისად მონაწილეობს პროდუქტის სრული ღირებულების შექმნაში. წარმოების საშუალებათა ღირებულება გადადის წარმოებულ პროდუქტში და ქმნის მისი ღირებულების ნაწილს. ამასთან მოხმარებული ნედლეულის ღირებულება პროდუქტში მთლიანად გადადის, შრომის საშუალებები კი ნაწილ-ნაწილ, ცვეთის კვალობაზე. აქედან გამომდინარე, შრომის პროცესში, ე. ი. ღირებულების შექმნის პროცესში, მოქმედებს და იხარჯება როგორც წარსული, განივთებული, ასევე ცოცხალი შრომა. განივთებული და ცოცხალი შრომის დანახარჯებით იქმნება ღირებულება, რომელიც გამოისახება ფორმულით: $c+v+m$, სადაც c არის განივთებული შრომის დანახარჯები, $v+m$ — ახლად შექმნილი ღირებულება.

შრომის ნაყოფიერების ზრდასა და ერთეული პროდუქციის ღირებულების დინამიკას შორის არსებობს ობიექტურად აუცილებელი უკუპროპორციული კავშირი — პროდუქციის საერთო სიდიდესა და სტრუქტურას შორის. არსებითად ეს კავშირი კომპლექსური ხასიათისაა. ამ კომპლექსში ამოსავალი მომენტია შრომის ნაყოფიერების ზრდისა და ერთეული პროდუქციის ახლად შექმნილ ღირებულებას შორის უკუმოქმედება. თუ დროის ერთეულში იწარმოება მეტი პროდუქტი, მაშინ ერთეული პროდუქტის საწარმოებლად, ბუნებრივია, სამუშაო დროის ნაკლები ოდენობაა საჭირო [1].

შრომის ნაყოფიერების ზრდასა და პროდუქტის ღირებულებას შორის კავშირი მთავარია. მარქსიზმის კლასიკოსები გვასწავლიან, რომ საქონლის ღირებულება განისაზღვრება მთელი სამუშაო დროით, განივთებული და ცოცხალი შრომით, რომელიც ამ საქონლის საწარმოებლად არის დახარჯული. შრომის ნაყოფიერების გადიდება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ცოცხალი შრომის წილი მცირდება, ხოლო განივთებული შრომა იზრდება, მაგრამ იზრდება ისე, რომ საქონელში განივთებული შრომის მთელი ჯამი კლებულობს. აქედან გამომდინარე, ცოცხალი შრომის ოდენობა უფრო მეტად მცირდება, ვიდრე განივთებული შრომის ოდენობა იზრდება. ერთი სიტყვით, მცირდება ახლად შექმნილი ღირებულების ($v+m$) წილი და იზრდება განივთებული შრომის (c) წილი. საყურადღებოა ის, რომ განივთებული შრომის წილი მაშინაც

[1] იხ. Экономический строй социализма. под редакцией Е. Капустина, Том I, М., 1984, с. 283.

დიდდება, როცა მისი აბსოლუტური მოცულობა უცვლელი რჩება და ზოგჯერ მცირდება კიდეც, ამასთან ღირებულების საერთო სიდიდე, რომელიც პროდუქტშია განივთებული, მცირდება. ჩვენთვის ეს დებულება უმნიშვნელოვანესია და განსაზღვრავს წარმოების ეფექტიანობას, რომელიც გამოხატულია შრომის ნაყოფიერების ზრდის დონითა და ტემპებით.

სოციალისტური წარმოების წესი, კაპიტალისტურთან შედარებით აფართოებს ახალი ტექნიკის, მანქანებისა და მოწყობილობების გამოყენების საზღვრებს, მაგრამ სამუშაო დროის ეკონომიის კანონის ძალით პროდუქციის წარმოებაზე ობიექტურად დახარჯული ცოცხალი და განივთებული შრომის ჯამი მცირდება. ამასთან შრომის ნაყოფიერების ზრდა ელინდება წარმოებული პროდუქტის ღირებულების შემცირებაში.

აჰრიგად, შრომის ნაყოფიერების დონის ზრდა არის არა მარტო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის გამოხატვის ამოსავალი ფორმა, არამედ პროდუქციის წარმოებაზე დახარჯული ცოცხალი და განივთებული შრომის ეკონომიის მთავარი და უშუალო ფაქტორი. ცოცხალი და განივთებული შრომის ეკონომია, ერთეული პროდუქციის ღირებულების შემცირება წარმოების ეფექტიანობის უფრო სრულყოფილი გამოხატულებაა. ერთი სიტყვით, ეკონომიკის ეფექტიანობის მთავარი მაჩვენებელია შრომის ნაყოფიერება.

როგორც ცნობილია, უკანასკნელ პერიოდამდე შრომის ნაყოფიერების განსაზღვრის ტრადიციულ მეთოდს — სასაქონლო (მთლიანი) პროდუქციის თანხის გაყოფას საწარმოო პერსონალის რიცხოვნობაზე, სერიოზული ნაკლოვანებები გააჩნია. სასაქონლო (მთლიანი) პროდუქციის მოცულობა დამოკიდებულია არა იმდენად ახლად შექმნილ ღირებულებაზე, რამდენადაც ადრე დახარჯული შრომის სიდიდეზე, რომელიც განივთებულია ნედლეულსა და მასალებში, რაც დახარჯულია პროდუქციის წარმოების პროცესში. სასაქონლო (მთლიანი) პროდუქციის მოცულობა დამოკიდებულია აგრეთვე საწარმოს ძირითადი საწარმოო ფონდების მოცულობაზე. ყოველივე ამის გამო, საწარმოში პროდუქციის წარმოების პროცესში რაც მეტი განივთებული შრომა იხარჯება, მით მეტი გამოვა ცოცხალი შრომის ეკონომია. სწორედ ამიტომ საწარმო დაინტერესებულია რაც შეიძლება მეტი მასალატევადი პროდუქცია გამოუშვას. თუმცა ასეთი ურთიერთობანი ყოველთვის პირდაპირ არ მოქმედებს შრომის ნაყოფიერების ზრდაზე. როგორც წესი, მასალების გადახარჯვას არ მივყავართ შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლის გაუმჯობესებისაკენ, რამდენადაც ეს უკანასკნელი დაფუძნებულია პროდუქციაზე, რომელიც

განისაზღვრება არა ფაქტობრივი თვითღირებულებით, არამედ მოქმედი ფასებით. ამასთან თვით ფასი, რომელსაც საფუძვლად თვითღირებულება უდევს, მით უფრო მაღალია, რაც მეტი მასალები დაიხარჯება პროდუქციის წარმოების პროცესში.

შრომის ნაყოფიერების განსაზღვრის ასეთი მეთოდი საწარმოებს სტიმულს აძლევს გამოუშვას ისეთი პროდუქცია, სადაც მაღალი მასალატევადობაა. ამასთან ისინი არ იბრძვიან გამოუშვან პროდუქცია, რომელზედაც იაფი ნედლეული იხარჯება და თუ ამას განვაზოგადებთ მთელი სახალხო მეურნეობის მასშტაბით, მაშინ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება — პროდუქციის მასალატევადობის შემცირებისა, ამოვარდება სამეურნეო ბრუნვიდან. აქედან დასკვნა: შრომის ნაყოფიერების გამოთვლის ზემოაღნიშნული მეთოდოლოგია ერთმანეთისაგან აპირისპირებს საზოგადოებისა და საწარმოს (გაერთიანების) ინტერესებს, ამიტომ მისი გამოყენება არ პასუხობს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების თანამედროვე მოთხოვნებს.

სწორედ ამიტომ უკანასკნელ წლებში ფართოდ ინერგება შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლის გამოთვლის ისეთი მეთოდი, რომელსაც საფუძვლად უძევს წმინდა პროდუქცია, ე. ი. საწარმოში (გაერთიანებაში) ახლად შექმნილი ღირებულების მოცულობა. აღნიშნული მეთოდიც არ არის დაზღვეული ნაკლოვანებებისაგან, მაგრამ იგი უფრო ოპტიმალური და ობიექტურია. როცა ცნობილია მოვლენის არსი მისი პოზიციური და ნეგატიური მხარეებით, ადვილია ნეგატიურის მოწესრიგება. მაგალითად, ამ მეთოდით შრომის ნაყოფიერების გამოანგარიშება საწარმოებს (გაერთიანებებს) უბიძგებს უფრო შრომატევადი პროდუქციის წარმოებისაკენ, მაგრამ აქ უნდა მოვიშველიოთ სამეურნეო ანგარიშის დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი და საწარმოს (გაერთიანებას) უნდა დავუგეგმოთ პროდუქციის გამოშვების აუცილებელი ასორტიმენტი და გავამაგროთ სახელშეკრულებო ურთიერთობით.

როგორც ცნობილია, წმინდა პროდუქციაში მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა უკავია მოგებას, რაც საწარმოს (გაერთიანებას) სტიმულს მისცემს გამოუშვას მაღალრენტაბელური პროდუქცია. ამიტომ შრომის ნაყოფიერების გასაანგარიშებლად წმინდა პროდუქციის ფართო გამოყენება სოციალისტურ საზოგადოებას სერიოზულ მოთხოვნებს უყენებს ფასებისა და რენტაბელობის დონის მეცნიერულად დასაბუთებულობის ამაღლების საქმეში.

ჩვენი აზრით, წმინდა პროდუქციის მეთოდით შრომის ნაყოფიერე-

ბის გამოანგარიშებაზე საწარმოების (გაერთიანებების) გადაყვანას დიდი ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, ჯერ ერთი, იგი ამაღლებს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობას და, მეორე, უფრო მეტად შეეთანაწყობა საზოგადოებისა და საწარმოს (გაერთიანების) ინტერესები. ამასთან მაღალი უკუგების მისაღწევად უნდა გატარდეს მნიშვნელოვანი ორგანიზაციული და ეკონომიკური ღონისძიებები სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის სხვა ღონისძიებებთან მთლიანობაში:

1. საჭიროა მასობრივად გადავიდეთ ხელფასის ხანგრძლივი ნორმატივების მიხედვით დაგეგმვაზე. ეს ნორმატივები უნდა განისაზღვროს შრომის ნაყოფიერების ამაღლებით, აგრეთვე შრომის ნაყოფიერებისა და ხელფასის ზრდის ტემპების დასაბუთებული შესაბამისობის გათვალისწინებით;

2. სერიოზული ცვლილებებია შესატანი ფასწარმოქმნის პრაქტიკაში. ფასების საშუალებით განისაზღვრება ცალკეული საწარმოების (გაერთიანების) სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შედეგები, იქმნება უმნიშვნელოვანესი ღირებულებითი პროპორციები საერთო-სახელმწიფოებრივ დონეზე: ეროვნული შემოსავლისა და ფინანსური რესურსების განაწილება დარგებს შორის, ფულადი საშუალებების მიმოქცევის მატერიალურ-ნივთობრივ რესურსებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა და ა. შ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის პოლიტიკურ მოხსენებაში მ. ს. გორბაჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა:

„ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის აქტიური ინსტრუმენტი უნდა გახდეს ფასები. გეგმაზომიერად უნდა გარდავქმნათ ფასების სისტემა, როგორც ერთი მთლიანი, ქმედითი სამეურნეო ანგარიშის მოგვარების ინტერესებისათვის და მოსახლეობის რეალური შემოსავლის გადიდების ამოცანათა შესაბამისად. ფასებს უნდა მივანიჭოთ მეტი მოქნილობა, დავუკავშიროთ მათი დონე არა მარტო დანახარჯებს, არამედ აგრეთვე საქონლის სამომხმარებლო თვისებებს, ნაწარმის ეფექტიანობას, საზოგადოებრივ მოთხოვნილებებთან და მოსახლეობის მოთხოვნასთან წარმოებული პროდუქტის შეწონასწორების დონეს“ [1].

ფასებისა და ტარიფების სისტემა მოწოდებულია მეურნეობრიობის ახალი პრინციპების დასანერგავად შექმნას ოპტიმალური პირობები.

ერთი სიტყვით, თანამედროვე პირობებში პარტიამ დასახა ამოცანა: ისე იქნეს სრულყოფილი ფასების სისტემა, რომ უფრო სრულად აისა-

[1] სკკპ XXVII ყრილობის მასალები. გვ. 53.

ბოს მასში წარმოების ხარისხობრივი მაჩვენებლები, შრომის საზოგადოებრივად საჭირო დანახარჯების დონე.

ფასების საზოგადოებრივად აუცილებელ დანახარჯებთან მიახლოება ღირებულების კანონის მოთხოვნაა, რომლის განსახორციელებლად გეგმიანი მეურნეობის უპირატესობანი კაპიტალისტურ საბაზრო ეკონომიკასთან შედარებით მეტად დიდია.

თანამედროვე პირობებში ფასწარმოქმნაში შემოვიდა ისეთი ახალი ეკონომიკური კატეგორია, როგორიცაა სარენტო გადასახდელები. პირველად მრეწველობაში რენტაბელობა გამოითვლება არა მარტო სამეურნეო ანგარიშის პოზიციებიდან, არამედ წმინდა შემოსავლის აუცილებელი სახალხო მეურნეობრივი ნორმატივის თვალთახედვითაც.

როგორც ცნობილია, წმინდა შემოსავალი გამოიყენება როგორც კვლავწარმოების, ასევე არამწარმოებლური სფეროს, მმართველობის, თავდაცვის საჭიროებისათვის. წმინდა შემოსავლის ფორმირების წყაროებია — მოგება, ბრუნვის გადასახადი, სარენტო ანარიცხები და სხვ. ამასთან მოგების, როგორც წმინდა შემოსავლის ძირითადი წყაროს როლი სისტემატურად იზრდება. თუ მაგალითად, სახალხო მეურნეობის ფულად დაგროვებაში მისმა ხვედრითმა წონამ 1960 წელს შეადგინა 39 პროცენტი, 1984 წელს მან 55 პროცენტს გადაამეტა. სწორედ ამიტომ აუცილებელია საბითუმო ფასების დასაბუთებისას გავითვალისწინოთ მოგების ოპტიმალური სიდიდე.

ამრიგად, ნორმატიული წმინდა პროდუქციის წარმოების ეფექტიანობის შემფასებელ მაჩვენებლად წინა პლანზე წამოწევა ლოგიკურია. ნორმატიული წმინდა პროდუქცია მოიცავს სამრეწველო-საწარმოო პერსონალის ხელფასსა და ნორმატიულ მოგებას, რომელიც გაითვალისწინება საბითუმო ფასებში საშუალო დარგობრივი მაჩვენებლის შესაბამისად პროდუქციის კონკრეტულ სახეზე.

ნორმატიული წმინდა პროდუქცია შედარებით ოპტიმალურად გამოხატავს შრომითი კოლექტივის წვლილს ეროვნული შემოსავლის შექმნაში. იგი როგორც ახლად შექმნილი ღირებულების გამომხატველი, მოიცავს შრომითი კოლექტივების საბოლოო სახალხომეურნეობრივ შედეგს და ხელს უწყობს საწარმოების (ეაერთიანებების) სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ობიექტურ შეფასებას. ამიტომ საწარმოო პროგრამის დაგეგმვისას მისი გამოყენება სავსებით გამართლებულია.

პარტია და მთავრობა მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებენ საბითუმო ფასების სრულყოფისა და ნორმატიული წმინდა პროდუქციის შესაქმნელად. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინის-

ტრთა საბჭოს 1979 წლის 12 ივლისის დადგენილებაში — „დაგეგმვის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ“ გათვალისწინებულია წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესების სპეციალურ ღონისძიებათა კომპლექსი. ჯერ ერთი, მაღალეფექტიანი ახალი პროდუქციის გამოშვებისას გაიზარდა საბითუმო ფასებზე დანამატების მასტიმულირებელი როლი, აგრეთვე მეორე კატეგორიის პროდუქციის ფასებზე გადიდდა დათმობის წილი; მეორე, გაიზარდა ლიმიტირებული ფასების ზემოქმედება შეძკვეთებისა და მწარმოებლების პასუხისმგებლობის ასამაღლებლად ახალ პროდუქციაზე ეკონომიკურად დასაბუთებული მატერიალური დანახარჯების დასაწესებლად.

საბითუმო ფასების სრულყოფის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა ფასების ზემოქმედების გაძლიერება გამოსაშვები პროდუქციის მასალატევადობის შესამცირებლად, აგრეთვე იაფი სახის ნედლეულისა და მასალების გამოყენების გასაფართოებლად.

მატერიალური წარმოების დარგებში რენტაბელობის დონისა და მოგების დაგეგმვა სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა განხორციელდეს, რომელსაც საფუძვლად უნდა დაედოს თვითანაზღაურების პრინციპი.

ფასწარმოქმნის სრულყოფის სამუშაოებისათვის აუცილებელია ყოველმხრივ დავნერგოთ ხარჯვასაწინააღმდეგო ეკონომიკის მეთოდების შესაბამისი პრინციპები. ფასწარმოქმნა უნდა დაეყრდნოს ისეთ პრინციპებს, რომლებიც საშუალებას მისცემს პროდუქციის მწარმოებლებსა და მყიდველებს ადრე განსაზღვრონ ფასების დონე ახალი სახეობის ტექნიკის დაპროექტების მხედველობაში მიღებით.

ფასწარმოქმნის სრულყოფის უმნიშვნელოვანესი მიმართულება უნდა გახდეს ფასების დაწესების ნორმატიულ-პარამეტრიული მეთოდები და შესაბამისი პრეისკურანტების შექმნა, რათა ფასებს მიეცეს აუცილებელი ოპერატიულობა და მანევრირება.

ფასწარმოქმნის სრულყოფისას მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს მრავალფეროვანი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც სამეურნეო ცხოვრებაში მონაწილეობენ და მათი გათვალისწინებით თითოეული ფასი ოპტიმალურად ემსახურებოდეს ეკონომიკის განვითარების ინტერესებს არა მარტო მიმდინარე, არამედ პერსპექტიულ პერიოდებში.

ზოგადად ბრივი წარმოების ეფექტიანობის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია მასალატევადობა. მასალატევადობის შემცირება წარმოების

ეფექტიანობის ერთ-ერთი მთავარი რეზერვია. ცნობილია, რომ მასალების, ნედლეულის, ენერგიის, სათბობისა და სხვა მატერიალური საშუალებების დანახარჯების ხვედრითი წონა მრეწველობის პროდუქციაში 70 პროცენტს აღემატება.

პროდუქციის მასალატევადობა დიდად არის დამოკიდებული კონსტრუქტორების საქმიანობაზე, რომლებიც ახალი პროდუქციის დაპროექტებისას აწესებენ ნედლეულისა და მასალების ხარჯვის კოეფიციენტს. სწორედ ამიტომ პროდუქციის მასალატევადობის მაჩვენებელი გახდა ერთ-ერთი მთავარი საწარმოს (გაერთიანების) შეფასებაში ტექნიკური დონისა და ახალი ნაწარმის ეკონომიურობის თვალსაზრისით.

სამეურნეო საქმიანობის ყველა უბანზე მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერება პარტიის XXVII ყრილობის მიერ დასახულ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების პროგრამის რეალიზაციის ერთ-ერთი მთავარი პირობაა. ნედლეულზე, სათბობსა და სხვა მატერიალურ რესურსებზე ქვეყანაში დამატებითი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ძირითადი წყაროა მეთორმეტე ხუთწლედსა და უფრო ხანგრძლივი პერიოდისათვის ამ რესურსების მომჭირნეობით, ეკონომიურად გამოყენება. მიმდინარე ხუთწლედში მატერიალურ რესურსებზე დამატებითი მოთხოვნების 60—65% დაიფარება ეკონომიის ანგარიშზე.

„მკვეთრ ცვლილებებს უნდა მივაღწიოთ მატერიალური რესურსების გამოყენებაშიც, — აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმზე მ. ს. გორბაჩოვმა, — ...რესურსების დაზოგვა მასალებზე, სათბობზე, ელექტროენერგიაზე მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გადამწყვეტი წყაროა. ვაპირებთ ამ გზით მიმდინარე ხუთწლედში მივიღოთ ეროვნული შემოსავლის მატების მეოთხედზე მეტი“ [1].

მომჭირნეობის რეჟიმის უზრუნველსაყოფად აუცილებელია შრომით კოლექტივებში შეიქმნას მუშაობის ისეთი პირობები, რომლებიც სტიმულს მისცემს ნედლეულის, მასალებისა და სათბობის ეკონომიას გამოსაშვები პროდუქციის ერთეულზე და ამით აამაღლებს წარმოების ეკონომიკურ ეფექტიანობას.

მომჭირნეობისათვის ბრძოლა მრავალწახნაგოვანია. ოპტიმალური შედეგების მიღწევა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია თუ რა დონეზე დგას სტანდარტიზაცია და მატერიალური რესურსების ხარჯვის პროგ-

---

[1] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები. 1986 წლის 16 ივნისი. გვ. 35.

რესული ნორმები. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ გასანაწილებელი მატერიალური რესურსების ნახევარზე დაწესებულია ეკონომიის დავალება. 1986 წლის 1 იანვრიდან საწარმოები და ორგანიზაციები ანგარიშვალდებული არიან ყოველდღიურად წარადგინონ ანგარიშგება 58 დასახელების მატერიალური რესურსების ეკონომიაზე, რომლებზედაც ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმით დაწესებულია ეკონომია.

მატერიალური რესურსების რეზერვების გამოვლინებისა და მათი აღრიცხვისათვის მუშაობა სისტემატურად უმჯობესდება. თვითღირებულების შემცირების მაჩვენებელი (1 მანეთ სასაქონლო პროდუქციის დანახარჯზე განსაზღვრული დონით) მეთორმეტე ხუთწლედში გახდა ფონდწარმომქმნელ მაჩვენებლად.

მომჭირნეობის რეჟიმის დაცვაში დიდ როლს ასრულებს ფასწარმოქმნა. წარმოების დანახარჯების შემცირების სტიმულირებისათვის შენარჩუნებულია ნედლეულისა და მასალების საბითუმო ფასების დონე, მიუხედავად მათი უფრო იაფი ნედლეულით შეცვლისა, თუ არ უარესდება პროდუქციის ხარისხი. ასევე ახალი ტექნიკის ათვისებით მასალატევადობისა და შრომატევადობის შემცირება არ იწვევს შესაცვლელი მანქანა-დანადგარების საბითუმო ფასების ცვლილებებს, ე. ი. დამატებითი მოგება, რომელიც მიიღება თვითღირებულების შემცირებით, რჩება საწარმოს.

მნიშვნელოვანი ცვლილებებია მატერიალური რესურსების ეკონომიისათვის პრემირების საქმეში. 1983 წლიდან სახალხო მეურნეობის ბევრ დარგში მატერიალური რესურსების ეკონომიის 25—75% მიმართულია მუშაკთა პრემირებისათვის.

მატერიალური რესურსების მომჭირნეობის რეჟიმის განხორციელება მეთორმეტე ხუთწლედში ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა ერთ-ერთი დიდი და საპატიო მოვალეობაა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. პატიაშვილმა საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის სანგარიშო მოხსენებაში ხაზგასმით აღნიშნა: უნდა „მივაღწიოთ იმას, რომ პროდუქციის მოცულობის ყოველგვარ ზრდას თან სდევდეს მატერიალური, საფინანსო, შრომითი და სხვა დანახარჯების განუხრელი შემცირება. ეს ეკონომიკური ამოცანაც არის და პოლიტიკურიც“ [1].

მეთორმეტე ხუთწლედში მომჭირნეობის რეჟიმის შემდგომი გაძლი-

---

[1] „საქართველოს კომუნისტი“. 1986, № 2, გვ. 11.

ერებით შიღწეული ეკონომიის ხარჯზე უნდა დაკმაყოფილდეს სათბობზე, ენერგიაზე, ნედლეულსა და მასალებზე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დამატებით მოთხოვნილებათა მნიშვნელოვანი ნაწილი. „უზრუნველვყოთ მატერიალური რესურსების გამოყენების მაქსიმალური ეფექტიანობა, ყოველი საწარმოს, სამინისტროსა და უწყების მიხედვით შევიმუშაოთ ნედლეულის, მასალების, სათბობისა და ენერგიის დაზოგვის ღონისძიებათა კომპლექსი, რომელთა განხორციელებას მკაცრი პარტიული კონტროლი უნდა დავუწესოთ; გავამკაცროთ მომთხოვნელობა უყაირათობისათვის, მფლანგველობისათვის, პროდუქციის, მატერიალური და ენერგეტიკული რესურსების დანაკარგებისათვის“ [1], ჩაწერილია საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის დადგენილებაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო.

საშეურნეო ანგარიშიანი საწარმოების (გაერთიანებების) მუშაობის ეფექტიანობის ერთ-ერთი განმაზოგადებელი მაჩვენებელია ფონდუკუგება, რომელიც გაიზომება ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ან ეროვნული შემოსავლის შეფარდებით ძირითადი საწარმოო ფონდების საშუალო-წლიურ ღირებულებასთან. ძირითადი საწარმოო ფონდების უკეთ გამოყენებით მიიღწევა ცოცხალი და განივთებული შრომის დანახარჯების შემცირება წარმოებული პროდუქციის ერთეულზე, რაც პროდუქციის თვითღირებულების შემცირებასა და ეროვნული შემოსავლის გადიდებას იწვევს. ფონდუკუგება განსაზღვრავს დროის გარკვეულ პერიოდში (წელიწადში) ძირითადი საწარმოო ფონდების ერთ-მანეთზე რამდენი მანეთის პროდუქციაა წარმოებული. ფონდუკუგების უდიდესი სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობა ის არის, რომ ჩვენი ქვეყნის ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულებამ 1985 წლის დასაწყისისათვის მიაღწია 1489 მილიარდ მანეთს, ხოლო საქართველოს სსრ-ში 20,5 მილიარდ მანეთს, რაც ფონდუკუგების ზრდის მნიშვნელოვანი რეზერვია. აღსანიშნავია, რომ საპროექტო სიმძლავრეების აუთვისებლობით სახალხო მეურნეობას დიდი მოცულობის პროდუქცია აკლდება, ამასთან დიდი დანაკარგებია მოწყობილობებისა და მანქანების მოცდენით და ცვლადობის დაბალი კოეფიციენტით. სწორედ ამიტომ იყო, რომ სკკპ XXVII ყრილობის პოლიტიკურ მოხსენებაში მ. ს. გორბაჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა: „შეხედეთ მოქმედ სიმძლავრეებს. ჩვენს ქვეყანაში ძირითადმა საწარმოო ფონდებმა ტრილიონ-ნახევარ მანეთს

[1] „საქართველოს კომუნისტი“. 1986, № 2, გვ. 69.

გადააჭარბა, მაგრამ მათ ყველგან ჯეროვნად როდი იყენებენ... განსაკუთრებით შემაშფოთებელია ის, რომ ფონდების ყველაზე აქტიური ნაწილი — მანქანები, მოწყობილობა, ჩარხები ხშირად უქმად არის ან მთელი დატვირთვით არ მუშაობს... მთლიანად სიმძლავრეთა არასრული დატვირთვის გამო ქვეყანას ყოველწლიურად აკლდება მილიარდობით მანეთის სამრეწველო პროდუქცია“ [1].

პარტიის XXVII ყრილობამ საგეგმო და სამეურნეო ორგანოების, საწარმოებისა და გაერთიანებების წინაშე დასახა ამოცანა — მივაღწიოთ სიმძლავრეების საპროექტო დონეზე ამოქმედებას, რითაც გამოვათავისუფლებთ კაპიტალურ დაბანდებათა დიდ მოცულობას.

წარმოების ეფექტიანობის გადიდებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობაში. სახალხო მეურნეობის ამ დარგის ეფექტიანობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები; შექმნილი ობიექტური პირობებისა და დარგში ძირითადი საწარმოო ფონდების მნიშვნელოვანი გადიდების პარალელურად არ მიმდინარეობს ფონდუკუგების ზრდა. რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ფონდუკუგების შემცირების ტენდენცია ძირითადად განპირობებულია საწარმოო სიმძლავრეების დაუტვირთაობით, რაც, თავის მხრივ, გამოწვეულია უკანასკნელ წლებში სოფლის მეურნეობის მალალი ფონდტევადობით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმზე მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა: „ჩვენ შეგვიძლია მივაღწიოთ ეკონომიკის თვისებრივი მაჩვენებლების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, უწინარეს ყოვლისა, შრომის ნაყოფიერებისა და ფონდუკუგების ზრდას, თუ დავაჩქარებთ საწარმოო ფონდების განახლებას, უფრო სწრაფად მოვიცილებთ თავიდან მათს მოძველებულ ნაწილს, ხოლო ტექნიკურად თანამედროვე მანქანა-მოწყობილობას გამოვიყენებთ უფრო ინტენსიურად, მათ შორის, ცვლიანობის კოეფიციენტის გადიდების ხარჯზეც“ [2].

შეთორმეტე ხუთწლედში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთ მაჩვენებელს, როგორიცაა წარმოებული პროდუქციის ხარისხი და ტექნიკური დონე. სკკპ XXVII ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ პროდუქციის ხარისხის საკითხი არა მარტო ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური საკითხიცაა. თუ ქვეყანაში ხარისხის პრობლემა

---

[1] სკკპ XXVII ყრილობის მასალები. გვ. 62—63.

[2] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები, 1986 წლის 16 ივნისი, გვ. 23.

არ გადაიჭრა, გართულდება სხვა დიდმნიშვნელოვანი საწარმოო და სოციალური ამოცანების გადაწყვეტა. პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების „ამოცანა თითოეული კომუნისტის, თითოეული საბჭოთა ადამიანის, ყველა იმათი საქმე უნდა გახდეს, ვინც პატივს სცემს თავის შრომას, ვისთვისაც სულ ერთი არ არის საწარმოს, დარგის ღირსება, ჩვენი სამშობლოს ღირსება“ [1].

ქვეყანაში ფართოდ ვითარდება პროდუქციის ხარისხის ატესტაციის ინსტიტუტი. მეთორმეტე ხუთწლედში უნდა გაორკეცდეს ხარისხის უმაღლესი კატეგორიის მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წონა, რომლის მისაღწევადაც შემოღებულია შრომის ანაზღაურებაზე მნიშვნელოვანი დანამატები და მკაცრი სანქციები. ხარისხის გაუმჯობესების პოზიციიდან მართვის ყველა რგოლში ეფექტიანად უნდა იყოს გამოყენებული როგორც ეკონომიკური და ადმინისტრაციული, ასევე აღმზრდელობითი ღონისძიებები.

საზოგადოებრივი წარმოების ოპტიმალური მართვის უზრუნველსაყოფად აუცილებელია შევისწავლოთ წარმოების ცალკეულ ფაქტორთა გამოყენების ეფექტიანობა და თითოეულის გავლენა სოციალისტური მეურნეობის ეფექტიანობის საერთო დონის გადიდებაზე. მაგრამ აქაც ეფექტიანობის კრიტერიუმად შრომის დანახარჯთა ეკონომია გამოდის, რის გამოც ეკონომიკური ზრდის ამა თუ იმ ფაქტორის გავლენა წარმოების საერთო ეფექტიანობის დონეზე განისაზღვრება შრომის დანახარჯთა ეკონომიაში თითოეული ამ ფაქტორის ხვედრითი წონით.

სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებში „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986—1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა შესახებ“ ჩაწერილია 2000 წლამდე პერიოდისათვის პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის უზენაესი მიზნის — საბჭოთა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი აღმავლობის რეალიზაცია “...მოითხოვს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას, წარმოების ყოველმხრივ ინტენსიფიკაციასა და ეფექტიანობის ამაღლებას მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესის ბაზაზე“ [2].

ძირითად მიმართულებებში ხაზგასმულია აგრეთვე „არსებითად გავაძლიეროთ ეკონომიკური ბერკეტების მნიშვნელობა წარმოების ეფექტიანობის ამაღლებასა და მომჭირნეობის რეჟიმის დაცვაში, პროდუქ-

---

[1] სკკპ XXVII ყრილობის მასალები. გვ. 66.

[2] იქვე, გვ. 419.

ციის ხარისხის გაუმჯობესებაში, ძირითადი ფონდების განახლებაში, საბრუნავი სახსრების ბრუნვადობის დაჩქარებაში, თვითღირებულების შემცირებასა და წარმოების რენტაბელობის გადიდებაში“ [1].

ამრიგად, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის, მთელი სახალხო მეურნეობის ინტენსიფიკაციის რელსებზე გადაყვანა მოითხოვს მუშაობის შეფასების კრიტერიუმებად სრულყოფილად გამოვიყენოთ მაჩვენებელთა ისეთი სისტემა, რომლებიც ინტენსიფიკაციის ფორმულის — შედეგების მაქსიმუმი დანახარჯთა მინიმუმით — ადეკვატური იქნება, იმის გამო, რომ ამ მოთხოვნებს სრულად პასუხობს ისეთი ხარისხობრივი მაჩვენებელი, როგორიც მოგებაა, რაც შრომით კოლექტივებს სტიმულს აძლევს ნაკლები დანახარჯებით მიაღწიონ წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებას.

ის ფართომასშტაბური ეკონომიკური ექსპერიმენტები, რომლებიც ხორციელდება სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგში, განსაზღვრავენ მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფის ძთავარ მიმართულებებს. ისინი მომავალშიც მოითხოვენ გაღრმავება-განვითარებას. საქმე ეხება სისტემას, რომელიც მოიცავს მის ყველა ნაწილს: დაგეგმვას, დაფინანსებას, მომარაგებას, ფასწარმოქმნას, სტიმულირებასა და ფულად-საკონლო ურთიერთობის სხვა ელემენტებს.

[1] სკკპ XXVI-ე ყრილობის მასალები. გვ. 512.

თავი II

აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის სრულყოფა

რესპუბლიკაში აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ორგანიზაციული და ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფა

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების უზრუნველსაყოფად პარტიის XXVII ყრილობის მიერ შემუშავებულ ღონისძიებათა სისტემაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია სახალხო მეურნეობის მართვის სისტემის შემდგომ სრულყოფას.

მართვის ახალ სისტემაზეა გადაყვანილი ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსი, რომელიც სახალხო მეურნეობის ურთულესი და მრავალწახნაგოვანი საწარმოო-ეკონომიკური სისტემაა. ამ კომპლექსში სოფლის მეურნეობასთან ერთად შედის მასთან ორგანიზაციულად და ტექნოლოგიურად დაკავშირებული დარგები და ქვედარგები, რომლებიც ახორციელებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებას, დამზადებას, შენახვას, გადამუშავებას, გასალებასა და სოფლად მშენებლობას.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში აგროსამრეწველო კომპლექსი ყველაზე დიდი კომპლექსია. მის წილად მოდის ქვეყნის მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტის, ძირითადი საწარმოო ფონდებისა და მუშაკთა რაოდენობის 30 პროცენტზე მეტი. აგროსამრეწველო კომპლექსის პროდუქციით იფარება ქვეყნის საცალო საქონელბრუნვის სასაქონლო ფონდების 70 პროცენტზე მეტი. კომპლექსის საბოლოო პროდუქტი საზოგადოებრივი კვების ბრუნვის 95 პროცენტია.

თუ რა წარმატებებს მიაღწია სსრ კავშირის აგროსამრეწველო კომპლექსმა უკანასკნელი 1970—1985 წლების მანძილზე ნათლად ჩანს ქვემოთ მოყვანილი მონაცემებიდან. იხ. ცვ. 33.

უკანასკნელი 15 წლის მანძილზე მთლიანი პროდუქციის მოცულობა გაიზარდა 150,0 მილიარდი მანეთით, ანუ 58,8 პროცენტით, ხოლო ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულება — 162,8 მილიარდი მანეთიდან 497 მილიარდ მანეთამდე, ანუ 3-ჯერ მეტად.

საქართველოს სსრ აგროსამრეწველო კომპლექსი აქტიურად მონაწილეობს შრომის საკავშირო დანაწილებაში. მის ცალკეულ დარგებს

ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების ძირითადი მაჩვენებლები [1]

	1970 წ.	1975 წ.	1980 წ.	1985 წ.	1985—1970 წწ. პროცენტებში
პროდუქციის მოცულობა (შესადარ ფასებში) მილიარდ მანეთობით	253,1	313.0	347.2	402.0	158,8
ძირითადი საწარმოო ფონდები მილიარდ მანეთობით	162,8	258.0	366.0	497.0	305.0
აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოო დარგებში დასაქმებული მუშაკების საშუალო წლიური რიცხოვნობა (მილიონი კაცი)	43.9	44.2	44.4	45,4	103,4

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქვეყნის სასურსათო პროგრამის ფორმირებაში. საქართველოს წილად მოდის ქვეყანაში წარმოებული ჩაის ფოთლის 95 პროცენტი, ციტრუსების — 99,6, ყურძნის — 12,9, ხილის — 8 პროცენტი [2].

მარტო მეთერთმეტე ხუთწლედში რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის დარგებში ექსპლოატაციაში შევიდა 3986 მილიონი მანეთის ძირითადი საწარმოო ფონდები და ხუთწლედის ბოლოსათვის მიაღწია 9,1 მილიარდ მანეთს. კომპლექსი წლიურად იძლეოდა 8,1 მილიარდი მანეთის მთლიან პროდუქციას, მის დარგებში დასაქმებული მუშაკების რიცხოვნობა 850 ათასი კაცით განისაზღვრება.

უკანასკნელი 15 წლის მანძილზე სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის გამოიყო 5,8 მილიარდი მანეთი, მელიორირებული მიწები გაიზარდა 90 ათასი ჰა-ით, ხოლო სამელიორაციო ღონისძიებებისათვის ნაცვლად მერვე ხუთწლედში გამოყოფილი 232 მილიონი მანეთისა, მეთერთმეტე ხუთწლედში ამ ღონისძიებებს მოხმარდა 700 მილიონი მანეთი.

უკანასკნელი ორი ხუთწლედის მანძილზე სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვის მოცულობები გაიზარდა: ხორცის 61 პროცენტით, რძის — 51, კვერცხის — 115, ყურძნის — 60,

[1] «Экономика сельского хозяйства», 1986, № 9, с. 41.

[2] Читанава Н. А. Проблемы совершенствования управления АПК Грузинской ССР, Тбилиси, 1984, с. 20.

ბოსტნეულის — 109 პროცენტით, ჩაის ფოთლის — დაახლოებით 2-ჯერ, ციტრუსებისა და ხილის — 3,5-ჯერ, კარტოფილის — 3-ჯერ.

100 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე წარმოებულია მთლიანი პროდუქცია 2-ჯერ მეტი, ვიდრე საშუალოდ სსრ კავშირში.

მეთორმეტე ხუთწლედში რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის მთლიანი პროდუქციის მოცულობა შესადარ ფასებში გაიზრდება 6070 მილიონი მანეთიდან 9487 მილიონ მანეთამდე, ანუ 17,6 პროცენტით, მათ შორის: მრეწველობაში — 13,6, ხოლო სოფლის მეურნეობაში — 23,5 პროცენტით. სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია მეთერთმეტე ხუთწლედის საშუალო წლიურ მოცულობასთან შედარებით მეთორმეტე ხუთწლედში გაიზრდება 14 პროცენტით, რომელშიაც საზოგადოებრივი სექტორის ხვედრითი წონა 60 პროცენტია.

მნიშვნელოვნად გადიდდება მიწების გამოყენების ეფექტიანობა. სუბტროპიკული და სამხრეთული კულტურების ქვეშ ფართობების გაზრდით 100 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე წარმოებული მთლიანი პროდუქციის მოცულობა გადიდდება 59,8 ათასი მანეთიდან 78,4 ათას მანეთამდე, ანუ 31,1 პროცენტით. მიწის სავარგულების განსაზღვრელობის პირობებში ხუთწლედში 27,3 ათას ჰა-ით შემცირდება მარცვლეულის ნათესი ფართობი და გაიზრდება ჩაის, ციტრუსების, დაფნისა და ტუნგის პლანტაციები.

რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსი მეთორმეტე ხუთწლედის მანძილზე ყოველწლიურად საკავშირო ფონდში გადაგზავნის — 65 ათას ტონა საადრეო კარტოფილს, 50 ათას ტონა ბოსტნეულს, 140 ათას ტონა ხილს, ხოლო საკავშირო ფონდში გასაგზავნი ციტრუსების მოცულობას გაზრდის 73,9 ათასი ტონიდან 135 ათას ტონამდე, ანუ 82,7 პროცენტით, ხოლო სუბტროპიკულ ხურმას — 4,5 ათასი ტონიდან 15 ათას ტონამდე, ანუ 3,3-ჯერ.

ამრიგად, აგროსამრეწველო კომპლექსი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ურთიერთდაკავშირებული დარგების სახალხომეურნეობრივი სისტემაა, მისი მთავარი მიზნობრივი ფუნქციაა მოსახლეობის დაკმაყოფილება სურსათითა და არასასურსათო სამრეწველო საქონლით, რომელიც იწარმოება სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისაგან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებით აგროსამრეწველო კომპლექსი გამოიყო, როგორც მართვისა და დაგეგმვის ერთიანი ობიექტი. ამ პლენუმის მიერ მიღებული სასურსათო პროგრამა პრინციპულად ახალი ნაბიჯია სოციალისტური

სახალხო მეურნეობის მართვისა და დაგეგმვის სისტემის განვითარების გზაზე. სასურსათო პროგრამა სასურსათო პრობლემების გადაჭრისადმი კომპლექსური, მიზნობრივი მიდგომის ნათელი მაგალითია, რომელიც უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის, მისი მომსახურე და გადამმუშავებელი მრეწველობის დარგების განვითარების თვისებრივად ახალ საფეხურზე აყვანას, რათა ერთად მოუყაროს თავი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათაშორისო საწარმოების, გადამმუშავებელი მრეწველობის ქარხნებისა და კომბინატების, მომსახურე საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების, დამზადების, ტრანსპორტირების, შენახვის, გადამუშავებისა და მომხმარებლამდე დაყვანის რთული და მრავალწახნაგოვანი საკითხების ოპტიმალურად მოწესრიგებას.

აგროსამრეწველო კომპლექსი, როგორც მთლიანი საწარმოო-ეკონომიკური სისტემა წარმოიშვა საზოგადოებრივი საწარმოო ძალების განვითარების ობიექტურ პროცესში, რომლის დამახასიათებელი თავისებურებებია თანამედროვე ეპოქაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და გადამუშავების განვითარების მაღალი ტემპები, შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გაღრმავება, აქედან გამომდინარე, დარგთაშორისი და შიდადარგობრივი საწარმოო-ეკონომიკური კავშირების განვითარება, რის შედეგადაც იქმნება აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემის ყველა დარგისა და რგოლის მკაცრი მიზეზობრივ-შედეგობრივი კავშირები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია აგროსამრეწველო კომპლექსის დარგების დაჩქარებულ განვითარებას აქცევდა და მომავალშიც ძიაქცევს უდიდეს ყურადღებას. სასურსათო საკითხის „...რაც შეიძლება სწრაფად გადაწყვეტას იმიტომ მოვითხოვთ, — აღნიშნა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში ჩატარებულ თათბირზე მ. ს. გორბაჩოვმა, — რომ აგრარულ სექტორში უკვე გვაქვს უზარმაზარი კაპიტალი, შეუქმნით პოტენციალი. ახლა ჩამოყალიბებულია ისეთი კადრები, რომლებსაც უნარი შესწევთ აგროსამრეწველო კომპლექსი მეურნეობრიობის ახალ მეთოდებზე გადაიყვანონ, დაბოლოს, უკანასკნელ წლებში შეძენილია კონკრეტული გამოცდილება, რომლის საფუძველზეც უკვე შეგვიძლია სასურსათო პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებული დიდი საკითხების გადაწყვეტა“ [1].

სწორედ იმისათვის, რომ აგროსამრეწველო კომპლექსს შესძლებოდა

[1] „კომუნისტი“, 1987 წლის 25 იანვარი.

სასურსათო პროგრამის წარმატებით რეალიზაცია, ერთ-ერთი მთავარი პირობა იყო მისი მართვის სისტემის სრულყოფა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფის უზრუნველსაყოფად. რესპუბლიკაში ჯერ კიდევ 70-იან წლებში დაიწყო სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის ეფექტიანი გზების გამონახვა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მხარი დაუჭირა საქართველოს კომპარტიის აბაშის რაიკომის ინიციატივას და აბაშის რაიონში საფუძველი ჩაუყარა ექსპერიმენტს, რომლის მთავარი მიზანი იყო რაიონის აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალი ყველა საწარმოსა და ორგანიზაციის ორგანული კავშირურთიერთობისა და მოქმედების კოორდინაციის უზრუნველყოფა.

1974 წელს ექსპერიმენტის საბით შეიქმნა სოფლის მეურნეობის მართვის რაიონული გაერთიანება, რომელსაც შემდგომში მიეცა რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების სტატუსი.

ექსპერიმენტის საბით შექმნილ რაიონულ გაერთიანებაში შევიდა აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა დარგის საწარმოები და ორგანიზაციები, რათა მთელი მათი საქმიანობა წარემართა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მაღალი ტემპებით განვითარების უზრუნველსაყოფად. აბაშის რაიონში სოფლის მეურნეობისა და მისი მომსახურე დარგების მართვის ერთიანი სისტემის შესაქმნელად დაწყებულმა მუშაობამ ლოგიკური გაგრძელება მიიღო და 1978 წელს დამატებით რესპუბლიკის 14 რაიონში შეიქმნა რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებები, რომლებსაც მიეცათ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და მათი მომსახურე დარგების საქმიანობის კოორდინაციის უფლება.

1975 წელს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის შემდგომი სრულყოფის მიზნით რესპუბლიკაში შეიქმნა ბოსტნეულის, კარტოფილის, ხილის წარმოებისა და ვაჭრობის რესპუბლიკური აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანება, რომელიც აერთიანებდა გარდაბნის, ბოლნისის, მარნეულისა და მცხეთის რაიონების საბჭოთა მეურნეობებს (ამ რაიონებში კოლმეურნეობები არ არის) და რესპუბლიკის ხილბოსტანვაჭრობის მთელ ქსელს. 1977 წელს საქართველოს რესპუბლიკაში მოხდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების რეორგანიზაცია და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეიქმნა სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების რესპუბლიკური სამეურნეობათაშორისო გაერთიანება — საქსოფლდამზადება შესაბამისი რაიონული რგოლებით, რომლებშიც მეპაიეებად გაერთიანდნენ კოლმეურნეობები, საბჭოთა მე-

ურნეობები, სამეურნეობათაშორისო საწარმოები, დამზადების რაიონული გაერთიანებები და სამაცივრო-შემფუთავი საწარმოები. „ამრიგად, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მიიღო ერთიანი სამეურნეო-საწარმოო კომპლექსის ხასიათი (სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება და დამზადება, ბოსტნეულითა და კარტოფილით ვაჭრობა, სასოფლო-სამეურნეო განათლება, აგრომეცნიერება და ა. შ.)“ [1].

ჩვენს რესპუბლიკაში დაწყებული რაიონული აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის სრულყოფა მოითხოვდა მართვის რესპუბლიკურ რგოლებში შესაბამისი ცვლილებების შეტანას. იმასთან დაკავშირებით, რომ რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების უშუალო დაქვემდებარებაში გადავიდა საბჭოთა მეურნეობები, დღის წესრიგში დადგა რესპუბლიკური ტრესტების გაუქმება. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის თებერვლის მე-9 პლენუმის გადაწყვეტილებით გაუქმდა ჩაის, მეხილეობისა და მევენახეობის ტრესტები, ხოლო მეცხოველეობის რესპუბლიკური გაერთიანების საბჭოთა მეურნეობების ერთი ნაწილი დაექვემდებარა რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებს.

ამ ღონისძიებებმა აამაღლა მართვის რაიონული რგოლის საქმიანობის ეფექტიანობა, საბჭოთა მეურნეობების მართვა უფრო კომპეტენტური გახდა. რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებს საშუალება მიეცათ ფულადი და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები ოპტიმალურად განაწილებიათ, მნიშვნელოვნად ამაღლდა სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და დამზადების დაგეგმვის რეალობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის დეკემბრის დადგენილებით — „საქართველოს სს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და მთლიანად აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის შემდგომი სრულყოფის შესახებ“, რაიონული მასშტაბით სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის შემდგომი სრულყოფის, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების, დამზადების, ტრანსპორტირების, გადამუშავების, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, მელიორაციული უზრუნველყოფის, მშენებლობის, სოფლად საქმიანობის სხვა სფეროების რგოლების საწარმოთაშორისი დაქსაქსულობის აღმოფხვრის, რაიონებსა და სასოფლო-სამეურნეო მართვის რესპუბლიკურ ორგანოებს შორის უფრო მეტი შესა-

---

[1] Цинцадзе Н. А. Проблемы совершенствования управления АПК Грузинской ССР, с. 230.

ბამისობის მიღწევის, რესპუბლიკის ტერიტორიაზე აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა უბნის მუშაობის კოორდინაციის მიზნით, რესპუბლიკის ყველა რაიონში სამეურნეო ანგარიშის პრინციპებზე შეიქმნა სოფლის მეურნეობის რაიონული საწარმოო გაერთიანებანი მართვის განკერძოებული აპარატით.

პირველად საქართველოში დაწესდა, რომ სოფლის მეურნეობის რაიონული საწარმოო გაერთიანებათა თავმჯდომარეები არიან სახალხო დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა პირველი მოადგილეები.

რაიონული გაერთიანებების მართვის განკერძოებული აპარატი შეიქმნა მასში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების, აგრეთვე რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის წევრ სამინისტროებისა და უწყებების საერთო რიცხოვნობის, ხელფასის ფონდისა და ზღვრული ასიგნებების ფარგლებში და ამ მიზნით კოლმეურნეობების მიერ გამოყოფილი სახსრების ხარჯზე.

მთიანი და ეკონომიკურად სუსტად განვითარებული რესპუბლიკის 26 რაიონის სოფლის მეურნეობის რაიონული საწარმოო გაერთიანებების სამმართველო აპარატის შენახვა განხორციელდა საბიუჯეტო ასიგნებებისა და გაერთიანებაში შემავალი მაღალრენტაბელური საწარმოებისა და ორგანიზაციების ხარჯზე.

საყურადღებო იყო ის ფაქტი, რომ გაერთიანებაში შემავალი საწარმოები ინარჩუნებდნენ იურიდიულ დამოუკიდებლობას, მაგრამ მათი მართვის ზემდგომი ორგანოები მოვალენი იყვნენ რაიონის ინტერესებთან დაკავშირებული საკითხები არ გადაეწყვიტათ ერთპიროვნულად, რაიონულ საწარმოო გაერთიანებებთან შეუთანხმებლად.

გაერთიანებაში შემავალი ყველა საწარმო და ორგანიზაცია მონაწილეობდა გაერთიანების ცენტრალიზებული ფონდების — წარმოების განმტკიცებისა და გაფართოების, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის, მატერიალური წახალისებისა და სარეზერვო ცენტრალიზებული ფონდების შექმნაში.

სწორედ ეს ცენტრალიზებული ფონდები აძლევდნენ სოფლის მეურნეობის რაიონულ საწარმოო გაერთიანებებს სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ეკონომიკური გამოთანაბრების საშუალებას.

ამრიგად, პირველად საქართველოს ყველა რაიონში დამთავრდა მუშაობა აგროსამრეწველო გაერთიანებათა შესაქმნელად, რომლებმაც წარმოშვეს აგროსამრეწველო კომპლექსის რეგიონალური როლების უფრო დინამიკური განვითარებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკო-

ნომიკური ეფექტიანობის ამაღლების წინაპირობები. ამასთან გ. მგელაძე და ნ. პოსუნკო მართებულად მიუთითებენ, რომ მართვის სისტემის სრულყოფა არ წარმოადგენს ერთდროულ აქტს, უნდა წარიმართოს დინამიკური, წარმოებით ურთიერთობებში მომხდარი ცვლილებების, საწარმოო ძალების განვითარებისა და სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე, რომლებიც გავლენას ახდენენ საზოგადოებრივი წარმოების მიმდინარეობასა და შედეგებზე. მთავარია გავითვალისწინოთ სამეურნეო მართვის გარდაქმნის მთავარი მიმართულებანი სოციალისტური მეურნეობის უპირატესობათა ყოველმხრივი გამოყენების გზით [1].

საქართველოში განხორციელებული აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის იდეების ზეიმი იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებები, რითაც მთელ ქვეყანაში შეიქმნა რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებები, რომელთა მუშაობას საფუძვლად დაედო ჩვენს რესპუბლიკაში განხორციელებული ექსპერიმენტების გამოცდილებები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებით მნიშვნელოვნად გაფართოვდა რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების უფლებები დაგეგმვის, ცენტრალიზებული ეკონომიკური ფონდების, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, მატერიალური წახალისებისა და ფინანსური ურთიერთობების საკითხებში. პირველად მიეცა რაიონულ გაერთიანებებს უფლება შეედგინათ რაიონების აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ნაერთი გეგმა, გაენაწილებიათ ფულადი და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები უშუალო დაქვემდებარებაში მყოფ საწარმოებს შორის, დაემტკიცებინათ კაპიტალური დაბანდებების გეგმა დაფინანსების წყაროების ჩვენებით, მათ უფლება მიეცათ აგრეთვე საანგარიშსწორებო ფასების დაწესების, კაპიტალური დაბანდებების გადანაწილების და სხვ.

აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის სრულყოფის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებების განხორციელებით ქვეყანაში შესამჩნევად გაიზარდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება, გაუმჯობესდა საბჭოთა ხალხის სურსათით მომარაგება: განმტკიცდა საზოგადოებრივ მეურნეობათა ეკონომიკა, მნიშვნელოვნად განვითარდა აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოებსა და

---

[1] Мгеладзе Г. Д., Посунько Н. С. Совершенствование управления АПК республики, М., Агропромиздат, 1985, с. 9.

ორგანიზაციებს შორის საწარმოო-ეკონომიკური კავშირები. ამასთან ცხოვრებამ ნათლად დაგვანახვა, რომ მართვის სრულყოფის ამ ეტაპზე შეჩერება შეუძლებელი იყო. საკავშირო და რესპუბლიკურ დონეზე აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის სტრუქტურის სრულყოფის ნაკლოვანებების შედეგად ვერ მივაღწიეთ სოფლის მეურნეობის გადამმუშავებელი მრეწველობისა და მომსახურე დარგების საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ინტეგრაციას, არსებითი ცვლილებები არ მომხდარა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათაშორისო საწარმოებისა და გადამმუშავებელ-მომსახურე საწარმოთა ეკონომიკურ ურთიერთობებში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებმა სტიმული მისცეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს შემდგომში მოეხდინათ აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის სრულყოფა.

1983 წელს დაიწყო აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის სტრუქტურის გარდაქმნა რესპუბლიკის დონეზე. თუ რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების სიცოცხლისუნარიანობა პრაქტიკით დადასტურდა, მაგრამ რაიონული გაერთიანებების შექმნით სასოფლო-სამეურნეო წარმოების, როგორც მთავარი მიზნის მისაღწევად, ერთი მხრივ, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, ხოლო, მეორე მხრივ, მისი მომსახურე დარგების, ე. ი. პარტნიორების ინტერესთა ორგანული შერწყმა არ განხორციელდა, თითოეული საწარმო, იქნებოდა ის კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, სოფლტექნიკის თუ მელიორაციის საწარმო, დაინტერესებული იყო იმ ამოცანების გადაწყვეტით, რომლებიც მათ წინაშე იდგა, ამ დროს რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება მთელი თავისი მართვის ეკონომიკური და ადმინისტრაციული მექანიზმით ფაქტობრივად ფორმალური აღმოჩნდა. რაიონულ გაერთიანებაში შესული საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობას ძველებურად სამინისტროები და უწყებები მართავდნენ. მათი დაგეგმვის, დაფინანსების, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების პრინციპები სხვადასხვა იყო, ასევე მნიშვნელოვნად განსხვავებული იყო თითოეულის ალრიცხვა-ანგარიშგებები.

მთავარი მაინც ის იყო, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მომსახურე დარგების საწარმოები და ორგანიზაციები დაინტერესებული არ იყვნენ საბოლოო შედეგებით, ე. ი. მიწასთან, როგორც წარმოების ძირითად საშუალებასთან, საწარმოო ურთიერთობებით დაკავშირებული

საწარმოების საბოლოო მიზანი მიწის გამოყენების ეფექტიანობა როდი გახლდათ.

რესპუბლიკაში განაორციელებულმა ექსპერიმენტებმა ნათლად დაგვანახა, რომ სანამ იარსებებდა უწყებრივი დაქსაქსულობა აგროსამრეწველო კომპლექსის ძირითად დარგებში, შეუძლებელი იყო მიწის ნამდვილი მეპატრონის ჩამოყალიბება-ფორმირება; აგროსამრეწველო კომპლექსის პარტნიორთა დაყოფა ძირითად და მომსახურე პარტნიორებად, რომელთა დაგეგმვის სისტემა არ დაემთხვეოდა საბოლოო მიზანს, სანამ ისინი ერთად აღებული არ აგებდნენ პასუხს მაღალი მოსავლისათვის, მაღალი პროდუქტიულობისათვის, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მნიშვნელოვანი გარდატეხა არ მოხდებოდა.

განსაკუთრებით ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ სანამ რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებები არსებობდა რესპუბლიკის 14 რაიონში, ზემოაღნიშნული წინააღმდეგობები ხელშესახები და შესამჩნევი არ იყო, მიწასთან დაკავშირებულ რესპუბლიკურ სამინისტროებსა და უწყებებს, როგორიც იყო სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო და საქსოფლტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი, შეეძლოთ უმტკივნეულოდ გაეწიათ ქმედითი დახმარება და მხარდაჭერა ამ რაიონების გაერთიანებებისათვის. მაგრამ, როცა რესპუბლიკის ყველა რაიონში შეიქმნა აგროსამრეწველო გაერთიანებები მართვის რესპუბლიკურ და რაიონულ ორგანოებს შორის ობიექტურმა წინააღმდეგობებმა ყველგან იჩინა თავი, რაც სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარების მუხრუჭებად გადაიქცა.

ზემოაღნიშნული პრობლემის დაძლევის მიზნით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ჩვენი რესპუბლიკის პირობებში სოფლის მეურნეობას სამინისტროს, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსა და საქსოფლტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის გაუქმებით, მათ ბაზაზე შეექმნათ საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი, ცოტა ხნის შემდეგ მას შეუერთდა საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო რესპუბლიკური გაერთიანების საბჭო.

ამრიგად, საქართველოში პირველად შეიქმნა რესპუბლიკური ორგანო, რომელიც მთლიანად აგებდა პასუხს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბედზე. ამ ორგანოს შექმნით შესაძლებელი გახდა გატარებულიყო ერთიანი სახელმწიფოებრივი პოლიტიკა სოფლად, უზრუნველყოფილიყო ეკონომიკური ინტერესების ერთიანობა და შექმნილიყო ოპტიმა-

ლური ხელშემწყობი პირობები სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადამწყვეტი რგოლების — კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო საწარმოების წარმატებული საქმიანობისათვის სასურსათო პროგრამის განხორციელებაში. სახელმწიფო კომიტეტი მოვალე იყო დარგის საწარმოო-ეკონომიკური პოტენციალი და რესურსები უფრო რაციონალურად გამოეყენებინა და მიეღწია სასოფლო-სამეურნეო წარმოების მაღალი ეკონომიკური ეფექტიანობისათვის.

სახელმწიფო კომიტეტის ძირითადი ამოცანები იყო: სოფლის მეურნეობის პროპორციული და დაბალანსებული განვითარება, დაქვემდებარებულ გაერთიანებებსა და საწარმოებში სახელმწიფო საგეგმო დავალებების შესრულების უზრუნველყოფა, მიწებისა და სხვა საწარმოო საშუალებების ინტენსიური განვითარება, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, წარმოებაზე მეცნიერული რეკომენდაციების დანერგვა, საზოგადოებრივ მეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო დამოუკიდებლობის ყოველმხრივი გაფართოება, სოფლის მეურნეობაში ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განხორციელება, კაპიტალურ დაბანდებათა რაციონალური გამოყენება, მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით, ტექნიკით, სათადარიგო ნაწილებით სისტემის საწარმოთა მომარაგების ორგანიზაცია, კომპლექსური მექანიზაციის და ელექტრიფიკაციის განვითარება, ტექნიკის მაღალმწარმოებლური გამოყენების უზრუნველყოფა, მტკიცე საკვები ბაზის შექმნის ორგანიზაცია, დამხმარე საწარმოების განვითარება, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფა, მეურნეობრიობისათვის მტკიცე ეკონომიკური პირობების შექმნა, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვა, სოციალისტური საკუთრების დაცვის ორგანიზაცია და ა. შ.

„რესპუბლიკაში, — აღნიშნა საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის საანგარიშო მოხსენებაში ჯ. ი. პატიაშვილმა, — მოხდა აგრეთვე ზედა ეშელონების — რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, წყალთა მეურნეობის სამინისტროსა და სახსოფლტექნიკის ერთიან სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტად შერწყმა. შემდეგ ეს გახდა დიდმნიშვნელოვანი ეტაპი ახალი აგროსამრეწველო კომპლექსის სახელმწიფო კომიტეტის შექმნაში“ [1].

საქართველოში განხორციელებული აგროსამრეწველო კომპლექსის შართვის სრულყოფა ითვალისწინებდა რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებათა მუშაობას სამეურნეო ანგარიშის პრინციპზე.

---

[1] „საქართველოს კომუნისტი“, 1986, № 2, გვ. 15.

სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე გაერთიანებების მუშაობა უფრო სრულყოფილი გახდა შემდეგ გარემოებათა გამო:

1. რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანების განკალკეებული აპარატის შენახვა, 26 რაიონის გარდა, ხორციელდებოდა დაქვემდებარებული საწარმოების ანარიცხებით, ხოლო სსრ კავშირის სხვა დანარჩენ რესპუბლიკებში აგროსამრეწველო გაერთიანებათა მუშა აპარატად მიჩნეული იყო რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოები, რომელთაც სახელმწიფო ბიუჯეტი ინახავდა.

რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების ურთიერთობა დაქვემდებარებულ საწარმოებთანაც აგებული იყო სამეურნეო ანგარიშის პრინციპებზე. ეს საწარმოები რაიონულ გაერთიანებებს უხდიდნენ ცენტრალიზებული წესით შეზიდული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ღირებულებას, ანაზღაურებდნენ კომბინირებული საკვებისა და საწვავ-საცხები მასალების ცენტრალიზებულად შეზიდვის ხარჯებს, მასთან იხდიდნენ მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების დაგეგმვის, გაერთიანების ფონდებიდან გეგმურ ღონისძიებათა დანახარჯების ანაზღაურების, საწარმოებისათვის ფინანსური დახმარების გაწევის და სხვა სახის მომსახურებისათვის აპარატის შესანახ ხარჯებს ანარიცხების სახით, რაც არსებითად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურებას წარმოადგენდა;

2. რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებები ხელმძღვანელობდნენ მათში შემავალ საწარმოებსა და ორგანიზაციებს. ახორციელებდნენ სამეურნეო საქმიანობას, გააჩნდათ დამოუკიდებელი ბალანსი და დებულებით მინიჭებული უფლება-მოვალეობანი, რომლებიც დაკავშირებული იყო დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობასთან და სარგებლობდნენ იურიდიული პირის უფლებით. სწორედ ასეთივე ფუნქციები გააჩნდათ მეფრინველეობისა და სანერგე მეურნეობათა რესპუბლიკურ საწარმოო გაერთიანებებს, რომლებიც სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე მოქმედებდნენ;

3. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებებია შექმნით მოხდა მთელი რიგი საწარმოო-სამეურნეო ფუნქციების ცენტრალიზაცია, სახელდობრ:

ა) სამეურნეო საქმიანობის მიმდინარე და პერსპექტიული დაგეგმვის (სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვის, კაპიტალური დაბანდებების, მოგების, ბიუჯეტში გადასახდელების, ხელფასის ფონდის, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების და სხვა მაჩვენებლების დაგეგმვის) განხორციელება;

ბ) საანგარიშსწორებო ფასების დაწესების უფლება;

გ) მართვისა და წარმოების ტექნოლოგიის ერთიანი პოლიტიკის განხორციელება;

დ) მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ცენტრალიზებული წესით შეზიდვა და მათი ღირებულების ცენტრალიზებულად ანაზღაურება;

ე) მართვის წარმოებასთან დაახლოება;

ვ) ეკონომიკური სტიმულირების ცენტრალიზებული ფონდების შექმნა-გამოყენება;

4. რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებების სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე მუშაობა იმანაც განაპირობა, რომ ისინი კოორდინაციას უწევდნენ მათში შემავალი ორმაგი დაქვემდებარების საწარმოების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობას;

რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებების სამეურნეო ანგარიშის პრინციპებზე მუშაობამ განაპირობა ცენტრალიზებული დაგეგმვის ოპტიმალური შეთანაწყობა დაქვემდებარებულ საწარმოთა ოპერატიულ დამოუკიდებლობასთან, უფრო ამაღლდა მათ განკარგულებაში არსებული ეკონომიკური ბერკეტების როლი საბელმწიფო გეგმების შესრულების საქმეში.

სახალხო მეურნეობის სხვა დარგების საწარმოო გაერთიანებების მსგავსად რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებების სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე მუშაობას გააჩნდა სპეციფიკური თავისებურებანი, რომლებიც დაკავშირებული იყო თვითანაზღაურებისა და რენტაბელობის არსის გაგების გაფართოებასთან. რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებები, როგორც ერთიანი ეკონომიკური კომპლექსები, პასუხს აგებდნენ დაქვემდებარებულ საწარმოთა თვითანაზღაურებასა და რენტაბელურად მუშაობაზე.

ამრიგად, ჩვენი რესპუბლიკის რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებები ფუნქციონირებდნენ სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე, რომლებიც მათ განკარგულებაში არსებული მატერიალური და ფინანსური რესურსების გამოყენებით დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებზე ზემოქმედებდნენ არა მარტო ადმინისტრაციული, არამედ ეკონომიკური ბერკეტებით და ამით ხელს უწყობდნენ მათ სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის განვითარება-განმტკიცებას.

რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების მუშაობის ეფექტიანობა დამოკიდებული იყო რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების საბელმწიფო კომიტეტის საქმიანობაზე. ახალშექმნილი საბელმწიფო კომიტეტის მთავარი ამოცანა იყო რესპუბლიკის აგროკომპლექ-

სის საწარმოო-ეკონომიკური პოტენციალის უფრო სრულად გამოყენებით სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების განუხრელი გადიდება და მისი ხარისხის ამაღლება, პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმების შესრულება, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გადიდება სისტემის საწარმოებისა და ორგანიზაციების დამოუკიდებლობის განვითარებისა და მათი საწარმოო-ტექნიკური მომსახურების გაუმჯობესების ბაზაზე.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა იყო აგრეთვე სოფლის მეურნეობაში ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განხორციელება, კომპლექსური მექანიზაციის, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, ტრანსპორტის, მინერალური და ორგანული სასუქების, მცენარეთა დაცვის საშუალებების მაღალეფექტიანი გამოყენების ორგანიზაციის გზით.

სახელმწიფო კომიტეტს მთელი თავისი საქმიანობა მიმართული ჰქონდა კაპიტალური დაბანდებებისა და ინვესტიციების სხვა საშუალებების მაღალმწარმოებლური გამოყენების უზრუნველსაყოფად. სახელდობრ, სოციალისტური გაფართოებული კვლავწარმოებისათვის კაპიტალური დაბანდებების კონცენტრაცია უნდა მოეხდინა გადამწყვეტ უბნებზე, რომლებიც მოკლე დროში მნიშვნელოვნად გაზრდიდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მოცულობას.

სახელმწიფო კომიტეტის საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად უნდა გამხდარიყო ის, რომ საზოგადოებრივი მეურნეობებისათვის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების მეშვეობით შეექმნა მეურნეობრიობის გაძღოლისათვის ოპტიმალური პირობები — მართვის ეკონომიკური მეთოდების, დაგეგმვის, ეკონომიკური და მატერიალური სტიმულირების, სახელშეკრულებო ურთიერთობების სრულყოფის გზით.

საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის ერთიანი მიზანი, საშუალებებისა და სახსრების ერთ ხელში თავმოყრა, სისტემის ყველა საწარმოსა და გაერთიანების ინტერესთა ერთიანობა მოითხოვდა კომიტეტში გაერთიანებული სამინისტროებისა და უწყებების მმართველობის აპარატის არა მექანიკურ შეერთებას, არამედ თვისებრივად ახალი აპარატის ჩამოყალიბებას, რომელსაც ხელეწიფებოდა კომიტეტის წინაშე დასმული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა.

რესპუბლიკის დონეზე სოფლის მეურნეობის მართვის ინტეგრირებული სისტემის ჩამოყალიბებამ დაგეგმვის, ეკონომიკური სტიმულირების, სახელშეკრულებო და ფინანსურ-საკრედიტო ურთიერთობების

შემდგომი სრულყოფისათვის ოპტიმალური წანამძღვარები შექმნა. ყოველივე ამან სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელობას საშუალება მისცა ექსტრემალური მოვლენების დროს ოპერატიულად გადაეწყვიტა ისეთი საკითხები, რომლებიც ადრე მხოლოდ რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ჩარევით წყდებოდა.

სახელმწიფო კომიტეტის წინაშე დასმული ამოცანების გადასაწყვეტად ცენტრალური აპარატი შედგებოდა 860 მუშაკისაგან. სამმართველო აპარატის რიცხოვნობა შემცირდა 16 პროცენტით, ხოლო გამოთავისუფლებული მაღალკვალიფიციური სპეციალისტები გაიგზავნა სამუშაოდ რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სადაც წყდებოდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ბედი.

თუ ყოფილი სამი სამინისტროსა და უწყების ცენტრალურ აპარატებში იყო 70 დამოუკიდებელი სტრუქტურული ქვედანაყოფი, ახალ სახელმწიფო კომიტეტში დარჩა მხოლოდ 36 ქვედანაყოფი. ამასთან ხელმძღვანელ მუშაკთა რიცხვი 24-დან 12-მდე შემცირდა. გაუქმდა ყველა ერთგვაროვანი სამმართველოები და განყოფილებები და შეიქმნა მძლავრი ფუნქციური ქვედანაყოფები, რომელთაც დაეკისრათ დარგების კომპლექსურ-სისტემური მართვა.

ახალშექმნილი სახელმწიფო კომიტეტის ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა მართვის დარგობრივ ორგანოებთან შედარებით იყო დაგეგმვის სისტემის სრულყოფა, რომლის მიზანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტერესებთან ყველა სხვა დანარჩენი დარგების ინტერესების დამორჩილებაში მდგომარეობდა. სახელმწიფო კომიტეტში შექმნილ მთავარ სადაგეგმო-ეკონომიკურ სამმართველოს გააჩნდა შესაბამისი სტრუქტურული განყოფილებები, რომლებიც გეგმავდნენ არა მარტო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადებას, არამედ ამ უკანასკნელის ინტერესების გათვალისწინებით მათ მიერ იგეგმებოდა მელიორაციული ღონისძიებები, საწარმოო-ტექნიკური მომსახურება, ტექნიკის რემონტი და სხვ. ანალოგიურად იყო აგებული ფინანსური ურთიერთობების, შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების დაგეგმვა შესაბამისი სამმართველოების მეშვეობით.

სახელმწიფო კომიტეტში დაგეგმვის სრულყოფით უარყვეს ზოგიერთი ისეთი მაჩვენებლის დაგეგმვა, რომელიც სამინისტროებისა და უწყებების ინტეგრირების შემდეგ საჭირო არ იყო. ადრე, როდესაც არსებობდა სოფლტექნიკის რესპუბლიკური კომიტეტი, მისი ეკონომიკური საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელი იყო ტრაქტორების

რემონტის გეგმა. სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტისათვის მთავარი იყო არა ეს მაჩვენებელი, არამედ ტრაქტორების მზადყოფნის დაგეგმვა. კომიტეტის მუშაობის სამი წლის მანძილზე ამ მაჩვენებლის დაგეგმვით მიღებული ეფექტი მეტად ხელშესახები გახდა. ადრე, სოფლტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის მიერ ტრაქტორების რემონტის გეგმის გადაჭარბებით შესრულების პირობებში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ყოველწლიურად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის მოუმზადებელი იყო 2,5—3,0 ათასი ტრაქტორი და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა.

აქედან დასკვნა: მაშინ, როდესაც საზოგადოებრივი მეურნეობები შოკლებული იყო შესაძლებლობებს აგროწესებით და დაწესებულ ვადებში დაემუშავებინათ სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, ეს კი იწვევდა დაბალმოსავლიანობას და დაბალპროდუქტიულობას, რაც მშრომელთა მატერიალურ დაინტერესებას უთხრიდა ძირს, საქსოფლტექნიკისა და საქსოფლქიმიის საწარმოები ძირითადი საწარმოო მაჩვენებლების — ტექნიკისა და ტრაქტორების რემონტის, ნიადაგში სასუქებისა და ჰერბიციდების შეტანის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის ეკონომიკურად ძლიერდებოდნენ, მათი მუშაკები შრომის დამატებით ანაზღაურებასაც კი ღებულობდნენ.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის ერთერთი უპირატესობა ისიც იყო, რომ ცენტრალიზებულ იქნა მატერიალურ-ტექნიკური, შრომითი და ფინანსური რესურსები, რომელთა განაწილება ოპტიმალურად ხდებოდა, მით უმეტეს, რესურსების ნაკლებობისა და განსაზღვრულობის პირობებში მათ კონცენტრაციას და რაციონალურ გამოყენებას, სწორ მანევრირებას დიდი სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობა გააჩნდა.

საყურადღებოა ისიც, რომ ინტეგრირებული სამინისტროებისა და უწყების ხელში თავმოყრილი 26 ათასი ტრაქტორისა და 29 ათასი ავტომანქანიდან ყოფილი სოფლის მეურნეობის სამინისტროს წილად მოდიოდა 70 პროცენტი, მაშინ, როდესაც სამინისტროს სისტემაში ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის საერთო რიცხოვნობა არ აღემატებოდა 20 პროცენტს, რის გამოც ისინი სოფლად ვერ ატარებდნენ სათანადო ტექნიკურ პოლიტიკას.

სახელმწიფო კომიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობა ისიც იყო, რომ ის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებზე რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების მიერ გამოყოფილი მანქანებისა და ტრაქტორების ფონდების

ცენტრალიზებულ შეზიდვას. ამ ღონისძიებით საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებს საშუალება მიეცათ მთელი ყურადღება გადაეტანათ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნოლოგიისათვის და არა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისათვის, რაც მათი დროისა და ენერგიის დიდ ნაწილს მოითხოვდა.

სახელმწიფო კომიტეტის შექმნით მოისპო დარგთაშორისი გაუპიროვნებლობა და უპასუხისმგებლობა. თუ ადრე საზოგადოებრივი მეურნეობების ცუდი სამეურნეო-საფინანსო შედეგებისათვის მიწასთან დაკავშირებული პარტნიორები პასუხს არ აგებდნენ, სახელმწიფო კომიტეტის შექმნით ასეთი გაუპიროვნებლობა მოისპო და ადგილებზე რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებები, ხოლო რესპუბლიკაში სახელმწიფო კომიტეტი აგებდნენ პასუხს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბედისადმი, ე. ი. საბოლოო სახალხო-სამეურნეო შედეგებისადმი, რაც ამაღლებდა წარმოებისა და მართვის ყველა რგოლის ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების საშემსრულებლო დისციპლინას და პერსონალურ პასუხისმგებლობას.

სამინისტროებისა და უწყებების ინტეგრაციამ და სახელმწიფო კომიტეტის შექმნამ დღის წესრიგში დააყენა ისეთი სტრუქტურული ქვედანაყოფის შექმნის აუცილებლობა, რომელიც წარმართავდა დარგთაშორისი ეკონომიკური ურთიერთობებისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფას. ასე შეიქმნა აგროსამრეწველო გაერთიანებათა მთავარი სამმართველო, რომლის ფუნქციურ ამოცანებს შეადგენდა: კოლმეურნეობების საქმეთა გაძღოლა, რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების მუშაობის გამოცდილებათა შესწავლა-განზოგადება, დარგთაშორისი ეკონომიკური კავშირების სრულყოფა, საანგარიშსწორებო ფასების პოლიტიკის განხორციელება და სხვ.

მნიშვნელოვნად დაკონკრეტდა დარგობრივი ფუნქციური ქვედანაყოფების საქმიანობა. ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების, მევენახეობისა და მეხილეობის, მეცხოველეობის, საკვებწარმოების, მარცვლეულისა და ტექნიკური კულტურების, მებოსტნეობის მთავარი სამმართველოების ამოცანაა დარგის ტექნოლოგიის განხორციელებაზე ხელმძღვანელობა და კონტროლი როგორც საბჭოთა მეურნეობებში, ასევე კოლმეურნეობებსა და სამეურნეობათაშორისო საწარმოებში, ხოლო მომსახურე დარგების კურატორი-სამმართველოები ხელმძღვანელობდნენ მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებას.

სახელმწიფო კომიტეტის შექმნით თვისებრივი გარდაქმნები განიცადა საინჟინრო-ტექნიკურმა სამსახურებმა. კომიტეტის ცენტრალურ

აპარატში შეიქმნა მანქანა-ტრაქტორთა პარკის ექსპლოატაციის მთავარი სამმართველო, რომლის ფუნქციებში შედიოდა: სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ექსპლოატაცია და რემონტი, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ელექტრიფიკაცია, მეცხოველეობის ფერმების მექანიზაცია, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკასა და ტრანსპორტზე სახელმწიფო ტექნიკური ზედამხედველობა და სხვ. მთავარი სამმართველოს მუშაობაში სიახლე ის იყო, რომ იგი არა მარტო ხელმძღვანელობდა, არამედ რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების მეშვეობით აკონტროლებდა და პასუხს აგებდა სოფლად ტექნიკური პოლიტიკის განხორციელებისათვის.

იმისათვის, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი საგნობრივად და კომპეტენტურად გაძღოლოდა მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას, შეიქმნა საქსოფლმომარაგება-გასაღების რესპუბლიკური გაერთიანება. მის მოვალეობას შეადგენდა სასოფლო-სამეურნეო მასალებზე, ტექნიკაზე, სათადარიგო ნაწილებზე, სამშენებლო მასალებზე განაცხადების შედგენა და მომწოდებლებთან ანგარიშსწორების წარმოება.

სახელმწიფო კომიტეტის სისტემაში არსებული ტრანსპორტის მუშაობაში ერთიანი პოლიტიკის გატარების მიზნით შეიქმნა საქსოფლტრანსის რესპუბლიკური გაერთიანება, რომელიც ხელმძღვანელობდა და პასუხს აგებდა არა მარტო მის დაქვემდებარებაში არსებული ტრანსპორტის მუშაობაზე, არამედ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამშენებლო, სავაჭრო თუ მანქანა-ტრაქტორთა პარკის ექსპლოატაციისა და რემონტის საწარმოების სატრანსპორტო საშუალებათა საქმიანობაზე.

სახელმწიფო კომიტეტის სისტემის საწარმოთა კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვისა და ორგანიზაციის მართვის მიზნით შეიქმნა სამეურნეობათაშორისო კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველო, რომელიც პასუხისმგებელი იყო სისტემაში კაპიტალური მშენებლობის გეგმების შედგენა-შესრულებაზე. ამ მთავარი სამმართველოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია იყო სახელმწიფო კაპიტალური მშენებლობის დაშკვეთის ფუნქციის შესრულება.

სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალურ აპარატში მნიშვნელოვანი სიახლეები განიცადა მელიორაციის სამსახურებმა. ერთდროულად არსებობდა ორი მთავარი სამმართველო—საექსპლოატაციო და სამელიორაციო სამუშაოებისა და მელიორირებული მიწების კომპლექსური ათვისების.

ამ მთავარი სამმართველოების მუშაობაში არსებული სიახლეებიდან არსებითი იყო ის, რომ ისინი ხელმძღვანელობდნენ და აკონტროლებდნენ არა მარტო მაგისტრალურ არხებსა და საინჟინრო ნაგებობებს,

არამედ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შიდასამეურნეო სამელიორაციო სისტემებს. მთავარი სამმართველოები პასუხისმგებელნი იყვნენ საბოლოო შედეგებისათვის, რაც სახელმწიფო კომიტეტის შექმნამდე მათ ფუნქციაში არ შედიოდა.

რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის შექმნამ გამოიწვია რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების მართვის სტრუქტურის რესპუბლიკურ რგოლთან ორგანული შერწყმა-შეთანაწყობა, ამასთან მნიშვნელოვნად შემცირდა უწყებრივი ბარიერები, მოწესრიგდა იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა საქმიანობა, რომლებიც კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მომსახურებას ეწეოდნენ. საყურადღებოა, რომ რესპუბლიკაში აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის სრულყოფა ერთდროულად მოხდა როგორც ცენტრში, ასევე ადგილებზე, რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების დონეზე. ამით ინტეგრაციის ჩვენებური ვარიანტი წინგადადგმული ნაბიჯი იყო ესტონეთის სსრ აგროსამრეწველო რესპუბლიკურ გაერთიანებასთან შედარებით, სადაც ინტეგრირებული სამინისტროებისა და უწყებების რეგიონალური საწარმოები ხელშეუხებელი დატოვეს.

საქართველოში 1984 წლიდან საქსოფლტექნიკის რაიონული გაერთიანებების ბაზაზე შეიქმნა — რაიონული მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და ექსპლოატაციის საწარმოები, რაიონული (სარაიონთაშორისო) სატრანსპორტო საწარმოები და რაიონული (სარაიონთაშორისო) მატერიალურ-ტექნიკური ბაზები, ხოლო მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სარაიონთაშორისო მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოების ნაცვლად რაიონული მელიორაციის სამმართველოები. ყველა ეს საწარმო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მსგავსად შევიდა რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების უშუალო დაქვემდებარებაში.

შესაბამისი ცვლილებები განიცადა რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების მართვის აპარატებმაც. ისინი სამტატო ერთეულებით განმტკიცდნენ ინტეგრირებული სამინისტროების საწარმოებიდან (გაერთიანებებიდან) გამოთავისუფლებული შტატებით.

რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებში ტრადიციულ სოციალურ-ეკონომიკური, საბუღალტრო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგობრივ სამსახურებთან ერთად შეიქმნა შემდეგი ახალი განყოფილებები და ჯგუფები: ტექნიკის რემონტის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, ტრანსპორტის, მელიორაციის, მშენებლობის, მეცნიერებისა და ტექნიკური პროგრესის, კადრებისა და კადრების მომზადების.

რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების აპარატში შემოიღეს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობა მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის საკითხებში. აქ საკითხი ორიგინალურად გადაწყდა, უველგან, ქვეყნის სხვა რეგიონებში მართვის რაიონული რგოლის ხელმძღვანელის პირველ მოადგილედ უპირატესად მთავარი აგრონომი ითვლებოდა. ჩვენს რესპუბლიკაში ასე ორიგინალურად იმიტომ გადაწყდა პირველი მოადგილის საკითხი, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი წინსვლა შეუძლებელი იყო მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის განვითარების გარეშე. გაერთიანების თავმჯდომარის პირველი მოადგილე ხელმძღვანელობდა და ამასთან პასუხისმგებელი იყო სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციისათვის.

რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების აპარატში შემოიღეს მელიორაციის განყოფილება, რომლის მთავარი ამოცანა იყო წყალსაცავების, მაგისტრალური არხების, საინჟინრო და სარემონტო ნაგებობების სწორ ექსპლოატაციასთან ერთად წარემართა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში რწყვის საქმე, ურომლისოდაც შეუძლებელი იყო მემცენარეობის მოსავლიანობის გადიდება. იმ რაიონებში, სადაც სარწყავი მიწების ხვედრითი წონა დიდი იყო, შემოიღეს რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილის შტატი.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა მართვის რაიონულ დონეზე მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დაგეგმვისა და ორგანიზაციის სამსახურის შექმნით. მისი ძირითადი ამოცანა იყო რაიონის აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმა ორგანულ კავშირში ყოფილიყო მატერიალურ რესურსებთან. ამასთან ეს რესურსები ოპტიმალურად და პროპორციულად გაენაწილებინა რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებაში შემავალი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და ექსპლოატაციის საწარმოს, სატრანსპორტო თუ მომარაგების ორგანიზაციებისათვის.

განსაკუთრებით ამაღლდა რაიონული რგოლის ავტორიტეტი და ფუნქციები. მის განკარგულებაში გადაეცა რაიონის აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოებისათვის გასანაწილებელი ყველა მატერიალური და ფინანსური რესურსი. საკითხის ასე გადაწყვეტამ მოსპო ნეგატიური მოვლენების წარმოშობის მიზეზები.

იმის გამო, რომ აგროსამრეწველო კომპლექსის ეფექტიანობის ამაღლებისათვის ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა წარმოების ინტენსიფიკა-

ცია, დღის წესრიგში დადგა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვის ოპტიმალური სამსახურების შექმნა მართვის ყველა დონეზე.

იმ დიდ სახალხომეურნეობრივ ღონისძიებებს შორის, რომელიც საქართველოში განხორციელდა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა აგრარული მეცნიერების წარმოებასთან ინტეგრაციის სპეციალური სისტემის შემუშავებასა და დანერგვას რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტში.

ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის განყოფილებას გადაეცა ორმაგი დაქვემდებარების პრინციპით სოფლის მეურნეობის პროფილის ყველა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება, საკონსტრუქტორო ბიურო, ექსპერიმენტული ქარხანა, საინფორმაციო-გამოთვლითი ცენტრი. ერთი სიტყვით, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერება კონცენტრირებულ იქნა სოფლის მეურნეობის აკადემიის ამიერკავკასიის განყოფილებაში. ამიერკავკასიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი ერთდროულად სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე იყო.

სახელმწიფო კომიტეტში არსებული მეცნიერებისა და პროპაგანდის სამმართველო გარდაიქმნა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვისა და პროპაგანდის სამმართველოდ;

რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებში შემოიღეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვის განყოფილება (ჯგუფი), ხოლო კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არსებული შტატების ფარგლებში გამოიყო სპეციალისტი, რომელიც პასუხისმგებელი იყო მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვის საქმეში.

ამრიგად, აგროსამრეწველო კომპლექსში, პირველად ჩვენს ქვეყანაში, შეიქმნა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვის მართვის მწყობრი სისტემა, რომლითაც კოლმეურნეობებიდან, საბჭოთა მეურნეობებიდან, რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებიდან დაწყებული და რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტით დამთავრებული, ყველა ერთნაირად დაინტერესდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადიდებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის აქტიური ზემოქმედებით.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვის სისტემის საქართველოს ექსპერიმენტმა გამოიწვია სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების საქმიანობის რადიკალურად შეცვლა, სახელდობრ:

1. რესპუბლიკის თითოეულ რაიონში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვისათვის გამოიყო 1—2 საბაზო მეურნეობა;

2. რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო საწარმოებთან ერთად მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვისათვის გამოყოფილია გარდაბნის, ხობის, აბაშისა და თეთრი წყაროს რაიონები, სადაც მიმდინარეობს მემცენარეობისა და მეცხოველეობის დარგებში პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების დანერგვა და ახალი ტექნიკისა და მექანიზმების გამოცდა-აპრობირება;

3. აგროსამრეწველო კომპლექსში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა წარმოებაში დანერგვა შეუძლებელი იყო მეცნიერ-მუშაკთა მატერიალური სტიმულირების მოქნილი მექანიზმის შემოღების გარეშე. სწორედ ამ მიზნით რესპუბლიკაში შემუშავდა პარტნიორობის ორმხრივი ხელშეკრულება, ერთი მხრივ, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებასა და რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებას შორის, მეორე მხრივ, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებასა და კოლმეურნეობას (საბჭოთა მეურნეობას) შორის, რომელშიც ჩამოყალიბებულია კონკრეტული ვალდებულებანი და მათი წარმატებით განხორციელების წახალისების საშუალებები. ასეთ სახელშეკრულებო ურთიერთობებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო რესპუბლიკური სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „თავთავსა“ და ხობის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებს შორის ჩამოყალიბებული პარტნიორობა. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „თავთავი“ ვალდებულებას ღებულობდა რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში როგორც თესლით, ასევე წარმოების საკუთარი ტექნოლოგიით სიმინდისა და სოიოს უხვ მოსავალს მიიღებდა, ამასთან კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ივალდებულეს გაერთიანების მეცნიერ-მუშაკთა რეკომენდაციით ეწარმოებინათ ყველა სამუშაო. ურთიერთპარტნიორობამ დადებითი შედეგები მოგვცა. მიღებული მაღალი მოსავლისათვის გაერთიანება „თავთავის“ მეცნიერ-მუშაკები ყოველწლიურად ღებულობენ მატერიალურ წახალისებას როგორც ფულადი, ასევე ნატურალური სახით. ამასთან ათეული ათასობით თანხები ხმარდება გაერთიანების მუშაკთა სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსებას;

4. თუ სახელმწიფო კომიტეტის შექმნამდე აგროკომპლექსის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მიერ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებთან დადებული ხელშეკრულებებით დამუშავებული თემები არ იძლეოდა სათანადო საპროექტო ეკონომიკურ ეფექტს და იწვევდა წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების გაძვირებასა და

რენტაბელობის დონის დაცემას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა წარმოებაში დანერგვის ახალმა სისტემამ სახელშეკრულებო თემების დამუშავება-დანერგვის მანკიერი ურთიერთობანი აღმოფხვრა. დასანერგი მიღწევების პერსპექტიული დაგეგმვის მეშვეობით უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად ამაღლდა მიღებული ეკონომიკური ეფექტი და შემთხვევითი, უპერსპექტივო თემების დამუშავება ფაქტობრივად არ წარმოებს, მასზე პერსონალურად აგებს პასუხს არა მარტო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, არამედ პარტნიორი კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა და რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება.

ამრიგად, რესპუბლიკაში განხორციელებული სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მართვის სრულყოფის ღონისძიებების შედეგად, შესამჩნევი წარმატებებია მიღწეული, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა ჭეშმარიტებას მასზე, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გარეშე სოციალისტური წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა შეუძლებელია. წარმოების ინტენსიფიკაცია მხოლოდ და მხოლოდ მეცნიერების საფუძველზე უნდა განხორციელდეს. აგროსამრეწველო კომპლექსის თანამედროვე სამეურნეო მექანიზმი უნდა გახდეს წარმოების განვითარების ინტენსიური მეთოდების გამოყენების მექანიზმად, სწორედ ამიტომ მიგვაჩნია დღეს ინტენსიფიკაცია მატერიალიზებული მეცნიერება. აგროსამრეწველო კომპლექსში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ეს არის საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს არა მარტო შრომის ნაყოფიერების ზრდას, დროის ეკონომიას, არამედ სოფლის მეურნეობის პროდუქციის დანაკარგების მნიშვნელოვან შემცირებას. ამასთან აგროსამრეწველო კომპლექსის მეცნიერული პოტენციალის სამეურნეო ბრუნვაში მოქცევა სრულად ჯერაც არ მიმდინარეობს, გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. მით უმეტეს პარტიის XXVII ყრილობაზე მ. ს. გორბაჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა: „...მეცნიერება უფრო ენერგიულად უნდა შემოვაბრუნოთ სახალხო მეურნეობის საჭიროებებისაკენ. მაგრამ ასევე საჭიროა წარმოების მეცნიერებისაკენ შემობრუნება, მის მიერ მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების მაქსიმალური შეთვისება. სამწუხაროდ, ბევრი მეცნიერული აღმოჩენა, დიდი გამოგონება წლობით, ზოგჯერ კი ათწლეულობით ვერ პოულობს პრაქტიკულ გამოყენებას“ [1].

პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებით მიმდინარე ხუთწლედის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მიღწეულ იქნეს ყოველი სამეურ-

[1] სკკპ XXVII ყრილობის მასალები. გვ. 43.

ნეო და საინჟინრო გადაწყვეტილებათა განხილვა წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის წვლილის განუწყვეტელი გადიდებით. აუცილებელია გეგმაზომიერად დავეუფლოთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შესაძლებლობებს, რაც სოციალისტური სახელმწიფოს ხელში საზოგადოებრივი განვითარების მძლავრი გარდამქმნელი ძალაა.

აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოებს შორის ეკონომიკური ურთიერთობანი

საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის შექმნითა და მასთან რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებების ორგანიზაციული სტრუქტურის მისადაგებამ დღის წესრიგში დააყენა აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალ საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის სრულყოფილი ეკონომიკური კავშირურთიერთობების ჩამოყალიბება, რაც ხელს შეუწყობდა კომპლექსის მართვის ადმინისტრაციული მეთოდებიდან ეკონომიკურ მეთოდებზე გადასვლას.

აგროსამრეწველო კომპლექსის დარგებს შორის ეკონომიკური კავშირების სრულყოფის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ურთიერთობის ისეთი ეფექტიანი ფორმებისა და მეთოდების განსაზღვრას, რომლებიც ყველა პარტნიორი საწარმოსა და ორგანიზაციის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობას ორგანულად დააკავშირებდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების საბოლოო შედეგებთან. საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის, რომ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე სოფლის მეურნეობის განვითარების დონე, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური შედეგები სხვა მომსახურე დარგების (საწარმოების) საქმიანობის შედეგებზე გავლენას ვერ ახდენდა. მაგალითად, „საქსოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანებები ყოველწლიურად დიდძალ თანხებს ღებულობდნენ მოგების სახით სასოფლო-სამეურნეო საწარმოების „ჯარგი“ მომსახურებისათვის დაუმსახურებლად, მაშინ, როდესაც მომსახურე ზონის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ვერ ასრულებდნენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის საგეგმო დავალებებს, მუშაობდნენ არარენტაბელურად, განიცდიდნენ ფინანსურ სიძნელეებს და მუშაკთა მატერიალური წახალისებისათვის ვერ ქმნიდნენ ეკონომიკური სტიმულირების ფონდებს. უფრო მეტიც, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სასისტემო სამმართველოების სამეურნეო შედეგები კავ-

შირში არ იყო მომსახურე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკურ მაჩვენებლებთან. ანალოგიური მდგომარეობა იყო სასოფლო-სამეურნეო წარმოების მომსახურე სხვა დარგების საწარმოებშიც.

ერთი სიტყვით, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მომსახურე ორგანიზაციებთან ურთიერთობა აგებული იყო არაექვივალენტურ პრინციპებზე, რის გამოც კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მხოლოდ მატერიალურ ზარალს განიცდიდნენ. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება იმ მაჩვენებელთა სისტემა, რომლითაც ფასდებოდა მომსახურე საწარმოთა საქმიანობა (მათ არავითარი კავშირი არ ჰქონდათ სასოფლო-სამეურნეო წარმოების საბოლოო შედეგებთან).

„საქსოფლტექნიკის“ სისტემის საწარმოების მუშაობის შეფასების მაჩვენებლები იყო: საკუთარი პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის, მომსახურების, საქონელბრუნვისა და მოგების გეგმების შესრულება;

წყალთა მეურნეობისა და მელიორაციის სისტემის საწარმოებისათვის დაწესებული იყო საიჯარო სამუშაოთა და მოგების გეგმების შესრულება;

„საქსოფლქიმიის“ სისტემის ხაზით — სასოფლო-სამეურნეო წარმოების აგროქიმიური მომსახურებისა და მოგების გეგმების შესრულება.

ამრიგად, მომსახურე დარგების საწარმოთა საქმიანობის შეფასების ეს მაჩვენებლები უპირატესად ხელს უწყობდა მხოლოდ რაოდენობრივი მაჩვენებლების განვითარებას. აღნიშნულზე შორს როდი იყო წასული მათი კოლექტივების მატერიალური წახალისების სისტემებიც, რომლებიც საბოლოო შედეგებიდან განყენებულად არსებობდნენ.

რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა გაითვალისწინა მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფის შესაძლებლობანი და 1984 წელს დაამუშავა და წარმოებაში დანერგა კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა, სამეურნეობათაშორისი საწარმოებსა და მომსახურე დარგების საწარმოებს შორის ეკონომიკური კავშირურთიერთობის ფორმები და მეთოდები, რომელთა მიზანი იყო საზოგადოებრივი წარმოების საბოლოო შედეგებთან ორგანულად დაეკავშირებინა მომსახურე საწარმოთა საქმიანობა. რესპუბლიკაში შემუშავებულმა ეკონომიკური კავშირურთიერთობის ფორმებმა დადებითი როლი შეასრულა აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარებაში.

რესპუბლიკაში დამუშავებულმა და დანერგილმა ეკონომიკური ურ-

თიერთობის მექანიზმმა დიდი როლი შეასრულა მომსახურე საწარმოებისა და ორგანიზაციების სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების, სახელმწიფოსათვის მიყიდვის მოცულობის გადიდებისა და საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების სტიმულირებაში.

ერთი მხრივ, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, ხოლო, მეორე მხრივ, მომსახურე დარგების საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების ახალმა სისტემამ მატერიალურად დაასტიმულა მომსახურე საწარმოებში დასაქმებული მუშები საბოლოო სამეურნეო საწარმოების უკეთესი საბოლოო შედეგების მიღწევისათვის. ჩვენი გაანგარიშებით აღნიშნული ღონისძიებები კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყოველწლიურ დანახარჯებს ზრდიდა 8—9 მილიონი მანეთით, მაგრამ მათი განხორციელებით მიღებული ეკონომიკური ეფექტი 5—6-ჯერ ფარავდა დამატებით გაწეულ დანახარჯებს.

ამასთან საზოგადოებრივი მეურნეობების მომმარაგებელ-გამსაღებელ, სავაჭრო, სატრანსპორტო, აგროქიმიურ, სარემონტო და სხვა საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ეკონომიკური ურთიერთობების სრულყოფის პროცესში განხორციელებულმა ზოგიერთმა ღონისძიებამ სათანადო უკუგება ვერ მოგვცა, პირიქით, ხელი შეუშალა მატერიალური წარმოების საწარმოებში სამეურნეო ანგარიშის პრინციპებისა და საანგარიშსწორებო დისციპლინის განმტკიცებას, ბევრ სუსტძალოვან საზოგადოებრივ მეურნეობაში ფართო გასაქანი მიეცა გაუპიროვნებლობას და სხვისი ფულადი სამუალებების არარაციონალურად გამოყენებას.

1983 წლიდან რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ცენტრალიზებული წესით შეზიდვა დიდი პროგრესული ღონისძიება იყო რესპუბლიკაში მიმდინარე აგროკომპლექსის მართვის სრულყოფის პირობებში.

ამასთან პრაქტიკულად ვერ გაამართლა და სერიოზული პრობლემები წამოჭრა საზოგადოებრივ მეურნეობებში ცენტრალიზებული წესით შეზიდული მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების ღირებულების ცენტრალიზებული წესით ანაზღაურებამ.

საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო საწარმო-დაწესებულებებში ცენტრალიზებულად შეზიდული ავტომანქანების, ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ღირებულების ცენტრალიზებული წესით განაღდება ხდება მხოლოდ სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებებით, რომლებიც მკაცრად ლიმიტირებულია. მოქმედი საკანონ-

შედეგლო აქტებით სახელმწიფო კომიტეტს უფლება არა ჰქონდა კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტს ზევით საბჭოთა მეურნეობებში ცენტრალიზებული წესით შეზიდული რესურსების ღირებულების განაღდების, მაშინ, როდესაც სადირექტივო ორგანოების დადგენილებით საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო წარმოება-დაწესებულებებს მიცემული აქვთ უფლება წარმოების განმტკიცებისა და გაფართოების ფონდიდან ლიმიტს ზევით ცენტრალიზებულად შეზიდული მატერიალურ-ტექნიკური რესურსები შეუფერხებლად გაანაღდონ საკუთარი სახსრებით.

ამასთან, ცენტრალიზებული წესით განაღდების შემოღებამდე, კოლმეურნეობებსა და სამეურნეობათაშორისო საწარმოებს უფლება ჰქონდათ საკუთარი წყაროების უკმარისობის შემთხვევაში გამოეყენებინათ სახბანკის გრძელვადიანი სესხები, რასაც ისინი ცენტრალიზებული ანაზღაურების პირობებში მოკლებული იყვნენ. გარდა ამისა, კოლმეურნეობებსა და სამეურნეობათაშორისო საწარმოებს, რომლებსაც გააჩნდათ ბანკის სესხის ვადაგადაცილებული დავალიანება, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ადგილზე განაღდებისას, საკუთარი სახსრების უკმარისობის შემთხვევაში შეეძლოთ ლიმიტს ზევით მიეღოთ გრძელვადიანი კრედიტი. მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ღირებულების ცენტრალიზებული წესით განაღდებისას კოლმეურნეობები ამ უფლებას მოკლებული იყვნენ და საკუთარი სახსრების უქონლობის გამო სახელმწიფო კომიტეტში ვერ რიცხავდნენ საჭირო სახსრებს. ამიტომ რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონების ცალკეულმა რენტაბელურმა კოლმეურნეობებმა და სამეურნეობათაშორისო საწარმოებმა ვერ უზრუნველყვეს ტექნიკის შესაძენად საჭირო თანხების სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალიზებულ ანგარიშზე გადარიცხვა.

ყურადსაღებია ისიც, რომ არსებული წესის შესაბამისად დასაგეგმი წლის სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტების ფორმირება სტრუქტურის მიხედვით საგეგმო ორგანოებში მთავრდებოდა წინა წლის ივლისის თვეში, ხოლო მეურნეობათა კატეგორიების მიხედვით მისი განაწილება — წლის ბოლომდე. პრაქტიკულად სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო კომიტეტიდან რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებებს და სხვა რესპუბლიკურ ორგანიზაციებს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ფონდები დაქვემდებარებული საწარმოებისათვის გასანაწილებლად ეგზავნებოდათ უკეთეს შემთხვევაში სამეურნეო წლის იანვარ-თებერვალში, ხოლო ფონდების განაწილების შესახებ მონაცემები კომიტეტის შესაბამის სამსახურებს ადგილებიდან უბრუნდებოდა არა უადრეს მარტის

თვისა. ამის გამო კომიტეტი მოკლებული იყო შესაძლებლობას დაწესებულ ვადებში და ზუსტად განესაზღვრა კაპიტალურ დაბანდებათა (ენერგეტიკის ლიმიტების) მოცულობა ცალ-ცალკე სისტემის საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, სამეურნეობათაშორისო საწარმოების, სახელმწიფო მეურნეობებისა და საწარმოო დაწესებულებათა მიხედვით, რაც შემდგომში მთელ რიგ სიძნელეებს ქმნიდა მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ღირებულების ცენტრალიზებული წესით ანაზღაურების საქმეში. კერძოდ, კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტების ასეთმა დაგეგმვამ გამოიწვია ის, რომ ენერგეტიკის თანხების უკმარისობის გამო იძულებული ვხდებოდით მის შესავსებად წლის განმავლობაში გამოგვეყენებინა მიწების რეკულტივაციისათვის, მშენებლობისა და მემცენარეობის კაპიტალური დაბანდებების დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხები. საკითხის გადასაწყვეტად ორივე შემთხვევაში საჭირო გახდა მთავრობის დადგენილებები, მაგრამ წლის ბოლოს ზემოაღნიშნულ დარგებში კაპიტალურ დაბანდებათა უკმარისობამ გამოიწვია საკუთარი საბრუნავი საშუალებების იმობილიზაცია კაპიტალურ დაბანდებებში, რომლის საშუალო წლიური თანხა 15 მილიონ მანეთს შეადგენდა, მაშინ, როდესაც აღნიშნული თანხის ლიმიტს ზევით განაღდება შეეძლოთ საბჭოთა მეურნეობებს, თუ უშუალოდ მათ წარედგინებოდათ ინკასოები შეძენილი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ღირებულებაზე.

არსებული კანონმდებლობით აგროსამრეწველო გაერთიანებებს უფლება ჰქონდათ საჭიროების შემთხვევაში, ძირითადი ფონდებისა და სიმძლავრეების ამოქმედების გეგმების შეუცვლელად, გადაენაწილებინათ სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებები. ასეთი უფლება სახელმწიფო კომიტეტს არ ჰქონდა და აუცილებელი საჭიროების მიუხედავად, ვერ ახდენდა ენერგეტიკის ლიმიტების გასადიდებლად კაპიტალური დაბანდების თანხების გადანაწილებას.

ახალი წესით მაღალრენტაბელურ საწარმოებსა და ორგანიზაციებში შეზიდული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ღირებულების ასანაზღაურებლად გამოიყენებოდა მხოლოდ იმ მეურნეობათა საკუთარი სახსრები, რომლებიც ყოველკვარტალურად გადაირიცხებოდა სახბანკის რესპუბლიკურ კანტორაში ცენტრალიზებულ ანგარიშზე. იმასთან დაკავშირებით, რომ გამოყოფილი ტექნიკა, ხშირად ობიექტური მიზეზების გამო, დაწესებულ ვადებში ცენტრალიზებულად არ იყო შეზიდული ამ მეურნეობებში, მათი თანხების ხარჯზე ნაღდდებოდა იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების დავალიანებები, რომელთაც საკუთარი სახსრები არ ჰქონდათ ჩარიცხული ცენტრალიზებულ ანგარიშზე. ეს საფინანსო კა-

ნონმდებლობისა და სამეურნეო ანგარიშის პრინციპების უხეში დარღვევა იყო, რომელიც ოწვევდა გაუპიროვნებლობას, მაღალრენტაბელური მეურნეობების საფინანსო მდგომარეობის გაუარესებას, კვარტალურ ანგარიშგებათა დამახინჯებას, დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებათა გაუმართლებელ ზრდას. მაგალითად, 1984 წელს აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკიდან სახელმწიფო საწარმოთა ცენტრალიზებულ ანგარიშზე ნაცვლად გეგმური 477 ათასი მანეთისა, ჩადარიცხული იყო 374 ათასი მანეთი, მაშინ, როცა წლის განმავლობაში მიღებული ჰქონდათ 2 მილიონი მანეთის მატერიალურ-ტექნიკური რესურსები;

მახარაძის რაიონის საბჭოთა მეურნეობებს ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 62,5 ათასი მანეთისა, მიღებული ჰქონდათ 343 ათასი მანეთის ტექნიკა, ცენტრალიზებულ ანგარიშზე კი ჩარიცხული იყო 186 ათასი მანეთი; ზუგდიდის რაიონის საბჭოთა მეურნეობებმა ამავე პერიოდში, ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 319 ათასი მანეთისა, მიიღო 424,4 ათასი მანეთის ტექნიკა, ცენტრალიზებულ ანგარიშზე კი ჩაირიცხა 263 ათასი მანეთი.

სიმტეების მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის უგეგმოდ შეზიდვის შედეგად ენერგეტიკის სახსრები წლიური გეგმით გათვალისწინებული 46,0 მილიონი მანეთის ნაცვლად ათვისებული იყო 65,0 მილიონი მანეთი, მათ შორის: სახელმწიფო ორგანიზაციებში ნაცვლად 26.0 მილიონისა, 41 მილიონი მანეთი.

აღნიშნული მდგომარეობა მნიშვნელოვნად განაპირობა იმანაც, რომ ადგილებზე არასწორად გაიგეს და მასობრივი ხასიათი მიიღო რაიონებში გეგმის ზევით მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეზიდვამ.

მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ღირებულების ცენტრალიზებული წესით ანაზღაურების შემოღებამ გამოიწვია სისტემის მეურნეობებისა და საწარმოების მომარაგების ბაზებთან სახელშეკრულებო ურთიერთობების გაუქმება, რის გამოც მეურნეობებმა დაჰკარგეს მატერიალური სანქციების უფლება, რომელიც მათ არსებული წესის თანახმად შეეძლოთ წაეყენებინათ მომმარაგებელი ბაზებისათვის ტექნიკის დაგვიანებით მიწოდების ან რაოდენობრივი, ნომენკლატურული და ხარისხობრივი მაჩვენებლების დარღვევისათვის. დებულება მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მომარაგების შესახებ, რომელიც 1983 წლიდან იყო შემოღებული, ადრე მოქმედი წესისაგან განსხვავებით, სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევისათვის მატერიალური სანქციები გადიდებული იყო 1,5—2-ჯერ, მაგრამ

მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ღირებულების ცენტრალიზებული წესით ანაზღაურების პირობებში. მას მეურნეობები ვერ იყენებდნენ.

მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ღირებულების ცენტრალიზებული წესით ანაზღაურება შემოიღეს ჯამშარაგებულ ბაზებში დებიტორულ დავალიანებათა სალიკვიდაციოდ, მაგრამ განვლილი პერიოდის პრაქტიკამ დაადასტურა, რომ არ მოხდა დებიტორულ დავალიანებათა არა თუ ლიკვიდაცია, არამედ შემცირებაც კი. პირიქით, გაიზარდა როგორც დებიტორული დავალიანებანი, ასევე მატერიალურ-ფასეულობათა ზენორმატიული ნაშთები.

ალსანიშნავი იყო ის ფაქტიც, რომ მანქანა-ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების საპრეისკურანტო ფასებსა (რომლის მიხედვითაც განსაზღვრული იყო კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა) და ფაქტობრივად გადახდილ ღირებულებას შორის იყო ფასთასხვაობა, რომელიც ტექნიკის გაძვირებამ გამოიწვია. ეს კი სახელმწიფო კომიტეტს დამატებითი ფინანსური სიძნელეების წინაშე აყენებდა.

ამრიგად, ცენტრალიზებულმა ანაზღაურებამ გამოიწვია კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სამეურნეო ანგრიშის პრინციპების შესუსტება და ასეთი ანაზღაურების მდგომრეობისათვის გულგრილი დამოკიდებულება. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების ხელმძღვანელებმა კი მთლიანად მოიშორეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ღირებულების ანგარიშსწორების საქმე და ამ მიზნით, საერთოდ, არ იყენებდნენ ცენტრალიზებულ ფონდებს.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის გადაწყვეტილებით ამ სიძნელეების დიდი ნაწილი დაძლეულია იმით, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ცენტრალიზებული წესით შეზიდული ტექნიკის ღირებულების ანგარიშსწორება დაეკისრა რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებებს.

რაც შეეხება სუსტძალოვანი და ზარალიანი საზოგადოებრივი მეურნეობების მიერ შეძენილი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განაღდებას, თუ მეურნეობას და რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებს არ ექნებოდათ საამისო დაფინანსების წყაროები, კომიტეტის შიდარესპუბლიკური დოტაციისა და კაპიტალურ დაბანდებათა დასაფინანსებლად მოზიდულ სხვა წყაროებს ჩარიცხავდნენ რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებების ანგარიშზე, რომლებიც გამოყენებული იქნებოდა ამ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სისტემის სხვა საწარმოების მოთხოვნილებების შესაბამისად. ამით გაერთიანებები ყო-

ველგვარ ფინანსურ სიძნელეებს უხსნიდნენ ტექნიკის მიმღებ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სისტემის სხვა საწარმოებს.

კომიტეტის სისტემის მეურნეობებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში ცენტრალიზებული წესით შეზიდული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ღირებულების განაღდება 1985 წლის 1 იანვრიდან ხდებოდა უშუალოდ ამ რესურსების მიმღები საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ მომმარაგებელ-გამსაღებელი ბაზებიდან წარდგენილი საგადასახდელო მოთხოვნების საფუძველზე. მათ ანგარიშზე თანხების უქმარისობა კი იფარებოდა რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების სპეცანგარიშიდან.

ჩვენი აზრით, რესპუბლიკის სახაგრომრეწვი უფრო შორს უნდა წავიდეს. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ცენტრალიზებული წესით შეზიდული სასოფლო-სამეურნეო მანქანების, ტექნიკისა და იმ მოწყობილობათა (რომლებიც მონტაჟს არ საჭიროებენ) ღირებულების გადახდა უნდა მოხდეს უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო საწარმოების კაპიტალურ დაბანდებათა სპეციალური ანგარიშიდან და არა რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებათა ანგარიშებიდან, ამით განახლდება მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანიზაციებთან სახელშეკრულებო ურთიერთობა, ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის მატერიალური სანქციების გამოყენების უფლება.

გამოყოფილი სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების ღირებულების დაფინანსების წყაროების რეალურად დაგეგმვის პირობებში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს არ შეექმნებათ ფინანსური სიძნელეები ვადაგადაცილებული კრედიტორული დავალიანებების, ხოლო მომმარაგებელ-გამსაღებელ საწარმოებს — დებიტორული დავალიანებების სახით. ამასთან პირნათლად შესრულდება პარტიის XXVII ყრილობის მითითებანი წარმოების ძირეულ რგოლებში სამეურნეო ანგარიშის გაუმჯობესების, საწარმოთა თვითდაფინანსებასა და თვითანაზღაურებაზე გადაყვანის თაობაზე. „უზრუნველვყოთ სახელშეკრულებო ურთიერთობის სფეროს შემდგომი გაფართოება, — აღნიშნა პარტიის XXVII ყრილობაზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ი. რიჟკოვმა, — ... დაბოლოს, რაც მეტად მნიშვნელოვანია, შევწყვიტოთ წვრილმანი მეურვეობა, ზემდგომი ორგანოების ჩარევა შრომითი კოლექტივების კანონიერ უფლებებში, მივცეთ მათ შესაძლებლობა თავად გამოძებნონ გეგმების რეალიზაციის ოპტიმალური გზები“ [1]. სკკპ

[1] სკკპ XXVII ყრილობის მასალები. გვ. 387—388.

ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმზე კიდევ ერთხელ იქნა ხაზგასმული, რომ შრომითი კოლექტივები დავიცვათ წვრილმანი შეურაცხყოფისა და ადმინისტრირებისაგან, მათს ოპერატიულ სამეურნეო საქმიანობაში გაუმართლებელი ჩარევისაგან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივითა და მხარდაჭერით რესპუბლიკის აგროკომპლექსში უკანასკნელი 15 წლის მანძილზე განხორციელებულმა ეკონომიკურმა ექსპერიმენტებმა ცხადყო, რომ რაიონულმა აგროსამრეწველო გაერთიანებებმა საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელობით თავი გამოიჩინეს როგორც მართვის კომპეტენტურმა ორგანოებმა, რომლებსაც შეუძლიათ სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადიდებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების კონცენტრაციის გაღრმავების ამოცანების განხორციელება. გაერთიანებებს ექსპერიმენტის გაღრმავების კვალობაზე, მიუხედავად უწყებრივი დაქსაქსულობისა, უდიდდებოდათ უფლება-მოვალეობანი, შეეძლოთ გაერთიანებაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების მატერიალური და ფინანსური რესურსების მანევრირება, კოლექტივების ეკონომიკური სტიმულირებისა და კოლექტივის წევრთა მატერიალური წახალისების პროგრესული ფორმებისა და მეთოდების დანერგვა.

რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებში ეკონომიკური სტიმულირების ცენტრალიზებული ფონდების ფორმირებით კიდევ უფრო განმტკიცდა აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა დარგებთან სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მჭიდრო ინტეგრაციის პირობები. რესპუბლიკის პრაქტიკიდან ბევრია იმის მაგალითი, თუ როგორ წყდებოდა მრავალი ისეთი პრობლემა, რომელთა გადაჭრასაც ახლო წარსულში ზემდგომი ორგანოების ჩარევა და დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა.

რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებების ეკონომიკური სტიმულირების ცენტრალიზებული ფონდებით აშენდა მრავალი ჩაის ფაბრიკა, აგურის, სამშენებლო ბლოკების მწარმოებელი, მოსაპირკეთებელი ქვებისა და ფილების დასამზადებელი, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამმუშავებელი საწარმოები, თევზსაშენები და მრავალი სხვა საწარმო თუ არასაწარმოო დანიშნულების ობიექტები, რომლებიც საშუალებას იძლევა საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოების გადიდებისა და სოფლად სოციალური პრობლემების გადაწყვეტისათვის.

რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტსა და რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებებში ფართო გზა

გაეხსნა მათ სამეურნეო ანგარიშის პრინციპებზე მუშაობას. მათი ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო საზოგადოებრივი მეურნეობების ზარალიანობის ლიკვიდაცია და რენტაბელობის დონის ამაღლება.

სხვადასხვა ბუნებრივ-ეკონომიკურ ზონაში მდებარე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათაშორისო საწარმოების მეურნეობრიობის ეკონომიკური პირობების გამოთანაბრების მიზნით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით 70-იანი წლებიდან შემოღებულია საზოგადოებრივ მეურნეობებს შორის წმინდა შემოსავლის გადანაწილება. ეკონომიკურად ძლიერი საზოგადოებრივი მეურნეობებიდან ჩაის ფოთლის, ციტრუსების, ყურძნის, ხილის, დაფნის, თამბაქოს და სხვა მაღალრენტაბელური პროდუქციის შესყიდვის ფასების დაკლების გზით იქმნება რესპუბლიკაში სათანადო სარეზერვო ფონდი სპეციალური დოტაციის ფონდის ანგარიშზე. რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით ყოველწლიურად მტკიცდება იმ ზარალიან მეურნეობათა სია, რომლებსაც ეძლევათ დოტაცია სახელმწიფოსათვის მიყიდული სოფლის მეურნეობის პროდუქციის მთლიანი ამონაგების მოცულობის 5-დან 70 პროცენტამდე. ამით რესპუბლიკაში გამოინახა ისეთი მექანიზმი, რომლითაც საზოგადოებრივ მეურნეობებში შექმნილი წმინდა შემოსავლის გადანაწილება ხდება ზარალიანი მეურნეობების ეკონომიკური განმტკიცების მიზნით.

ამ გზით ზარალიანი მეურნეობების ეკონომიკის განმტკიცებას ყოველწლიურად 30—35 მილიონი მანეთი ხმარდება, ამასთან დოტაციის სახსრებიდან შექმნილი სარეზერვო ფონდი (20 მილიონი მანეთი) გამოიყენება ერთჯერადი მიზნობრივი ღონისძიებების დასაფინანსებლად — საწარმოო და არასაწარმოო დანიშნულების ობიექტის მშენებლობის, შრავალწლიანი ნარგავების გაშენების, საკუთარი საბრუნავი საშუალებების დანაკლისის შევსების, სუსტძალოვანი მეურნეობების მიერ შეძენილი ტექნიკისა და სხვა გეგმით გაუთვალისწინებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად. საყურადღებოა, რომ უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე რესპუბლიკური დოტაციის ფონდიდან მიღებული დახმარებებით თავიანთ ფინანსურ მდგომარეობას იუმჯობესებს ყოველწლიურად 120—150 კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა და სამეურნეობათაშორისო საწარმო. 1971 წლიდან დღემდე 275 მილიონ მანეთზე მეტი თანხაა გადანაწილებული მაღალრენტაბელური მეურნეობებიდან დაბალრენტაბელური, ზარალიანი მეურნეობებისათვის.

შიდარესპუბლიკური დოტაციის მეშვეობით მეურნეობრიობის ეკო-

ნომიკური პირობების გამოთანაბრების ფორმა, რომელიც საქართველოში გამოიყენება, ხელს უწყობს ზარალიანი მეურნეობების ეკონომიკის განმტკიცებას, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდასა და რენტაბელურ მუშაობას.

სოციალისტურ წარმოებით ურთიერთობაში დანერგილი ყველა სხვა დანარჩენი პროგრესული ღონისძიების მსგავსად, შიდარესპუბლიკური დოტაციური ფონდის შექმნა-გამოყენებასაც გააჩნია გარკვეული ნაკლოვანებები, რომელთა გამოსწორებაც კიდევ უფრო მეტ ეფექტს მისცემდა საზოგადოებრივ წარმოებას.

შიდარესპუბლიკური დოტაციით მიღებული თანხები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ხშირად არარაციონალურად და უყაირათოდ გამოიყენება. ზოგიერთი ზარალიანი საზოგადოებრივი მეურნეობის კოლექტივი სხვა კოლექტივების მიერ შექმნილ ფინანსურ რესურსებს არაეფექტიანად ხარჯავს, რაც მაღალრენტაბელური საზოგადოებრივი მეურნეობების გულისწყრომას იმსახურებს. სწორედ ამიტომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს სამართლიანად მიაჩნია, რომ სხვადასხვა ბუნებრივ-ეკონომიკურ ზონაში მდებარე საზოგადოებრივი მეურნეობების ეკონომიკური პირობების გამოთანაბრების ზემოაღნიშნული ფორმა შემდგომ სრულყოფას მოითხოვს. ამას დიდი მნიშვნელობა ენიჭება განსაკუთრებით ახლა, როცა შექმნილია ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსის ერთიანი მართვის კომპეტენტური ორგანოები — სსრ კავშირის სახაგრომრეწვიდან დაწყებული რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებებით დამთავრებული, რომლებსაც შეუძლიათ ამ მიზნით შექმნან: რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებში, ავტონომიური ოლქებისა და ოლქების აგროსამრეწველო კომიტეტებში, ავტონომიური და მოკავშირე რესპუბლიკების სახაგრომრეწვებში ცენტრალიზებული სარეზერვო ფონდები საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, სახაგრომრეწვის სისტემის სხვა სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციების სახსრების ანარიცხებით.

ამრიგად, რესპუბლიკაში აგროკომპლექსის მართვის სრულყოფით მიწას ერთი პატრონი გაუჩნდა, რომელიც პასუხს აგებდა მის ეფექტიანობასა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდებაზე; ინტეგრაციის მთავარი უპირატესობა იყო დარგთაშორისი საკითხების შიდასაწარმოო საკითხებად გადაქცევა; ერთ ხელში მთელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების, მეცნიერების, დაგეგმვის, დაფინანსების თავმოყრამ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტს საშუ-

ალება მისცა ოპტიმალურად გადაეწყვიტა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ყველა საკითხი; რესპუბლიკაში შეიქმნა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვის მართვის მწყობრი სისტემა; რესპუბლიკის დონეზე აგროკომპლექსის მართვის სისტემის შექმნამ გამოიწვია რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების ახალი მოდელის შემუშავება, რომელიც პრინციპულად განსხვავდებოდა ქვეყნად არსებული გაერთიანებებისაგან; დამუშავდა და დაინერგა ისეთი ეკონომიკური მექანიზმი, რომელიც ადრე არსებულთან შედარებით ოპტიმალურად არეგულირებდა რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებში შემავალი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ურთიერთობებს მომსახურე დარგების საწარმო-ორგანიზაციებთან.

საყურადღებოა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებით შექმნილი აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის სისტემა იყო ამ კომპლექსის მართვის სრულყოფის პირველი ეტაპი. ამ ეტაპზე ყოველმხრივი აპრობაცია გაიარა რსფსრ, უკრაინის, საქართველოს, ლატვიის, ესტონეთის რესპუბლიკებში ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა. ეს მუშაობა განსაკუთრებით აქტიურად მიმდინარეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის შემდეგ, რომელმაც დაამუშავა სახალხო მეურნეობის მართვის შემდგომი სრულყოფის გზები.

ამასთან, აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ახალ სისტემაში ჩადებული შესაძლებლობების მთლიანი რეალიზაცია ვერ მოხერხდა იმის გამო, რომ მისი ორგანიზაციული სტრუქტურა არასრულყოფილი იყო. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებები მუშაობის პროცესში საწარმოო საკითხების დიდ ნაწილს ვერ წყვეტდა იმის გამო, რომ მათი გადაწყვეტა შედიოდა ზემდგომი სამეურნეო ორგანოების კომპეტენციაში. უფრო მეტიც, აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ჩვენი რესპუბლიკის მოდელიც კი ობიექტური მიზეზების გამო სრულყოფილი არ იყო. აგროსამრეწველო კომპლექსის ორმაგ დაქვემდებარებაში არსებული საწარმოები და ორგანიზაციები ინარჩუნებდნენ უწყებრივ დაქსაქსულობას, ცენტრში გააჩნდათ სამინისტრო ან უწყება და ჩამოყალიბებული ჰქონდათ დაგეგმვის, დაფინანსების, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დამოუკიდებელი წესები, რომლებიც არ იყო დაკავშირებული სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან. ფაქტობრივად ასეთი სახის საწარმოები და ორგანიზაციები ფორმალურად შედიოდნენ რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებში და მხოლოდ ცენტრალიზე-

ბული ეკონომიკური სტიმულირების ფონდების შექმნაში მონაწილეობდნენ.

დღის წესრიგში იდგა ქვეყნის მასშტაბით აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის შემდგომი სრულყოფის აუცილებლობა.

ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ორგანიზაციის მექანიზმი

სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებების შესაბამისად პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა უკანასკნელ პერიოდში მიიღო ისტორიული მნიშვნელობის მასშტაბური დადგენილებები, რომლებიც ორიენტირებად სახავენ აგროსამრეწველო კომპლექსში ახლებურ მიდგომას და შრომის ნაყოფიერების მაღალ ტემპებს, რათა სერიოზულად წარიმართოს საქმე ამ კომპლექსში ქვეყნის სასურსათო პროგრამის უფრო სწრაფად შესრულებისათვის. „ეკონომიკაში ახალ ამოცანებს ვერ გადავწყვეტთ, — აღნიშნა სკკპ XXVII ყრილობის პოლიტიკურ მოხსენებაში მ. ს. გორბაჩოვმა, — თუ ღრმად არ გარდავქმენით სამეურნეო მექანიზმი, არ შევქმენით მართვის მთლიანი, ეფექტიანი და მოქნილი სისტემა, რომელიც საშუალებას მოგვცემს უფრო სრულად შევასხათ ხორცი სოციალიზმის შესაძლებლობებს“ [1]. ამ ფუძემდებლური მითითების შესაბამისად სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1985 წლის ნოემბერში მიიღეს დადგენილება — „აგროსამრეწველო კომპლექსში მართვის შემდგომი სრულყოფის თაობაზე“, სადაც ხაზგასმულია, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებების ცხოვრებაში განხორციელებამ დადებითი გავლენა იქონია სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებასა და ქვეყნის მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფაში. განმტკიცდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკა, განვითარდა საწარმოო კავშირები აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის.

ამასთან, საკავშირო და რესპუბლიკურ დონეზე აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის სტრუქტურის ნაკლოვანებების შედეგად არ მოხდა სოფლის მეურნეობის გადამმუშავებელ მრეწველობასთან აუცილებელი ინტეგრაცია, არსებითი ცვლილებები არ განუცდია საზოგადოებრივი

[1] სკკპ XXVII ყრილობის მასალები. გვ. 49.

შეურნეობების (კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სამეურნეობათაშორისო საწარმოები) მომსახურე ორგანიზაციებთან (სოფლტექნიკის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის, აგროქიმიური მომსახურების საწარმოები და ორგანიზაციები) ურთიერთობის ეკონომიკურ მექანიზმს. აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის მოქმედმა სისტემამ ვერ განსაზღვრა მოქმედების ერთიანობის პარამეტრები არა თუ მთელს აგროსამრეწველო კომპლექსში, არამედ სოფლის მეურნეობაშიც კი, რაც ურთიერთობის ეკონომიკურ მექანიზმთან (საგეგმო მაჩვენებლების მრავალდარგობრივი და მრავალსაფეხურიანი დაყვანა, ურთიერთსასარგებლო სამეურნეო კავშირებისა და ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემების ქაოსურობა) დაკავშირებულ მიზეზებთან ერთად გამოწვეული იყო მართვის არასრულყოფილი ორგანიზაციით. აგროსამრეწველო კომპლექსის ეფექტიან მართვას ხელს უშლიდა აგრეთვე მართვის ყველა დონეზე ორგანიზაციული სტრუქტურის რგოლებს შორის ფუნქციების დაუმუშავებლობა, ასინქრონულობა დარგობრივი და შიდადარგობრივი ამოცანების შესრულებაში, მმართველობის კვალიფიციური, კომპეტენტური კადრების უზრუნველყოფაში არსებული ნაკლოვანებები. საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გადიდებას ხელს უშლიდა ისიც, რომ არ მომხდარა საკავშირო და რესპუბლიკურ დონეზე რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების ადეკვატური მართვის ორგანიზაციული სრულყოფა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილებით შეიქმნა აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ერთიანი ორგანოები — სსრ კავშირის საკავშირო-რესპუბლიკური სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტი (სსრ კავშირის სახაგრომრეწვი), მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტები, სამხარეო და საოლქო აგროსამრეწველო კომიტეტები, რაიონული (საქალაქო) აგროსამრეწველო გაერთიანებები.

სსრ კავშირის საკავშირო-რესპუბლიკური სახაგრომრეწვი შეიქმნა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის, ხილბოსტნეული მეურნეობის, ხორცისა და რძის მრეწველობის, კვების მრეწველობის და სასოფლო მშენებლობის სამინისტროებისა და სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის ბაზაზე.

შესაბამისი ცვლილებები განიცადეს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ორგანოებმაც.

პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებების შესაბამისად ცვლილებები განიცადა აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ორგანოებმა სა-

ქართველოში. იმასთან დაკავშირებით, რომ რესპუბლიკაში 1983 წელს მოხდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის ორგანოების ინტეგრაცია — ჩამოყალიბდა საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსა და სოფლტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის ბაზაზე, 1985 წლის დეკემბერში საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტი შეიქმნა საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის, ხილბოსტნეულის მეურნეობის, ხორცისა და რძის მრეწველობისა და კვების მრეწველობის სამინისტროების, ჩაის მრეწველობისა და ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტების ბაზაზე, აგრეთვე რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს იმ სტრუქტურული ქვედანაყოფების შემოერთებით, რომლებიც ადრე შედიოდნენ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში.

საკავშირო ორგანოების დავალებების შესაბამისად, გაუქმებული კვების მრეწველობის სამინისტროდან დამზადების სამინისტროს, რომელიც გარდაიქმნა პურპროდუქტების სამინისტროდ, გადაეცა პურის ცხობისა და მაკარონის მრეწველობის საწარმოები და ორგანიზაციები; რესპუბლიკის სახაგრომრეწვს — ყოფილი სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვისა და ხარისხის ინსპექცია; რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროდან — მატყლის პირველადი გადამუშავების საწარმოები, საქმთავარწყალმშენიდან — პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების ექსპერტიზის, მელიორაციული სამუშაოების კაპიტალური დაბანდებებისა და დაფინანსების, დამთავრებული სამშენებლო ობიექტების მიღების ფუნქციები.

იმასთან დაკავშირებით, რომ 1983 წელს გაუქმდა მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო, 1986 წელს რესპუბლიკურ სახაგრომრეწვთან შეიქმნა წყალთა მეურნეობისა და მელიორაციის ექსპლოატაციის რესპუბლიკური გაერთიანება, რომელსაც გადაეცა მსხვილი მელიორაციული სისტემებისა და სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგების ფუნქციები.

რესპუბლიკის სახაგრომრეწვის ფორმირების პროცესში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და მთავრობა ხელმძღვანელობდნენ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებთან გადამმუშავებელი მრეწველობის მაქსიმალურად შესაძლო ინტეგრაციის, დაგეგმვაში, დაფინანსებაში, მშენებლობაში, მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებასა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვაში პარალელიზმისა და დუბ-

ლირების ლიკვიდაციის პრინციპებით, რათა მიღწეულიყო მმართველობის აპარატის რიცხოვნობის, ზღვრული ხარჯებისა და ხელფასის ფონდის არსებითი შემცირება.

რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ორგანოების აპარატის რიცხოვნობა განისაზღვრა 1911 ერთეულით 4996 ათასი მანეთი წლიური ხელფასის ფონდით (მათ შორის: საქართველოს სახაგრომრეწვის ცენტრალური აპარატის რიცხოვნობა — 1381 ერთეულით, 4250 ათასი მანეთი წლიური ხელფასის ფონდით). აგროსამრეწველო კომპლექსის რესპუბლიკური ორგანოების მმართველობის აპარატის რიცხოვნობა შემცირდა 744 საშტატო ერთეულით, ანუ 35 პროცენტით, წლიური ხელფასის ფონდის შემცირებამ შეადგინა 553 ათასი მანეთი, ანუ 13 პროცენტი.

1983 წელს განხორციელებული საქსოფლტექნიკისა და მელიორაციის ორგანიზაციების რეორგანიზაციის შედეგად რესპუბლიკაში მმართველობის აპარატი შემცირდა 1100 საშტატო ერთეულით, რომელთა რიცხოვნობა გადაეცა უშუალოდ მატერიალური წარმოების სფეროს.

1986 წლის 1 იანვრისათვის რესპუბლიკის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების მმართველობის აპარატის რიცხოვნობამ შეადგინა 2099 ერთეული, 4025 მილიონი მანეთის ხელფასის წლიური ფონდით, ანუ ერთ რაიონულ გაერთიანებაზე საშუალოდ მოდიოდა 40 საშტატო ერთეული, მაშინ, როდესაც სტრუქტურის საბოლოო სრულყოფამდე შეადგენდა 53 ერთეულს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით სსრ კავშირის სახაგრომრეწვი, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახაგრომრეწვები, სამხარეო და საოლქო აგრომრეწვები, რაიონული (საქალაქო) აგროსამრეწველო გაერთიანებები, მათზე დაქვემდებარებული კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სხვა საწარმოები და ორგანიზაციები ქმნიან სსრ კავშირის სახაგრომრეწვის ერთიან სისტემას. სახაგრომრეწვის ორგანიზაციებსა და საწარმოებთან ერთად ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემაში შედის ქვეყნის პურპროდუქტების, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის და თევზის მრეწველობის სამინისტროები, სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი, რომლებიც იგეგმება და ფინანსდება როგორც ერთიანი მთელი. მასში შედის აგრეთვე სამომხმარებლო კოოპერაცია, რომელიც თავისი წესდებით გათვალისწინებულ ფუნქციებსა და უფლებებს ინარჩუნებს.

ის სამინისტროები და უწყებები, რომლებიც აწარმოებენ აგროსამ-

რეწველო კომპლექსისათვის წარმოების საშუალებებს და სხვა რესურსებს (სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის, მეცხოველეობისა და საკვებწარმოებისათვის მანქანათმშენებლობის, მსუბუქი და კვების მრეწველობისათვის მანქანათმშენებლობის, მინერალური სასუქების მწარმოებელი და სამედიცინო და მიკრობიოლოგიური მრეწველობის სამინისტროები), თავიანთი მუშაობით მჭიდრო კოორდინაციაში იმყოფებიან სსრ კავშირის სახაგრომრეწვთან.

ქვეყნისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტების წევრებია სახაგრომრეწვის თავმჯდომარისა და მისი მოადგილეების გარდა — პურპროდუქტების, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის, თევზის მრეწველობის, მინერალური სასუქების მწარმოებელი, სამედიცინო და მიკრობიოლოგიური მრეწველობის, სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი, მსუბუქი და კვების მრეწველობის მანქანათმშენებელი და მეცხოველეობისა და საკვებწარმოებისათვის მანქანათმშენებლობის მინისტრები, სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, ცენტროსოიუზის გამგეობის თავმჯდომარე, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილეები, ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის თავმჯდომარის მოადგილე, სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე და ა. შ.

სსრ კავშირის სახაგრომრეწვი ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსის სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური საკავშირო-რესპუბლიკური ორგანოა. იგი მის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად ახორციელებს სოფლის მეურნეობის, კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების, ბამბისა და მატყლის პირველადი დამუშავების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების საწარმოო მომსახურებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ხელმძღვანელობას, ამასთან თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს მარცვლეულის გადამუშავების, მიწების მელიორირების, სატყეო და თევზის მეურნეობის დარგთაშორისი მართვის ფუნქციებს.

ქვეყნის სახაგრომრეწვი მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად მთლიანად პასუხისმგებელია სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების, მათი სახელმწიფო შესყიდვისა და საერთო საკავშირო ფონდებში მიწოდების გეგმების შესრულებისათვის, სოფლის

მეურნეობას პროდუქტების კომპლექსური გადამუშავების, შენახვის, სასურსათო საქონლის ასორტიმენტის გაუმჯობესებისა და ხარისხის ამაღლების, მოსახლეობის კვების პროდუქტებით, ხოლო მრეწველობის ნედლეულით უზრუნველყოფის, აუცილებელი სახელმწიფო რეზერვებისა და საექსპორტო რესურსების შექმნისათვის.

საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქვეყნის სახაგრომრეწველოთა მინიჭებულ უფლებას მასზე, რომ იგი კოორდინირებას უკეთებს იმ სამინისტროებისა და უწყებების საქმიანობას, რომლებიც აგროსამრეწველო კომპლექსისათვის აწარმოებენ წარმოების საშუალებებსა და სხვა რესურსებს. სახაგრომრეწვს უფლება აქვს:

ა) განიხილოს ამ სამინისტროებისა და უწყებების მიერ მათზე შესათანხმებლად წარდგენილი ახალი მანქანა-მოწყობილობათა, წარმოების ქიმიზაციის საშუალებათა, საკვების ახალი სახეობის შესაქმნელად და საწარმოებლად სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა გეგმები;

ბ) განიხილოს ამ სამინისტროების მიერ შესათანხმებლად წარდგენილი მანქანების, მოწყობილობების, მასალების სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების პროექტები; გააკონტროლოს წარმოებული მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების ხარისხი, მიიღოს გადაწყვეტილებები, რათა ქარხნებმა შეწყვიტონ მოძველებული მანქანა-მოწყობილობების გამოშვება;

გ) დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად განიხილოს და დაამტკიცოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების და გადამმუშავებელი მრეწველობის კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის მანქანათა სისტემები.

ქვეყნის სახაგრომრეწვს ძირითადი ამოცანებია:

ა) აგროსამრეწველო კომპლექსის პერსპექტიული განვითარების სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტა, როგორიცაა: მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, საინვესტიციო პოლიტიკა, წარმოების განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული დაგეგმვის, დაფინანსებისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სისტემა;

ბ) არსებული საწარმოო-ეკონომიკური პოტენციალის — განსაკუთრებით მიწის, ძირითადი ფონდების, შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების ეფექტიანი გამოყენება და ამის საფუძველზე სოფლის მეურნეობისა და გადამმუშავებელი მრეწველობის პროდუქციის წარმოების შემდგომი გადიდება;

გ) აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალი დარგების რეგიონების მიხედვით ოპტიმალური და დაბალანსებული განვითარების უზრუნველყოფა, სოფლის მეურნეობის გადამმუშავებელ მრეწველობასთან ინტეგრაციის განხორციელება, პროდუქციის შენახვისა და ტრანსპორტირების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება;

დ) წარმოების რაციონალური განლაგება, სპეციალიზაცია და კონცენტრაცია, სამეურნეობათშორისო კოოპერაციის შემდგომი განვითარება;

ე) აგროსამრეწველო წარმოების შემდგომი ინტენსიფიკაცია, შრომის ნაყოფიერების ზრდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, საზოგადოებრივი მეურნეობების, გადამმუშავებელი და მომსახურე დარგების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თანამიმდევრული განმტკიცების გზით;

ვ) სოფლის მეურნეობაში, გადამმუშავებელ და მომსახურე საწარმოებში ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განხორციელება;

ზ) სასელექციო სამუშაოებისა და სანაშენე საქმის ეფექტიანობის ამაღლება, მანქანათა სისტემების შექმნა სასუქებისა და ჰერბიციდების ეფექტიანი გამოყენებისათვის.

სსრ კავშირის სახაგრომრეწვისათვის მიცემულ უფლება-მოვალეობებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფასა და ყველა საწარმოში, ქვედანაყოფსა და რგოლში სამეურნეო ანგარიშის, შრომის ანაზღაურებისა და შრომის ორგანიზაციის პროგრესული ფორმების დანერგვა-განვითარებას.

სახაგრომრეწვის სტრატეგიულ მრავალმხრივ საქმიანობაში ერთერთი მთავარი საკითხია აგროსამრეწველო კომპლექსში კაპიტალურ დაბანდებათა და საპროექტო საქმის სრულყოფა, მატერიალური და ფინანსური რესურსების მომჭირნეობით ხარჯვა. მან კაპიტალური დაბანდებები პირველ რიგში მოქმედი საწარმოების რეკონსტრუქციისა და ტექნიკური გადაიარაღების, აგროსამრეწველო კომპლექსის დარგებს შორის დისპროპორციის აღმოფხვრის ღონისძიებების განსახორციელებლად უნდა მიმართოს.

სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის წარმატებით განხორციელების მიზნით აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაობის ეფექტიანობის ასაწაღლებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სსრ კავშირის სახაგრომრეწვის რეგიონალურ რგოლებს შორის სისტემის საწარმოებისა და ორგანიზაციების ოპტიმალური დაქვემდებარების პრინციპს. მაგალითად, რაიონში არსებული ყველა სასოფლო-სამეურნეო, გადამმუშავებელი და მომსახურე საწარმო, რაიონული აგროსამრეწველო გაერთი-

ანების უშუალო დაქვემდებარებაში უნდა შევიდეს ის საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ სარაიონთაშორისო ფუნქციებს. დაექვემდებარებიან საოლქო, ავტონომიური ან მოკავშირე რესპუბლიკების (საოლქო დაყოფის არმქონე) სახაგრომრეწვებს, ხოლო ის საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც შრომის საკავშირო დანაწილების შესაბამისად ახორციელებენ საკავშირო ან სარესპუბლიკათშორისო ფუნქციებსა და ამოცანებს, შევლენ სსრ კავშირის სახაგრომრეწვის დაქვემდებარებაში.

თუ როგორ მიმდინარეობს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვა მატერიალური წარმოების სფეროს საწარმოებსა, რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებასა და რესპუბლიკის სახაგრომრეწვს შორის, განვიხილოთ ჩვენი რესპუბლიკის მაგალითზე.

სსრ კავშირის სახაგრომრეწვის უფლება-მოვალეობის შესაბამისად რესპუბლიკის აგრომრეწვს ეკისრება პასუხისმგებლობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და დამზადების გეგმების შესრულებაზე. ამ პროდუქციის შენახვის, გადამუშავების, ტრანსპორტირებისა და მომხმარებლამდე მიტანის საქმეში. ამასთან მისი ფორმირების ძირითადი პრინციპებიდან გამომდინარე, მართვის ყველა დონეზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადამამუშავებელ მრეწველობასთან ოპტიმალური ინტეგრაციის მიღწევა, აგროსამრეწველო კომპლექსში პარალელიზმის, დაგეგმვაში, დაფინანსებაში, მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებასა და მეცნიერულ-ტექნიკურ უზრუნველყოფაში ურთიერთგამომრიცხველი ასპექტებისა და მომენტების ლიკვიდაცია.

საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის წინაშე დასმული ამ ამოცანების განსახორციელებლად შეიქმნა მისი მმართველობის აპარატი, რომელიც შედგება 15 უმსხვილესი ბლოკისაგან მთავარი სამმართველოების სახით, რომელთაგან 10-ს განაგებენ სახაგრომრეწვის თავმჯდომარის მოადგილეები, ხოლო 6 მთავარი სამმართველო უშუალოდ შედის თავმჯდომარის ორ პირველ მოადგილესთან — საქართველოს სსრ მინისტრებთან, რომლებიც მესაბამისად აგროსამრეწველო კომპლექსის წარმოებასა და ეკონომიკურ-სოციალურ განვითარებას უწევენ კურირებას.

15 მთავარი სამმართველოდან 6-ში თავმოყრილია სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების წარმოება, რეალიზაცია და გადამუშავება. ესენია: მემცენარეობის პროდუქციის, მეცხოველეობის პროდუქ-

ციის, ხილ-ბოსტნეულისა და კარტოფილის, ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების, ყურძნის წარმოებისა და გადამუშავების, აგრეთვე კვების მრეწველობის მთავარი სამმართველოები. სახაგრომრეწვის სისტემის ყველა დარგსა და რეგიონს ემსახურება შემდეგი მთავარი სამმართველოები: აგროსამრეწველო კომპლექსის დაგეგმვის, სოციალური და ეკონომიკური განვითარების, საფინანსო, საკონტროლო-სარევიზიო, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის, კადრებისა და საგარეო კავშირების, აგროსამრეწველო გაერთიანებების, ვეტერინარიის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვისა და პროპაგანდის მთავარი სამმართველოები.

საყურადღებოა ისიც, რომ გათვალისწინებულია რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სპეციფიკა და ზოგიერთი დარგის (მეჩაიეობის, მეციტრუსეობის, ხილ-ბოსტნეულისა და საადრეო კარტოფილის) საერთოსაკავშირო მნიშვნელობა და სახაგრომრეწვის საკავშირო სქემიდან განსხვავებით ერთი მთავარი სამმართველოს ნაცვლად შეიქმნა სამი — მეჩაიეობისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების, მევენახეობის, ხილ-ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოებისა და გადამუშავების მთავარი სამმართველოები.

მოკლედ შევეხებით მთავარი სამმართველოების სტრუქტურასა და ამოცანებს:

1. მემცენარეობის პროდუქციის წარმოებისა და გადამუშავების მთავარ სამმართველოში შედის ოთხი სამმართველო და ერთი განყოფილება — მიწათმოქმედების მეცნიერული სისტემების და მარცვლეული და ტექნიკური კულტურების ინტენსიფიკაციის, საკვებწარმოების, მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის, მელიორაციისა და ეკონომიკური ანალიზის. მთავარი სამმართველო წარმართავს „საქსოფლქიმიისა" და „თავთავის" სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებების, თესლის ხარისხისა და სარგავი მასალების რესპუბლიკური ინსპექციის საქმიანობას.

მთავარი სამმართველოს ძირითადი ამოცანებია: მიწათმოქმედების კულტურის ამაღლების, მიწათმოქმედების მეცნიერული სისტემების დანერგვის, მარცვლეულის წარმოების ინდუსტრიული ტექნოლოგიის დანერგვა-გავრცელების, ტექნიკური კულტურების წარმოების პროგრესული ტექნოლოგიის, მაღალხარისხოვანი თესლეულის წარმოებისა და საზოგადოებრივი მეურნეობების მომარაგების უზრუნველყოფის ორგანიზაცია.

მთავარი სამმართველოს საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი საკითხია საკვებწარმოება.

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986—1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებში ჩაწერილი დებულება: **„უპირველესად განვავითაროთ საკვებწარმოება.** საველე და მდელო-საძოვრული საკვებწარმოების ინტენსიფიკაციის საფუძველზე არსებითად გავზარდოთ უხეში და წვნიანი საკვების წარმოება, უფრო ფართოდ გამოვიყენოთ მათი მოვლა-მოყვანის, დამზადებისა და შენახვის პროგრესული ტექნოლოგიები, ძირეულად გავაუმჯობესოთ საკვების სტრუქტურა და ხარისხი“ [1], დიდ ამოცანებს უყენებს მთავარი სამმართველოს მუშაკებს.

მთავარი სამმართველოს ერთ-ერთი პასუხსაგები ფუნქციაა მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის, მიწის კადასტრის, მისი ეკონომიკური შეფასების დამუშავება და მათი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნორმატიული მეთოდებით დაგეგმვაში გამოყენების ორგანიზაცია.

საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა, განსაკუთრებით მიწათმოქმედების კულტურების წარმოების ეფექტიანობა, შეუძლებელია აგროქიმიური სამსახურების საქმიანობის გარდაქმნის გარეშე, რომლის ხელმძღვანელობა და ორგანიზაცია დაკისრებულია ამ მთავარი სამმართველოსათვის;

2. მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და გადამუშავების მთავარ სამმართველოში თავმოყრილია შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფები: მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების, სანაშენე საქმისა და ხელოვნური დათესვლის, ვეტერინარიის, სამრეწველო მეცხოველეობისა და წარმოების პროგრესული ტექნოლოგიის, ხორცისა და რძის პროდუქტების გადამუშავების, ტექნოლოგიური მოწყობილობების მოდერნიზაციისა და სამაცივრო მეურნეობების, მატყლის დამზადების, გადამუშავებისა და გასაღების, ეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების.

მთავარ სამმართველოს მეტად საპასუხისმგებლო ამოცანები აკისრია: იგი რაიონული გაერთიანებების მეშვეობით ხელმძღვანელობს როგორც მეცხოველეობის განვითარებას საზოგადოებრივ სექტორში, ასევე პირად საკარმიდამო მეურნეობებში, პასუხისმგებელია მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების, დამზადებისა და გადამუშავების სახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის. სამმართველოს მეთორმეტე ხუთწლედში მნიშვნელოვანი სამუშაოები აქვს განსახორციელებელი ჯოგის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების, პროდუქტიულობის გადიდების, პი-

[1] სკკპ XXVII ყრილობის მასალები. გვ. 460.

რუტყვის დაცემების სალიკვიდაციოდ და მეცხოველეობის ყველა დარგის რენტაბელურ დარგებად გადაქცევის საქმეში;

პარტიის XXVII ყრილობის მიერ დასახული ამოცანების — პირუტყვისა და ფრინველის გამოზრდისა და სუქების ორგანიზაციის სრულყოფის, შიდასამეურნეო და სამეურნეობათაშორისო სპეციალიზაციის, ხორცისა და რძის პროდუქტების წარმოების ინტენსიური მეთოდებისა და პროგრესული ნაკადური ტექნოლოგიების დანერგვის უზრუნველსაყოფად მთავარმა სამმართველომ უნდა შეიმუშაოს ხანგრძლივი პერიოდისათვის მუშაობის კომპლექსური პროგრამა;

3. ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების წარმოებისა და გადამუშავების მთავარი სამმართველო აერთიანებს მეჩაიეობის, ჩაის სამრეწველო გადამუშავების, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ინდუსტრიული წარმოების, საწარმოო-ეკონომიკური, მოწყობილობისა და ახალი ტექნიკის და ეკონომიკური ანალიზის ქვედანაყოფებს.

მთავარი სამმართველოს ძირითადი ამოცანებია: მეთორმეტე ხუთწლედის ბოლომდე სტაბილური გახადოს ჩაის ფოთლის წარმოება 450 ათას ტონამდე. ციტრუსისა ოთხასიათას ტონამდე. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ჩაის ბარისხის მნიშვნელოვნად გაუმჯობესება; მიმდინარე ხუთწლედში უნდა მოხდეს ჩაის ამორტიზებული პლანტაციების ნაცვლად ახალი ჯიშებისა და ფართობების გაშენება, ურომლისოდაც დასახული პროგრამების განხორციელება დიდ სირთულეებს წააწყდება.

მთავარი სამმართველოს წინაშე სერიოზული პრობლემები დგას განსაკუთრებით ჩაის მრეწველობის დარგში; უნდა მოხდეს ფაბრიკების მოდერნიზაცია და გადაიარაღება, აგრეთვე ჩაის პლანტაციების განახლება, ახალი სასელექციო ჯიშების დანერგვა, ჩაის ფოთლის კრეფის ტექნოლოგიის აგროწესების ნორმების მკაცრი დაცვის უზრუნველყოფა;

4. ყურძნის წარმოებისა და გადამუშავების მთავარი სამმართველო შედგება ოთხი ქვედანაყოფისაგან — მევენახეობის გაძღოლის მეცნიერული სისტემებისა და წარმოებების ინტენსიფიკაციის, ყურძნის გადამუშავებისა და რეალიზაციის, მოწყობილობისა და ახალი ტექნიკის და ეკონომიკური ანალიზის.

მთავარი სამმართველოს ძირითადი ამოცანაა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისათვის ტრადიციული — სამრეწველო მევენახეობის განვითარება, ბრძოლა მეჩხერიანობის წინააღმდეგ და მოსავლიანობის გადიდებისათვის. დღეს, როგორც არასოდეს, მთავარმა სამმართველომ განსა-

კუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს პროდუქციის ხარისხის პრობლემების გადაწყვეტას, ამასთან დარგის გადაპროფილების საკითხს. რესპუბლიკისათვის მეტად მნიშვნელოვანი პრობლემაა სასაქონლო სამარკო ღვინის მრეწველობის განვითარების წარმართვა ასორტიმენტების ჭრავალფეროვნებისა და მათი საექსპორტო მოცულობის გადიდების მიზნით;

5. ხილბოსტნეულის პროდუქციის წარმოებისა და გადამუშავების მთავარი სამმართველო ერთ-ერთი მაპროფილებელი ბლოკია რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსში. მთავარი სამმართველოს ორგანიზაციული სტრუქტურა ასეთია — მებოსტნეობისა და მეკარტოფილეობის, მეხილეობის, კარტოფილის და ხილბოსტნეულის ვაჭრობისა და შენახვის, სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდების, საკონსერვო მრეწველობისა და ეკონომიკური ანალიზის ქვედანაყოფები.

ამ ბლოკის დაქვემდებარებაშია: „საქსოფლდამზადების“, „საქსათბურის“ და „საქნერგის“ რესპუბლიკური გაერთიანებები, ვაჭრობის, შენახვისა და საკონსერვო მრეწველობის საწარმოები და ორგანიზაციები, ე. ი. ყველა ის დარგი, რომლებიც შედიოდნენ ყოფილ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში.

მთავარი სამმართველოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: მებოსტნეობის, მეხილეობის, მეკარტოფილეობის წარმოების გაძღოლის მეცნიერული სისტემების დანერგვა და მათი მართვა, წარმოებული ხილ-ბოსტნეულის და სააღრეო კარტოფილის საერთო საკავშირო ფონდში მიწოდების დავალებათა წარმატებით შესრულების ორგანიზაცია, საკონსერვო მრეწველობის გადაპროფილება იმ მიმართულებით, რომ ძირითადად დარგმა აწარმოოს ისეთი რენტაბელური პროდუქცია, რომელიც მომხმარებლების მოთხოვნებს დააკმაყოფილებს და არ გამოიწვევს მიმოქცევის არხების გადატვირთვას გაუსაღებელი სხვადასხვანაირი შემაგრებული წვენითა და ხილკენკროვანი ღვინოთი;

6. კვების მრეწველობის მთავარ სამმართველოს სტრუქტურული ქვედანაყოფებია — საკონდიტრო და შაქრის მრეწველობის, თამბაქოსა და თამბაქოს ნაწარმის, მინისტარის, უალკოჰოლო სასმელების და ლუდის, მინერალური წყლებისა და ეკონომიკური ანალიზის.

მთავარი სამმართველოს დიდი ამოცანები აკისრია მეთორმეტე ხუთწლედში. დღეს, როდესაც ქვეყანაში მიმდინარეობს ბრძოლა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ, განსაკუთრებულად მრავალფეროვანი და მაღალხარისხოვანი უნდა იყოს აგრომრეწვის ამ დარგის ხილის წვენების, მინერალური და ხილის წყლების პროდუქცია, საკონდიტრო ნა-

წარმი. ამ დარგების მუშაობა დიდად არის დამოკიდებული მთავარი სამმართველოს აწყობილ საქმიანობაზე;

7. მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის მთავარი სამმართველოს ქვედანაყოფებია: მანქანა-ტრაქტორთა პარკის ექსპლოატაციის, ახალი ტექნიკის, მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და ტექნიკური მოშსახურების, მეცხოველეობის კომპლექსური მექანიზაციის და აგროსამრეწველო კომპლექსის შრომის დაცვისა და ეკონომიკური ანალიზის.

მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის მთავარი სამმართველოს ამოცანებია: სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განხორციელება, აგროსამრეწველო კომპლექსის წარმოების მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის, საწარმოო მომსახურების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტისა და ექსპლოატაციის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის ინტენსიური ტექნოლოგიის, მეცხოველეობის ფერმების ტექნიკური მომსახურებისა და მექანიზაციის ორგანიზაცია და ა. შ.;

8. მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარ სამმართველოს ქვედანაყოფებია: მანქანების, მოწყობილობის, ლითონნაკეთობათა და ინსტრუმენტების მომარაგების, სათადარიგო ნაწილების. მთავარი სამმართველოს ძირითადი ამოცანაა — მატერიალურ-ტექნიკური რესურსების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, ტექნიკის, სათადარიგო ნაწილების დაგეგმვა, მომწოდებლებთან ხელშეკრულებების დადება და მათი ათვისების კონტროლი.

მთავარი სამმართველოს აწყობილ მუშაობაზე დიდად არის დამოკიდებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარება. რესპუბლიკაში გახორციელებული ქმედითი ღონისძიებების მიუხედავად, ჯერ კიდევ ბევრი ეფექტიანი ღონისძიებებია დასამუშავებელი და დასანერგავი წარმოებაში, რათა რესურსების ოპტიმალურ გატარებასა და მომხმარებლამდე დროულ დაყვანაზეა დამოკიდებული არა მარტო სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება, არამედ მათი უდანაკარგოდ ღება-დაბინავება.

მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დაგეგმვის ფუნქცია გადაეცა აგროსამრეწველო კომპლექსის დაგეგმვის, სოციალური და ეკონომიკური განვითარების მთავარ სამმართველოს და მასთან გადავიდა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოდან მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დაგეგმვის სამმართველო. აღნიშნული ღონისძიება მართებულად უნდა ჩაითვალოს იმის გამო, რომ დარგების თუ რეგიონების ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის პროცესში ოპტიმა-

ლურად, დასაბუთებულად იქნება შეთანაწყობილი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განაწილებაც, ამასთან ნაერთი ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმები რეგიონებამდე დაიყვანება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის მარტის დადგენილების „ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსში მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფის თაობაზე“ შესაბამისად.

ამჟამად მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარ სამმართველოს ფუნქციური სამმართველოები და განყოფილებები ძირითადად დაკავებული არიან მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ფონდების დაგეგმვის, ათვისებისა და კონტროლის საკითხებით, ხოლო ამ რესურსების მომწოდებლებისაგან მიღება, გასაღება და მომხმარებლამდე ცენტრალიზებული შეზიდვა დავალებული აქვს „საქსოფლმომარაგებისა“ და „საქკვებმომარაგება-გასაღების“ რესპუბლიკურ გაერთიანებებს.

ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსში მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ორგანიზაციული პრინციპის არსი მდგომარეობს:

1. მთელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვის საშუალო რგოლისათვის — რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებისათვის გადაცემაში, რომელიც მთლიანად აგებს პასუხს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების, შენახვის, გადამუშავებისა და მომხმარებლამდე დაყვანისათვის;

2. ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმასთან მატერიალურ-ტექნიკური რესურსების უზრუნველყოფის დაბალანსებასა და მასთან მკაცრი შესაბამისობის მოყვანაში;

3. მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დაგეგმვის ნორმატიული მეთოდების დანერგვაში.

„საქსოფლმომარაგების“ ორგანიზაციით რესპუბლიკაში შექმნილია სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ერთიანი სამეურნეოთანგარიშიანი რესპუბლიკური გაერთიანება, რომელიც სარაიონთაშორისო ბაზებისა და საწყობების მეშვეობით ახორციელებს რესურსების ცენტრალიზებული შეზიდვის, ერთიან ორგანიზაციულ, სამეურნეო-ეკონომიკურ პოლიტიკას, რაც ხელს უწყობს რესურსების სწორ მანევრირებას, სახელშეკრულებო-სამართლებრივ ურთიერთობათა სრულყოფა-განვითარებას. „საქსოფლმომარაგების“ რესპუბლიკური გაერთიანების შექმნით შემუშავდა და დაინერგა საქონელგატარების რაციონალური სქემა, მნიშვნელოვნად შემცირდა შიდასისტემური და შემ-

ბევრი გადაზიდვები, გაიზარდა საქმაწყობო სიმძლავრეთა გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა.

„საქსოფლტექნიკის“ ყოფილი რაიონული გაერთიანებებიდან გამოყოფილია მომარაგების სამსახურები, გარდაიქმნა სარაიონთაშორისო ბაზებად და შევიდა რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებში ორმაგი დაქვემდებარების პრინციპით.

რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების აპარატში შეიქმნა შესაბამისი ქვედანაყოფი, რომლის მოვალეობაა: მომარაგების საწარმოებთან ერთად უზრუნველყოს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სისტემის სხვა საწარმოების მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებზე მოთხოვნების შესწავლა და დასაბუთებული მასალების წარდგენა სახაგრომრეწვის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ბლოკში და გამოყოფილი ფონდების დროული ათვისება.

რესპუბლიკის სახაგრომრეწვის შექმნის შემდეგ ჩამოყალიბდა „საქკვებმომარაგება-გასალების“ სპეციალიზებული რესპუბლიკური გაერთიანება, რომელიც ძირითადად ახორციელებს აგროსამრეწველო კომპლექსის გადამუშავებელი მრეწველობისა და სხვა დარგების მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მომარაგება-გასალების ორგანიზაციას, იგი წარმოადგენს აგროსამრეწველო კომპლექსის დარგების მომარაგება-გასალების პოლიტიკის ორგანიზატორს.

ამრიგად, საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანიზაციული სტრუქტურა საყსებით პასუხობს იმ ამოცანებს, რომლებიც პარტიას და მთავრობას დასახული აქვთ ამ დარგში აგროსამრეწველო კომპლექსის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების უზრუნველსაყოფად:

1. აგროსამრეწველო გაერთიანებათა მთავარი სამმართველო სახაგრომრეწვის ცენტრალური აპარატის ძირითადი სტრუქტურული ქვედანაყოფი და კოლმეურნეობათა რესპუბლიკური საბჭოს მუშა აპარატია. იმასთან დაკავშირებით, რომ რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებათა უშუალო დაქვემდებარებაში გადაეცა გადამმუშავებელი მრეწველობის, დამზადების, საბაჭრო და მომმარაგებელ-გამსაღებელი საწარმოები და ორგანიზაციები, მათ სამეურნეო საქმიანობასა და ურთიერთობაში წამოიჭრება ბევრი ორგანიზაციული ხასიათის გადასაწყვეტი პრობლემა. სწორედ ამ პრობლემების მოსაწესრიგებლად არის მოწოდებული ეს მთავარი სამმართველო. იგი ეხმარება აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ადგილობრივ ორგანოებს წარმოების, გადამუშავებისა და მომსახურების ყველა რგოლის ინტერესთა ორგანული შერწყმის უზრუნ-

ველყოფის საქმეში. მთავარი სამმართველო პასუხისმგებელია კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, აგროსამრეწველო კომიტეტებისა და გაერთიანებების საქმიანობის ორგანიზაციაზე, მოსახლეობის პირადი დამხმარე მეურნეობების მართვაზე;

10. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარება. საქართველოს სსრ სახაგრომრეწვში აგროსამრეწველო კომპლექსის მეცნიერული უზრუნველყოფის ფუნქციები დავალებული აქვს ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო აკადემიის საქართველოს განყოფილებას, რომლის პრეზიდიუმის თავმჯდომარეა აგრეთვე სახაგრომრეწვის თავმჯდომარის მოადგილე.

აკადემიის საქართველოს განყოფილებას გადაეცა სოფლის მეურნეობისა და გადამმუშავებელი მრეწველობის პროფილის ყველა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, მათი ექსპერიმენტული ბაზები, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებები, საპროექტო-ტექნოლოგიური ინსტიტუტები, შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და გამოთვლითი ცენტრები.

სახაგრომრეწვის სამეცნიერო-ტექნიკურ საბჭოს ხელმძღვანელობს სასოფლო-სამეურნეო აკადემიის საქართველოს განყოფილების პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების მეცნიერული უზრუნველყოფის მთავარი სამმართველო შედგება შემდეგი ძირითადი ქვედანაყოფებისაგან: სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვის, დაგეგმვისა და აღრიცხვის, გამომგონებლობის, რაციონალიზაციისა და საპატენტო-სალიცენზიო მუშაობის, სამეცნიერო ინფორმაციის, აგრეთვე მთავარ სამმართველოს გააჩნია მეცნიერული მიღწევების დანერგვის დარგობრივი ქვედანაყოფები — მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და გადამუშავების სექტორი, მექანიზაციის, ელექტრიფიკაციისა და ენერგეტიკის სექტორი, მიწათმოქმედების, აგროქიმიის, ქიმიზაციისა და მცენარეთა დაცვის სექტორები და ა. შ.

თითოეულ რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებაში შექმნილია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვის განყოფილება ან ჯგუფი, რომელთაც დაკისრებული აქვთ აგროტექნიკის, ეკონომიკის, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის ახალი პროგრესული ფორმების და სხვა მეცნიერულ მიღწევათა შესწავლა და წარმოებაში დანერგვა. ეს ქვედანაყოფები მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვის რესპუბლიკური

სისტემის ადგილობრივი მუშა აპარატებია. საზოგადოებრივ მეურნეობებსა და აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა საწარმოებში არსებული შტატების ფარგლებში ამ საკითხებისათვის გამოყოფილია სპეციალისტი. ჩამოყალიბებულია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვის მწყობრი სისტემა მართვის ყველა დონეზე.

საქართველოში განხორციელებული ღონისძიებები აისახა „ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების მეცნიერული უზრუნველყოფის სრულყოფის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის აგვისტოს დადგენილებაში, სადაც ჩამოყალიბებულია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ძირითადი ამოცანები: მიწათმოქმედებასა და მემცენარეობაში, ქიმიზაციასა და მცენარეთა დაცვაში, მიწის მელიორაციაში, მეცხოველეობასა და საკვებწარმოებაში, კვების მრეწველობის წარმოებასა და გადამუშავებაში, მექანიზაციასა და ელექტრიფიკაციაში;

11. აგროსამრეწველო კომპლექსის დაგეგმვის, სოციალური და ეკონომიკური განვითარების, საფინანსო და საკონტროლო-სარევიზიო მთავარი სამმართველოების სტრუქტურა ძირითადად შეესაბამება სსრ კავშირის სახაგრომრეწვის შესაბამისი დაგეგმვის, სოციალური და ეკონომიკური განვითარების მთავარი სამმართველოს სტრუქტურას.

საკავშირო სტრუქტურისაგან განსხვავებით დაგეგმვის, სოციალური და ეკონომიკური განვითარების მთავარ სამმართველოში ცალკე ქვედანაყოფებად არის წარმოდგენილი სამეურნეო მექანიზმის სრულყოფისა და ფასწარმოქმნა-თვითღირებულების სამმართველოები. ასეთი ცვლილებები გამოწვეულია იმით, რომ მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფის, მეცნიერულად დასაბუთებული ფასწარმოქმნისა და თვითღირებულების დაგეგმვის გაუმჯობესების გარეშე შეუძლებელია მართვაში სასურველი ეფექტის მიღება. სწორედ ამაზე მიუთითა პარტიის XXVII ყრილობაზე მ. ს. გორბაჩოვმა: — „სამეურნეო მართვას, და ეს ცხადია, მუდმივი სრულყოფა ესაჭიროება“ [1], მით უმეტეს, 1987 წლის 1 იანვრიდან ფაქტობრივად აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა დარგი გადასულია მეურნეობრიობის ახალ ეკონომიკურ მეთოდებზე და მათი სწორი მართვა რესპუბლიკიდან არა თუ სასურველი, არამედ სავალდებულო უნდა იყოს. ერთი სიტყვით, სახაგრომრეწვის ცენტრალურ აპარატში ზემოაღნიშნული ქვედანაყოფების არსებობა აუცილებლობით არის გამოწვეული.

---

[1] სკკპ XXVII ყრილობის მასალები. გვ. 50.

დაგეგმვის, სოციალური და ეკონომიკური განვითარების მთავარი სამმართველოს ძირითადი ამოცანაა განახორციელოს აგროსამრეწველო კომპლექსის დაგეგმვის, სოციალური და ეკონომიკური განვითარების ერთიანი პოლიტიკა, იგი ხელმძღვანელობს და კოორდინირებას უწევს დაქვემდებარებული რეგიონალური კომიტეტებისა და გაერთიანებების ანალოგიურ სამსახურებს. ამასთან მთავარი სამმართველოს ძირითად ამოცანებში შედის — აგროსამრეწველო კომპლექსის წარმოების შემდგომი ინტენსიფიკაციის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საფუძველზე შრომის ნაყოფიერების გადიდების, საზოგადოებრივი შეურნეობებისა და სხვა საწარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თანამიმდევრული განმტკიცება, მატერიალური და შრომითი რესურსების მომჭირნეობით და რაციონალურად გამოყენების ორგანიზაცია;

12. აგროსამრეწველო კომპლექსის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება შეუძლებელია სახაგრომრეწვის ისეთი მნიშვნელოვანი ბლოკის გარეშე, როგორიცაა **კაპიტალური მშენებლობისა და რეკონსტრუქციის მთავარი სამმართველო**, რომლის უფროსი სახაგრომრეწვის თავმჯდომარის მოადგილეა. იგი ამასთან ერთად ასრულებს „საქაგრომშენის“ რესპუბლიკური კოოპერატიულ-სახელმწიფო სამშენებლო გაერთიანების თავმჯდომარის ფუნქციასაც.

„საქაგრომშენი“ შეიქმნა ყოფილი სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, „საქმთავარკოლმშენის“ რესპუბლიკური გაერთიანების. გაუქმებული სამინისტროებისა და უწყებების სამშენებლო და სამშენებლო-სარემონტო ქვედანაყოფების ბაზაზე.

„საქაგრომშენის“ აპარატს გააჩნია: აგროსამრეწველო კომპლექსის კაპიტალური დაბანდებების დაგეგმვის, რეკონსტრუქციისა და სოციალური განვითარების, საწარმოო, სამრეწველო და საბინაო-კომუნალური ობიექტების მშენებლობის, სამშენებლო ინდუსტრიის, კომპლექტაციის, ექსპერტიზისა და ხარჯთაღრიცხვის, საპროექტო ორგანიზაციების და სხვა ქვედანაყოფები.

რეგიონალურ ჭრილში — რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებში კაპიტალური მშენებლობის საკითხებს მართავს კოოპერატიულ-სახელმწიფო სამშენებლო სამმართველო ამ მიზნით შექმნილ ქვედანაყოფთან ერთად.

რესპუბლიკაში აგროსამრეწველო კომპლექსის კაპიტალური მშენებლობის მართვა გარკვეულ პერიოდში სამსაფეხურიანი იქნება — „საქაგრომშენი“, სახელმწიფო-კოოპერატიული სამშენებლო ტრესტები და ძი-

რითადი რაიონული რგოლები — სახელმწიფო-კოოპერატიული სამეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციები.

ჩვენი აზრით, მას შემდეგ, რაც საიმისოდ განმტკიცდება რაიონული სახელმწიფო-კოოპერატიული სამეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შესაძლებელი იქნება მართვის საშუალო რგოლის — ტრესტის გაუქმება.

რაიონებში განხორციელდა აგროსამრეწველო კომპლექსის პარალელურად მოქმედი სამშენებლო საწარმოებისა და ორგანიზაციების ინტეგრაცია და შეიქმნა ერთიანი სახელმწიფო-კოოპერაციული სამშენებლო ორგანიზაციები. აღნიშნულმა გამოიწვია მმართველობის აპარატის 400 საშტატო ერთეულით შემცირება 750 ათასი მანეთის წლიური ხელფასის ფონდით.

ამრიგად, რესპუბლიკის სახაგრომრეწვის სამშენებლო ორგანიზაციების გარდაქმნით გაუქმდა პარალელურად მოქმედი სუსტძალოვანი სამშენებლო მოძრავ-მექანიზებული კოლონები, უბნები და სამმართველოები და მათ ბაზაზე შეიქმნა მძლავრი სახელმწიფო-კოოპერატიული სამშენებლო სამმართველოები, რომლებსაც შეუძლიათ წარმატებით გაართვან თავი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმების შესრულებას.

„აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის შემდგომი სრულყოფისა“ და „ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსში მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის შემდგომი სრულყოფის“ შესახებ პარტიისა და მთავრობის დადგენილებებმა ძირეულად შეცვალეს აგროსამრეწველო კომპლექსში კაპიტალურ დაბანდებათა დაგეგმვის წესი და მნიშვნელოვნად გააფართოვეს სისტემის საწარმოებისა და ორგანიზაციების უფლებები კაპიტალურ მშენებლობაში.

აგროსამრეწველო კომპლექსში კაპიტალურ დაბანდებათა და კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვასა და მის ორგანიზაციაში განხორციელებული გარდაქმნის ძირითადი მიმართულებებია:

სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების, გადამუშავებისა და შენახვის განვითარების, არსებული საწარმოების ტექნიკური გადაიარაღების პირველი რიგის ამოცანების გადასაწყვეტად კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის შემდგომი ამაღლება; საწარმოებისა და ობიექტების მშენებლობის დამთავრება დაწესებულ ვადებში და საპროექტო ძლიერების ათვისება, სტაბილური შრომითი კოლექტივების შექმნის მიზნით სოფლის სოციალური გარდაქმნის დაჩქარება;

აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა რგოლის როლისა და პასუხის-

შგებლობის ამაღლება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების უზრუნველსაყოფად:

სახაგრომრეწვის სამშენებლო ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ყოველმხრივი განმტკიცება და განვითარება, საიჯარო და სამეურნეო წესით მშენებლობის განხორციელების ინტეგრაციის შემდგომი განვითარება;

სოფლად მშენებლობის ცენტრალიზებულად ხელმძღვანელობის ოპტიმალური შეთანწყობა საწარმოთა ადგილობრივი ინიციატივისა და დამოუკიდებლობის ყოველმხრივ გაფართოებასთან;

კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებისა და დაკრედიტების სრულყოფა და ეკონომიკური ნორმატივების როლის ამაღლება.

კაპიტალური მშენებლობის განხორციელებაში აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემის საწარმოებისა და ორგანიზაციების უფლებების გაფართოების, მათი როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით დაწესდა, რომ 1987 წლიდან კაპიტალური მშენებლობის გეგმის ყველა მაჩვენებელი განისაზღვროს საბჭოთა მეურნეობებს, ფაბრიკების, ქარხნებისა და სხვა სახელმწიფო საწარმოების მიერ მათზე დაყვანილ კაპიტალურ დაბანდებათა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ლიმიტების ფარგლებში, ხოლო კოლმეურნეობების მიერ ამავე მაჩვენებლების შეტყობინებით, რომლებიც უზრუნველყოფილია მშენებლობისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით.

საყურადღებოა, რომ 1987 წლიდან ეკონომიკური და სოციალური განვითარების წლიური, ხუთწლიანი და პერსპექტიული გეგმების პროექტებში სახელმწიფო დაგეგმვის ობიექტად გათვალისწინებულია იმ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობები, რომლებიც ექვემდებარება აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალ სამინისტროებსა და უწყებებს. ამასთან აგროსამრეწველო კომიტეტების სისტემაში შეტანილია ინდივიდუალური და კოოპერატიული ბინათმშენებლობის დანახარჯები.

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემის სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების გეგმების საფუძველზე რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებები, საოლქო და რესპუბლიკური აგროსამრეწველო კომიტეტები, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სსრ კავშირის სახაგრომრეწვი ამუშავებენ კაპიტალურ მშენებლობათა გეგმებს და უდგენენ ზემდგომ ორგანოებს.

აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკური და სოციალური განვი-

თარების წლიურ და პერსპექტიულ გეგმებში გათვალისწინებულია ამ კაპიტალურ მშენებლობათა საგეგმო მონაცემები, რომლებიც ხორციელდება საბიუჯეტო ასიგნებებით, ხოლო კაპიტალური დაბანდებები — საკუთარი წყაროებით გათვალისწინებულია კაპიტალურ დაბანდებათა მთლიან მოცულობაში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მშენებლობის მატერიალური რესურსებით.

აგროსამრეწველო კომპლექსში კაპიტალურ დაბანდებათა დაგეგმვაში პრინციპულად ახალია ის, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი უშვებს სახაგრომრეწვზე კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტებს მთლიანად, დარგების, მოკავშირე რესპუბლიკებისა და კომპლექსში შემავალი სამინისტროებისა და უწყებების დაყოფის გარეშე. სსრ კავშირის სახაგრომრეწვი კი კაპიტალურ დაბანდებებსა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების საკონტროლო ციფრებს ამუშავებს სისტემის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად და ანაწილებს მოკავშირე რესპუბლიკების სახაგრომრეწვებზე. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოწონების შემდეგ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დაჰყავს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებამდე, აგრეთვე კომპლექსში შემავალი საკავშირო სამინისტროებსა და უწყებებამდე დარგებად დაყოფის გარეშე, მთლიან მოცულობებში.

მოკავშირე რესპუბლიკებში საკონტროლო ციფრები განაწილდება და დაიყვანება აგროსამრეწველო კომპლექსის ადგილობრივ ორგანოებამდე.

ამრიგად, აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ახალი ორგანოების ეფექტიანი საქმიანობის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა ის, რომ სსრ კავშირის სახაგრომრეწვიდან დაწყებული კოლმეურნეობებითა და საბჭოთა მეურნეობებით დამთავრებული, ნათლად არის გამოკვეთილი მართვის ყველა რგოლის უფლება-მოვალეობები და კონკრეტული პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისადმი. სწორედ ამაშია „აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის შემდგომი სრულყოფის თაობაზე“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის ნოემბრის დადგენილების ისტორიული მნიშვნელობა, რომ მართვის თითოეული რგოლი ზუსტად და მტკიცედ ასრულებდეს მის წინაშე დასმულ ამოცანებს.

დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპის მოხდენილად გამოყენებით ამა თუ იმ საკითხის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას უნდა მივაღწიოთ აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის თითოეულ დონეზე ოპტიმალურ ურთიერთგაგებასა და შეთანხმებულობას. ამასთან საკავში-

რო და რესპუბლიკური ორგანოების მთავარი ყურადღება მომართული უნდა იქნეს სტრატეგიული, დარგთაშორისი ხასიათის საკითხების გადაწყვეტისაკენ, ხოლო მართვის უფრო დაბალ ორგანოებს უნდა გადაეცეს მატერიალური წარმოების სფეროს (კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ფაბრიკების, ჭარხნების, საწარმოო გაერთიანებების და ა. შ.) საწარმოთა ოპერატიულ-სამეურნეო მართვა.

„გავზარდოთ ეკონომიკის ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის ქმედითობა, გავაძლიეროთ ცენტრის როლი პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის ძირითადი მიზნების რეალიზაციაში, სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპისა და პროპორციების, მისი შეწონასწორების განსაზღვრაში. ამავე დროს უნდა დავძლიოთ ქვემდგომი სამეურნეო რგოლების ოპერატიულ საქმიანობაში ცენტრის ჩარევის პრაქტიკა“ [1], — აღნიშნულია პარტიის XXVII ყრილობის პოლიტიკურ მოხსენებაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების უმნიშვნელოვანესი პირობაა ეკონომიკის მართვის რადიკალური რეფორმა, სადაც წინა პლანზე დგება ახალი მთლიანი სისტემის შექმნა, რომელზედაც გადასვლამ უნდა უზრუნველყოს ეკონომიკის განვითარების რეალური დაჩქარება, მიანიჭოს მას ახალი დინამიზმი და ხარისხი, დააკმაყოფილოს საზოგადოებრივი მოთხოვნილებანი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა მაქსიმალური, გონივრული სოციალისტური წარმოების წესისათვის დამახასიათებელ უპირატესობათა გამოყენებით, ყველა დონეზე ხელმძღვანელობის ადმინისტრაციული მეთოდებიდან ეკონომიკურ მეთოდებზე მტკიცე გადასვლა, ადამიანის ფაქტორის ყოველმხრივი გააქტიურება.

ამ პლენუმმა საჭიროდ მიიჩნია, რომ ახალი ეკონომიკური მექანიზმის პირობებში აუცილებელია თვისებრივად, ახლებურად გარდაიქმნას ეკონომიკის ცენტრალიზებული ხელმძღვანელობა. აქ კონცენტრირებული იქნება ის გლობალური საკითხები, რომლებიც ცენტრში უნდა წყდებოდეს. ესენია: ეკონომიკური, სოციალური და მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების ზოგადსახელმწიფოებრივი სტრატეგიის განხორციელება, სახალხო-სამეურნეო პროცესების რეგულირება ეკონომიკის სრული და საიმედო შეწონასწორების საფუძველზე.

ამასთან პლენუმმა მოითხოვა შეიქმნას ოპტიმალური პირობები სა-

[1] სკკპ XXVII ყრილობის მასალები. გვ. 50.

წარმოების და ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულების ეფექტიანი მეურნეობრიობისათვის.

გარდაქმნით უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ეკონომიკის ცენტრალიზებული გეგმიანი ხელმძღვანელობის ოპტიმალური შეთანაწყობა მისი ცალკეული რგოლების დამოუკიდებლობასთან, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარებასთან.

პარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებების განხორციელება იძლევა ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსში წარმოების მაღალი ეფექტიანობის გასაღებს.

ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემაში რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებს უდიდესი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, როგორც აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის პირველად რგოლს.

რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების მთავარი ამოცანაა შექმნას ოპტიმალური პირობები გაერთიანებაში შემავალი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათაშორისო საწარმოების, ვაჭრობისა და მომსახურე დარგების საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობის ეფექტიანობის ასამაღლებლად ქვეყნის სასურსათო პროგრამის ამოცანათა წარმატებით განხორციელების მიზნით. სწორედ ამაზე მიუთითა მ. ს. გორბაჩოვმა პარტიის XXVII ყრილობის პოლიტიკურ მოხსენებაში: „საბოლოო ანგარიშით ყველაფერი, რასაც ვაკეთებთ მართვისა და დაგეგმვის სრულყოფისათვის, ორგანიზაციული სტრუქტურების გარდაქმნისათვის, მიზნად ისახავს **სამეურნეო სისტემის ძირითადი რგოლის — გაერთიანებების, საწარმოების ეფექტიანი მუშაობის** პირობების შექმნას“ [1].

პრაქტიკულად ეს ნიშნავს, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დროულად მიეწოდოს აუცილებელი სასოფლო-სამეურნეო მანქანები და ტექნიკა, საწვავ-საცხები, მინერალური და ორგანული სასუქები, ჰერბიციდები, თესლი, სარგავი მასალები და სხვა მატერიალურ-ტექნიკური რესურსები; ისინი უნდა უზრუნველვყოთ ტექნიკისა და მოწყობილობების მაღალხარისხიანი რემონტით; გაუმჯობესდეს სოფლად კაპიტალური მშენებლობისა და რეკონსტრუქციის საქმე; ხელი შევუწყოთ და მხარი დავუჭიროთ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში

[1] სკკპ XXVII ყრილობის მასალები. გვ. 53.

ხელშეწყობის კულტურების მოყვანის ინტენსიური ტექნოლოგიისა და შრომის ორგანიზაციის და შრომის ანაზღაურების პროგრესული ფორმების დამუშავება-დანერგვაში.

რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების ყველა ეს მოქმედება უნდა მივმართოთ შექმნილი საწარმოო-ეკონომიკური პოტენციალის ეფექტიანობის გასაძიდებლად, ნიადაგის ნაყოფიერების გასაუმჯობესებლად და ამის საფუძველზე უზრუნველვყოთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და პირუტყვის პროდუქტიულობის ზრდა პროდუქციის ერთეულზე შრომისა და მატერიალური დანახარჯების შემცირების პირობებში.

ამასთან მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქების სახალხო მეურნეობების წინაშე დასმულია სერიოზული ამოცანები — დასახონ რეგიონების აგროსამრეწველო კომპლექსის პერსპექტიული განვითარების სტრატეგიული მიმართულებები; განახორციელონ უშუალოდ დაკვემდებარებული გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ოპერატიული მართვა; აგრეთვე შექმნან რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების ეფექტიანი მუშაობისათვის ოპტიმალური წინაპირობები.

ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსის მართვისა და მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფა მომავალში აუცილებლად გამოიწვევს წარმოების ორგანიზაციული ფორმების შემდეგ განვითარებას. როგორც ცნობილია, ამჟამად აგროსამრეწველო წარმოების პირველადი რგოლი, მართვის ობიექტია კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სამეურნეობათაშორისო საწარმოები. ფართოდ გავრცელდა სამრეწველო ტიპის სასოფლო-სამეურნეო საწარმოები (მეფრინველეობის ფაბრიკები, მეცხოველეობის კომპლექსები, სასათბურე კომბინატები და ა. შ.). ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის საქართველოში მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო საწარმოების გადამმუშავებელ მრეწველობასთან ინტეგრაციის პროცესი. იქმნება საბჭოთა მეურნეობა-ფაბრიკა. საბჭოთა მეურნეობა-ქარხანა, კოლმეურნეობა-ფაბრიკა და ა. შ.. რომლებშიც ორგანულად არის შერწყმული სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება და სამრეწველო გადამუშავება.

იმ მიზნით, რომ განხორციელდეს ჩაის ფოთლის წარმოებისა და გადამუშავების პროცესების მართვის ერთიანობა, ნედლეულის მწარმოებელ სასოფლო-სამეურნეო წარმოებასა და გადამმუშავებელი სამრეწველო საწარმოს შორის მჭიდრო ეკონომიკური კავშირურთიერთობაა, რათა მიღწეულ იქნეს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და მისი

წარმოების ეფექტიანობის ამაღლება. გალის, მახარაძის, ზუგდიდის, ქობულეთის რაიონებში შეიქმნა ჩაის აგროსამრეწველო კომბინატები.

ჩაის აგროსამრეწველო კომბინატებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩაის ფოთლის შექანიზებული კრეფა, ამასთან ჩაის საკრეფი მანქანების ეფექტიანობა რესპუბლიკის ანალოგიურ სამუალო ეკონომიკურ მაჩვენებელზე მეტია.

აგროსამრეწველო კომბინატებში საბოლოო შედეგებისადმი ნედლეულის მწარმოებელი და გადამმუშავებელი საწარმოების ინტერესთა ერთიანობამ მნიშვნელოვნად გაამარტივა კომბინატის ცალკეულ საწარმოო ქვედანაყოფთა შორის ეკონომიკური ურთიერთობანი, გაუმჯობესდა შრომითი და მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენების შესაძლებლობა. ამას ისიც დაემატა, რომ უზრუნველყოფილია ნედლეულის კრეფისა და გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესების მანევრირება და მოქნილობა, რამაც გამოიწვია საწარმოო ქვედანაყოფთა თანაბარი დატვირთვა და ტექნოლოგიური პროცესების შესრულების ხარისხის ამაღლება.

მოლიანად შეიცვალა ნედლეულის მიღების პროცესი. ფაქტობრივად პოიკპო პიკის პერიოდების უარყოფითი მომენტები, შემცირდა სატრანსპორტო ხარჯები. ყოველივე ამის შედეგად პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებით 17 კაპიკით გაიზარდა თითოეული კილოგრამი ჩაის სარეალიზაციო ფასი, რამაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესა მთლიანად აგროსამრეწველო კომბინატის ფინანსური მდგომარეობა.

ჩაის აგროსამრეწველო კომბინატების გამოცდილება საშუალებას იძლევა ასეთი კომბინატები შეიქმნას ყურძნის, ხილბოსტნეულისა და სხვა პროდუქტების წარმოება-გადამუშავებაში, მით უმეტეს მეთორმეტე ხუთწლედიდან აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოები და ორგანიზაციები გადადიან თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების პრინციპებზე, რაც მატერიალური წარმოების სფეროს ყველა მუშაკისაგან მოითხოვს წარმოებული პროდუქციის მაქსიმალურად გამოყენებას და საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას.

აგროსამრეწველო კომპლექსის ეფექტიანი მართვა საჭიროებს ახალი საწარმოო-სამეცნიერო ან სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებების, მეცნიერების ცალკეული კულტურების საწარმოებლად ინდუსტრიულ-საწარმოო კომპლექსებისა და წარმოების სხვა პერსპექტიული ორგანიზაციული ფორმების შექმნა-განვითარებას. თითოეული ახალი ფორმა უნდა შეიქმნას მეურნეობრიობის კონკრეტული პირობების გათვალისწინებით, გულმოდგინე ანალიზისა და წინასწარი მომზადების საფუძველ-

ზე, მოსალოდნელი ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშებით და არა ხელაღებით ან ვინმეს კარნახით. მით უმეტეს, დღეს, როცა განხორციელებული ღონისძიებებით მიღებული უარყოფითი ეკონომიკური შედეგების დაფარვის გარანტიას სახელმწიფო არ იძლევა.

აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის სრულყოფამ მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მომსახურე დარგების საწარმოთა ფუნქციებში. რესპუბლიკაში პრაქტიკულად გამოიცადა და ოთხი წელია მოქმედებს მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და ექსპლოატაციის ახალი ტიპის საწარმოები.

„სავსოფლტექნიკის“ არსებობის მრავალი წლის მანძილზე ჩამოყალიბდა მანკიერი, ყოვლად უვარგისი პრაქტიკა, როცა რემონტის საწარმოები საწარმოო პროგრამასა და გეგმებს გადაჭარბებით ასრულებდნენ, ბოლო კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დიდძალი ტექნიკა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დაწყებას მოუმზადებელი და გაურემონტებელი ხვდებოდა. რემონტის საწარმოების შესრულებულ სამუშაოებში 30 პროცენტი სხვა სამუშაოები იყო, 20 პროცენტი კი მიმდინარე რემონტი, ე. ი. მთელი შესრულებული სამუშაოების მხოლოდ 50 პროცენტი ემსახურებოდა სასოფლო-სამეურნეო წარმოებას.

რესპუბლიკაში 1984 წელს განხორციელებული გარდაქმნა ითვალისწინებდა მთავარს — სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ტექნიკის ფაქტობრივ მზადყოფნას, მათ ეფექტიან გამოყენებას. ამისათვის ყველა რაიონში მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და ექსპლოატაციის საწარმოსთან შენარჩუნებულია საერთო დანიშნულების სახელოსნოები. ამასთან სახაგრომრეწვს გააჩნია სპეციალიზებული ქარხნები და სახელოსნოები, რომლებიც კაპიტალურად არემონტებენ ტრაქტორებს, ავტომობილებს, მათ ძრავებსა და აგრეგატებს.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და ტრაქტორების ტექნიკური მომსახურება ხორციელდება უშუალოდ მეურნეობებში.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და მოწყობილობის გამართული მუშაობისათვის აუცილებელია ძირეულად შეიცვალოს სათადარიგო ნაწილებით საზოგადოებრივი მეურნეობების მომარაგება. ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია სათადარიგო ნაწილების განაწილებისათვის გამოყენებულ იქნეს ნორმატიული მეთოდი და გამოთვლითი ტექნიკა.

ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის სრულყოფა დღის წესრიგში აყენებს აგროსამრეწველო წარმოების ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზაციული სტრუქტურის საფუძვლიან გარდაქმნას. რეს-

პუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის სატრანსპორტო მეურნეობის მართვის სამწლიანი გამოცდილება შემდგომ სრულყოფას მოითხოვს.

რესპუბლიკის სახაგრომრეწვის სისტემაში თავმოყრილი ათეული ათასობით ავტოტრანსპორტის მომსახურების ორგანიზაციული სტრუქტურის შემდგომი სრულყოფისათვის აუცილებელია გავითვალისწინოთ ავტოტრანსპორტის საწარმოთა სამი კატეგორია: ტექნოლოგიური სატრანსპორტო საწარმოები; რაიონული ავტოსატრანსპორტო საწარმოები და უმსხვილესი, სტრატეგიული სარეზერვო ავტოსატრანსპორტო საწარმოები, რომლებიც უშუალოდ სახაგრომრეწვს დაექვემდებარება.

ოპტიმალურად მიგვაჩნია აგროსამრეწველო კომპლექსის ავტოსატრანსპორტო საწარმოთა შემდეგი ორგანიზაციული სტრუქტურა:

1. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების ავტოსატრანსპორტო საწარმოები;

2. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში თითო-თითო ავტოსატრანსპორტო გაერთიანება;

3. ხილ-ბოსტნეულის ცენტრალიზებული გადაზიდვების 2—3 სპეციალიზებული ავტოსატრანსპორტო გაერთიანება;

4. სახაგრომშენის სპეციალიზებული რესპუბლიკური ავტოსატრანსპორტო გაერთიანება;

5. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ავტოსატრანსპორტო რგოლები და ბრიგადები.

აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის სრულყოფის ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხსაც უნდა შევეხოთ. საქმე ეხება აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა საფეხურზე მართვის აპარატის მუშაკთა შრომის ანაზღაურებას. მართვის შემდგომი სრულყოფის საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული დადგენილებით მნიშვნელოვნად გაიზარდა მმართველობის აპარატის მუშაკთა თვიური სარგოები, რაც იმის საშუალებას იძლევა, რომ აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ყველა დონეზე კადრები მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტდეს.

ამრიგად, სახაგრომრეწვის სისტემაში პარტიისა და მთავრობის დადგენილებებით ყველა ძირითადი პრობლემა დადებითად უნდა გადაწყდეს. მართვის ახალი ორგანოების წინაშე დასმული რთული ამოცანების წარმატებით განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა დონეზე ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების შეცვლით. ქვეყნის სახაგრომრეწვის სისტემის ყველა დონეზე მართვის აპარატის ამოცანაა მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესსა და მოწინავე

გაჯოცდილებებზე დაყრდნობით გამოვავლინოთ აგროსამრეწველო წარმოების ზრდის მიმართულებანი და მივცეთ მატერიალური წარმოების სფეროს განსახორციელებლად.

აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა დონეზე მართვის აპარატის ძიერ ახალი, რთული ამოცანების შესრულება დამოკიდებულია ორი ბთავარი საკითხის გადაწყვეტასთან. ჯერ ერთი, მართვის სისტემამ დროულად უნდა მოახდინოს კომპლექსის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროპორციული და დაბალანსებული დაგეგმვა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების პირობებში;

მეორე, მართვის აპარატების მიერ რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოხდეს მეურნეობრიობის ახალი ეკონომიკური მექანიზმის როგორც ათვისება, ასევე დანერგვა; მაქსიმალურად მოვახდინოთ რეალიზება იმ უპირატესობების, რომლებიც ჩადებულია მართვის ახალ სისტემაში;

ამასთან აუცილებელია გავითვალისწინოთ პარტიის XXVII ყრილობის მოთხოვნა, მართვის ყველა დონეზე, ყველა მუშაკი საქმიანობდეს კომპეტენტურად და საგნობრივად, აკეთებდეს მხოლოდ იმ საქმეს, რაც მას აქვს დავალებული.

„მართვის ორგანოები ცალკეულ ტექნოლოგიურ ოპერაციებს კი არ უნდა წარმართავდნენ, — ხაზგასმით აღნიშნა ი. კ. ლიგაჩოვმა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში 1987 წლის 23 იანვარს მოწვეულ თათბირზე, — რაც მეურნეობათა ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების კომპეტენციას განეკუთვნება, არამედ ეკონომიკას, კადრების სწავლებას, სიახლეთა დანერგვას, სოციალურ საკითხებს, აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარებაში გეგმაზომიერებისა და პროპორციულობის უზრუნველყოფას“ [1].

ეს ფუძემდებლური მითითებები, თავის მხრივ, ძირეულად ცვლის აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა დონეზე თვითმმართველობითი საქმიანობის შინაარსს. არსებითად უნდა გაიზარდოს მმართველობითი გადაწყვეტის წინა პერიოდის ანალიზური და კვლევითი მუშაობის ხვედრითი წონა, განსაკუთრებით პროგნოზირების, პერსპექტიული დაგეგმვის, კოორდინაცია-ინტეგრაციის და შესრულების კონტროლის ელემენტებისა. ეს კი, თავის მხრივ, მოითხოვს მმართველობის აპარატის იმ მუშაკთა რიცხოვნობის გადიდებას, რომელთაც ეკონომიკური მომზადება აქვთ მიღებული, ერკვევიან ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექ-

[1] «Правда», 25 января 1987 года.

ნოლოგიის არსში. გასათვალისწინებელია, რომ აგროსამრეწველო კომპლექსში ბევრი ამოცანა უნდა გადაწყდეს კომპლექსურად.

აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ყველა დონეზე უნდა გავითვალისწინოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის შენიშვნები მასზე, რომ მართვის არსებულ სტრუქტურასა და მეთოდებს ახასიათებს მოუქნელი და გაბერილი აპარატი, რომელიც ეკონომიკას ხელმძღვანელობს არა ეკონომიკური ინტერესების გამოყენების, არამედ დეტალური და ოპერატიული განკარგულებების, წვრილმანი კონტროლისა და მეურვეობის გზით, რის გამოც მართვის სისტემას არა აქვს სათანადო ეფექტი. მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტები უნდა გახდნენ აგროსამრეწველო კომპლექსის სამეცნიერო-ტექნიკური და საგეგმო-ეკონომიკური შტაბები. ისინი უნდა განთავისუფლდნენ საწარმოთა ოპერატიული მართვის ფუნქციებისაგან. ამასთან მოვალენი არიან პასუხს აგებდნენ ქვეყნის წინაშე პროდუქტებზე მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, აღკვეთონ დისპროპორციები, უზრუნველყონ წარმოების ტექნოლოგიისა და პროდუქციის ხარისხის მსოფლიო დონეზე აყვანა, ორგანიზაცია გაუწიონ საერთო-დარგობრივი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას. აგროსამრეწველო კომიტეტების ძირითადი ამოცანაა ეფექტიანად აწარმოონ მუშაობა სპეციალიზაციისა და კოოპერირების გასაღრმავებლად, წარმოების ორგანიზაციისა და სტრუქტურის სრულყოფის უზრუნველსაყოფად.

პლენუმმა მოითხოვა, რომ სახელმწიფო კომიტეტებში უნდა განმტკიცდეს სამეცნიერო-ტექნიკური და საგეგმო-ეკონომიკური ქვედანაყოფები და ლიკვიდირებულ იქნეს აპარატის ის ნაწილი, რომელსაც ოპერატიულ-სამეურნეო ფუნქციები აკისრია. აპარატის მუშაკები კარგად უნდა ფლობდნენ ხელმძღვანელობის ეკონომიკურ მეთოდებს, ხელს უწყობდნენ მუშაობის სტილის დემოკრატიზაციას და საჯაროობას.

დაბოლოს, აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ორგანოების საქმიანობაში წარმატებების მისაღწევად საჭიროა „განვახორციელოთ მართვის ყოველმხრივი დემოკრატიზაცია, გავზარდოთ მასში შრომითი კოლექტივების როლი, გავაძლიეროთ კონტროლი ქვემოდან, ანგარიშვალდებულება და საჯაროობა სამეურნეო ორგანოების მუშაობაში“ [1] — მიუთითა მ. ს. გორბაჩოვმა პარტიის XXVII ყრილობაზე.

---

[1] სკკპ XXVII ყრილობის მასალები. გვ. 51.

თავი III

აგროსამრეწველო კომპლექსის მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფა და საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის პრობლემები

მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმი და მისი სრულყოფის მეცნიერული საფუძვლები

სკკპ XXVII ყრილობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებში ხაზგასმულია, რომ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მისაღწევად აუცილებელია საბჭოთა ეკონომიკის განვითარებაში ინტენსიური ფაქტორების როლის განუხრელი გაძლიერება, სახალხო მეურნეობის მართვაში დემოკრატიული ცენტრალიზმის ლენინური პრინციპების აღდგენა და განვითარება, მართვის ეკონომიკური მეთოდების უყოლგან დანერგვა ადმინისტრირებისა და მბრძანებლობის საწინააღმდეგოდ, სრული სამეურნეო ანგარიშის პრინციპებზე, შრომისა და წარმოების ორგანიზაციის ახალ ფორმებზე სახალხო მეურნეობის ყველა რგოლის გადასვლის უზრუნველყოფა, მომჭირნეობისა და მეურნეობრივი გერგილიანობის ყოველმხრივი წახალისება.

საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გადიდება შეუძლებელია მართვის ეკონომიკური მეთოდების გარეშე, რაც თავის მხრივ. უშუალო კავშირშია სასაქონლო-ფულადი ურთიერთობისა და ღირებულების კანონის მოქმედების ოპტიმალურ გამოყენებასთან.

„სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის როლისა და ღირებულების კანონის მოქმედების ათვალწუნება, — აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმზე, — ხშირად კი მათი უშუალო დაპირისპირება სოციალიზმისათვის, როგორც რაღაც უცხო სხეულისა, იწვევდა ვოლუნტარისტულ მიდგომებს ეკონომიკაში, სამეურნეო ანგარიშის დაუფასებლობას, „გათანაბრებას“ შრომის ანაზღაურებაში, წარმოშობდა სუბიექტივისტურ საწყისებს ფასწარმოქმ-

ნაში, ფულის მიმოქცევის დარღვევებს, უყურადღებობას მოთხოვნისა და მიწოდების რეგულირების საკითხებისადმი“ [1].

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმზე ხაზგასმული იქნა, რომ ჩვენს ქვეყანაში დიდხანს ვეცადეთ ეკონომიკას გავძღოლოდით ენთუზიაზმის საფუძველზე, ზოგჯერ — ბრძანების ძალით და არა ვ. ი. ლენინის მითითებებით — პირადი ინტერესის, მატერიალური დაინტერესების საფუძველზე, ენთუზიაზმის დახმარებით.

სწორედ ამიტომ პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს და პირველი რიგის ამოცანად სახავს ეკონომიკის დაჩქარებული ტემპებით განვითარებას. პარტიის თანამედროვე ეკონომიკური სტრატეგია ითვალისწინებს ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებას პრინციპულად ახალ მეცნიერულ-ტექნიკურ და ორგანიზაციულ-ეკონომიკურ დონეზე, მის გადაყვანას ინტენსიური განვითარების რელსებზე.

სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, პარტიამ შეიმუშავა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმმა დასახა ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის კურსი, რომლის საკვანძო ამოცანა, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების უმნიშვნელოვანესი პირობაა ეკონომიკის მართვის რადიკალური რეფორმა. აქ წინა პლანზე დგება მართვის ერთიანი სისტემის შემუშავება, რომელიც მოიცავს:

1. საწარმოთა და გაერთიანებათა დამოუკიდებლობის საზღვრების მკვეთრ გაფართოებას, მათ გადაყვანას სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე;

2. ეკონომიკის ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის ძირეულ გარდაქმნას, მისი თვისებრივი დონის ამაღლებას, მთლიანად სახალხო მეურნეობის განვითარების სტრატეგიის, ტემპებისა და პროპორციების, მისი შეწონასწორების განმსაზღვრელი მთავარი პროცესების ცალკე გამოყოფას, ამასთან მართვის ცენტრალური ორგანოების საბოლოო განთავისუფლებას ქვემდგომი სამეურნეო რგოლების ოპერატიულ საქმიანობაში ჩარევისაგან;

3. დაგეგმვის, ფასწარმოქმნის, საფინანსო-საკრედიტო მექანიზმის კარდინალურ რეფორმას, წარმოების საშუალებათა საბითუმო ვაჭრობაზე გადასვლას და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, საგარეო-ეკონო-

[1] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები, 1987 წლის 27—28 იანვარი, გვ. 13.

მიკური ურთიერთობის, შრომისა და სოციალური პროცესების მართვის გარდაქმნას;

4. ახალი ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს სპეციალიზაციისა და კოოპერირების გაღრმავებას, ამასთან მეცნიერების უშუალოდ წარმოებაში მოქცევას და ამ საფუძველზე ხარისხის მსოფლიო დონის მიღწევას;

5. მმართველობის მეტისმეტად ცენტრალიზებული სისტემიდან დემოკრატიულ სისტემაზე გადასვლას, თვითმმართველობის განვითარებას, ადამიანის პიროვნული პოტენციალის გააქტიურების მექანიზმის შექმნას, პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი და სამეურნეო ფუნქციების მტკიცე გამიჯვნას და მათი საქმიანობის სტილისა და მეთოდების ძირეულ შეცვლას.

ქვეყნის ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის დედაარსად სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმმა მიიჩნია ყველა დონეზე ხელმძღვანელობის უპირატესად ადმინისტრაციული მეთოდებიდან ეკონომიკურ მეთოდებზე, ეკონომიკური ინტერესების მართვასა და ამ ინტერესების მეშვეობით მართვაზე, მმართველობის ფართო დემოკრატიზაციასა და ადამიანის ფაქტორის ყოველმხრივ გააქტიურებაზე გადასვლა.

ჩვენი საუკუნის დამლევისათვის ერთიორად უნდა გაიზარდოს ეროვნული შემოსავალი, ორჯერ უნდა გადიდდეს ქვეყნის საწარმოო პოტენციალი, ამასთან თვისებრივად გარდაიქმნას იგი. ამ ამოცანის განსახორციელებლად საჭიროა შრომის ნაყოფიერება გაიზარდოს 2,3—2,5-ჯერ, ეროვნული შემოსავლის ენერგოტევადობა შემცირდეს 1,4-ჯერ და ლითონტევადობა — თითქმის 2-ჯერ, რაც სხვა არაფერს ნიშნავს, თუ არა წარმოების ინტენსიფიკაციაში გარდატეხას.

სოციალისტური წარმოების ინტენსიფიკაცია რთული და მრავალწახნაგოვანი პროცესია. იგი არის საწარმოო ორგანიზმის ფუნქციონირება ოპტიმალური დაძაბულობის პირობებში, რომელიც მიიღწევა წარმოების ნივთობრივი და პიროვნული ფაქტორების სრულყოფით.

წარმოების ინტენსიფიკაცია არის მატერიალური და შრომითი რესურსების ეკონომია, ხოლო ეფექტიანობა გვიჩვენებს შედეგს, რომელიც ინტენსიფიკაციით მიიღწევა.

სოციალისტური საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი სტრატეგიული ამოცანა ყოველთვის იყო და რჩება სახალხო მეურნეობის ინტენსიური განვითარების რელსებზე გადაყვანა.

წარმოებისა და მიმოქცევის პროცესების ინტენსიფიკაცია ამოკლებს

წარმოების დროს, განსაკუთრებით სამუშაო პერიოდს, მიმოქცევის დროს, მთლიანად კვლავწარმოების ციკლს, აგრეთვე მის დანახარჯებს. წარმოების ინტენსიფიკაცია სახალხო მეურნეობის დარგების საწარმოო პროცესებს გარდაქმნის განუწყვეტელ პროცესად.

წარმოების ინტენსიფიკაციით განისაზღვრება საწარმოო პროცესებისა და მათი ოპერაციების განხორციელების სისწრაფე. რაც უფრო სწრაფად მიმდინარეობს წარმოების პროცესი, მით უფრო ინტენსიურია ის და მით მეტი პროდუქცია იწარმოება მოცემულ საწარმოში დროის ერთეულში.

სოციალიზმის კაპიტალიზმთან უპირატესობამ ჩამოაყალიბა მისი ისტორიული მისია: გადააქციოს სოციალისტური სოფლის მეურნეობა მსხვილ, მაღალინტენსიურ დარგად, რომელიც წარმოების საშუალებების საზოგადოებრივ საკუთრებას ემყარება. სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია ემყარება მექანიზაციას, ქიმიზაციას, მელიორაციას, სელექციას და სხვა ღონისძიებებს, რომლებიც ხელს უწყობენ წარმოების შემდგომ განსაზოგადოებასა და ტექნიკურ გარდაქმნებს.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმისა და სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებში ხაზგასმულია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის, მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების დაჩქარებული დანერგვის, მიწის მაღალეფექტიანი გამოყენების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ყოველმხრივი განმტკიცებისა და აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოო-ტექნიკური პოტენციალის გამოყენების გაუმჯობესების აუცილებლობა.

რამდენადაც ინტენსიფიკაცია და ეფექტიანობა საშუალებას იძლევა მიღებულ იქნეს საზოგადოებრივი პროდუქტის, ეროვნული შემოსავლის, სამუშაო ძალის კვლავწარმოების ფონდისა და დაგროვების ფონდის დიდი მოცულობა დროის მოკლე პერიოდში და ნაკლები დანახარჯებით, ისინი სოციალისტური წარმოების ძირითად მიზანს შეესაბამებიან.

ინტენსიფიკაცია და ეფექტიანობის ზრდა ხალხის კეთილდღეობის ამაღლების წინაპირობაა.

— ინტენსიფიკაციის საფუძველთა საფუძველია ტექნიკური პროგრესი. დღეს, როდესაც ამოწურულია იაფი წიაღისეული, მინერალური და ენერგორესურსები, რაც იწვევს ნედლეულის, მასალებისა და მოწყობილობის გაძვირებას და წარმოების ეფექტიანობის დაცემას, ტექნიკური პროგრესის ფართოდ გამოყენებით უნდა მივაღწიოთ ნედლეულისა და მოწყობილობების გაძვირების ტენდენციის შენელებას, შეჩერებას.

მაგალითად, ჰიდროენერგორესურსების გაძვირებამ დღის წესრიგში დააყენა ატომური ენერგეტიკის პრაქტიკაში ფართოდ დანერგვა.

ტექნიკური პროგრესი, როგორც ინტენსიფიკაციის გადამწყვეტი ფაქტორი ვლინდება შრომის ნაყოფიერების გადიდებაში, ეს უკანასკნელი კი წარმოების ინტენსიფიკაციისა და სამუშაო ძალის გამოყენების მთავარი განმსაზღვრელია. ინტენსიფიკაცია იწვევს ნედლეულის, სათბობის, მასალების დანახარჯების შედარებით შემცირებას, ძირითადი საწარმოო ფონდებისა და მოწყობილობების დიდ უკუგებას, თითოეული მუშაკის დროის ერთეულში გამომუშავების გადიდებას.

ეკონომიკის ტექნიკური გადაიარაღება ინტენსიფიკაციის გენერალური, მაგისტრალური ხაზია. ამიტომ არის პარტიის XXVII ყრილობამ უდიდესი პროგრამა დასახა წარმოების მაღალი ტექნიკური დონის უზრუნველსაყოფად, რომლითაც მიღწეული იქნება საზოგადოებრივი წარმოების მაღალი ეფექტიანობა.

„მივაღწიოთ **წარმოების ინტენსიფიკაციაში გარდატეხას** იმ საფუძველზე, რომ ფართოდ გამოვიყენოთ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, განვახორციელოთ პროგრესული ძვრები წარმოების სტრუქტურასა და ორგანიზაციაში, გავაუმჯობესოთ შრომის, ტექნოლოგიური და სახელმწიფო დისციპლინა“ [1], ჩაწერილა სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986—1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებში.

პარტია წარმოების ინტენსიფიკაციაში გარდატეხის შეტანას იმიტომ მოითხოვს, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა გავიდა იმ მიჯნებზე, საიდანაც მაღალი ტემპებით განვითარება მიიღწევა არა ექსტენსიური, არამედ ინტენსიური გზებით.

მეთორმეტე ხუთწლედში დასახული წარმოების ინტენსიფიკაციის მაღალი მიჯნები დაკავშირებულია არა მარტო ახალი ტექნიკის მაღალი ტემპებით წარმოებაში, არამედ არსებული ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების გაუმჯობესებაში. უახლოეს ათწლეულში ახალი ობიექტების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის ვადები 1,5—2-ჯერ უნდა შემცირდეს.

წარმოების ინტენსიფიკაციის გაძლიერების ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი თავისებურებაა ის, რომ მისი განხორციელების გზები და საშუალებები გამაგრებულია ეკონომიკური პოლიტიკის შესაბამისი ინსტრუმენტებით. სწორედ ამიტომ იყო, რომ სკკპ XXVII ყრილობამ

[1] სკკპ XXVII ყრილობის მასალები. გვ. 429.

განვლილი ხუთწლედების ეკონომიკის პრობლემების კრიტიკული ანალიზის ბაზაზე დასახა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კარდინალური დაჩქარების სტრატეგია. ეს მოთხოვნა ჩაწერილია აგრეთვე პარტიის პროგრამის ახალ რედაქციაშიც.

მიმდინარე ხუთწლედში წარმოების მაღალი ტემპების მისაღწევად საჭიროა მისი ყველა ფაქტორის ოპტიმალურად ამოძრავება. წარმოების ინტენსიფიკაციის ფაქტორები დროის მიხედვით ორ ჯგუფად იყოფა: პირველს განეკუთვნება ხანგრძლივი პერიოდის ფაქტორები, რომლებიც მოითხოვენ დიდი მოცულობის კაპიტალურ დაბანდებებს ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შემუშავება-გამოყენების ღონისძიებებისათვის, ხოლო მეორეს — მიმდინარე პერიოდის ფაქტორები, რომლებიც დიდ დანახარჯებს არ მოითხოვენ, ეფექტიანობას აღწევენ მართვის სრულყოფისა და შრომის ორგანიზაციის გზით.

პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებში მოცემულია ის მექანიზმი, რომელსაც ინტენსიფიკაციის ფაქტორები მოქმედებაში მოჰყავს. უფრო კონკრეტულად, ისინი ვლინდება შრომითი რესურსებისა და ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების გაუმჯობესებაში, მატერიალური დანახარჯების ეკონომიაში და სხვა ხარისხობრივი მაჩვენებლების სრულყოფაში.

წარმოების ინტენსიფიკაციაში გარდატეხის შეტანა და ამის საფუძველზე საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება შეუძლებელია ძველი სამეურნეო მექანიზმით. საჭირო შეიქმნა სამეურნეო მექანიზმის რადიკალური გარდაქმნა. ქვეყნის სამეურნეო მექანიზმი, მართვის სისტემის, ჩვენი ეკონომიკური ფორმების რადიკალური გარდაქმნა მიმართულია ჩამორჩენილი წარმოებით ურთიერთობათა წინწასაწევად, რათა იგი უფრო სრულად შეესაბამებოდეს საწარმოო ძალების განვითარების სადღეისო მოთხოვნებს.

სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნა საშუალებას იძლევა დავემყაროთ ზრდის ინტენსიურ ფაქტორებს, უფრო ფართოდ დავნერგოთ წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევები და ამით უზრუნველვყოთ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ოპტიმალურ დონემდე გადიდება.

როგორც ცნობილია, წარმოების ყოველ წესს გააჩნია მისთვის დამახასიათებელი სამეურნეო მექანიზმი, რომლის სოციალურ-ეკონომიკური ბუნება განსაზღვრულია წარმოების საშუალებებზე გაბატონებული საკუთრების ურთიერთობით და უცვლელია ამ ეკონომიკური ფორმაციის არსებობის მანძილზე. ამასთან ყურადსაღებია ისიც, რომ სამეურნეო

მექანიზმის შინაარსი შეიძლება შეიცვალოს საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობის განვითარების, საზოგადოებრივი წარმოების სტრუქტურისა და ორგანიზაციული ფორმების შეცვლის გავლენით.

სამეურნეო მექანიზმის არსს, მეურნეობის გაძღოლის საფუძვლებს განსაზღვრავს წარმოების წესი, საკუთრების ურთიერთობანი. სამეურნეო მექანიზმი ერთიანი, მწყობრი სისტემაა, რომლის ყველა ნაწილი, მიზანი და მიზნის მიღწევის საშუალება ურთიერთდაკავშირებული მოვლენებია. სამეურნეო მექანიზმის სტრუქტურაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მეურნეობრიობის ურთიერთობას, რომელიც ხორციელდება წარმოებითი ურთიერთობის გამოვლინების კონკრეტულ ფორმებში.

მეურნეობის გაძღოლის მეთოდი წარმოების საშუალებებზე არსებულ საკუთრებასთან შედარებით მეორადია, ამიტომ როგორიცაა საკუთრების ტიპი და ხასიათი, ისეთივეა სამეურნეო მექანიზმის სოციალურ-ეკონომიკური ტიპი და ხასიათი.

სამეურნეო მექანიზმის ურთიერთობათა მეცნიერული ანალიზი მოცემული აქვთ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებს. სოციალისტური საზოგადოების სამეურნეო მექანიზმის დამუშავებაში უდიდესი დამსახურება მიუძღვის ვ. ი. ლენინს. ვ. ი. ლენინმა „საბჭოთა ხელისუფლების მორიგ ამოცანებში“ სოციალიზმის სამეურნეო მექანიზმი განიხილა როგორც აუცილებელი პირობა კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასასვლელად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თავისი განვითარების ყველა ეტაპზე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების უზრუნველსაყოფად სამეურნეო მექანიზმის მუდმივ სრულყოფას.

სოციალისტური საზოგადოების სამეურნეო მექანიზმი ეკონომიკის გეგმიანი მართვის საშუალებაა, რომელიც დამყარებულია სოციალიზმის ეკონომიკური კანონების მოქმედებასა და გამოყენებაზე და რომლისთვისაც დამახასიათებელია ყველა ის თავისებურება, რაც ახასიათებს სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობას, საზოგადოებრივი წარმოების ორგანიზაციულ ფორმებს, მართვის სტრუქტურასა და მეთოდებს [1]. სოციალისტური საზოგადოების სამეურნეო მექანიზმი, მისი წინამორბედი სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციების სამეურნეო მექანიზმის მსგავ-

[1] იხ. Экономический строй социализма, под редакцией Е. Капустина. Том 3, М., 1984, с. 45.

სად, მრავალმხრივი სტრუქტურით ხასიათდება, სისტემატურად ვითარდება და განიცდის სრულყოფას.

სოციალისტური წარმოების წესის სამეურნეო მექანიზმი არის სოციალისტური მეურნეობრიობის სისტემა, რომელიც აერთიანებს ეკონომიკის მართვას, როგორც მეურნეობრიობის გაძღოლის ფუნქციას და წარმოებით ურთიერთობას, როგორც საზოგადოებრივი წარმოების პროცესების ორგანულად შემაკავშირებელ ურთიერთობას.

სამეურნეო მექანიზმი სხვა არაფერია, თუ არა წარმოების, განაწილების, გაცვლის, მოხმარებისა და დაგროვების სფეროში ეკონომიკურ ურთიერთობათა მექანიზმი და თავის თავში გულისხმობს ამ ურთიერთობათა რეგულირების მეთოდებს, ბერკეტებსა და სტიმულებს, ეკონომიკის გეგმაზომიერი, მყარი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად ეკონომიკური პროცესების შეფასების კრიტერიუმებსა და მაჩვენებლებს.

სამეურნეო მექანიზმი მართვის სისტემის შემადგენელი ნაწილია და ემყარება იმავე პრინციპებს, რასაც მართვა ემყარება. სამეურნეო მექანიზმის სპეციფიკას წარმოადგენს მასში მართვის ეკონომიკური მეთოდების თავმოყრა. სამეურნეო მექანიზმის პრინციპების ქვეშ იგულისხმება წარმოების, გაცვლის, განაწილებისა და მოხმარების პროცესში ურთიერთობის წესები, ნორმები, რომლებიც განპირობებულია სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობით და მისი კანონზომიერებით.

სამეურნეო მექანიზმის ფუნქციონირების კონკრეტული პრინციპები შემდეგია: დემოკრატიული ცენტრალიზმი, საწარმოების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობისათვის ნორმალური ეკონომიკური პირობების შექმნა, საზოგადოებრივი წარმოების პროცესში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის ფუნქციონირება, მატერიალური და ფულადი საშუალებების ხარჯვისა და შრომის დანახარჯების ნორმირება, ეკონომიკური კავშირების სახელშეკრულებო ურთიერთობა, საწარმოს (გაერთიანების) სრული მატერიალური პასუხისმგებლობა საბოლოო შედეგებისათვის, საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობა.

სამეურნეო მექანიზმი ზოგად ფორმებში საზოგადოებრივი წარმოების ორგანიზაციის საშუალებაა მისთვის დამახასიათებელი ფორმებითა და მეთოდებით, ეკონომიკური სტიმულებითა და სამართლებრივი ნორმებით. იგი ადამიანთა ერთობლივად საქმიანობის ორგანიზაციის საშუალებაა, რომელიც მოიცავს ეკონომიკურს, ადმინისტრაციულს, სამართლებრივს და აღმზრდელობით მეთოდებს.

სამეურნეო მექანიზმი იმ ეკონომიკური ბერკეტების ერთიანობაა, რომლებიც მოწოდებულია მართვის სხვადასხვა დონეზე აქტიური ზე-

მოქმედება მოახდინოს წარმოებაზე საზოგადოების წინაშე მდგარი ეკონომიკური და სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტის პროცესში.

სამეურნეო მექანიზმი დაგეგმვის მეთოდებისა და სისტემების, წარმოების სტიმულირების ეკონომიკური ბერკეტების, მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის ერთობლიობაა.

„სოციალისტური ეკონომიკის მართვის სისტემა, მისი სამეურნეო მექანიზმი შეიცავს, როგორც ცნობილია, დაგეგმვას, რომელიც მართვის ცენტრალური რგოლია; სოციალისტური მეურნეობის ხელმძღვანელობის პრაქტიკაში გამოყენებულ ეკონომიკურ ბერკეტებსა და სტიმულებს; სამეურნეო ორგანოების ორგანიზაციულ სტრუქტურას, მათი მუშაობის მეთოდებსა და სტილს; წარმოების მართვაში შრომითი კოლექტივების მონაწილეობის სხვადასხვა ფორმას“ [1].

თავისი სირთულითა და მრავალფეროვნებით სამეურნეო მექანიზმს ანალოგი არ გააჩნია. სოციალიზმის პირობებში სამეურნეო მექანიზმის ქმედითობისა და ეფექტიანობის ხარისხი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობს მეურნეობის გეგმიანი გაძღოლა, რამდენად არის მიღწეული წარმოების პროცესში ადამიანთა შეთანხმებული საქმიანობა და მათ მიერ სოციალიზმის ეკონომიკური კანონების მოქმედების შეცნობისა და გამოყენების დონე. სწორედ სამეურნეო მექანიზმის საშუალებით უნდა მოხდეს სოციალისტური საზოგადოების ეკონომიკური ინტერესების — სახელმწიფოს, კოლექტივისა და მისი თითოეული წევრის ინტერესების ოპტიმალური შეთანაწყობა.

სოციალისტური საზოგადოების სამეურნეო მექანიზმს თავისი განვითარების ყველა ეტაპზე ერთიანი, საერთო სოციალურ-ეკონომიკური ბუნება გააჩნია. ყველა ქვეყნისა და დროისათვის ერთიანია სოციალისტური მეურნეობრიობის პრინციპები. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეკონომიკური ცხოვრების ორგანიზაციის კონკრეტული ფორმებიც ერთნაირი იყოს. სულ მუდამ ვითარდება და იზრდება წარმოების მასშტაბები, მრავალმხრივია სამეურნეო ურთიერთობანი, მიმდინარეობს სიღრმისეული გარდაქმნები მეცნიერებასა და ტექნიკაში, საზოგადოებრივი წარმოების სტრუქტურასა და მოთხოვნათა სისტემაში, რომლებიც წარმოშობენ სამეურნეო მექანიზმში აუცილებელ ცვლილებებს.

სამეურნეო მექანიზმში შეიძლება გავარჩიოთ ორი სახის ცვლილებები:

---

[1] სამეურნეო მექანიზმის სრულყოფა. თბილისი, 1981, გვ. 13—14.

პირველს მიეკუთნება ის ცვლილებები, რომლებიც თვით სამეურნეო მექანიზმის არსებულ ფორმებს არ ცვლის, მაგრამ მისი გაუმჯობესება განუწყვეტლივ მიმდინარეობს ცალკეული რგოლების სრულყოფის გზით, ხოლო მეორე სახის ცვლილებები იწვევს სამეურნეო მექანიზმის ძირეულ გარდაქმნასა და მის ხარისხობრივად ახალ საფეხურზე განვითარებას.

ცვლილებები სამეურნეო მექანიზმში ავტომატურად კი არ ხდება, არამედ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეკონომიკური პოლიტიკიდან გამომდინარეობს. ხოლო ამ უკანასკნელის საფუძველზე მიმდინარეობს ცვლილებები მეურნეობრიობის ფორმებსა და მეთოდებში, მართვის ორგანიზაციულ სტრუქტურაში, ამა თუ იმ ეკონომიკურ ბერკეტში.

საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება ოპტიმალურ დონემდე მიიღწევა მხოლოდ მაშინ, როცა სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის პროცესი ადეკვატურია პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებთან და ამოცანებთან. ხოლო სამეურნეო მექანიზმის მეშვეობით — საწარმოო ძალების მიღწეული დონე ადეკვატურია სოციალისტური წარმოების განსაზოგადოების საფეხურთან. და, პირიქით, ზემოაღნიშნული ადეკვატურობის დარღვევა, ეკონომიკის განვითარების მასშტაბებსა და ტენდენციებს შორის წინააღმდეგობის წარმოშობა მეურნეობრიობის კონკრეტულ ფორმებს შორის იწვევს ნეგატიურ მოვლენებს, ანელებს წარმოების განვითარებას, მის ეფექტიანობას და სოციალური ამოცანების გადაწყვეტას.

სოციალისტური წარმოების წესის სამეურნეო მექანიზმის შესწავლისას მთავარია გავარკვიოთ მისი ფუნქციები, რომლებმაც ოპტიმალური პირობები უნდა შექმნან წარმოების ფუნქციონირებისათვის. მისი ფუნქციებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

ა) საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობაში ოპტიმალური შესაბამისობის უზრუნველყოფა. აქ სამეურნეო მექანიზმის სრულყოფა გამოდის როგორც სოციალისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელ წინააღმდეგობათა აღმოფხვრის სპეციფიკური ფორმა;

ბ) წარმოების საშუალებებზე სოციალისტური საკუთრების უპირატესობათა ეკონომიკური რეალიზაცია;

გ) სოციალიზმის ეკონომიკური კანონების შეგნებული გამოყენება;

დ) პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების უზრუნველყოფა.

პარტიის XXVII ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ეკონომიკაში

ახალი ამოცანები ვერ გადაწყდება თუ ღრმად არ გარდაიქმნა სამეურნეო მექანიზმი, არ შეიქმნა მართვის ერთიანი, ეფექტიანი და მოქნილი სისტემა.

ყრილობამ განსაზღვრა სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნის ძირითადი მიმართულებები: ეკონომიკაზე ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის ქმედითობის გაზრდა; გაერთიანებათა და საწარმოთა დამოუკიდებლობის გაფართოება, მათი პასუხისმგებლობის ამაღლება საუკეთესო საბოლოო შედეგების მიღწევისათვის; სახალხო მეურნეობის ყველა დონეზე ხელმძღვანელობის ეკონომიკურ მეთოდებზე გადასვლა; მართვაზე თანამედროვე ორგანიზაციული სტრუქტურების მინიჭება წარმოების კონცენტრაციის, სპეციალიზაციისა და კოოპერირების ტენდენციათა გათვალისწინებით; მეურნეობის დარგობრივი და ტერიტორიული მართვის ოპტიმალური შეხამების, რესპუბლიკებისა და რეგიონების კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველყოფა, რაციონალური დარგთაშორისი კავშირურთიერთობის მოგვარება; მართვის ყოველმხრივი დემოკრატიზაციის განხორციელება.

„უეჭველია, ამხანაგებო, — აღნიშნა ყრილობაზე მ. ს. გორბაჩოვმა, — ჩვენ ვდგავართ სოციალისტური სამეურნეო მექანიზმის უაღრესად სერიოზული გარდაქმნის წინაშე. მისი განხორციელება დაიწყო... მაგრამ ჩვენ მხოლოდ გზის დასაწყისში ვართ. ჩვენი ქვეყნის პირობებში, რომელსაც უდიდესი და რთული ეკონომიკა აქვს, სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნისათვის საჭიროა დრო და ენერგიული ღონისძიებანი. შეიძლება წავაწყდეთ სიძნელეებს, დაზღვეული არა ვართ შეცდომებისაგანაც, მაგრამ ახლა მაინც მთავარია მიზანდასახულად, თანდათანობით ვეაროთ არჩეული მიმართულებით, შევავსოთ და სრულვყოთ სამეურნეო მექანიზმი შეძენილი გამოცდილების საფუძველზე. აღმოვფხვრათ ყველაფერი, რამაც დრო მოჭამა ან ვერ გაამართლა“ [1].

წარმოების წესში სამეურნეო მექანიზმის ადგილის გასარკვევად აუცილებელია მის სტრუქტურაში განისაზღვროს მეურნეობრიობის არსი. როგორც წარმოებითი ურთიერთობის გამოვლინების კონკრეტული ფორმისა.

წარმოებითი ურთიერთობა და სამეურნეო მექანიზმი. სოციალისტური წარმოების წესს კაპიტალიზმთან შედარებით გააჩნია მნიშვნელოვანი უპირატესობა, რომელიც საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობას შორის დინამიკური შესაბამისობის მუდმივად შენარჩუნებაში

[1] სკკპ XXVII ყრილობის მასალები. გვ. 51.

მდგომარეობს. ამასთან სოციალიზმის დროს საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობას შორის დინამიკური შესაბამისობის დარღვევასაც აქვს ადგილი:

1) როდესაც წარმოებითი ურთიერთობის ესა თუ ის მხარე, მეურნეობის გეგმიანი ხელმძღვანელობის ფორმები და მეთოდები ძველდება და ჩამორჩება საწარმოო ძალების განვითარებას, არ შეესაბამება წარმოების განვითარების თანამედროვე მოთხოვნებს;

2) უფრო მომწიფებული წარმოებითი ურთიერთობის დამკვიდრების ნაცვლად მასზე ფორმალური სახის მიცემით, როცა მასში ადმინისტრაციული შინაარსი ჭარბობს.

წარმოებითი ურთიერთობის სრულყოფა, მის კონკრეტულ ფორმებს შორის წინააღმდეგობათა დაძლევა მიმდინარეობს სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის გზით.

სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნის გზები უშუალო კავშირშია მისი ადეკვატური წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების ფორმების შექმნა-სრულყოფასთან. შემდგომ განვითარებასთან ერთად რთულდება წარმოების საშუალებებთან მატერიალური დოვლათის მწარმოებელთა შეერთების ფორმები და მეთოდები. წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების 2 ძირითადი ფორმის — საერთოსახალხო და კოოპერაციულ-საკოლმეურნეო საკუთრების გვერდით ჩაყალიბდა მეორეხარისხოვანი, წარმოებული საკუთრების ფორმების რთული სტრუქტურა, უფრო რთულად ყალიბდება ეკონომიკურ ინტერესთა სისტემა.

ვფიქრობ, ჰეშმარიტებას მოკლებული არ არის მოვლენა, რომ საზოგადოება რაც უფრო მაღალგანვითარებულია, მით უფრო რთული და მრავალმხრივია მისი სტრუქტურა, მრავალწახნაგოვანია ადამიანთა სამეურნეო საქმიანობისა და, საერთოდ, ეკონომიკური ცხოვრების ფორმები.

სოციალისტური საკუთრება გამოვლინდება და მისი ეკონომიკური რეალიზაცია წარმოებს საზოგადოებრივი პროდუქტისა და შემოსავლების მოძრაობაში, რაც წარმოებითი ურთიერთობის, სამეურნეო კავშირების კონკრეტული ფორმის, წარმოებისა და მართვის ორგანიზაციულ სტრუქტურაში გამოიხატება.

საკუთრების ეკონომიკური რეალიზაციის ფორმებს შორის განსაკუთრებული როლი ენიჭება საზოგადოების, მისი სოციალური ჯგუფების, შრომითი კოლექტივებისა და ცალკეული მუშაკების ეკონომიკურ ინტერესებს. სოციალისტური საკუთრების ფორმაში ჩადებულ უპირა-

ტესობათა ოპტიმალური რეალიზაცია მაშინ წარმოებს, როცა ეკონომიკურ ინტერესთა მეტად რთულ სისტემაში სინქრონულობაა გაბატონებული, ხოლო ეს უკანასკნელი მაშინ მიიღწევა, როცა სამეურნეო მექანიზმი ოპტიმალურად არის სრულყოფილი.

სახელმწიფოს, კოლექტივისა და თითოეული მუშაკის ინტერესების ურთიერთზემოქმედება ქმნის სოციალისტურ საზოგადოებაში ეკონომიკური ინტერესების სისტემის საფუძველს. მისი ელემენტები: საერთოსახალხო და საზოგადოების წევრთა ინტერესები უფრო განვითარებული სახით შენარჩუნებული იქნება კომუნიზმის უმაღლეს ფაზაში.

წარმოების საშუალებებზე საერთო-სახალხო საკუთრება განსაზღვრავს სოციალიზმის ეკონომიკური ინტერესების ერთიანობას, მათი ოპტიმალური შეთანაწყობის აუცილებლობასა და შესაძლებლობას. წარმოების საშუალებებზე საერთო-სახალხო საკუთრების განსაზღვრული როლი ის არის, რომ საზოგადოების ინტერესების პრიორიტეტი ხელს უწყობს კოლექტივისა და საზოგადოების თითოეული წევრის ინტერესთა პროგრესულად განვითარებას. ამასთან ამ უკანასკნელ ინტერესებს შენარჩუნებული აქვს შეფარდებითი დამოუკიდებლობა, რაც ძირითადად ვლინდება კოლექტივისა და მისი თითოეული წევრის შრომითი აქტივობისათვის აუცილებელი წინაპირობების შექმნაში. მათმა შრომითმა აქტივობამ უნდა უზრუნველყოს დახარჯული შრომის შედეგიანობა, იგი ამაღლებს კოლექტივისა და მისი წევრების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დონეს, რაც საბოლოო ჯამში მთლიანად შეესაბამება საზოგადოების ინტერესებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ინტერესთა ოპტიმალური შეთანაწყობის პრობლემებს. „გარდაქმნის პირობებში საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების ჰარმონიზაციის პრობლემა ახლებურად დგება, — აღნიშნა პლენუმზე მ. ს. გორბაჩოვმა, — მათ შორის სწორ თანაფარდობათა ძიებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ეს ცოცხალი პრაქტიკის ამოცანაა. საქმე ეხება ინტერესების — პიროვნების, კოლექტივის, კლასების, ერების, ეროვნებების, სოციალური და პროფესიული ჯგუფების ინტერესების, მათი ურთიერთობის რთული დიალექტიკის მთელი კომპლექსის გათვალისწინებას, რათა უზრუნველვყოთ საზოგადოების დინამიკური განვითარება“ [1].

---

[1] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები, 1987 წლის 25—26 ივნისი. თბილისი, 1987, გვ. 14.

პარტია სამეურნეო მექანიზმის რადიკალური გარდაქმნის ამოსავალ წერტილად მიიჩნევს სახალხო მეურნეობის ძირითად რგოლს — საწარმოს ან გაერთიანებას, რომელსაც უნდა შეექმნას ოპტიმალური ეკონომიკური პირობები. სწორედ ამიტომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა ამოცანად დასახა საწარმოში (გაერთიანებაში) ჩამოყალიბდეს სრული სამეურნეო ანგარიშის, თვითანაზღაურებისა და თვითდაფინანსების საფუძველზე მისი საქმიანობის თანამედროვე სამეურნეო მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ამ საწარმოს განვითარების ქმედით, შინაგან ეკონომიკურ სტიმულებს და მატერიალურად წაახალისებს მას იმუშაოს მოქნილად მომხმარებელთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, დაზოგოს რესურსები, წარმოებაში ფართოდ დანერგოს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, თანამედროვე სამეურნეო მექანიზმი უზრუნველყოფს საწარმოსა და მთელი სახალხო მეურნეობის ინტერესთა ერთიანობას

სოციალისტური საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ერთ-ერთი მთავარი საკითხია სწორედ გავიგოთ სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნის თავისებურებანი და უზრუნველვყოთ დასახულ ღონისძიებათა კომპლექსის შესრულება. გრანდიოზული სოციალურ-ეკონომიკურ ღონისძიებათა განხორციელების პროცესში აუცილებელია ყოველმხრივ გავაანალიზოთ, განვიხილოთ სამეურნეო მექანიზმის მოსალოდნელი მდგომარეობის გეგმური მოდელი იმის გამო, რომ სამეურნეო მექანიზმის სრულყოფა არ არის ერთჯერადი აქტი, ის მუდმივ განვითარებადი პროცესია, საჭიროა მეთორმეტე ხუთწლედში პარტიის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანების აუცილებელი შესრულება. რას ვგულისხმობთ აქ? როცა საკითხი ეხება სამეურნეო მექანიზმის თვისებრივ ცვლილებებს, საქმე გვაქვს წარმოებითი ურთიერთობის ყოველმხრივი სრულყოფის საერთო პროცესის შემადგენელ ნაწილთან.

სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნამ უნდა უზრუნველყოს ყოველივე იმის რაციონალური გამოყენება, რაც სახალხო მეურნეობას გააჩნია. სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნით უნდა მივაღწიოთ ეკონომიკის ინტენსიური ფაქტორების ეფექტიანად გამოყენებას, ფართოდ დავნერგოთ წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევები და ამის საფუძველზე ავამაღლოთ მშრომელთა კეთილდღეობის დონე.

მეურნეობრიობის ფორმებისა და მეთოდების, წარმოების მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბება საზოგადოების განვითარების კონკრეტულ-ისტორიულ პერიოდში განპირობებულია შესაბამისი წარმოების წესით, წარმოებითი ურთიერთობის ისტორიული ტიპით,

მისთვის დამახასიათებელი ობიექტური ეკონომიკური კანონებით და თვითონ გამოდის მათი რეალიზაციისა და გამოვლინების ფორმად. ამრიგად, სამეურნეო მექანიზმის ფესვები ეკონომიკური სისტემის წიაღში უნდა ვეძებოთ.

სოციალისტური წყობილების განვითარების თანამედროვე პირობებში სამეურნეო მექანიზმის ადგილი განისაზღვრება იმით, რომ თავის ეკონომიკურ ნაწილში იგი რთავს სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის, ე. ი. სოციალიზმის ეკონომიკური ბაზისის მოძრაობის სამეურნეო ფორმებს, რომლებიც გამოიყენება მეურნეობრიობის პროცესში.

სამეურნეო მექანიზმის როლი კი განისაზღვრება იმით, რომ იგი რეალიზაციას უკეთებს სოციალიზმის წარმოებით ურთიერთობას, მის საფუძველთა საფუძველს — ეკონომიკურ კანონებს, ამით იგი რეალიზაციას უკეთებს იმ უპირატესობებს, რომლებიც სოციალისტური წარმოების წესს გააჩნია კაპიტალიზმთან შედარებით.

სკკპ XXVII ყრილობამ ხაზგასმით მიუთითა, რომ სოციალიზმის უპირატესობათა რეალიზაცია არ შეიძლება მიღწეულ იქნეს სამეურნეო მექანიზმის ცალკეული ნაწილების სრულყოფით. პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მიერ შემოთავაზებული რადიკალური რეფორმა საშუალებას მოგვცემს შეიქმნას ერთიანი, ეფექტიანი და მოქნილი მართვის სისტემა, რათა სრულად გამოვიყენოთ სოციალიზმის უპირატესობანი. საყურადღებოა, რომ უკვე განსაზღვრულია სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნის ძირითადი პრინციპები და მიმართულებანი, რომელთა შორის მამოძრავებელ ღერძად მიჩნეულია ცენტრალიზმის ოპტიმალური შეთანაწყობა საწარმოს მეურნეობრივ დამოუკიდებლობასთან.

სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნა თანამედროვე პირობებში ქვეყნის სახალხო მეურნეობის სხვა დანარჩენი წინსვლის ამოსავალი პუნქტიცაა, რომელიც ნათლად წარმოგვიდგენს ეკონომიკის ზრდის ახალ თავისებურებებს, რაც სხვა არაფერია, თუ არა საზოგადოებრივი წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაცია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა ფართოდ დანერგვის ბაზაზე.

ამრიგად, სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნა არის საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გადიდებაზე, მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებაზე მისი ზემოქმედების გაძლიერება.

სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნა 1987 წლიდან ახალ საფეხურზე ავიდა. მეურნეობრიობის ახალ პირობებზე გადავიდა სახალხო მეურნეობის ფაქტობრივად ყველა დარგი: მრეწველობა, ტრანსპორტი, მშენებ-

ლობა, აგროსამრეწველო კომპლექსი, ვაჭრობა, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება.

სამეურნეო მექანიზმის ყოვლისმომცველ სისტემაზე გადასვლა არ ნიშნავს დარგების, გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მხოლოდ მეურნეობრიობის ამა თუ იმ მეთოდზე გადაყვანას. მისი არსი გულისხმობს ეკონომიკაში ღრმა თვისებრივ ცვლილებებს, რომლებიც ორგანულადაა დაკავშირებული ერთიანი სამეურნეო მექანიზმის ფორმირებასთან. თანაც მისი შექმნა მოვლენების კომპლექსურად განხილვის შედეგია, მით უმეტეს, სამეურნეო მექანიზმი სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის სისტემასთან, სოციალიზმის ეკონომიკურ კანონებთან ადეკვატური უნდა იყოს. თანამედროვე სამეურნეო მექანიზმმა სრული სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე უნდა უზრუნველყოს საწარმო (გაერთიანება) განვითარების ქმედითი შინაგანი სტიმულებით და წაახალისოს იგი იმუშაოს საზოგადოების ინტერესთა დასაკმაყოფილებლად. აუცილებელია სამეურნეო მექანიზმის ცალკეული ელემენტების (გეგმა, ფასი, სრული სამეურნეო ანგარიში, კრედიტი, თვითანაზღაურება, თვითდაფინანსება, მატერიალურ-ტექნიკური მომარგება) სრული შეთანხმებულობის მიღწევა.

„დღეს პარტიის, მთელი ხალხის უპირველესი ამოცანაა, — აღინიშნა პარტიის XXVII ყრილობის პოლიტიკურ მოხსენებაში, — **გადაჭრით დაძლიონ არასახიკეთო ტენდენციები ეკონომიკის განვითარებაში, მიანიჭონ მას ხათანადო დინამიზმი, ფართო ასპარეზი მისცენ მახების ინიციატივასა და შემოქმედებას, ჭეშმარიტად რევოლუციურ გარდაქმნებს“** [1].

ამრიგად, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის მიერ შემოთავაზებული სამეურნეო მექანიზმის რადიკალური გარდაქმნა მიზნად ისახავს სახალხო მეურნეობის განვითარების შუალედური შედეგებიდან საბოლოო, სოციალური მნიშვნელობის შედეგებზე გადასვლას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გადაქცევას ეკონომიკური ზრდის მთავარ ფაქტორად.

სწორედ ამიტომ პარტიამ თანამედროვე ეპოქაში მთავარ პოლიტიკურ ამოცანად მიიჩნია განახორციელოს რადიკალური რეფორმა, შექმნას ერთიანი ეფექტიანი და მოქნილი მართვის სისტემა, რომელიც საშუალებას მოგვცემს რაც შეიძლება სრულად გამოვიყენოთ სოციალიზმის უპირატესობანი. ამ რეფორმის მიზანია: ეკონომიკური ზრდის ორიენტაციის შეცვლა შუალედურიდან საბოლოო, სოციალურად მნიშვნე-

[1] სკკპ XXVII ყრილობის მასალები. გვ. 36.

ლოვანი შედეგების მისაღწევად, საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად; საზოგადოების, კოლექტივისა და თითოეული მუშაკის ინტერესთა ორგანული შეხამება, ადამიანის ყოველმხრივი განვითარება, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის თვისებრივად ახალი დონის მიღწევა; მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გადაქცევა ეკონომიკის ზრდის მთავარ ფაქტორად; შეწონასწორების უზრუნველყოფა, მატერიალური რესურსებისა და სამომხმარებლო დოვლათის იმ დეფიციტურობის დაძლევა, რომელიც აბრკოლებს მეურნეობის ეფექტიან გაძღოლას და წარმოების ინტენსიფიკაციას; მომხმარებლისათვის სამეურნეო ურთიერთობაში პრიორიტეტის, ეკონომიკური არჩევანის უფლებებისა და შესაძლებლობების მინიჭება; საწარმოს (გაერთიანების) ფუნქციონირებისათვის საიმედოდ მოქმედი ხარჯვასაწინააღმდეგო მექანიზმის შექმნა.

სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნა მრავალი მიმართულებით მიმდინარეობს:

1. დაგეგმვის შემდგომი გაუმჯობესება და საგეგმო მუშაობის დონის ამაღლება;

2. ეკონომიკური სტიმულირებისა და ბერკეტების — სამეურნეო ანგარიშის, მოგების, ფასის, მატერიალური წახალისების უფრო უნარიანად გამოყენება;

3. მართვის ორგანიზაციული სტრუქტურისა და მეთოდების სრულყოფა, დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპის განმტკიცება;

4. წარმოების მართვაში მასების მონაწილეობის თანამიმდევრული გაფართოება, შრომითი კოლექტივების ინიციატივის განვითარება.

სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნის ცენტრალური პრობლემაა ცენტრალიზმის საწარმოთა სამეურნეო დამოუკიდებლობასთან შეთანაწყობა. სწორედ ამ საკითხებს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სკკპ XXVII ყრილობასა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმზე, სადაც ნათლად გამოიკვეთა კურსი — გაფართოვდეს საწარმოებისა და გაერთიანებების სამეურნეო დამოუკიდებლობის საზღვრები, მოხდეს მათი გადასვლა სრულ სამეურნეო ანგარიშზე, თვითანაზღაურებისა და თვითდაფინანსების საფუძველზე. სწორედ ცენტრალიზებული მართვის საწარმოთა სამეურნეო დამოუკიდებლობასთან შეთანაწყობის ყველა პრობლემის გადაწყვეტა საშუალებას მოგვცემს მასში სრულად აისახოს სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის თანამედროვე მდგომარეობა.

სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნის ამ ცენტრალური პრობლემების

გადაწყვეტა სრულყოფილად აისახა სსრ კავშირის სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) კანონში, სადაც ხაზგასმულია, რომ საწარმოს მართვა სრულდება დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპის, ცენტრალიზებული ხელმძღვანელობისა და შრომითი კოლექტივის სოციალისტური თვითმმართველობის შეხამების საფუძველზე.

სოციალისტური თვითმმართველობა მიმდინარეობს უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა შემუშავებისა და მათი შესრულებისადმი კონტროლში მთელი კოლექტივის მონაწილეობის. ხელმძღვანელთა არჩევითობისა და საწარმოს მართვაში ერთმმართველობის გზით. თვითმმართველობა უზრუნველყოფს კოლექტივის საქმიანობისა და ინიციატივის ისეთ განვითარებას, რომელიც იძლევა მაღალ საბოლოო შედეგებს, ამაღლებს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობას.

ცენტრალიზებული ხელმძღვანელობა და საწარმოს სოციალისტური თვითმმართველობა დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპის შინაგანი, იმანენტური წინააღმდეგობის ორი, ურთიერთდაკავშირებული მხარეა. საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ეს წინააღმდეგობა ზოგჯერ მწვავდება, რაც დამოკიდებულია საზოგადოებრივი წარმოების განვითარების ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებთან. მაგრამ თავისთავად ეს წინააღმდეგობა ახასიათებს წარმოების საშუალებებზე სოციალისტური საკუთრებით ურთიერთობათა მთელს კომპლექსს და ვლინდება სამეურნეო მექანიზმში ამ წინააღმდეგობის რეალიზაციისას. ამოცანა ის კი არ არის, რომ აღმოვფხვრათ ცენტრალიზებულ მართვასა და თვითმმართველობაში არსებული წინააღმდეგობა, არამედ ჩვენი ვალია ამ წინააღმდეგობის ურთიერთგამომრიცხველ მხარეთა ეფექტიანი, ოპტიმალური შეთანაწყობის ფორმების გამოძებნა კონკრეტული ისტორიული პერიოდისათვის.

ცენტრალიზებული მართვის თვითმმართველობასთან შეთანაწყობა წარმოდგენილი უნდა იქნეს როგორც წარმოების უშუალო საზოგადოებრივი ხასიათის, საერთო-სახალხო მეურნეობრიობის, ცენტრალიზებული დაგეგმვისა და საქონლის მწარმოებელ საწარმოებისა და გაერთიანებების დამოუკიდებელი მეურნეობრიობის ერთიანობა.

ამასთან ლოგიკურად ისმის კითხვა: ყოველივე ეს ხომ არ შეუშლის ხელს ცენტრალიზებული დაგეგმვის უპირატესობის რეალიზაციას. რითაც ადვილად მიიღწევა რესურსების კონცენტრირება ქვეყნის ეკონომიკის განვითარების გადამწყვეტი მიმართულებისათვის? თანაც ფაბრიკებისა და ქარხნების სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსე-

ბაზე გადაყვანისას ასეთი კონცენტრაციის ადრე არსებული ფორმები და ბერკეტები შესამჩნევად იკვეცება.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ასეთი საშიშროება ნამდვილად არსებობს, მაგრამ პარტია გამოსავალს ხედავს იმაში, რომ ურთიერთკავშირში იქნეს გამოყენებული ორი მთავარი ეკონომიკური ბერკეტი: ნორმატივებისა და სახელმწიფო შეკვეთების.

სოციალისტური წარმოების წესის პირობებში მართვის ცენტრალიზებული ორგანოები, საზოგადოების წარმომადგენლები, თავიანთ ურთიერთობებს საწარმოებთან ააგებენ სახელმწიფო შეკვეთებსა და ეკონომიკურ ნორმატივებზე, რითაც უზრუნველყოფილი იქნება საერთო-სახალხო ინტერესების პრიორიტეტი. ამასთან ისინი ქმნიან საწარმოთა კოლექტივების ფართო დამოუკიდებლობის, ინიციატივისა და გერგილიანობის პირობებს.

რესურსების კონცენტრაცია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გადამწყვეტ მიმართულებებზე არა თუ სუსტდება, არამედ ძლიერდება უწყებრიობის გადალახვის გზით, იზრდება სახელმწიფო რესურსების დაბალანსების მიმართულების შერჩევის ეკონომიკური დასაბუთება და ამ გზით შერჩევისას ამ თანხების გამომყენებელი შრომითი კოლექტივების ეკონომიკური პასუხისმგებლობა.

საზოგადოებრივი რესურსების გამოყენებაში ასეთი მიდგომა საშუალებას იძლევა მოისპოს ის გაუპიროვნებულობა, რომელსაც ჩვენს ცხოვრებაში ჰქონდა ადგილი ახლო წარსულში. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებაში შემკვეთის როლში გამოდიოდა სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტი ან სხვა საუწყებათაშორისო ეკონომიკური ორგანოები, ხოლო შექმნილი ბაზის გამომყენებელი და მომხმარებელი იყო კონკრეტული საწარმო.

სწორედ, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარება საწარმოთა გეგმიანი მეურნეობრიობის პირობებში, ობიექტურად მოითხოვს სრულ სამეურნეო ანგარიშს. ვინც ფიქრობს, სრული სამეურნეო ანგარიში განვითარდება ფულად-სასაქონლო ურთიერთობის გარეშე, შეცდომაა. სოციალიზმის დროს ფულის, საქონლის, კრედიტის, მოგების, ფასებისა და სხვა ეკონომიკური კატეგორიების გამოყენება დიდ ეფექტს მოგვცემს. ეს კატეგორიები არ არის მხოლოდ კაპიტალისტური წარმოების წესისათვის დამახასიათებელი, ისინი პოლიტიკური ეკონომიის ისეთი ზოგადი კატეგორიებია, რომლებიც ახასიათებენ მთელ რიგ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციებს და სავსებით ეგუებიან სოციალიზმსაც.

ამასთან არ შეიძლება მეორე უკიდურესობაში გადავარდნა, უარვყოთ სოციალისტური ეკონომიკის უშუალო საზოგადოებრივი ხასიათი და იგი წარმოვადგინოთ, როგორც საყოველთაო საქონელწარმოების საზოგადოება. პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი ეძებს მეურნეობრიობის ახალ ფორმებს, რომლებიც, საერთოდ, უცნობი იყო კაცობრიობის მთელი წინა ისტორიისათვის, ძველი ფორმებით სარგებლობს სოციალისტური ეკონომიკის განმტკიცებისათვის, მათ გამოყენებას უმორჩილებს სოციალისტური მშენებლობის თანამედროვე პერიოდის ამოცანების გადაწყვეტას.

მეურნეობრიობის (სამეურნეო მექანიზმის) გარდაქმნის ფორმები და მეთოდები გამოდის არა მარტო დაჩქარების მთელი პროცესის ორგანულ ნაწილად, არამედ მისი ამოსავალი მომენტიცაა. სწორედ სამეურნეო მექანიზმში უნდა მოხდეს პირველი რიგის ძვრები, რამდენადაც მის რადიკალურ გაუმჯობესებასა და ქმედითობაზეა დამოკიდებული მთელი საზოგადოებრივი წარმოების სტრუქტურული გარდაქმნა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, როგორც საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციის მთავარი ბერკეტისა.

სამეურნეო მექანიზმი მოწოდებულია დააჩქაროს ეკონომიკის ზრდა, შრომის ნაყოფიერების გადიდება და ამის ბაზაზე საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება·ხალხის მუდმივად მზარდი მატერიალური და სულიერი კეთილდღეობის დასაკმაყოფილებლად.

სკკპ XXVII ყრილობაზე დიდი ყურადღება დაეთმო არა მარტო სამეურნეო მექანიზმის შემდგომი სრულყოფის საკითხებს, არამედ მისი თითოეული ბერკეტის ეფექტიანად გამოყენებას. პარტიის პროგრამის ახალ რედაქციაში ჩაწერილია: „ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება მოითხოვს ნიადაგ **ხრულყოთ სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობა**, უზრუნველვყოთ სამეურნეო მექანიზმის საიმედო და ეფექტიანი ფუნქციონირება, რომელიც შეიცავს მეურნეობრიობის მრავალფეროვან, მოქნილ ფორმებსა და მეთოდებს. ამასთან, შევუსატყვისოთ ისინი ეკონომიკური განვითარების ცვალებად პირობებსა და გადასაწყვეტი ამოცანების ხასიათს“ [1].

ყრილობის გადაწყვეტილებებში ხაზგასმულია, რომ სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნა, სამეურნეო ანგარიშის განმტკიცება და ეკონომიკური ურთიერთობანი უნდა აიგოს მეცნიერულად დასაბუთებულ ნორმატივებით შედგენილ ხუთწლიან და წლიურ გეგმებზე, რომლებშიც

[1] სკკპ XXVII ყრილობის მასალები, გვ. 228—229.

ოპტიმალურად იქნება შეთანაწყობილი წარმოების მიზანი და ამ მიზნის განხორციელების გზები. ამასთან ხუთწლიანი გეგმების სტაბილურობასთან ერთად უნდა მივაღწიოთ ნორმატივების სტაბილურობასაც. მით უმეტეს, რომ ეკონომიკური ნორმატივები გეგმის შემადგენელი ნაწილია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმმა გადაწყვიტა, რომ გარდაიქმნას ჭეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო დაგეგმვის სისტემა.

დაგეგმვის გარდაქმნის ცენტრალური მომენტია დაგეგმვის ეკონომიკურ მეთოდებზე საწარმოთა საქმიანობის გადასვლა საკონტროლო ციფრების, გრძელვადიანი სტაბილური ეკონომიკური ნორმატივების, სახელმწიფო შეკვეთებისა და ლიმიტების საფუძველზე.

რა მაჩვენებლებს მოიცავს საკონტროლო ციფრები? მასში მოცემულია საწარმოს, გაერთიანების მიერ გამოშვებულ პროდუქციაზე მოთხოვნილება, წარმოების ეფექტიანობის მინიმალური დონე.

საკონტროლო ციფრები შეიცავს პროდუქციის წარმოების, სამუშაოებისა და მომსახურების მაჩვენებელს ღირებულებითი გამოხატულებით ხელშეკრულების დადებისათვის, მოგებას, სავალუტო ამონაგებს, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ყველაზე მნიშვნელოვან მაჩვენებლებს და სოციალური სფეროს განვითარების მაჩვენებლებს.

ამ მაჩვენებლებს არ უნდა გააჩნდეს დირექტიული ხასიათი, არ ბოჭავდეს შრომითს კოლექტივს გეგმის შემუშავებისას, მათ უნდა ჰქონდეს ფართო საშუალება სამეურნეო ხელშეკრულებები და შეკვეთები დადოს თავისი საწარმოს უკეთესი შედეგების მიღწევის მიზნით.

ხელშეკრულებებისა და შეკვეთების შესრულება გახდა საწარმოს კოლექტივის საქმიანობის შეფასებისა და მატერიალური სტიმულირების მთავარ კრიტერიუმად.

სტაბილური გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივები განსაზღვრავს ბიუჯეტთან ურთიერთობას, შრომის ანაზღაურების ფონდისა და ეკონომიკური სტიმულირების ფონდების ფორმირებას და ფასებთან, კრედიტის სარგებელთან ერთად წარმოადგენს გეგმიანი მუშაობის მთავარ ინსტრუმენტს, საწარმოებზე საგეგმო ორგანოების ძირითად ბერკეტს, რომლებიც მათ საზოგადოების ინტერესებისათვის, გეგმის შესრულების მიღწევისათვის ამოქმედებს.

სახელმწიფო შეკვეთები უზრუნველყოფს უპირველესი საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. საწარმოებს ისინი იმიტომ ეძლევათ, რომ აამოქმედონ საწარმოო სიმძლავრეები და სოციალური

სფეროს ობიექტები ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე.

სახელმწიფო შეკვეთებს საწარმოებს ზემდგომი ორგანოები აძლევენ, რომლებიც აუცილებლად უნდა იქნეს გეგმაში შეტანილი.

სკკპ XXVII ყრილობის პოლიტიკურ მოხსენებაში ხაზგასმით აღინიშნა: „ძნელია გადაჭარბებით შეფასდეს ეკონომიკური ნორმატივების როლი. როცა წინასწარვე იციან დასაგეგმი პერიოდის პირობები — პროდუქციის მიწოდების დავალებანი, ფასები, ბიუჯეტში მოგების ანარიცხები, ხელფასის ფონდების, სტიმულირების სამეურნეო ანგარიშის ფონდების წარმოქმნის ნორმატივები, საწარმოთა კოლექტივები შეძლებენ შემოქმედებითად, უშიშრად გამოავლინონ რეზერვები, შეიმუშაონ გეგმები, რომლებიც უზრუნველყოფენ წარმოების ზრდის უფრო სწრაფ ტემპს, მისი ეფექტიანობის მნიშვნელოვან მატებას“ [1].

დაგეგმვის ნორმატიული მეთოდი, ე. ი. ეკონომიკის განვითარების რეგულირება ნორმებისა და ნორმატივების საშუალებით, ობიექტურად დამახასიათებელია გეგმიანი საზოგადოებისათვის. ეკონომიკური ნორმატივების ძირითადი არსი ის არის, რომ ისინი გამოხატავენ წარმოების დანახარჯების შედეგებთან ობიექტურ შეთანასწორების საზოგადოებრივად აუცილებელ მოთხოვნას. ნორმატივების მეშვეობით ხორციელდება სახალხო მეურნეობის დარგებს შორის ოპტიმალური კავშირი. ხოლო ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტსა და ეროვნულ შემოსავალს შორის, წარმოებასა და განაწილებას შორის დგინდება რაციონალური, მეცნიერულად დასაბუთებული პროპორციები.

მეურნეობრიობის ახალი მეთოდების პირობებში ნორმატივების საფუძველზე ფორმირდება ხელფასისა და ეკონომიკური სტიმულირების ფონდები. მათ საფუძველზე ხორციელდება ფინანსური ურთიერთობა საწარმოებსა და სახელმწიფო ბიუჯეტს შორის.

ამასთან, როგორც პარტიის XXVII ყრილობის პოლიტიკურ მოხსენებაშია ხაზგასმული, უნდა შეიქმნას ისეთი პირობები, როცა შრომით კოლექტივებს წინასწარ ეცოდინებათ დასაგეგმი პერიოდის მაჩვენებლები, შეეძლებათ უმტკივნეულოდ გამონახონ დამატებითი რეზერვები, შეიმუშაონ ისეთი გეგმები, რომლებიც წარმოების მაღალი ტემპებით განვითარების, მისი ეფექტიანობის მნიშვნელოვნად გადიდების გარანტიას იძლევიან.

ეკონომიკური ნორმატივების როლი და ამოცანები საგსებით შე-

---

[1] სკკპ XXVII ყრილობის მასალები, გვ. 54.

ესაბამება ეკონომიკური ზრდის თანამედროვე მოთხოვნებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი ჯერჯერობით ნაკლებადაა მეცნიერულად დასაბუთებული.

ეკონომიკური ნორმატივები შინაარსით, დანიშნულებით, ფორმირების მეთოდებით მეტად მრავალფეროვანი და მრავალწახნაგოვანია. მაგალითად, შეუძლებელია შევადაროთ კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ნორმატივი სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდის ნორმატივთან, ასევე რენტაბელობის ნორმატივი — ხელშეკრულებით გათვალისწინებული მატერიალური რესურსების მიუწოდებლობისათვის მატერიალური წახალისების ფონდის შემცირების ნორმატივთან. ამასთან ყველა ეკონომიკური ნორმატივისათვის დამახასიათებელია ერთი საერთო ნიშანი—ისინი რეგლამენტირებას უკეთებენ სამეურნეო ცხოვრების მოვლენებსა და პროცესებს შორის კავშირებს, სახელდობრ, დანახარჯებსა და შედეგებს შორის თანაფარდობას.

ეკონომიკური ნორმატივები უნდა პასუხობდეს მთელ რიგ მოთხოვნებს: უპირველესად — **ისინი მეცნიერულად დასაბუთებული უნდა იყოს,** ე. ი. უნდა შეესაბამებოდეს იმ ეკონომიკურ კატეგორიათა შინაარსს, რომელთა კავშირურთიერთობასაც ისინი ახასიათებენ. „თუ არ შევქმნით დასაბუთებულ ეკონომიკურ ნორმატივებს, — აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმზე, — თავიდან ვერ ავიცილებთ სხვადასხვაგვარი ინსტრუქციების ტვირთს, რომლებიც აფერხებს საწარმოთა საქმიანობას, გაგვიჭირდება ხელმძღვანელობის ადმინისტრაციული ხერხებიდან ეკონომიკურ მეთოდებზე გადასვლა. ეს შეაფერხებს თვითანაზღაურებისა და თვითდაფინანსების პრინციპების გამოყენებას, რომელთა გავრცელებას სულ უფრო ფართოდ ვაპირებთ“ [1].

ეკონომიკური ნორმატივები რაც უფრო ხანგრძლივია, მით უფრო ეფექტიანია. პარტიის XXVII ყრილობამ გადაწყვიტა, რომ ისინი დაწესდეს მთელი ხუთწლედისთვის, რითაც „შრომითს კოლექტივებს შეუქმნათ რწმენა, რომ ეფექტიანი მუშაობა უთუოდ დაჯილდოვდება მატერიალურადაც, მორალურადაც. პირიქით, ცუდი შედეგები საგრძნობი იქნება მთელი კოლექტივისათვის. ამ საქმეში ყველაზე საშიშია ნორმატივების სტაბილურობის პრინციპის დარღვევა: ... ხაზგასმით უნდა აღვ-

[1] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები, 1986 წლის 16 ივნისი. გვ. 40.

ნიშნოთ, რომ ეკონომიკური ნორმატივები საგეგმო ხელმძღვანელობის პერსპექტიული ინსტრუმენტია“ [1].

ეკონომიკური ნორმატივების გამოყენება ქმნის იმის წინაპირობას, რომ უკუვაგდოთ დაგეგმვაში მაჩვენებელთა მიღწეული დონის მიხედვით ორიენტაცია. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ეკონომიკური ნორმატივების მეცნიერული დასაბუთებულობა არ ასულა იმ დონეზე, რომ დაგეგმვის პრაქტიკაში, უარი ვთქვათ მიღწეული დონის მაჩვენებლებზე. მაგრამ აქაც, ჩვენი აზრით, გვაქვს გამოსავალი, უნდა შევიმუშაოთ ხელფასის ფონდის გამოსათვლელად ისეთი ნორმატიული მაჩვენებელი, რომელიც სტიმულს მისცემდა წარმოების ოპტიმალური ტემპების მიღწევას.

ერთ-ერთი ძირითადი ეკონომიკური ნორმატივია საბითუმო ფასი, რაც სხვა არაფერია, თუ არა შრომის საზოგადოებრივად აუცილებელი დანახარჯთა ნორმატივი. იგი აიძულებს საწარმოს შეამციროს წარმოების დანახარჯები.

ქვეყნის ეკონომიკის ზრდის უზრუნველსაყოფად აუცილებელია გეგმებისა და ეკონომიკური ნორმატივების სტაბილურობა. როგორ მივაღწიოთ ამ სტაბილურობას?

ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაჩქარების ამოცანა გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, საბოლოო შედეგებს. სახალხო მეურნეობის დონეზე იგი გამოიხატება ეროვნული შემოსავლის გადიდებაში. 1986—1990 წლებში გათვალისწინებულია ეროვნული შემოსავლის გადიდება 22 პროცენტით, ნაცვლად მეთერთმეტე ხუთწლედის 17 პროცენტისა.

შემდგომ ორ ხუთწლედში ზრდის ტემპმა უნდა შეადგინოს თითოეულ ხუთწლედში 28 პროცენტი. რომ მივაღწიოთ ასეთ შედეგებს, აუცილებელია გეგმები სტაბილური იყოს, ე. ი. ცენტრალიზებულად დადგენილი საგეგმო მონაცემები არ უნდა შეიცვალოს. დაჩქარების სტრატეგია ვერ შეურიგდება მეურნეობრიობის პირობების უმყარობას, განსაკუთრებით გაერთიანებებისა და საწარმოების უფლება-მოვალეობათა გაფართოების პირობებში.

ამასთან, გეგმა არ შეიძლება შემოვფარგლოთ მხოლოდ საბოლოო შედეგებით. თითოეული დარგისა და თითოეული საწარმოსათვის მოცემულ გეგმებში, ერთი მხრივ, გათვალისწინებულია საწარმოო პროგრამის შესასრულებლად საჭირო რესურსების ლიმიტი ან ნორმატივი, ხოლო,

---

[1] სკკპ XXVII ყრილობის მასალები. გვ. 388.

მეორე მხრივ, წარმოებაში თვისებრივი, ხარისხობრივი ცვლილებების ამოცანა (ტექნიკური გადაიარაღების, მასალატევადობის. ფონდტევადობის, წარმოების შრომატევადობის შემცირების და ა. შ.).

იმის გამო, რომ წარმოების მიზანი — საბოლოო შედეგები და მათი მიღწევის საშუალებები ურთიერთკავშირშია, აუცილებელია გეგმების სტაბილურობა. ამასთან დაჩქარების სტრატეგიაში უნდა გავითვალისწინოთ დროის ფაქტორი. ეს კი მოითხოვს, არ მოხდეს გეგმების გადანაწილება კვარტალის შიგნით, იგი დაარღვევს წარმოების რიტმს.

ცენტრალიზებული საგეგმო დავალებების ადგილობრივ ინიციატივასთან ოპტიმალური შეთანაწყობა გულისხმობს, რომ თითოეული სამეურნეო საწარმო ღებულობს საზოგადოებისაგან შეკვეთას, რომელიც შესასრულებლად სავალდებულოა, ამასთან ისეთ მინიმალურ საგეგმო მაჩვენებლებსაც, რომლებიც მას სამეურნეო ანგარიშის პრინციპებზე მუშაობის საშუალებას მისცემს. ასეთი მაჩვენებლებია: ფასების სისტემა, სახელშეკრულებო ურთიერთობა, ეკონომიკური ნორმატივები, რომლებიც საქმით ასტიმულირებენ შრომით კოლექტივებს ნაკლები დანახარჯებით შეასრულონ საზოგადოებისაგან მიღებული დავალება.

ეკონომიკური და მორალური სტიმულირების ქმედითობის გადიდება ასევე დიდად არის დამოკიდებული დასაბუთებულ სტაბილურ გეგმებსა და ნორმატივებზე. წამახალისებელი ფონდები იქმნება გეგმის შესრულების კვალობაზე.

გეგმებისა და ნორმატივების დასაბუთებულობასა და სტაბილურობას უდიდესი ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. მასში ოპტიმალურად უნდა იყოს გათვალისწინებული შრომითი კოლექტივების საბოლოო სახალხომეურნეობრივი შედეგების მისაღწევად მინიმალური, მაგრამ ობიექტურად აუცილებელი მოთხოვნები.

ერთი სიტყვით, სოციალურ-ეკონომიკური განვითარება გულისხმობს გეგმაზომიერი კვლავწარმოების ობიექტურ რიტმს. ამის ერთ-ერთი პირობა კი გეგმებისა და ნორმატივების სტაბილურობაა.

სოციალისტურ აღრიცხვას განსაკუთრებული ადგილი უკავია სამეურნეო მექანიზმში, სამეურნეო საქმიანობის ყველა დონეზე იგი მას უზრუნველყოფს ინფორმაციით. სამეურნეო აღრიცხვის მონაცემები საშუალებას იძლევა სისტემატური, ყოველდღიური კონტროლი დავაწესოთ წარმოების დანახარჯებზე. ამასთან საყურადღებოა ის, რომ საბუღალტრო აღრიცხვა თანამედროვე პირობებში არ იძლევა პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საქმეში საწარმოს საქმიანობის სრულ სურათს, ხოლო თვითღირებულების შემცირებაზე მეცნიერულ-ტექნიკუ-

რი პროგრესის გავლენის შესასწავლად საბუღალტრო კონტროლის არაეითარი ფორმა არ არსებობს.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაზე მოქმედი ფაქტორების გავლენის ინფორმაცია შეიძლება მივიღოთ მხოლოდ წარმოების ნორმატიული აღრიცხვის დანერგვით.

აღრიცხვის ნორმატიული მეთოდი არა მარტო პროდუქციის დანახარჯთა და თვითღირებულების კალკულირების მეთოდია, არამედ იგი წარმოების პროცესის ორგანიზაციის განუყოფელი ელემენტი. მისი ოპერატიული დაგეგმვის, აღრიცხვისა და მართვის მეთოდია. ნორმებისა და ნორმატივების სისტემა ერთ-ერთი მთავარი და სავალდებულო საფუძველია საწარმოებში წარმოების პროცესის ორგანიზაცია-დაგეგმვისათვის. ნორმატიული აღრიცხვა ნორმების დაცვის, მათი დროული შეცვლისა და წარმოების რეგულირების ოპერატიული კონტროლის კარგი საშუალებაა.

სკკპ XXVII ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ყველა სახის რესურსის რაციონალურად, ეფექტიანად და მომჭირნეობით ხარჯვის პოლიტიკის განხორციელებას. „აღარ არის მუშახელის წინანდებური მოზღვავება. — აღინიშნა პოლიტიკურ მოხსენებაში, — ახლა უფრო ძვირი გვიჯდება თითოეული ტონა ნავთობის, მადნის, ქვანახშირის მოპოვება და მიწოდება. ამ ფაქტებს თვალს ვერ ავარიდებთ, მათ ანგარიში უნდა გავუწიოთ“ [1]. საბუღალტრო აღრიცხვის და, სახელდობრ, წარმოების დანახარჯებისა და პროდუქციის თვითღირებულების კალკულირების აღრიცხვის მთავარი ამოცანაა ამ უდიდესი სახელმწიფოებრივი საქმის მოწესრიგებისათვის ბრძოლაში მიიღოს ყოველმხრივი მონაწილეობა.

ამასთან დაკავშირებით იზრდება საბუღალტრო აღრიცხვის როლი, რათა გამოვლინდეს წარმოების ხარჯების დაწესებული ნორმებიდან გადახვევის მიზეზები და კონკრეტული დამნაშავე პირები. მოწინავე საწარმოთა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ნორმებიდან გადახრის მიზეზების სისტემატური ანალიზი რესურსების დაზოგვის განხორციელების ერთ-ერთი ეფექტიანი საშუალებაა. ამასთან დაწესებული ნორმებიდან გადახრის გამოვლინება საჭირო შედეგებს ვერ მოგვცემს თუ სრულყოფილად არ შევისწავლეთ მისი გამომწვევი მიზეზები. სამწუხაროდ, აღრიცხვის დარგში დასაქმებული ბევრი მუშაკი თავის მოვალეობად

---

[1] სკკპ XXVII ყრილობის მასალები, გვ. 64.

თვლის მხოლოდ ფაქტის კონსტატაციას და არა მისი გამომწვევი ფაქტორების სრულყოფილ ანალიზს.

ნორმებიდან გადახრის სისტემატური ანალიზის განხორციელება საშუალებას იძლევა არა მარტო ფიქსირებულ იქნეს გამომწვევი მიზეზები,. არამედ დაისახოს მათი აღმოფხვრის გზები.

აღრიცხვის ნორმატიული მეთოდის დასანერგავად პრინციპული მნიშვნელობა აქვს მასში მოქმედი (მიმდინარე) ნორმების გამოყენებას. ამ ნორმებით გაიცემა წარმოების საჭიროებისათვის მატერიალური რესურსები, დაირიცხება ხელფასი, წესდება მანქანებისა და მოწყობილობების გამოყენების რეჟიმი და გასაწევი სხვა ხარჯები. მოქმედი ნორმებით დანახარჯთა აღრიცხვა ნორმატიული აღრიცხვის დამასაბუთებელი მომენტია.

მუშაობა უნდა გაგრძელდეს ნორმებისა და ნორმატივების მეცნიერული დასაბუთების გასაძლიერებლად. საიდუმლოება არ არის ის გარემოება, რომ ზოგჯერ ისეთი ნორმატივები წესდება, რომლებიც ხელს უწყობენ მატერიალური რესურსების, არა თუ ეკონომიურად, მომჭირნეობით ხარჯვას, არამედ მათ განიავებას.

საწარმოებსა და გაერთიანებებში საბუღალტრო აღრიცხვის გაუმჯობესება და აღრიცხვაში ნორმატიული მეთოდის დანერგვა მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფის პირობებში დიდად არის დამოკიდებული ადამიანის ფაქტორზე, ე. ი. საწარმოებში საბუღალტრო აღრიცხვის ორგანიზატორებზე. აღრიცხვის დარგის ხელმძღვანელთა აბსოლუტური უმრავლესობა სახელმწიფო კონტროლიორია. მათ ავტორიტეტი არ შეიძლება ზემოდან კარნახით შეექმნათ, იგი მიიღწევა პირადი თვისებებით. იმისათვის, რომ მთავარმა ბუღალტერმა კოლექტივში მაღალ ავტორიტეტს მიაღწიოს, აუცილებელია იგი პასუხობდეს მთელ რიგ მოთხოვნებს:

1. მაღალი უნდა იყოს მისი პროფესიული მომზადების დონე, შეეძლოს ეკონომიკური აზროვნება და მოვლენის პოლიტიკურად შეფასება.

2. კარგად უნდა იცოდეს წარმოების პროცესი, მისი ტექნოლოგია და აქტიურად მონაწილეობდეს საწარმოს მართვასა და სამეურნეო საქმიანობის საგნობრივი ანალიზის განხორციელებაში. უნდა იყოს საკითხების დაყენებასა და გადაჭრაში ინიციატივიანი.

აღრიცხვის ნორმატიული მეთოდის დანერგვა ფერხდება იმის გამოც, რომ საბუღალტრო აღრიცხვაში დასაქმებული მუშაკების ერთი ნაწილი არ იცნობს ნორმატიული აღრიცხვის ორგანიზაციის მეთოდოლოგიას.

უფრო მეტიც, დღემდე მიმდინარეობს კამათი საბუღალტრო აღრიცხვასა, საგეგმო და სხვა სამსახურებს შორის ამ საქმეში „გავლენის სფეროების განაწილებისათვის“, მაშინ, როდესაც საქმე წინ ვერ მიიწევს და სერიოზული ხარვეზებით ხასიათდება სახალხო მეურნეობაში ამ მეთოდის მასობრივად დანერგვა.

სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის საქმეში განსაკუთრებული როლი ენიჭება შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესული ფორმების დანერგვას.

სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებში ხაზგასმით არის ჩაწერილი: ამაღლდეს ხალხის კეთილდღეობის დონე თვისებრივად ახალ საფეხურამდე და გაძლიერდეს სოციალური პოლიტიკის გავლენა ქვეყნის ეკონომიკის დაჩქარებულ განვითარებაზე. ამ ამოცანების განხორციელებაში უდიდესი როლი ენიჭება ხელფასის სრულყოფასა და მატერიალური სტიმულირების ძირეულად გაუმჯობესებას.

მეურნეობრიობის ახალ მეთოდებზე გადასვლის პირობებში სამეურნეო ანგარიში, თვითანაზღაურება და თვითდაფინანსება მოითხოვს შრომის ანაზღაურებაში გარდაქმნების განხორციელებას, რომლებიც უდიდეს აქტუალურ მნიშვნელობას იძენს.

ხელფასის ადრე არსებული სისტემები მეტად მოძველებული იყო, იგი არ პასუხობდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ამაღლების მოთხოვნებს. ხშირად მაღალკვალიფიციური შრომა, პროფესიული დაოსტატება სათანადო წახალისებას ვერ პოულობდა. მოსუსტებული იყო ტარიფებისა და ხელფასის სარგოების. განაკვეთების როლი. პრემიები და ხელფასზე სხვადასხვა დანამატი გადაიქცა ხელფასზე მექანიკურ დანამატად, რომელიც, საერთოდ. კავშირში არ იყო მუშაკის შრომით მონაწილეობასთან.

სწორედ ამიტომ 1986 წელს პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ შეიმუშავეს ვრცელი და კონკრეტული ღონისძიებები სახალხო მეურნეობის მატერიალური წარმოების სფეროს დარგებში ხელფასის ორგანიზაციის სრულყოფის, ახალი სატარიფო განაკვეთებისა და თანამდებობრივი სარგოების შემოღების შესახებ.

პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა შრომის ანაზღაურების ორგანიზაციაში.

მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა

და კავშირგაბმულობის მუშაკთა ხელფასების სისტემათა ძირეული რეორგანიზაცია განხორციელდა.

უპირატესად სიახლეები შეეხო ხელფასის ორგანიზაციის ყველა მხარეს — სატარიფო სისტემას, პრემირების საკითხებს, ხელფასზე დანამატებისა და შრომის ნორმირების მექანიზმს. ხელფასის ახალ სისტემაზე გადასვლა მოხდა შრომის ანაზღაურების საშუალებების ფორმირების ნორმატიული მეთოდების გამოყენების, ბრიგადული სამეურნეო ანგარიშისა და კოლექტიური იჯარის ფართოდ დანერგვის გზით.

მთავარი ის არის, რომ შრომის ანაზღაურების ზრდა და სრულყოფა განხორციელდა ახალ პრინციპებზე. ადრე ხელფასის განაკვეთი და სარგო მატულობდა ძირითადად სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშზე. ამჟამად მათი გადიდების წყარო თვით მუშათა კოლექტივების მიერ შექმნილი ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტია, ე. ი. ხელფასის გადიდება ხდება სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესებით და შრომის ნაყოფიერების ზრდის დამატებითი ღონისძიებების შემუშავებითა და შესრულებით. საწარმოებისა და გაერთიანებების ხელფასი იგეგმება მტკიცე ნორმატივებით, რომელიც უშუალო კავშირშია წარმოების მოცულობის გადიდებასთან, ეფექტიანობის ამაღლებასა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებასთან. მოხსნილია შრომის ანაზღაურების სტიმულირებაში საწარმოთა ინიციატივასა და დამოუკიდებლობაში ყოველგვარი შეზღუდვები. ხელფასის სისტემების სრულყოფით მთელი კოლექტივია დაინტერესებული.

პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებით შემოღებულია ახალი სატარიფო განაკვეთები და თანამდებობრივი სარგოები, რომლებიც საშუალოდ 25—30 პროცენტით არის გაზრდილი. ეს ღონისძიება ეხება ყველას დაწყებული მუშიდან, დამთავრებული წარმოების ხელმძღვანელამდე.

ტარიფის ხვედრითი წონის გადიდება თვითმიზანი არ არის. სატარიფო ანაზღაურების გზით უფრო სრულად აღირიცხება მუშაობის კვალიფიკაცია, სამუშაოთა სირთულე და საწარმოს საქმიანობის პირობები.

მუშებისათვის სატარიფო განაკვეთი გაიზარდა 20—25 პროცენტით. შრომის ხარისხისა და კვალიფიკაციის ზრდის სტიმულირებისათვის უნდა მოისპოს შრომის ანაზღაურებაში გათანაბრებითი პრინციპი, მაღალი და დაბალი კვალიფიკაციის მუშაკთათვის იზრდება სატარიფო განაკვეთების ამპლიტუდა სხვადასხვა ხარისხის თანრიგების შემოტანით, მნიშვნელოვნად გაიზარდა სატარიფო ბადის დიაპაზონი. მაგალითად, კვების მრეწველობაში დასაქმებული I თანრიგის მუშის განაკვეთი

16%-ით იზრდება, VI თანრიგისა კი — 33 პროცენტით, ანალოგიური მდგომარეობაა სხვა დარგებშიც.

ამასთან საყურადღებოა ისიც, რომ სატარიფო განაკვეთები და სარგოები მნიშვნელოვნად იზრდება მაღალკვალიფიციური მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისათვის, განსაკუთრებით კი მათი, ვინც შეიმუშავებს, დანერგავს და ეფექტიანად გამოიყენებს თანამედროვე, მაღალმწარმოებლურ ტექნიკასა და ტექნოლოგიას. ამ მიზნით გადიდდა სატარიფო განაკვეთების ეფექტიანობა. მთელი რიგი მუშათა პროფესიებისათვის დაწესებულია დამატებითი თანრიგები. სპეციალისტებისათვის შემოღებულია ახალი თანამდებობები და კატეგორიები. გაზრდილია თანამდებობრივი (მინიმალური და მაქსიმალური) სარგოებს შორის განსხვავება. ხელფასის ახალმა ორგანიზაციამ დაუბრუნა სატარიფო სისტემას ხელფასის მთავარი რეგულატორის როლი.

ახალ ტარიფებსა და სარგოებს ემატება წამახალისებელი დანამატები. დანამატები უწესდებათ იმ მუშებს, რომლებიც სტაბილურად ასრულებენ მაღალხარისხოვანი პროდუქციის ასორტიმენტის მიხედვით გამოშვების გეგმებს, ამასთან ათვისებული აქვთ ახალი პროფესიები. წარმოების ხელმძღვანელებს მიეცათ უფლება შემოიღონ სპეციალისტებისათვის ხელფასზე დანამატი თვიური სარგოს 50%-ის ოდენობით განსაკუთრებული მნიშვნელობის სამუშაოთა შესრულებაში მაღალი მიღწევებისათვის.

ხელფასის სისტემის ახალ პირობებში დიდი ყურადღება ექცევა მუშათა პროფესიული დახელოვნების სტიმულირებას. მუშებს დანამატები უწესდებათ თანრიგების შესაბამისად, მაგალითად: III თანრიგის მუშას — სატარიფო განაკვეთის 12 პროცენტი, IV თანრიგისას — 10 პროცენტი, V თანრიგისას — 20 პროცენტი, ხოლო VI თანრიგის მუშას — 25 პროცენტი. ხელფასზე დანამატების დაწესება დაკავშირებულია გამოშვებული პროდუქციის ხარისხთან და არა მუშაობის სტაჟთან. იმ თვეებში, როცა მუშაკი გააუარესებს მუშაობის ხარისხს, პროფესიული ოსტატობისათვის დანამატი არ მიეცემა. თუ მუშაკის საქმიანობაში წუნს სისტემატური ხასიათი აქვს, მაშინ მას დანამატი მთლიანად ეხსნება.

საწარმოებსა და ორგანიზაციებს მიეცათ უფლება, მუშაკთა ნაკლები რიცხვით შეასრულონ ესა თუ ის სამუშაო. ახალი სატარიფო სისტემით საწარმოს არ განესაზღვრება დანამატის მოცულობა, როცა სამუშაო დაწესებულზე ნაკლები მუშა-ხელით სრულდება. ამასთან საყურადღებოა ისიც, რომ დანამატები შეიძლება მიეცეს საწარმოების მთელ კოლექტივსაც კი.

შრომის ანაზღაურების ახალი სისტემა ითვალისწინებს აგრეთვე შრომის არახელსაყრელი პირობების კომპენსაციის პრინციპულად სრულიად ახალ მექანიზმს, რომლის მთავარი დამახასიათებელი თავისებურებაა მაღალი სატარიფო განაკვეთების პარალელურად დანამატების შემოღებაც. დანამატების მიღების უფლება მუშაკს ავტომატურად კი არ ეძლევა, არამედ იგი დამოკიდებულია მის პროფესიულ დაოსტატებასა და მუშაობის ხარისხზე.

გაერთიანებებს, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს მიეცათ უფლება შრომის პირობების შეფასების კვალობაზე პროფკავშირულ ორგანიზაციასთან შეთანხმებით დააწესონ დიფერენცირებულად სატარიფო განაკვეთზე დანამატები 12 პროცენტის ოდენობით (თუ სამუშაო შრომის მძიმე და მავნე პირობებში სრულდება), ხოლო იქ, სადაც შრომის პირობები განსაკუთრებით მძიმე და მავნეა — 24 პროცენტით.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა საპრემიო სისტემების მოსაწესრიგებლად. გეგმებისა და სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებაში, წარმოების ტექნიკური დონისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებაში, შრომის ნაყოფიერების გადიდებასა და თვითღირებულების შემცირებაში საგრძნობლად გაიზარდა პრემიების მასტიმულირებელი როლი. პრემია, როგორც წესი, დაირიცხება მთელს კოლექტივზე და ნაწილდება საამქროს, ბრიგადის საერთო შედეგებით თითოეულის შრომითი მონაწილეობის შესაბამისად.

მთლიანად შეიცვალა პრემირების რეგლამენტაციის საკითხებში ზემდგომი ორგანოების ჩარევა. საწარმოებს მიცემული აქვთ უფლება თვითონ დაამტკიცონ პრემირების დებულება, მუშაობის კონკრეტული პირობების გათვალისწინებით. გაზრდილია აგრეთვე სამინისტროების უფლებები. ისინი ამტკიცებენ საწარმოს ხელმძღვანელ მუშაკთა პრემირების პირობებსა და მოცულობას.

შრომის ანაზღაურების ახალ სისტემაში პრინციპულად ახალი მომენტია ინდივიდუალური პრემირებიდან კოლექტიურ პრემირებაზე გადასვლა. ბრიგადის, საამქროს, რგოლის წევრთა პრემირება წარმოებს მუშაობის საბოლოო შედეგების მიხედვით.

მნიშვნელოვნად შეიცვალა ხელმძღვანელ მუშაკთა პრემირების პირობები. საწარმოს ხელმძღვანელებს პრემია ეძლევათ პროდუქციის რეალიზაციის გეგმის 100 პროცენტით შესრულების პირობებში, თუ სახელშეკრულებო ვალდებულებები მთლიანად განხორციელდა.

ამრიგად, პრემირების ახალი სისტემები ასტიმულირებს დაძაბული

საწარმოო პროგრამების მიღებასა და შესრულებას, სახელმწიფო ვალდებულებათა 100-პროცენტიან დაცვას, შრომის ნაყოფიერების გადიდებას, თვითღირებულების შემცირებას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, საუკეთესო საბოლოო მეურნეობრივი შედეგების მიღწევას.

ერთი სიტყვით, მნიშვნელოვნად გაიზარდა საწარმოთა უფლებები შრომის ანაზღაურებისა და პრემირების საკითხების გადაწყვეტაში. ამასთან მუშაკის ხელფასი პირდაპირ კავშირშია მის მიერ დახარჯული შრომის რაოდენობასა და ხარისხთან, მუშაობის საბოლოო შედეგებთან. წარმოებს კეთილსინდისიერი და მაღალნაყოფიერი შრომის მეტი სტიმულირება, ხოლო უხარისხო მუშაობის შედეგზე მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრება თვით მუშაკს.

პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებული ამ უდიდესი მნიშვნელობის მქონე დადგენილების განსახორციელებლად რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა:

საფუძვლიანადაა შესწავლილი დადგენილების ყველა ძირითადი მომენტი;

განხორციელდა წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა, თითოეულ საწარმოში შემუშავდა მოქმედების მწყობრი პროგრამა, რომელშიც გათვალისწინებულია მათი კონკრეტული პირობები;

რადიკალურად გარდაიქმნა წარმოებისა და შრომის ორგანიზაცია, რომელშიც მთავარი საკითხებია — საამქროებისა და ბრიგადების გამსხვილება, კოლექტიური იჯარისა და შიდასამეურნეო ანგარიშის დანერგვა, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გაუმჯობესება.

შრომის ანაზღაურების ახალმა სისტემამ დღის წესრიგში დააყენა მოთხოვნა: თითოეულმა მუშაკმა საგნობრივად ეძებოს ახალი რეზერვები, მოაქციოს სამეურნეო ბრუნვაში.

პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს ხელფასების მოწესრიგების თაობაზე უდიდესი სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსისა და მისი უმნიშვნელოვანესი დარგის სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარებისათვის.

ამჟამად სოფლის მეურნეობის მუშაკთა შრომის ანაზღაურებისა და სტიმულირებისათვის სხვადასხვა ფორმა გამოიყენება. უკეთესი საბოლოო სამეურნეო შედეგების მისაღწევად ყველაზე ოპტიმალურად უნდა მივიჩნიოთ შრომის ანაზღაურების მთლიანი შემოსავლის მიხედვით დაწესება.

ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში დიდი ხანია გამოიყენება შრომის ისეთი ანაზღაურება, რომელიც დამოკიდე-

ბულია მთლიანი შემოსავლის მოცულობაზე. შრომის ანაზღაურების ასეთი სისტემა უზრუნველყოფს კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მუშაკთა მაღალ მატერიალურ დაინტერესებას პროდუქციის წარმოების გადიდებისათვის, რასაც თან სდევს თვითღირებულების შემცირება.

როგორც ცნობილია, მთლიანი პროდუქცია შედგება სამი ნაწილისაგან: მატერიალური დანახარჯების, შრომის ანაზღაურების საშუალებებისა და წმინდა შემოსავლისაგან (მოგება). მთლიანი შემოსავალი წარმოადგენს სხვაობას სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულებასა და პროდუქციის წარმოებისათვის გაწეული მატერიალური დანახარჯების ღირებულებას შორის. ეს სიდიდე არის შექმნილი ღირებულება და გამოიყენება გაფართოებული კვლავწარმოების ძირითად წყაროდ, აგრეთვე საზოგადოებრივ მეურნეობათა მუშაკების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის.

ამრიგად, მთლიანი შემოსავალი მით მეტი იქნება, რაც მეტ მაღალხარისხოვან პროდუქციას ვაწარმოებთ და რეალიზაციას ვავუკეთებთ, ნაკლებ მატერიალურ დანახარჯებს გავწევთ.

აქედან გამომდინარე, რომ გავზარდოთ მთლიანი შემოსავალი, საჭიროა უზრუნველვყოთ ნაკლები დანახარჯებით მეტი პროდუქციის წარმოება. მაგრამ იმ მეურნეობებში, სადაც მიღწეულია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის მაღალი დონე, წარმოების ზრდის შესაძლებლობები შეზღუდულია, ამიტომ აქ აუცილებელია მთლიანი შემოსავლის მოცულობის გადიდებას ძირითადად მივაღწიოთ მატერიალური დანახარჯების შემცირებით. ამრიგად, მთლიანი შემოსავლიდან ანარიცხების ნორმატივით შრომის ანაზღაურების განსაზღვრა თავისთავად სამეურნეო ანგარიშის პრინციპებზე გადასვლაა, რამდენადაც იგი ითვალისწინებს წარმოებული პროდუქციის არა მარტო რაოდენობასა და ხარისხს, არამედ მის წარმოებაზე გაწეულ დანახარჯებს.

სსრ კავშირის სახაგრომრეწვმა და სსრ კავშირის შრომის სახელმწიფო კომიტეტმა საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად მოამზადეს და დაამტკიცეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა მთლიანი შემოსავლის მიხედვით შრომის ანაზღაურების რეკომენდაციები.

მთლიანი შემოსავლის მიხედვით შრომის ანაზღაურების სისტემის გამოყენებას თანამედროვე პირობებში უდიდესი სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობე-

ბის წინაშე სკკპ XXVII ყრილობამ დასახა ამოცანა არა მარტო პროდუქციის თვითღირებულების ზრდის შეჩერების, არამედ მისი შემცირების მისაღწევად. სწორედ ამიტომ არის, რომ მეთორმეტე ხუთწლედის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მიმართულებებში გათვალისწინებულია საბჭოთა მეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის თვითღირებულება მიმდინარე ხუთწლედში შემცირდეს 5—7 პროცენტით.

მეურნეობრიობის დონის კრიტერიუმად მთლიანი შემოსავლის დაყენება საშუალებას იძლევა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყველა მუშაკი, დაწყებული რიგითი მუშიდან და დამთავრებული ყველაზე მაღალი რანგის ხელმძღვანელით, ეკონომიკურად დავაინტერესოთ, რათა გამოიჩინოს ინიციატივა, რომ მთელი საწარმოო პოტენციალი მიმართონ წმინდა შემოსავლის გასაღიდებლად, რაც საზოგადოებრივი წარმოების ზრდისა და მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლების მთავარი წყაროა.

შრომის ანაზღაურების ამ სისტემის მთავარი უპირატესობა ის არის, რომ იგი სპობს შრომის ანაზღაურებასა და შრომის სტიმულირებაში მრავალწახნაგობას. შრომის ანაზღაურებასა და პრემირებაში მრავალფეროვნების ნაცვლად, შემოღებულია წლის შედეგების მიხედვით მიღებული მთლიანი შემოსავლით შრომის ანაზღაურების ერთიანი სისტემა. ამასთან ხელფასის ფონდის მთლიანი შემოსავლის მიხედვით დაწესებული ნორმატივით ფორმირება საშუალებას იძლევა დავაწესოთ შრომის ნაყოფიერებისა და შრომის ანაზღაურების ზრდის ტემპების ჩვენთვის სასურველი თანაფარდობა.

მთლიანი შემოსავლის მიხედვით დაწესებული შრომის ანაზღაურების სისტემის ყველაზე ეფექტიანი გამოყენება იმ მეურნეობებსა და ქვედანაყოფებში შეიძლება, რომლებიც კოლექტიური იჯარის პრინციპებით მუშაობენ. ამიტომ მთელი აქცენტი უნდა გადავიტანოთ სტაბილური ბრიგადებისა და რგოლების შექმნაზე, სადაც ჩაერთვება დამხმარე და მომსახურე წარმოების მუშები, სპეციალისტები, მოსამსახურეები და ხელმძღვანელები.

რეკომენდაციებით გათვალისწინებულია აუცილებლობის შემთხვევაში საწარმოს რეზერვში ჰქონდეს როგორც ხელფასის ფონდის, ასევე მატერიალური წახალისების ფონდების ნაწილი, რათა შემდგომში ეს სახსრები გამოვიყენოთ შრომის ნაყოფიერების ზრდის სტიმულირებისათვის ან სოციალურ-კულტურული ღონისძიებათა ფონდის შესავსებად.

როგორც ცნობილია, საზოგადოებრივი მეურნეობები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ეკონომიკური განვითარებისა და წარმოების ეფექტიანობის დონით, ამასთან ჯერ კიდევ არსებობენ ზარალიანი მეურნეობები.

სწორედ ამიტომ რეკომენდაცია იძლევა მთლიანი შემოსავლის მიხედვით შრომის ანაზღაურების ნორმატივების განსაზღვრის ორ ვარიანტს: 1. უკანასკნელი 3—5 წელიწადში ფაქტობრივად ჩამოყალიბებული პროდუქციის წარმოების, მატერიალური დანახარჯებისა და შრომის ანაზღაურების დონისა, 2. ნორმატიული (საგეგმო) მონაცემების მიხედვით.

პირველი ვარიანტის გამოყენება რეკომენდებულია ისეთ საზოგადოებრივ მეურნეობებში, სადაც ქვედანაყოფების მიხედვით პროდუქციის გამოსავლიანობისა და მის წარმოებაზე დანახარჯების აღრიცხვა კარგად არის მოწესრიგებული. უფრო მოსახერხებელია მეორე ვარიანტის გამოყენება, თუნდაც იმის გამო, რომ პირველი ვარიანტი ეყრდნობა მიღწეულ დონეს, რომელიც მოიცავს წარმოების ტექნოლოგიაში, შრომის ანაზღაურებასა და ორგანიზაციაში არსებულ ნაკლოვანებებს.

რეკომენდაციებში ისიცაა აღნიშნული, რომ მთლიანი პროდუქციის განსაზღვრისას შეიძლება გამოვიყენოთ შიდასამეურნეო საანგარიშსწორებო ფასები, როცა შესასყიდი ფასები თვითღირებულებაზე დაბალია. ასეთი ღონისძიების განხორციელებით შრომის ანაზღაურების მთლიანი პროდუქციის მიხედვით განსაზღვრის სისტემა შეიძლება ვისარგებლოთ, როგორც მაღალრენტაბელურ, აღრიცხვამოწესრიგებულ მეურნეობებში, ასევე ზარალიან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. შიდასამეურნეო საანგარიშსწორებო ფასების გამოყენება საშუალებას იძლევა ამ მეურნეობებში განისაზღვროს მთლიანი შემოსავლის პირობები, რის საშუალებითაც დაწესდება შრომის ანაზღაურების ნორმატივები.

თითოეული საწარმოო ქვედანაყოფებისათვის ნორმატივების (შეფასებების) გაანგარიშებისას წარმოების კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე, დაწესებულია პროდუქციის წარმოების ნორმა, რომელიც მიღწეულია გასული 3—5 წლის მანძილზე კულტურათა მოსავლიანობისა და პირუტყვის პროდუქტიულობის მაჩვენებლების მიხედვით. შრომის ანაზღაურების მთლიან თანხაში, ნორმატივების გასაანგარიშებლად, უნდა გაითვალისწინოთ ხელფასის სატარიფო ფონდი, პროდუქციისათვის მუშაკთა კვალიფიკაციისა და კლასისათვის დანამატები, მოსავლის აღე-

ბის გადიდებული ანაზღაურება, აგრეთვე პრემიის ის სიდიდე, რაც ეკუთვნის საშუალოდ წინა 3—5 წელიწადში.

დაწესებული ნორმატივები (შეფასებები) სტაბილური უნდა იყოს ხანგრძლივი პერიოდისათვის და ცვლილებები შეეიდეს განსაკუთრებულ შემთხვევებში: სატარიფო განაკვეთების (თანამდებობრივი სარგოების) და პროდუქციის შესასყიდი ფასების ცვლილებების, აგრეთვე წარმოების სტრუქტურისა და მოცულობის არსებითი ძვრების პირობებში. სამეურნეო წლის დამთავრებამდე საიჯარო ბრიგადის წევრებს ეძლევათ ავანსი, ხოლო წარმოებული პროდუქციის მიღების შემდეგ გაუსწორდებათ საბოლოო ანგარიში დაწესებული ნორმატივით (შეფასებით) მიღებული მთლიანი შემოსავლის მიხედვით.

პარტიის XXVII ყრილობამ დღის წესრიგში დააყენა საზოგადოებრივი საკუთრების გამოყენებაში გადაჭრით გაიზარდოს შრომითი კოლექტივების როლი. ყრილობის პოლიტიკურ მოხსენებაში ხაზი გაესვა — განუხრელად განხორციელდეს პრინციპი, რომლის თანახმად საწარმოები მთლიანად აგებენ რენტაბელური მუშაობისათვის პასუხს. „შრომითი კოლექტივი ვალდებულია პასუხს აგებდეს ყველაფრისათვის, ზრუნავდეს საზოგადოებრივი სიმდიდრის მატებისათვის. მისი მატება, ისევე როგორც დანაკარგები, გავლენას უნდა ახდენდეს კოლექტივის თითოეული წევრის შემოსავლის დონეზე“ [1].

სწორედ მთლიანი შემოსავლის მიხედვით შრომის ანაზღაურების პრინციპის განხორციელება პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების ერთ-ერთი ოპტიმალური პირობაა.

აგროსამრეწველო კომპლექსის მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფის პრობლემები

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის მიერ აგროსამრეწველო კომპლექსის სამეურნეო მექანიზმის სრულყოფისა და სასურსათო პროდუქტებით ქვეყნის სრულად უზრუნველყოფისათვის შემუშავებულ სტრატეგიულ კურსში თანამედროვე მოთხოვნების დონეზე განვითარებული და გაღრმავებულია პარტიის აგრარული თეორია, ახლებურად დაყენებულია აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოო ძალთა განვითარებისა და წარმოებითი ურთიერთობის სრულყო-

[1] სკკპ XXVII ყრილობის მასალები, გვ. 60.

ფის პრობლემები. ყრილობის მიერ დასახული ღონისძიებების „არსი ის გახლავთ, — აღინიშნა პარტიის XXVII ყრილობის პოლიტიკურ მოხსენებაში, რომ შევცვალოთ სოფლის სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია, შევქმნათ უფრო ღრმა ინტენსიფიკაციის, პროდუქციის გარანტირებული წარმოების პირობები“ [1].

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში, სკკპ პროგრამის ახალ რედაქციასა და ყრილობის სხვა დოკუმენტებში ჩამოყალიბებული დასკვნებისა და თეორიული დებულებების მოთხოვნათა შესაბამისად აგროსამრეწველო კომპლექსში მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის განვითარების ამოცანები აისახა „ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსში მეურნეობის ეკონომიკური მექანიზმის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში, რომელიც 1986 წლის მარტშია მიღებული. ეს ისტორიული მნიშვნელობის პარტიული დოკუმენტი მიზნად ისახავს აგროსამრეწველო კომპლექსის მთელ სისტემაში ფულად-სასაქონლო ურთიერთობათა განვითარებას, სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლას, აგროსამრეწველო კომპლექსის სახელმწიფო მმართველობის ახლად შექმნილი ორგანოების — სახაგრომრეწვისა და მის ადგილობრივ ფორმირებათა შემდგომ აღმავლობას მართვის ეკონომიკური მეთოდების ფართო გამოყენების გზით.

დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ პარტიის მიერ შემუშავებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების სტრატეგია მოითხოვს აგროსამრეწველო კომპლექსში შექმნილი მთელი ეკონომიკური პოტენციალის უფრო ეფექტიანად გამოყენებით წარმოების ტემპების ზრდის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, მოსახლეობის სურსათით, ხოლო გადამმუშავებელი მრეწველობის ნედლეულით უზრუნველყოფის მიღწევას, სოფლის სოციალური გარდაქმნის ამოცანების უმოკლეს ვადაში გადაწყვეტას. ამ საქმეში უმნიშვნელოვანესი როლი უნდა შეასრულოს დაგეგმვისა და მატერიალური სტიმულირების სრულყოფის ღონისძიებებმა.

დადგენილების გამოსვლამდე მოქმედი მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმი, დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების მეთოდები და პრაქტიკა ნაკლებად ასტიმულირებდა ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო და აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემის გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოებს, ადგილობრივ საბჭოთა და სამეურნეო ორ-

[1] სკკპ XXVII ყრილობის მასალები, გვ. 46.

განოებს არსებული ეკონომიკური პოტენციალის სრულად გამოყენებაში, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვაში, სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული დარგების მაღალი ტემპებით განვითარებაში, წარმოების, შენახვისა და გადამუშავების ყველა სტადიაზე პროდუქციის დანაკარგების შემცირებაში, სოფლის სოციალური გარდაქმნის პრობლემების წარმატებით გადაწყვეტაში.

არადამაკმაყოფილებლად გამოიყენებოდა დაგეგმვის ნორმატიული მეთოდი, სამეურნეო ანგარიში, შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესული ფორმები. შელახული იყო საწარმოთა თვითმმართველობის პრინციპი.

აგროსამრეწველო კომპლექსში მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის შემდგომი გარდაქმნები სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების, მისი საკავშირო და რესპუბლიკურ ფონდებში მიწოდების დაგეგმვის ახალი მეთოდების დამკვიდრების გზით უნდა წარიმართოს. სასოგადოებრივი წარმოების განვითარება დაგეგმვის ახალი წესი მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების პირადი დამხმარე მეურნეობების მართვას. მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადამმუშავებელ მრეწველობასა და ვაჭრობასთან ინტეგრაციის გაღრმავებას.

აგროსამრეწველო კომპლექსის მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფის თაობაზე პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებული დადგენილების ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი მომენტია ის, რომ აგროსამრეწველო კომპლექსში არა მარტო ფართოვდება სამეურნეო უფლებები, ძლიერდება ეკონომიკური დაინტერესება, არამედ მაღლდება კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მათთან დაკავშირებული საწარმოების პასუხისმგებლობა საბოლოო სახალხომეურნეობრივი შედეგებისადმი, ამასთან იზრდება ტერიტორიული მართვის ორგანოების პასუხისმგებლობა ადგილობრივი მოსახლეობის კვების პროდუქტებით მომარაგების გაუმჯობესებისათვის.

მეურნეობრიობის ახალ პირობებში შეიცვალა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელფასის ფონდის, დაფინანსებისა და დაკრედიტების, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დაგეგმვის წესი. აგროსამრეწველო კომპლექსის დარგთა დაგეგმვის სრულყოფა ითვალისწინებს მმართველობითი ურთიერთობის ძირეულად გარდაქმნას.

პარტია მოითხოვს, დაგეგმვის მთელი სისტემა სრულად შეესაბამებოდეს ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსის დაჩქარებული ზრდის ამოცანებს, ფართო გასაქანს იძლეოდეს დაგეგმვის დემოკრატიზაციის,

წარმოების ყველა რგოლის კომპლექსური და პროპორციული განვითარებისათვის. უახლოეს პერიოდში ნორმატიულ მეთოდებზე უნდა გადავიდეს პროდუქციის წარმოების, შესყიდვის, რენტაბელობის, პროდუქციის თვითღირებულებისა და ხელფასის დაგეგმვა. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება წარმოების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები, შეიცვლება დაფინანსებისა და დაკრედიტების სისტემა.

ამ დადგენილებამ დასახა კონკრეტული და მიზანმიმართული ღონისძიებათა კომპლექსი აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოების ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებისა და მათი სამეურნეო საქმიანობის მაღალრენტაბელურად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

აგროსამრეწველო კომპლექსის შეწონასწორებული განვითარების უზრუნველსაყოფად და მისი დარგების უკეთესი საბოლოო შედეგების მისაღწევად მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფას დიდი როლი ენიჭება. დადგენილებაში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოების ფინანსური მეურნეობის მოწესრიგებისადმი, სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადაყვანისადმი. ეს კი მოითხოვს აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკური და ფინანსურ-საკრედიტო მექანიზმის შესწავლას, განსაკუთრებით კი ისეთი ელემენტებისა, როგორიცაა სამეურნეო ანგარიში, ფინანსები, ფასები, კრედიტი, საკასო და ფულადი მიმოქცევა და სხვ.

1987 წლიდან მოყოლებული მოკავშირე რესპუბლიკებსა და ოლქებზე არ დაიყვანება ბოსტნეულის, ბაღჩეულის, კარტოფილის, სუკრის ყურძნის, ციტრუსების, ხილის, ხორცის, რძის, კვერცხისა და სოკოს მეურნეობის სხვა პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის მტკიცე გეგმები. მათ ხუთწლედის წლების მიხედვით დაუწესდებათ საერთო-საკავშირო ფონდებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის მხოლოდ მიწოდების მტკიცე გეგმები, აქ ფონდებიდან დოტაცია. სამაგიეროდ, რაიონებსა და საზოგადოებრივ მეურნეობებს მეთორმეტე ხუთწლედში ცალკეული წლების მიხედვით განესაზღვრებათ სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის მტკიცე გეგმები.

დაგეგმვის ახალ პირობებში სასტიკად იკრძალება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დაყვანილი სოფლის მეურნეობების პროდუქციის შესყიდვის მტკიცე გეგმების შეცვლა. ეს კი მოითხოვს დაგეგმვის სერიოზულად გაუმჯობესებას. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის მოცულობის დაგეგმვისას მკაცრად უნდა გავითვალისწინოთ მიწის კადასტრის მონაცემები, საწარმოების ძირი-

თადი ფონდებითა და შრომითი რესურსებით აღჭურვის მაჩვენებლები, წინაღმდეგ შემთხვევაში, დასახული ღონისძიებები სათანადო ეფექტს ვერ მოგვცემს. ამ მომენტების გაუთვალისწინებლობით უნდა აიხსნას, ის, რომ ჩვენს რესპუბლიკაში საზოგადოებრივ მეურნეობათა 25—30 პროცენტი ჯერ კიდევ ვერ ასრულებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის გეგმებს.

1987—1990 წლებში გაგრძელდება კოლმეურნეობებზე, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებზე მეთერთმეტე ხუთწლედის საშუალო წლიურ მოცულობაზე ზევით სახელმწიფოსათვის მიყიდული სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის ფასებზე 50-პროცენტიანი ფასდანამატის გაცემა. საყურადღებოა ისიც, რომ 50-პროცენტიან ფასდანამატის პროდუქციაში 1987 წლიდან შეტანილია სოფრის ყურძენი, ციტრუსები, ხახვი, ნიორი და სხვა პროდუქტები, რომლებსაც ჩვენი რესპუბლიკისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

დადგენილებაში მკაცრი ღონისძიებებია გათვალისწინებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის დავალებათა აღ-ცილებლად შესრულების უზრუნველსაყოფად. საერთო-საკავშირო ფონდებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიუწოდებლობის დაფარვა მომდევნო კვარტალში ან წელიწადში რესპუბლიკების, ოლქების რესურსებიდან მოხდება. არავის არა აქვს საერთო-საკავშირო ფონდებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიწოდების გეგმების შეუსრულებლობის უფლება. საერთო-საკავშირო ფონდში მისაწოდებელი პროდუქციის მოცულობა და ასორტიმენტი უნდა დაიფაროს ადგილობრივი მოხმარების ფონდების ანგარიშიდან მომდევნო კვარტალში ან წელში.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გეგმები უნდა შედგეს როგორც სასოგადოებრივი მეურნეობების, ისე მეურნეობების ტერიტორიებზე მცხოვრებ მოქალაქეთა პირადი დამხმარე მეურნეობების გათვალისწინებით. ეს ხელს შეუწყობს სასურსათო რესურსების ოპტიმალურ დაგეგმვას. საყურადღებოა, რომ პროდუქციის სახელმწიფოსათვის მიყიდვის საერთო მოცულობა არ უნდა იყოს წინა 5 წლის მიღწეულ საშუალო წლიურ დონეზე ნაკლები.

მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფა ითვალისწინებს აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოებში დაგეგმვისა და მატერიალური სტიმულირების პრაქტიკისა და მეთოდების ძირეულ შეცვლას. ეს კი მოითხოვს აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა დონის

მუშაკთა სათანადო ეკონომიკურ მომზადებას. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ქვეყანაში, მათ შორის აგროსამრეწველო კომპლექსში, ეკონომიკის განვითარების ინტენსიური ფაქტორების განუხრელ აღმავლობას. აგროსამრეწველო კომპლექსში შექმნილია უდიდესი ეკონომიკური პოტენციალი, რომლის რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენება სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თითოეული მუშაკის საპატიო მოვალეობაა. რესურსები არ უნდა ეწყოს მკვდარ კაპიტალად, იგი უნდა გამოვიყენოთ ეფექტიანად. ამას კი ენერგიულიანი და ეკონომიკურად მოაზროვნე ხელმძღვანელები და სპეციალისტები სჭირდება.

აგროსამრეწველო კომპლექსში დასახულია კონკრეტული გზები და საშუალებები იმისათვის, რომ დროულად გადავიდეთ მეურნეობრიობის ახალ ეკონომიკურ მექანიზმზე. „პოლიტბიუროს აზრით, — აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა, — მიმდინარე ეტაპზე ყველა ობიექტური პირობა შეიქმნა იმისათვის, რომ მოხდეს, მე ვიტყოდი, თავისებური ნახტომი სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდაში“ [1]. მაგრამ ჯერ კიდევ საკმარისად არის შემორჩენილი ისეთი მუშაკები, რომლებიც დაჩვეულნი არიან მეურნეობების ადმინისტრაციული მეთოდებით მართვას, ხშირად საზოგადოებრივ მეურნეობებს ზემოდან უწესებენ წარმოების ისეთ მაჩვენებლებს, რომელთა დაშვება კატეგორიულად აკრძალულია. ამის შედეგად მეურნეობის ხელმძღვანელები არ შეიძლება იყვნენ წარმოების ნამდვილი მესვეურნი, სუსტდება მათი პასუხისმგებლობა საბოლოო შედეგებისადმი. ამას ისიც ემატება, რომ ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსში მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფის ვრცელი პროგრამა შემდგომ აფართოებს აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოების დამოუკიდებლობას და უფლება-მოვალეობას, არსებითად ზრდის მათ დაინტერესებასა და პასუხისმგებლობას საბოლოო სახალხო მეურნეობრივი შედეგებისათვის, უზრუნველყოფს აგრარულ სექტორში ძირეულ გარდატეხას. ეს კი მოითხოვს კადრების კომპეტენტურობის ამაღლებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის მთავრობა დღენიადაგ ზრუნავენ სამეურნეო ხელმძღვანელთა ეკონომიკური ცოდნის დონის ასამაღლებლად. ამისათვის კი საწარმოთა ხელ-

---

[1] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები, 1987 წლის 25—26 ივნისი, გვ. 26.

მძღვანელები მოვალენი არიან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებას, ეკონომიკური მეთოდებით წარმოების გაძღოლას.

აღსანიშნავია, რომ სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად რესპუბლიკის ბევრ რაიონში ჯერ კიდევ არ გამოიკვეთა ადგილობრივი სამეურნეო ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების ეკონომიკურ აზროვნებაში გარდატეხა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მუშაობის ახლებურად გარდაქმნა, მეურნეობის ეკონომიკური მექანიზმის შემდგომი ძირეული გაუმჯობესება. „სუსტად არის დაყენებული სოფლად ეკონომიკური მუშაობაც, — აღნიშნა ჯ. ი. პატიაშვილმა საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობაზე, — მარტო შიდარესპუბლიკური დოტაციის, აგრეთვე სახელმწიფო შესასყიდი ფასების დანამატების სახით კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მეთერთმეტე ხუთწლედში დაახლოებით 740 მილიონი მანეთი მიიღეს, მაგრამ გასული წლის შედეგების მიხედვით მაინც დარჩა ზარალიანი 57 მეურნეობა. ყოველივე ეს მოწმობს, რომ ჩვენი საზოგადოებრივი მეურნეობები, მათი ხელმძღვანელები ჯერჯერობით ეფექტიანად ვერ იყენებენ არსებულ ხელშემწყობ ეკონომიკურ პირობებს, სუსტად ფლობენ ძირითად ეკონომიკურ კატეგორიებს, არ აწარმოებენ სათანადო აღრიცხვასა და კონტროლს“ [1]. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მე-9 პლენუმზე აღინიშნა, რომ აგროსამრეწველო კომპლექსში ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფა ძალზე შენელებული ტემპით მიმდინარეობს და არ შეესაბამება პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა მოთხოვნებს.

როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ახლო წარსულში საზოგადოებრივ მეურნეობებში ეკონომიკური მუშაობის დაბალი დონე განპირობებული იყო იმითაც, რომ აგროსამრეწველო კომპლექსის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთა ერთი ნაწილი მათ სისტემაზე დაქვემდებარებულ სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ეკონომიკური მეთოდებით მართვას ადმინისტრაციული მეთოდებით ცვლიდნენ.

„ჩვენ უნდა შევიგნოთ, — აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმზე მ. ს. გორბაჩოვმა, — რომ წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა მართვა ბრძანებებით, აკრძალვებით, მოწოდებებით ამოიწურებოდა. ახლა უკვე ყველასათვის ცხადია, რომ ასეთი მეთოდებით მუშაობა აღარ შეიძლება“ [2].

---

[1] „საქართველოს კომუნისტი“, 1986, № 2, გვ. 29.

[2] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები, 1987 წლის 25—26 ივნისი. გვ. 83.

ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსში ჩამოყალიბდა ახალი ეკონომიკური სიტუაცია, სისტემის ყველა საწარმო უნდა გადავიდეს სრულ სამეურნეო ანგარიშზე, რომელიც გულისხმობს დანახარჯთა თვითანაზღაურებას და კაპიტალურ დაბანდებათა თვითდაფინანსებას. ჯერჯერობით კი ბევრი საზოგადოებრივი მეურნეობა სახელმწიფოს კმაყოფაზეა, იგი ფარავს მათი დანახარჯების მნიშვნელოვან ნაწილს.

სამეურნეო ანგარიშის დანერგვას სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ ივი სრულად დღემდე ვერ განხორციელდა ფასწარმოქმნის, დაგეგმვისა და ადგილობრივი ინიციატივების გაფართოების უნიათო სისტემების შედეგად.

ღღეს, როგორც არასოდეს, განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფას აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა დარგში. მეურნეობრიობის ახალი ეკონომიკური მექანიზმი 1987 წლიდან ყველგან არის დანერგილი. ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი, რომლითაც იგი გამოირჩევა მეურნეობრიობის ადრე არსებული მექანიზმისაგან ის არის, რომ მოკავშირე რესპუბლიკებამდე და ოლქებამდე დაიყვანება საერთო სახელმწიფოებრივ ფონდში სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდების დავალებები. დანარჩენი ნაწილი კი მთლიანად გამოიყენება რეგიონის მშრომელთა ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

მნიშვნელოვანი მომენტია ისიც, რომ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს უწესდებათ არა მიღწეულ დონესთან გათვალისწინებული გეგმები, არამედ დავალებები, რომლებიც მეურნეობის ეკონომიკური პოტენციალიდან გამომდინარეობს. გამოდის, რომ ყველაფერი თავის ადგილზე დადგა, მაგრამ მეურნეობის ეკონომიკური პოტენციალი დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა მიწის ეკონომიკური შეფასება. სამუშაო ძალითა და საწარმოო ფონდებით უზრუნველყოფის დონე და ა. შ.

უდავოა, რომ მეურნეობრიობის ახალი ეკონომიკური მექანიზმი იძლევა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მნიშვნელოვან ბერკეტებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ მიგნებული არა გვაქვს ისეთი მექანიზმი, რომელიც სრულად ასტიმულირებდეს საწარმოს მიერ რეალური გეგმების მიღებას.

სასოფლო-სამეურნეო და გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოების თვითანაზღაურებაზე გადასვლა აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკების წინაშე აყენებს ისეთ გადაუჭრელ პრობლემას, როგორიც არის მაღალრენტაბელური და ზარალიანი პროდუქციის წარმოება. მარტო

მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებული მუშაკების ძირითადი სტიმულირებით არ შეიძლება იწარმოოს ნაკლებმომგებიანი ესა თუ ის პროდუქცია, თუმცა იგი საზოგადოების მაღალი მოთხოვნებით სარგებლობს. მიზანშეწონილია აქ თავისი ავტორიტეტული სიტყვა თქვას ქვეყნისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტებმა. აქ აუცილებელია გამოვიყენოთ ისეთი ეკონომიკური ბერკეტები, როგორიცაა ფასწარმოქმნა და მატერიალური რესურსებით მოწარაჭება. მოკნილად უნდა გამოვიყენოთ ფასის ყველა ელემენტი, რათა მივაღწიოთ რეალურ ეკვივალენტობას. ამასთან ნაკლებმომგებიანი პროდუქციის წარმოების გადიდება უნდა წავახალისოთ ფასდანამატითა და დამატებით დეფიციტური სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, მანქანა იარაღებისა და სხვა მატერიალური ფასეულობების გამოყენებით. ამის ოპტიმალური მაგალითია მეურნეობრიობის ახალ ეკონომიკურ მექანიზმში მარცვლეულის წარმოების სტიმულირების მრავალმხრივი ბერკეტები.

აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოთა სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსების პრინციპებზე მუშაობა შეუძლებელია, თუ აგროსამრეწველო კომპლექსის ხელმძღვანელობის მთელ იერარქიულ სისტემას არ გადაეიყვანთ ეკონომიკურ მეთოდებზე. ცნობილია, რომ სამეურნეო ხელმძღვანელობის ფუნქცია, სტილი და მეთოდები აგროსამრეწველო კომპლექსის სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვაა. მიუხედავად იმისა, რომ ამ კომპლექსში დარგთაშორისი წინააღმდეგობები მოხსნილია, ხშირად გვახსენებენ თავს ისეთ საუწყებათაშორისო ორგანოები, როგორიც არის საგეგმო, ფასწარმოქმნის, შრომის, საფინანსო და საკრედიტო ორგანოები. ბოლომდე დაძლეული არ არის დუბლირება, შეთანხმებები და აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოების (გაერთიანებების) „შებოჭვა“ კანონიერი თუ უკანონო მითითება-დირექტივებით.

თვითანაზღაურების პრინციპების დანერგვაში განსაკუთრებული რიგი გააჩნია რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებებს. დღეს მათი საქმიანობის მთავარი საკითხია დარგთაშორისი კოორდინაციის პრობლემები. მეურნეობრიობის ახალი სისტემის პირობებში აგროსამრეწველო კომპლექსების საწარმოები და ორგანიზაციები ურთიერთშორის კავშირებს ამყარებენ პირდაპირი სახელშეკრულებო ურთიერთობათა ბაზაზე. სწორედ რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებასა და მასში შემავალ საწარმოებს შორის ურთიერთობა მოითხოვს ოპტიმალური, რაციონალური კავშირურთიერთობის გზების გამონახვას. სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დიდი ეამოცდილება აქვს დაგროვილი ამ საქმეებში, რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებებსა და

საწარმო-ორგანიზაციებს შორის ურთიერთობანი ჯერ კიდევ არ არის დამყარებული მტკიცე ეკონომიკურ საფუძვლებზე, რაც ხელს უშლის სრული სამეურნეო ანგარიშის დამყარებას მართვის ყველა დონეზე, უპირობოდაც შეუძლებელია სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებულთ დავუბრუნოთ მიწის მეპატრონის საპატიო მისია.

პარტია დღეს, როგორც არასოდეს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებასა და მომჭირნეობის რეჟიმის დაცვას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის დაჩქარებას, თვითღირებულების შემცირებასა და წარმოების რენტაბელობის დონის ამაღლებას. მეურნეობრიობის ახალ მეთოდებზე გადასვლამდე პარტიის ამ მოთხოვნებს რესპუბლიკის მთელი რიგი საზოგადოებრივი მეურნეობები მთლიანად არ ასრულებდნენ, მათი ერთი ნაწილი არაეფექტიანად იყენებდა სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ მატერიალურ და ფულად რესურსებს და ვერ უზრუნველყოფდა ეკონომიკის განმტკიცების ღონისძიებების განხორციელებას. არამეურნეობრივი მუშაობით, მომთხოვნელობისა და პასუხისმგებლობის შესუსტებით, საგეგმო, საშემსრულებლო, შრომის დისციპლინის მოსუსტებით უნდა აიხსნას ის, რომ რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონების სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების წარმოება ზარალიანი იყო და არის.

რესპუბლიკის მეურნეობათა ერთ ნაწილში ნაკლებად იგრძნობა ახლის ძიება, არ წარმოებს ყოველდღიური თანამიმდევრული ბრძოლა და სწრაფვა არსებული მდგომარეობიდან თავდასაღწევად. მიუხედავად დიდი შესაძლებლობებისა, მათი უმრავლესობა თითქმის არ ზრუნავს ადგილობრივი რეზერვების ასამოქმედებლად, პროდუქციისა და ნედლეულის წარმოების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესასრულებლად. უფრო მეტიც, ამ მეურნეობათა ხელმძღვანელები და სპეციალისტები შემრიგებლურად უდგებიან სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაბალ მაჩვენებლებს, ჩვეულებრივ მოვლენად თვლიან მეურნეობათა ქრონიკულ ზარალიანობას.

ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნა მუშაობა რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებებმა სისტემის საწარმოთა სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის არსებული მდგომარეობის შესწავლის გასაუმჯობესებლად. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების, სასოფლო-სამეურნეო და გადამმუშავებელი საწარმოების ხელმძღვანელები, საბუღალტრო და ეკონომიკური სამსახურები ნაკლებად ცდილობენ კონკრეტულად გააანალიზონ, გაარკვიონ სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ყოველი მხა-

რე. ყოველი გადაუჭრელი პრობლემა, დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი, მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ყველა რეზერვის სამეურნეო ბრუნვაში მოსაქცევად.

აგროსამრეწველო კომპლექსის მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფა შეუძლებელია, თუ არ ვიწამეთ, რომ აღრიცხვა. ეკონომიკური ანალიზი სამეურნეო გეგმების შესრულების შემოწმების საშუალებაა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს შიდასამეურნეო რესურსების გამოვლინება და სამეურნეო ბრუნვაში ჩართვა.

რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეურნეობებში, უწინარესად, სწორედ ეკონომიკური მუშაობის დაბალი დონით უნდა აიხსნას მეცხოველეობის განვითარებაში უკანასკნელ წლებში პირუტყვის დაცემითა და იძულებითი დაკვლით გამოწვეული ზარალის ზრდა, რაც მილიონობით მანეთს აღემატება.

ძალზე დაბალია პირუტყვის პროდუქტიულობა. რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეურნეობებში 100 ძროხიდან მიღებულია 74—77 ხბო, მაშინ, როდესაც სსრ კავშირში ეს მაჩვენებელი 80-ს აღემატება. 1966 წელს მარტო რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებში 19,6 ათას სულ ძროხას, ანუ მთელი რაოდენობის 28,1 პროცენტს ხბო არ მოუცია, სამაგიეროდ, მათი შენახვის არამწარმოებლური ხარჯების დასაფარავად გაღებულია 10,8 მილიონი მანეთი. რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეურნეობათა დაახლოებით 10 პროცენტში წველადობის საშუალო დონე 1000 კილოგრამს არ აღემატებოდა, დაბალი იყო პირუტყვის საღღეღამისო წონამატი. სახელმწიფოსათვის ჩაბარებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საშუალო წონა 263 კილოგრამია, რაც 29,5 პროცენტით ჩამორჩება საშუალო-საკავშირო მაჩვენებელს.

რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეურნეობებში ქრონიკულად არ სრულდება პროდუქციის წარმოების გეგმები, რაც მემცენარეობისა და მეცხოველეობის დარგებში წარმოებული პროდუქციის ზარალიანობას იწვევს. წლების მანძილზე ზარალიანია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის წონამატის, კარტოფილის, ბოსტნეულის, მარცვლეულისა და სხვა ძირითადი პროდუქტების წარმოება.

საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის წლიური ანგარიშგებებიდან ირკვევა, რომ მარტო მოსავლის აღების გაჭიანურების და ცუდი ტრანსპორტირების შედეგად იკარგება საშუალოდ მოსავლის 10—15%, რაც მძიმე ტვირთად აწვება წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებას[1].

[1] მონაცემები აღებულია საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის წლიური ანგარიშგებებიდან.

რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებების, საზოგადოებრივი მეურნეობების ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა ყურადღების გარეშე რჩება ხშირად ისეთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური კატეგორიები, როგორიცაა შრომის ნაყოფიერება და მატერიალური დაინტერესება. 1985 წელს ხუთწლედის საშუალო წლის დონესთან შედარებით, შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი 15,2 პროცენტით ჩამორჩა შრომის ანაზღაურების ზრდის ტემპს. ეს თანაფარდობა ზოგიერთ მეურნეობაში 36—46 პროცენტს აღემატება, ზოგიერთში კი ეკონომიკური დასაბუთების გარეშე ექსპერიმენტის სახით უკანასკნელ წლებში მატერიალური სტიმულირების ისეთ ფორმებს იყენებდნენ, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო შრომის მიხედვით განაწილების ეკონომიკური კანონების მოთხოვნებთან.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში 1987 წლის 23 იანვრის თათბირზე — „სოფლის მეურნეობაში შრომის ორგანიზაციის რაციონალური ფორმებისა და სამეურნეო ანგარიშის დანერგვის საფუძველზე შრომის ნაყოფიერების გაზრდის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“ პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების რეალიზაციის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. ნ. ნიკონოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სუსტძალოვან საზოგადოებრივ მეურნეობებში არ არის წესრიგი დამყარებული შრომის ანაზღაურებასა და შრომის ორგანიზაციაში. იმის გამო, რომ აჩქარებით მოვსპეთ შრომადღის ინსტიტუტი, საბოლოო შედეგებისათვის ზრუნვა მთლიანად მოისპო: კოლმეურნე გახდა დაქირავებული მუშა, რითაც წაიშალა მიწის მესაკუთრის კატეგორია კარგი გაგებით. წარმოების ზოგიერთი ხელმძღვანელის შრომის ანაზღაურებისადმი ვოლუნტარისტულმა მიდგომამ გამოიწვია კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების საზოგადოებრივი და საწარმოო აქტივობის შენელება, სოფლის მშრომელებში ისეთმა სენმა მოიკიდა ფეხი, როგორიც არის ინერტულობა და უმოქმედობა. სწორედ ზარალიან და დაბალრენტაბელურ მეურნეობებში შრომის ანაზღაურება უფრო მაღალია, ვიდრე ეკონომიკურად ძლიერ მეურნეობებში. მათ იციან, რომ თუ თვითონ ვერ გამოიმუშავებენ საკუთარი ხელფასის დასაფარავად თანხებს, მას არ დატოვებენ უყურადღებოდ და ამ თანხებს მიიღებენ სახელმწიფო ბანკის კრედიტის ან მაღალრენტაბელური მეურნეობის ხარჯზე.

„ხომ არ დადგა დრო, — აღნიშნა ვ. ნ. ნიკონოვმა, — ასეთ მეურნეობებს არ ვანდოთ სხვისი ფულები, თუ საჭიროა ავუშენოთ მატერი-

ალურ-ტექნიკური ბაზა და შემდეგ მოვთხოვოთ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდება“ [1].

საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის, რომ ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრივი მეურნეობების ერთ ნაწილში ფართოდ გავრცელდა ხელფასის ფორმებისა და სისტემების განსაზღვრაში თვითშემოქმედება და დაუსაბუთებელი ინიციატივის გამოჩენა. შრომის ანაზღაურების მოგონილი ფორმებითა და სისტემებით დაუმსახურებლად გაიზარდა ხელფასები, რითაც რესპუბლიკის ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში შრომის ორგანიზაციის ფორმებს დისკრედიტირებას უწევენ. სწორედ ამაზე მიუთითებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი, რომ მეურნეობათა „ზოგიერთ საიჯარო ბრიგადაში ხელფასი იზრდება უფრო სწრაფად, ვიდრე შრომის ნაყოფიერება, ხოლო პროდუქციას ჩვეულებრივი ტიპის ბრიგადასთან შედარებით აწარმოებენ ნაკლებს“ [2].

საზოგადოებრივი მეურნეობების ერთ ნაწილში კი პროდუქციის წარმოების გეგმების შეუსრულებლობის პირობებში კი დაიწყეს მატერიალური წახალისების არაჯსწორი ფორმების დანერგვა, რამაც გამოიწვია პროდუქციის თვითღირებულებაში შრომის ანაზღაურების ხვედრითი წონის 60—70 პროცენტამდე გაზრდა. დაირღვა დაგროვებასა და მოხმარებას შორის ოპტიმალური თანაფარდობა. ამასთან მიუღებლად უნდა მივიჩნიოთ ისიც, რომ შრომის ანაზღაურების არასწორი წესების შემოღებით სუსტდება სოფლად დასაქმებულ მუშაკთა შრომითი აქტივობა და არ იზრდება შრომის ნაყოფიერება. საზოგადოებრივ მეურნეობებში დაუმსახურებლად შრომის ანაზღაურების გადიდებამ გაართულა შრომის ანაზღაურების სწორი წესების დანერგვა და კოლექტიურ იჯარაზე გადასვლა. პარტია კატეგორიულად გმობს იმ საწარმოთა ხელმძღვანელების პრაქტიკას, რომლებიც შრომის ანაზღაურების ზრდის ტემპთან შედარებით, შრომის ნაყოფიერების უპირატესი ამაღლების აუცილებლობის შესახებ არღვევენ ობიექტური ეკონომიკური კანონის მოთხოვნებს. „საჭიროა, რომ სახელმწიფოს პოლიტიკაც ხელფასის სფეროში უზრუნველყოფდეს შრომის რაოდენობასა და ხარისხზე ხელფასის ზუსტ დამოკიდებულებას“ [3]. ზემოაღნიშნული არასასურველი ფაქტორების გამო საზოგადოებრივი წარმოება დაბალეფექტიანობით ხა-

[1] „კომუნისტი“, 1987 წლის 25 იანვარი.

[2] Идет перестройка, Сост. Н. Кожанов, А. Черняк. М., Политиздат, 1987, с. 70.

[3] სკკპ XXVII ყრილობის მასალები, გვ. 70.

სიათდება, რაზედაც მიგვანიშნებს სოფლის მეურეობის პროდუქციის თვითღირებულების დინამიკა, რომელიც განხილულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

რესპუბლიკაში სახოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულების დინამიკა (1 ტონა მანეთობით) [1]

პროდუქციის დასახელება	1970 წ.	1975 წ.	1980 წ.	1985 წ.
კარტოფილი	101	153	232	235
ბოსტნეული	121	150	155	192
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის წონამატი	1544	1759	2301	3232
ღორის წონამატი	1974	1963	2655	2885
რძე	230	230	477	514
100 ცალი კვერცხი	66	82	103	95

აღნიშნული მონაცემები ნათლად მეტყველებს იმ დიდ პრობლემებზე, რაც მიმდინარე ხუთწლედში უნდა განხორციელდეს რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ალმავლობის, პროდუქციის წარმოების ზრდისა და მისი ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების მიმართულებით. ახლა მთავარია სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის გულმოდგინე ანალიზით დავეხმაროთ მეურნეობებს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში, რაც საბოლოოდ პროდუქციის წარმოების გადიდებასთან ერთად დანახარჯების შემცირების, საწარმოთა ეფექტიანობის ამაღლების გზით უნდა წარიმართოს. წინააღმდეგ შემთხვევაში სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახული ამოცანის — კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების თანდათანობით თვითანაზღაურებაზე გადაყვანის განხორციელება შეუძლებელი იქნება.

ეკონომიკური მუშაობა არ ითმენს არაკონკრეტულობასა და არაკომპეტენტურობას, ბევრგან ეკონომიკურ სამსახურებში მუშაობენ ისეთი

[1] Народное хозяйство СССР в 1984 г., статистический ежегодник, М., 1985, с. 298, 310; Народное хозяйство Грузинской ССР в 1984 году; Народное хозяйство Грузинской ССР в 1985 году, с. 205, 240.

პირები, რომლებიც არ იბრძვიან იმისათვის, რომ კოლექტივის საშემსრულებო დისციპლინა შეუხამონ საგეგმო მაჩვენებლების წარმატებით განხორციელებას, მისცენ ამ უკანასკნელს მაორგანიზებელი ძალა. ამასთან ეკონომიკურმა სამსახურებმა უნდა გააანალიზონ საწარმოებში შექმნილი მდგომარეობა, სწორად უჩვენონ არსებული ნაკლოვანებები და მათი გამოსწორების, დაძლევის გზები.

პარტიის XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად მატერიალური წარმოების ყველა დარგში უნდა გაძლიერდეს არამწარმოებლობისა და უყაირათობის წინააღმდეგ კონტროლი. „მომჭირნეობა, სახალხო სახსრების უნარიანი ხარჯვა, ყოველი მანეთის რაციონალური მოხმარება, უყაირათობის ლიკვიდაცია, სხვადასხვაგვარი არამწარმოებლური ხარჯებისა და დანაკარგების აღმოფხვრა საერთო-პარტიული, საერთო-სახალხო საქმე, თითოეული შრომითი კოლექტივის. ყოველი მუშაკის საქმეა“ [1]. ეს მოთხოვნა მთლიანად ეხება აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოებს.

აგროსამრეწველო კომპლექსის მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის დანერგვას, მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერებას, სამეურნეო ანგარიშის ქმედითობის ამაღლებასა და წარმოების დანახარჯების შემცირებას ემსახურება სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, ფინანსთა სამინისტროს, ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსა და სახაგრომრეწვის მიერ 1985 წლის ბოლოს შემუშავებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის თვითღირებულების დაგეგმვის, აღრიცხვისა და გაანგარიშების ძირითადი დებულებები. მასში ძირითადად ზუსტად არის განსაზღვრული იმ დანახარჯთა ელემენტები, რომლებიც პროდუქციის თვითღირებულებაში საწარმოო დანახარჯების სახით არის წარმოდგენილი. ახალი დებულებით თვითღირებულებაში შეტანილია აგრეთვე პირუტყვის დაცემის ხარჯები, რომლებიც მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს არ დაეწერათ ასანაზღაურებლად. მართებულად მიგვაჩნია პროდუქციის თვითღირებულებიდან სახელმწიფო ბანკის სესხებით სარგებლობის დანარიცხების ამოღება.

ჩვენი აზრით, კრიტიკას ვერ უძლებს დებულების ის ნაწილი, რომელიც ეხება პროდუქციის თვითღირებულებაში ზემდგომი სამეურნეო ორგანოების (რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებების, ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის აგროსამრეწველო კომიტეტის, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებების, რესპუბლიკური სა-

[1] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, თბილისი, 1986, გვ. 55.

წარმო გაერთიანებების, სახაგრომრეწვის და სხვ.) მმართველობის შენახვის ხარჯების შეტანას.

პარტიის XXVII ყრილობაზე და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმზე ხაზი გაესვა იმას, რომ მართვის ზედა ეშელონებიც უნდა გადავიდეს სამეურნეო ანგარიშზე და თითოეული მათგანის საქმიანობა დაუკავშირდეს მატერიალური წარმოების სფეროს საბოლოო სახალხომეურნეობრივ შედეგებს. სწორედ აღნიშნულზე მიუთითა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. კ. ლიგაჩოვმა პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის თათბირზე „მომწიფდა საკითხი, რომ სამეურნეო ანგარიშზე გადავიყვანოთ არა მარტო კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, არამედ მათი მართვის ორგანოებიც — სახაგრომრეწვის მთელი სისტემა და, უწინარეს ყოვლისა, რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებები და საოლქო აგროსამრეწველო კომიტეტები“ [1]. ზემოაღნიშნული გვაძლევს იმ უფლებას, რომ მიზანშეწონილია ჩაითვალოს პროდუქციის თვითღირებულებიდან ზემდგომი ორგანოების მმართველობის შენახვის ხარჯების ამოღება. რა გამოდის! ზემდგომი ორგანოები საბოლოო შედეგებთან არ არიან დაკავშირებული, შრომის ანაზღაურებისათვის სახსრებს კი უმტკივნეულოდ ღებულობენ, მიუხედავად იმისა, რომ პროდუქციის თვითღირებულება ძვირდება. უმჯობესი იქნება ზემდგომი სამეურნეო ორგანოების აპარატის შენახვის ხარჯები გავიღოთ მოგებიდან, თუ დაქვემდებარებული საწარმოები და ორგანიზაციები შეასრულებენ მოგების გეგმებს, მაშინ მმართველობითი ორგანოების შენახვის ხარჯები მთლიანად გადაირიცხება, ხოლო მოგების გეგმის შეუსრულებლობის პირობებში, შესაბამისად, შემცირდება ზემდგომი ორგანოების მმართველობის შენახვის ხარჯებისათვის ანარიცხები, სწორედ ამით მათი აპარატის მუშაკები მატერიალურად პასუხისმგებელი ხდებიან საბოლოო სახალხომეურნეობრივი შედეგებისათვის, რაც სამეურნეო ანგარიშის განმტკიცების ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა.

ახალი ძირითადი დებულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა ის, რომ დაუშვებელია თვითღირებულებაში ისეთი ხარჯების შეტანა, რასაც პროდუქციის წარმოებასთან არა აქვს საერთო, აგრეთვე ის ხარჯები, რომლებიც გაწეულია პირად დამხმარე მეურნეობებზე. ცნობილია ისეთი ფაქტები, როცა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები დიდ თანხებს ხარჯავენ ქალაქებისა და დაბების კეთილმოწყობისათვის, სხვა საწარმო-

[1] „კომუნისტი“, 1987 წლის 25 იანვარი.

ების მატერიალური დახმარების გასაწევად, მოსახლეობის პირუტყვის საკვებით უზრუნველსაყოფად და მათი საკარმიდამო ნაკვეთების დასამუშავებლად. ასეთი პრაქტიკა ახალი ძირითადი დებულებით აკრძალულია.

მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფის ღონისძიებების განხორციელება მოითხოვს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ჰქონდეთ ყველა პირობა რენტაბელური მუშაობისა და გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების უზრუნველსაყოფად. საწარმოო სიმძლავრეების უფრო რაციონალური გამოყენებით, არამწარმოებლური ხარჯებისა და დანაკარგების, უყაირათობის ლიკვიდაციით შეიძლება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს მეურნეობათა ეკონომიკური მდგომარეობა. გამოუყენებელი რეზერვების ასამოქმედებლად საჭიროა საგეგმო, შრომითი და საწარმოო დისციპლინის განმტკიცება, ეკონომიკური და ანალიზური მუშაობის გაუმჯობესება, შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესული ფორმებისა და მეთოდების დანერგვა, საწარმოს ყველა ქვედანაყოფში შიდასამეურნეო ანგარიშის დამკვიდრება.

უდიდესი სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობა აქვს საწარმოებისა და ორგანიზაციების გადახდისუნარიანობის ამაღლებასა და ანგარიშსწორების მოწესრიგებას, რომელიც გადამწყვეტია სამეურნეო მექანიზმის ნორმალური ფუნქციონირებისათვის. ადრე მეურნეობათა ზარალიანი მუშაობა, პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის ფასების დაბალი დონე ბევრ სამეურნეო მუშაკს აძლევდა ბანკის ვადაგადაცილებული დავალიანებებისა და მომწოდებელთა არგადახდების არსებობის ობიექტური მიზეზებით გამართლების საშუალებას. ამასთან, საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელობის ერთი ნაწილი მობილიზაციას არ უკეთებდა გამოუყენებელ რეზერვებს და არ უზრუნველყოფდა მის სამეურნეო ბრუნვაში მოქცევას, ნაკლებად იბრძოდა დებიტორულ დავალიანებათა ლიკვიდაციისათვის, ხოლო საკუთარი საბრუნავი საშუალებების დიდ ნაწილს კაპიტალურ დაბანდებებსა და კაპიტალურ რემონტებში იყენებდა.

საგულისხმოა ერთი მნიშვნელოვანი ფაქტიც. რესპუბლიკაში იმის გამო, რომ აგროსამრეწველო გაერთიანებებში ნაკლებადაა კვალიფიციური ეკონომისტები, საბჭოთა მეურნეობების დაფინანსება, მიუხედავად იმისა, რომ რაიონულ გაერთიანებებს ექვემდებარება, ზემდგომი ორგანოების მეშვეობით ხდება. ეს უშუალოდ მოქმედებს საფინანსო და საანგარიშსწორებო დისციპლინის განმტკიცებაზე და საზოგადოებრივ

მეურნეობათა საქმიანობისადმი ფინანსური კონტროლის გაძლიერებაზე.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებათა ფინანსისტებსა და საფინანსო-საკრედიტო ორგანოების მუშაკებს შორის მჭიდრო კონტაქტების დამყარებას. უნდა ვირწმუნოთ, რომ ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსება მნიშვნელოვნად შეამცირებს დაუსაბუთებელ ეკონომიკურ გადაწყვეტილებათა მიღების შესაძლებლობებს.

დღეს პარტია გადაჭრით მოითხოვს ყველა ზარალიან და მცირერენტაბელურ მეურნეობაში პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ხანგრძლივი პერიოდის ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების შემუშავებას. რომელსაც ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში განხილვის შემდეგ რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებათა საბჭოები დაამტკიცებენ. ამ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებებში უნდა გავითვალისწინოთ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურის დონის ამაღლების, მოსავლიანობისა და პროდუქტიულობის გადიდების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, ეკონომიკური მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესების საკითხები. მით უმეტეს, აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფის თაობაზე პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებული დადგენილება ავალებს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, რაიაღმასკომებს, სახაგრომრეწვებს, რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებს შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი თითოეული დაბალრენტაბელური და ზარალიანი მეურნეობისათვის, რომლებიც გარანტირებულს გახდიან წარმოების ზრდის დაჩქარებას, არამწარმოებლური ხარჯებისა და თვითღირებულების შემცირებას, შრომის ნაყოფიერების გადიდებას და წარმოების რენტაბელობის ამაღლებას.

საფუძვლიანად უნდა გარდაიქმნას რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებებისა და საზოგადოებრივი მეურნეობების ეკონომიკური სამსახურების საქმიანობა. ისინი ცალკეულ ტექნოლოგიურ ოპერაციებს კი არ უნდა წარმართავდნენ, რაც მეურნეობათა ხელმძღვანელობის კომპეტენციაა, არამედ საგნობრივად აანალიზებდნენ ეკონომიკას, სამეურნეო საქმიანობის შედეგებს, პოულობდნენ დარგების ზარალიანობის ნამდვილ მიზეზებს, ეძებდნენ რეზერვებს და სახავდნენ მათი რეალიზაციის ყველაზე ეფექტიან გზებს, წარმართავდნენ კადრების სწავლებას, სიახლეთა დანერგვას, დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების უზრუნველ-

ყოფას. ეკონომიკური მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებები განსაკუთრებით მართვის შუა რგოლში — რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებში უნდა განხორციელდეს. ერთი სიტყვით, კვალიფიციური ეკონომიკური სამსახური უნდა იყოს აგროსამრეწველო კომპლექსის საქმიანობის მართვის უტყუარი კომპასი.

ცნობილია, რომ მატერიალური წარმოების სფეროს არაკომპეტენტური ხელმძღვანელობის შედეგად ეკონომიკას დიდი ეკონომიკური ზიანი ადგება. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა ერთ ნაწილს ჯერ კიდევ თან სდევს მეურნეობის მართვისადმი ტრადიციული, დრომოჭმული მიდგომა, ვერ ერკვევიან წარმოებაში არსებულ ეკონომიკურ სიტუაციაში, ცუდად იცნობენ საკანონმდებლო და ნორმატიულ აქტებს, რომელთა გარეშე შეუძლებელია აგრომრეწვის მრავალწახნაგოვან დარგებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების მართვა, სათანადო ცოდნის უქონლობისა და არაკომპეტენტურობის შედეგად არაეფექტიანად გამოიყენება ეკონომიკური სტიმულები და ბერკეტები. პარტია გარდაქმნის პროცესში სამეურნეო ხელმძღვანელისაგან მოითხოვს ჩამოაყალიბოს საბოლოო სახალხომეურნეობრივი შედეგებისათვის მუშაობის ჩვევა, შეეძლოს საქმისადმი არაორდინარული მიდგომა რთულ სიტუაციებში პრობლემის არასტანდარტული გადაწყვეტა.

თანამედროვე პირობებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელმძღვანელი უნდა იყოს ინიციატივიანი ორგანიზატორი და კოლექტივის აღმზრდელი, ეკონომისტი და ნოვატორი, ამასთან უნდა ახასიათებდეს საქმის ინტერესებისათვის რისკის გაწევა, იყოს განურჩეველად ყველას მიმართ პრინციპული და მზრუნველი, გააჩნდეს იმის უნარი, რომ კოლექტივი გაიყოლიოს დასახული ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად.

„მართლაც, კოლმეურნეობის თავმჯდომარე სულაც არ არის ვალდებული ასრულებდეს ფერმის გამგის, საამქროს ხელმძღვანელის ან ბრიგადირის სამუშაოს, მაგრამ იგი ვალდებულია დროულად და მთლიანად შეასრულოს ის, რასაც მოიჯარე კოლექტივთან კოლმეურნეობის გამგეობის მიერ დადებული ხელშეკრულება ითვალისწინებს!“ [1] — აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა სკკპ ცენტრალური კომიტეტში 1987 წლის 23 იანვარს ჩატარებულ თათბირზე.

აგროსამრეწველო კომპლექსში მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის შემდგომი სრულყოფის ამოცანების მოთხოვნათა შესაბამისად საჭიროა გაძლიერდეს სამრეწველო საწარმოებისა და მეურნეობებისათ-

[1] „კომუნისტი“, 1987 წლის 25 იანვარი.

ვის გასაწევი მომსახურების ფასების ცვლილებების, მათი პროდუქციის თვითღირებულებისა და წარმოების რენტაბელობისადმი კონტროლი.

ახალი დადგენილებით საზოგადოებრივ მეურნეობებს ნება ეძლევათ კარტოფილის, ბოსტნეულის, ბაღჩეულის, სუფრის ყურძნის სახელმწიფო შესყიდვის საგეგმო მოცულობა 30 პროცენტამდე, აგრეთვე გეგმის ზევით წარმოებული პროდუქცია მიყიდონ კოოპერაციულ ორგანიზაციებს ან გაყიდონ საკოლმეურნეო ბაზარში შეთანხმებული ფასებით. ამასთან პროდუქციის ამ გზით რეალიზაცია სახელმწიფოს შესყიდვის გეგმების შესრულებაში ჩაითვლება.

მეურნეობების მუშაობაში სამეურნეო ანგარიშის პრინციპების გაძლიერების მიზნით 1987 წლიდან ხელფასის ფონდის ფორმირებას თვით საზოგადოებრივი მეურნეობები ახორციელებენ ხუთწლედისათვის გათვალისწინებული სტაბილური ნორმატივებით, ყოველ 100 მანეთ რეალიზებულ (მთლიან) სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე გაანგარიშებით, რაც ხელფასის ზრდასთან შედარებით უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების უპირატეს ამაღლებას.

აუცილებელია საზოგადოებრივი მეურნეობები დროულად გადავიყვანოთ ი'ალთ შრომის ანაზღაურებაზე, რომელსაც საფუძვლად დაედება საერთო (მთლიანი) შემოსავალი.

შრომის ანაზღაურების ეს მეთოდი მთელს კოლექტივს, მის თითოეულ წევრს აიძულებს იფიქროს სად და როგორ მოაწყონ დანახარჯთა ეკონომია, შეადარონ დანახარჯები შედეგებს. ადრე მთლიან შემოსავალს შრომის ანაზღაურების გაანგარიშებაში არ ითვალისწინებდნენ, ქვედანაყოფების ხელმძღვანელები კანონიერი თუ უკანონო გზებით ცდილობდნენ მიეღწიათ რაც შეიძლება მეტი ტექნიკის, მანქანების, მინერალური სასუქების, ფულადი საშუალებების მიღებისათვის. არავინ არ აქცევდა ყურადღებას მათი გამოყენების ხარისხს, ეს არც იყო საჭირო. ზედმეტი რესურსები შრომის ანაზღაურებაზე არ მოქმედებდა, ამჟამად ბრიგადის მუშებისათვის სულ ერთი არ არის ტექნიკის სიუხვე, ნორმალურ პირობებში ისინი დღეს ითხოვენ ზედმეტი ტექნიკა და მასალები, ჭარბი მუშახელი გამოიყენონ იქ, სადაც ამის ნაკლებობაა.

რა მოხდა? რა შეიცვალა?

დიდად არაფერი, ადამიანები დარწმუნდნენ, რომ შრომის მეტი ანაზღაურებისათვის დანახარჯები საბოლოო შედეგებს უნდა შეუდარონ. იმისათვის, რომ მუშამ მეტი მიიღოს, საჭიროა არა მარტო მაღალი მოსავლის მოწევა, არამედ მის მოსაყვანად ნაკლები დანახარჯების გაწევაც.

ამრიგად, რაც მაღალია მოსავლიანობა და პროდუქტიულობა და და-

ბალია მათ საწარმოებლად გაწეული ხარჯები, მით მეტია მთლიანი შემოსავალი და რამდენადაც შრომის ანაზღაურება პირდაპირ დამოკიდებულია მთლიან შემოსავლებთან, ბუნებრივია, ამ უკანასკნელის გადიდება იწვევს ხელფასის გაზრდას.

ადრე კოლექტიური იჯარა ძირითადად მიმართული იყო პროდუქციის გამოსავლიანობის გადიდებისაკენ. დანახარჯებს, ხელფასის დარიცხვას. საერთოდ, ყურადღებას არ აქცევდნენ. სწორედ ეს იყო ძირითადი მიზეზი, რომ ბევრ საზოგადოებრივ მეურნობაში წარმოების დანახარჯები პროდუქციის წარმოებაზე მეტად იზრდებოდა.

რა უნდა გაკეთდეს მდგომარეობის გამოსასწორებლად? ჩვენი აზრით, საჭიროა უგანრიგო ბრიგადამ, რგოლმა ყოველთვიურად დააწესოს „სამეურნეო ანგარიშის დღე“ და მოახდინოს მუშაობის შედეგების შეჯერება საჩეკო წიგნაკებთან, რომლებიც მას მიეცა ქვედანაყოფის ხელმძღვანელისაგან. მუშაკი ნათლად დარწმუნდება მასში, რომ ყველგან და ყველაფერში მომჭირნეობა ზრდის მის შრომის ანაზღაურებას, მაგრამ მიცემული დავალებების შეუსრულებლობისა და უყაირათო ხარჯების გაწევისათვის მცირდება ანაზღაურება.

ეკონომიკურ მუშაობაში გარდაქმნა. ეს არის კოლექტივის, მისი თითოეული წევრის მწვავე რეაქცია წარმოების ტექნოლოგიის დარღვევებზე. უდისციპლინობაზე, უყაირათობაზე.

ქვედანაყოფის ხელმძღვანელმა ყოველკვარტალურად უნდა მიიღოს მეურნეობის ბუღალტერისაგან საჩეკო წიგნაკი. მასში. საგეგმო განყოფილება, წლიური საგეგმო დავალებებიდან გამომდინარე, უჩვენებს მუხლებისა და თვეების მიხედვით საწარმოო დანახარჯების მოცულობას, რომელსაც ამტკიცებს მეურნეობის დირექტორი. კონკრეტული პირობებისას დანახარჯების კორექტირებაც კი არის დასაშვები.

საწარმოო დანახარჯების ოპერატიული კონტროლის დასაწესებლად მეურნეობაში უნდა გამოვიყენოთ ერთიანი საგეგმო-საალრიცხვო ფასების სისტემა.

შიდა სამეურნეო ფასების მეშვეობით ბრიგადა, საამქრო, რგოლი დასაწყისშივე განსაზღვრავს რა მატერიალური ფასეულობა და რა ოდენობით უნდა მიიღოს მეურნეობისაგან, ისე რომ აღებული საწარმოო დავალების შესრულება უზრუნველყოს ტექნოლოგიისა და აგროვადების ზუსტი დაცვით.

სპეციალური ეკონომიკური განათლებისა და ბუღალტერიის ცოდნის გარეშე შეუძლია ბრიგადის, საამქროს თითოეულ წევრს საჩეკო წიგნაკის ყუის საშუალებით დააზუსტოს ყოველი მუხლის მიხედვით რამდენი

თანხა დაიხარჯა, რამდენი დარჩა და რამდენი შეიძლება გადაირიცხოს ქვედანაყოფის ეკონომიის პირად ანგარიშზე მუშაკთა პრემირებისათვის. საყურადღებოა ისიც, რომ პროდუქციის თვითღირებულების თითოეული პროცენტით გაძვირებისათვის 0,5 პროცენტით მცირდება პრემიის თანხა.

საამქროს, ბრიგადის, რგოლის ხელმძღვანელი ღებულობს მეღორნეობის საწყობიდან თესლს, სასუქებს, საწვავ-საცხებს და სხვა მატერიალურ ფასეულობებს, რაზედაც აფორმებს გასავლის ტალონს. ამასთან მასში ჩაიწერება მიღებული ფასეულობების ღირებულება და თანხის ნაშთი. ასეთი თანამიმდევრობით ტალონის შემცირების კვალობაზე ქვედანაყოფის ხელმძღვანელს საშუალება აქვს გაარკვიოს მომავალში შესასრულებელი ამა თუ იმ სამუშაოსათვის რა თანხა გააჩნია. ერთი სიტყვით, მემცენარეობაში დანახარჯებზე კონტროლი წესდება ცალკეული კულტურების მოვლა-მოყვანის ოპერაციების მიხედვით. აუცილებელია ბრიგადა, საამქრო ლიმიტში ჩაეტიოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვედანაყოფის წევრების შრომის ანაზღაურება შემცირდება.

მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფასთან ერთად აგროსამრეწველო კომპლექსის წარმოებები დიდად არის დამოკიდებული მართვის აპარატის საქმიანობაზე. ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის აპარატის გარდაქმნები წინააღმდეგობრივი პროცესია. აგროსამრეწველო კომპლექსში განხორციელებული რეორგანიზაციით მნიშვნელოვნად შემცირდა საშტატო ერთეულები, მოწესრიგდა ხელფასის განაკვეთები, რამდენადმე ოპტიმალური გახდა სამმართველო აპარატის ორგანიზაციული სტრუქტურა, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ამ სფეროში გასაკეთებელი არაფერი დარჩა.

აგროსამრეწველო კომპლექსის მმართველობითი ორგანოების სტრუქტურა შესაბამისობაში უნდა მოვიყვანოთ კომპლექსის წინაშე დასმულ გადასაჭრელ მთავარ ამოცანებთან, მასში შემავალი დარგების როგორც ერთიანი მთლიანის დაგეგმვასთან, ამ დარგების კოორდინაციის გაუმჯობესებასთან.

მეურნეობრიობის ახალ ეკონომიკურ მექანიზმში გათვალისწინებული ეკონომიკური მართვის სისტემა ამაღლებს მოკავშირე რესპუბლიკებისა და ოლქების აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რგოლების როლს. განსაკუთრებით ეს ეხება პროდუქციის წარმოებისა და დამზადების დაგეგმვას, გეგმის ზევით წარმოებული პროდუქციის გამოყენებაში თავისუფლებას, რეგიონის მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფას, სახელშეკრულებო ფასების დაწესებას, მატერიალური და ფინანსური რესურსების დაგეგმვას და ა. შ. მოკავშირე რესპუბლიკებისა

და ოლქების სახაგრომრეწვები გახდნენ სამეურნეოანგარიშიანი მართვის ორგანოები. ეს ნიშნავს იმას, რომ მათ თავიანთ საქმიანობაზე ეკონომიკური პასუხისმგებლობა დაეკისრათ.

ამრიგად, გამოსავალი ერთია, აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა დონეზე კავშირურთიერთობა უნდა დამყარდეს მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკურ ურთიერთობათა ნიადაგზე.

„ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსის მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებულ დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ კოლექტიური იჯარა და სამეურნეო ანგარიში საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. სსრ კავშირის სახაგრომრეწვსა და მის ადგილობრივ ორგანოებს დავალებული აქვს სასოფლო-სამეურნეო, გადამმუშავებელი მრეწველობისა და მომსახურების საწარმოების ყველა საწარმოო ქვედანაყოფი გადაიყვანონ კოლექტიური იჯარისა და სამეურნეო ანგარიშის პირობებზე.

ამ უდიდესი სახალხომეურნეობრივი ღონისძიების შესასრულებლად აუცილებელია მრავალმხრივი ეკონომიკური და ორგანიზაციული მუშაობის განხორციელება.

1983—1985 წლებში რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეურნეობებში კოლექტიური იჯარის დასანერგავად გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა კოლექტიური იჯარის მასობრივი დანერგვისათვის დასახა კონკრეტული გეგმა, რომლითაც ამ მეთოდებზე გადასვლა უნდა დამთავრებულიყო 1987 წლის ბოლოსათვის.

იმ საწარმოებსა და ორგანიზაციებში, სადაც კოლექტიური იჯარა ფორმალურ ხასიათს არ ატარებს, ამ მეთოდზე გადაყვანილი საწარმოო ქვედანაყოფების გამოცდილება იმაზე მიუთითებს, რომ ასეთი წესით მუშაობისას მეტი ეფექტი მიიღება, მაღალია შრომის ნაყოფიერება და სისტემატურად მცირდება პროდუქციის თვითღირებულება. მაგალითად, მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა კოლექტიური იჯარის წესით მომუშავე ბრიგადებსა და რგოლებში 10—15 პროცენტით მაღალია, ვიდრე ჩვეულებრივ ქვედანაყოფებში, ამასთან 1 ცენტნერი პროდუქციის წარმოების დანახარჯები 10 პროცენტით მცირდება. რესპუბლიკის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ყოველმხრივ არ იყენებენ კოლექტიური იჯარის სიკეთეს. საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელობის ერთ ნაწილს სწორად არ ესმის შრომის ამ პროგრესუ-

ლი ფორმის არსი, არ სურს თავი დაიტვირთოს დამატებითი ღონისძიებების შემუშავებით და საქმით უპასუხოს დროის მოთხოვნებს. ამიტომ ამ ღონისძიების დანერგვის ტემპი ჯერ კიდევ დაბალია და სათანადო გავლენას ვერ ახდენს წარმოების საბოლოო შედეგებზე.

აუცილებლობა მოითხოვს ვირწმუნოთ, რომ კოლექტიური იჯარა არ შეიძლება არსებობდეს შიდასამეურნეო ანგარიშის დანერგვის გარეშე. წარმოების საბოლოო შედეგი გამოიხატება არა მარტო მიღებული პროდუქციის რაოდენობით, არამედ მის საწარმოებლად გაწეული დანახარჯების დონითაც, რომლის გაკონტროლების ერთადერთი საშუალებაა შიდასამეურნეო ანგარიშის დანერგვა, აღრიცხვისა და მუშაობის საბოლო შედეგების ანალიზი.

კოლექტიური იჯარის დანერგვა მოითხოვს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკებისაგან უფრო მოფიქრებულ დაგეგმვასა და ეკონომიკურ ანალიზს, წარმოების მართვისა და ორგანიზაციის საერთო დონის ამაღლებას, ტექნოლოგიური დისციპლინის მკაცრად დაცვას, ეკონომიკური სამსახურების მუშაობის განმტკიცებასა და მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება შიდასამეურნეო ანგარიშის საფუძველზე ორგანიზაციული სტრუქტურისა და ყველა ეკონომიკური კავშირების ახლებურად მოწყობას. ფაქტობრივად კი ეს მოთხოვნა ყოველთვის არ სრულდება, ჩამორჩება ტექნიკური, საგეგმო-ეკონომიკური და საბუღალტრო სამსახურების საქმიანობის ამ მიმართულებით გარდაქმნა, დაგეგმვაში, აღრიცხვასა და მატერიალურ-ფულადი სახსრების ხარჯვის კონტროლი არ დგას სათანადო დონეზე, კოლექტიურ იჯარაზე მომუშავე კოლექტივებს ხშირად ზემოდან, ადმინისტრაციული მეთოდებით მართავენ, ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა წარმოებისა და ქვედანაყოფის ხელმძღვანელთა დაბალი დონე. მეურნეობათა ხელმძღვანელები და სპეციალისტები არ გამოდიან კოლექტიური იჯარის დანერგვის ინიციატორებად, არ იჩენენ დაინტერესებას კოლექტივებისათვის დახმარების აღმოჩენის საქმეში. ეს მდგომარეობა კი დაკავშირებულია არა მარტო ჩვევებთან წარმოებისა და შრომის ანაზღაურების უკვე ჩამოყალიბებული ფორმებისადმი, არამედ გარკვეულ წილად ამ საქმის მნიშვნელობის შეუფასებლობასთან და ხელმძღვანელობისა და სპეციალისტების სურვილით არ დაიტვირთონ თავი დამატებითი საზრუნავით.

კოლექტიური იჯარისა და სამეურნეო ანგარიშის ქმედითობაზე ლაპარაკი არ შეიძლება, თუ უყურადღებოდ დავტოვებთ მისი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორის — ქვედანაყოფთან (ბრიგადასთან, რგოლთან) მეურ-

ნეობათა ხელმძღვანელების მიერ დადებული ხელშეკრულებების ხარისხიანად, დროულად და მთლიანად შესრულებას. ის, რაც ხელშეკრულებით გათვალისწინებულია ბრიგადისათვის, დროზე უნდა მივაწოდოთ მას.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა 1986 წლის დეკემბერში ყოველმხრივ განიხილა შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ფორმების სრულყოფის საფუძველზე სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების ზრდის კარდინალური ღონისძიებების საკითხი. დადგენილებაში მკვეთრად აღინიშნა, რომ სოფლად შექმნილმა საწარმოო-ეკონომიკურმა სიტუაციამ, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაციისათვის გამიზნული პარტიის კურსის თანამიმდევრულმა განხორციელებამ ხელსაყრელი ნიადაგი შეუქმნა მეურნეობრიობის ახალ მეთოდებზე საყოველთაო გადასვლას, სოფლის მშრომელთა საწარმოო აქტიურობის ფართოდ განვითარებას.

ცხადია, რომ მეურნეობრიობის ახალი მექანიზმის დანერგვით მიიღება მაღალი საწარმოო შედეგები, უფრო მჭიდროდ და ორგანულად შეერწყმის წარმოების რაოდენობრივი და ხარისხობრივ. მაჩვენებლები მუშაკთა შრომის ანაზღაურებას. შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ამ ფორმაში უფრო კარგად დაუკავშირდა საზოგადოებრივი და პირადი ინტერესები. გააანალიზდა კოლექტიური იჯარის დანერგვის საქმეში არსებული ნაკლოვანებები და მათ აღმოსაფხვრელად დაისახა კონკრეტული ღონისძიებანი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ 1986 წლის თებერვალში კრასნოიარსკში, როსტოვში. ალმა-ათაში და ლვოვში მოწვეულ ზონალურ თათბირებზე.

ქვეყნის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კოლექტიური იჯარისა და სამეურნეო ანგარიშის დანერგვაში არსებული ნაკლოვანებები, ჩვენი აზრით, ორგანიზაციულ ღონისძიებებსა და სპეციალისტთა ფსიქოლოგიურ გარდაქმნებში არსებულ ნაკლოვანებებთან ერთად, გამოწვეულია ეკონომიკური ხასიათის პრობლემების არსებობით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებით მნიშვნელოვნად ამაღლდა კოლექტიური იჯარის პრინციპებით მომუშავე მექანიზატორებისა და მასობრივი პროფესიის სხვა სპეციალისტების მატერიალური დაინტერესება. მაგრამ არ არსებობდა წარმოების ხელმძღვანელების, სპეციალისტებისა და მოსამსახურეების კოლექტიური იჯარის დანერგვისათვის სტიმულირების ღონისძიებები.

ამჟამად სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის

სრულყოფის თაობაზე ეს პრობლემა დადებითად არის გადაწყვეტილი. საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ხელმძღვანელების, სპეციალისტებისა და მოსამსახურეების შრომის ანაზღაურება წესდება რეალიზებული (მთლიანი) პროდუქციის შეფასებით ან ნორმატივებით.

შრომის ანაზღაურების ახალი წესი მეურნეობის ხელმძღვანელებს, სპეციალისტებსა და მოსამსახურეებს საიჯარო კოლექტივის წევრების თანაბრად ასტიმულირებს, რის გამოც, უეჭველად, შეცვლის ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების ინდეფერენტულ დამოკიდებულებას შრომის ორგანიზაციისა და შრომის ანაზღაურების პროგრესული ფორმების დანერგვისადმი, რაც საბოლოო ჯამში გამოიწვევს საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას.

ამასთან ისიც უნდა დაემატოს, რომ პარტიისა და მთავრობის დადგენილებით შემოღებულია წარმოების საბოლოო შედეგების მიხედვით შრომის ანაზღაურებისა და სტიმულირების ახალი წესი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების აგრომრეწვისა და რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებათა აპარატის მუშაკებისათვის.

შეიცვალა საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ხელმძღვანელების, სპეციალისტებისა და მოსამსახურეების პრემირების წესიც. ამჟამად მრავალი მაჩვენებლის მიხედვით წახალისების ნაცვლად შემოღებულია პრემირების ერთიანი წესი სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციის ზრდის, წარმოების რენტაბელობის დონის გადიდებისათვის. სწორედ ეს ისეთი განმაზოგადებელი ხარისხობრივი მაჩვენებლებია, რომლებიც მეურნეობის მუშაობის ეფექტიანობას განსაზღვრავენ.

პარტიისა და მთავრობის ახალი დადგენილების ერთ-ერთი ისტორიული მნიშვნელობა ის არის, რომ მატერიალური დაინტერესების პარალელურად შემოღებულია მატერიალური პასუხისმგებლობის ღონისძიებები, რაც მიმართულია წარმოების ეფექტიანობის გადიდებისა და მაღალი საბოლოო სახალხომეურნეობრივი შედეგების მისაღწევად. სახელდობრ, დაწესებულია, თუ მეურნეობა ვერ შეასრულებს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის, რძის, ხორცის მიყიდვის საგეგმო დავალებებს, აგრეთვე საშუალო ხელფასის ზრდის ტემპი აღემატება შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპს, ხელმძღვანელ მუშაკებს, სპეციალისტებსა და მომსახურეებს მოეხსნებათ მთლიანად ან ნაწილობრივ დარიცხული პრემია რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების ან სხვა ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით.

საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მუშაობაში სამეურნეო ანგარიშისა და კოლექტიური იჯარის პრინციპების გაძლიერების მიზნით 1987 წლის 1 იანვრიდან შემოღებულია ხელფასის ფონდის ფორმირების ახალი წესი. იგი გაიანგარიშება უშუალოდ მეურნეობის მიერ ხუთწლედისათვის 100 მანეთის რეალიზებულ (მთლიან) პროდუქციაზე დაწესებული ნორმატივის მიხედვით. ამასთან ეს ნორმატივები უზრუნველყოფენ შრომის ნაყოფიერების ამაღლების უპირატეს ტემპს საშუალო ხელფასის ზრდის ტემპთან შედარებით.

ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი მეურნეობების მუშაობის პრაქტიკით დადასტურებულია, რომ კოლექტიური იჯარა წარმოუდგენელია სამეურნეო ანგარიშის გარეშე. მაგრამ რესპუბლიკაში შრომის ანაზღაურებისა და შრომის ორგანიზაციის პროგრესულ ფორმებზე გადაყვანილ ბევრ საწარმოო ქვედანაყოფში სამეურნეო ანგარიში ფორმალურად არსებობს. ჩვენ მიერ ჩატარებული გაანგარიშებებით საზოგადოებრივ მეურნეობებში კოლექტიურ იჯარაში გაერთიანებული მუშების წახალისება პროდუქციის წარმოების პირდაპირი დანახარჯების ეკონომიისათვის ან სულ არ წარმოებს, ან წელიწადში იგი არ აღემატება 10—15 მანეთს. ეს გამოწვეულია ძირითადად მეურნეობებში ეკონომიკური და ორგანიზატორული მუშაობის დაბალი დონით. ახლო წარსულში მემცენარეობაში დასაქმებული მუშების წახალისებისათვის მიმართავდნენ პირდაპირი დანახარჯების ეკონომიის მხოლოდ 25 პროცენტს; მეცხოველეობაში 30—40 პროცენტს. ამ ღონისძიებამ შედეგი იმიტომ ვერ მოგვცა, რომ საწარმოო ქვედანაყოფებამდე საწარმოო პროგრამის მონაცემები დაიყვანებოდა დაუსაბუთებლად.

ამჟამად საბჭოთა მეურნეობის ქვედანაყოფთა კოლექტივების პრემირებას მოხმარდება გეგმურთან შედარებით გაწეული დანახარჯების ეკონომიის 70 პროცენტი, ხოლო დაწესებული დანახარჯების გადახარჯვა იფარება კოლექტივის შრომის ანაზღაურებისა და პრემირების ფონდების ანგარიშზე.

ახალი წესით ფართო გასაქანი მიეცა მთლიანი შემოსავლების მიხედვით შრომის ანაზღაურების დაწესებას. ამ დროს მატერიალური სტიმულირების მოცულობა დამოკიდებულია არა მარტო წარმოებული პროდუქციის რაოდენობასა და ხარისხზე, არამედ იმ დანახარჯებზე, რაც მათ საწარმოებლად უნდა იქნეს გაწეული. ამიტომ ბრიგადისა და რგოლის კოლექტივთა შრომის ანაზღაურება მთლიანი პროდუქციისათვის შედარებით საიმედო ხარჯვასაწინააღმდეგო სტიმულია.

უკანასკნელ წლებში ქვეყნის მთელ რიგ რეგიონებში ფართოდ გამოიყენება საოჯახო იჯარა, როგორც კოლექტიური იჯარის ნაირსახეობა. პრაქტიკამ დაგვანახა, რომ საოჯახო იჯარა უფრო ეფექტიანია იქ, სადაც მექანიზაციის დონე დაბალია და პროდუქციის წარმოება შრომატევადი.

მეთორმეტე ხუთწლედში მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სახაგრომრეწვის სისტემის სხვა ორგანიზაციების ხარჯების გამსხვილებული წყაროების მიხედვით დაფინანსებაზე გადასასვლელად. აგროსამრეწველო კომპლექსის ორგანიზაციებს უფლება აქვთ გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებები გაანაწილონ მათი გამოყენების მიმართულებათა მიხედვით, ამასთან საგეგმო დავალებათა შესრულების მიმდინარეობის კვალობაზე ცვალონ საბიუჯეტო ასიგნებათა კვარტალური განაწილება, შეიტანონ წინადადებანი საბიუჯეტო ასიგნებათა და ბიუჯეტში გადასახდელთა შეცვლის შესახებ, მთლიანად ბიუჯეტთან ურთიერთდამოკიდებულების შეუცვლელად. სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს ნება დაერთო საგეგმო ღონისძიებათა დაფინანსებას მოახმარონ მათ განკარგულებაში არსებული თავისუფალი საფინანსო რესურსები, მიუხედავად მათი წარმოშობის წყაროებისა.

1987 წლიდან საბჭოთა მეურნეობების ბიუჯეტთან ანგარიშსწორება მოგების ანარიცხებით წარმოებს, ხოლო კოლმეურნეობებისა — საშემოსავლო გადასახადით ხუთწლედის წლების მიხედვით სტაბილური ნორმატივებით, რაც მიწის ეკონომიკური შეფასების, საზოგადოებრივ მეურნეობათა ძირითადი ფონდებითა და შრომითი რესურსების უზრუნველყოფის მხედველობაში მიღებით დაწესდება.

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა წარმოების დაკრედიტება ხორციელდება მათი საკუთარი საბრუნავი საშუალებების შენარჩუნებისა და აღებული კრედიტების დროულად დაბრუნების გათვალისწინებით. მალე სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მატერიალურ ფასეულობათა და წარმოების დანახარჯთა მოკლევადიანი დაკრედიტება, ობიექტებად დანაწილების გარეშე, საბრუნავი საშუალებების ერთიანი ნორმატივით იწარმოებს. მუშავდება აგრეთვე დაკრედიტების უნიფიკაციის უზრუნველყოფის ღონისძიებები.

აგროსამრეწველო კომპლექსში მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფის თაობაზე პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებული დადგენილების შესწავლის მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია დეტალურად განვიხილოთ ამ მექანიზმის ცალკეული ელემენტების, ფაქტორების არსი და მნიშვნელობა.

ეკონომიკური მართვა და დაგეგმვა

სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებში მართვის თვისებრივი გარდაქმნის პრობლემებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში ხელმძღვანელობის ეკონომიკურ მეთოდებზე გადასვლა. ეს ფაქტობრივად არის წარსულში წარმატებით გამოყენებული ადმინისტრაციულიდან ნორმატიული მეთოდებით მართვაზე გადასვლა, რომელსაც საფუძვლად უძევს სოციალიზმის ეკონომიკური კანონების თანამიმდევრული გამოყენება.

„სერიოზულ ხელახალ გააზრებას იმსახურებს სახალხო მეურნეობისადმი ცენტრალიზებული გეგმიანი ხელმძღვანელობის და მისი ცალკეული რგოლების დამოუკიდებლობის თანაფარდობის, გეგმაზომიერებისა და სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის პრობლემატიკაც“ [1]. ახალ სამეურნეო მექანიზმში ეს ამოცანები ეკონომიკური ნორმატივების მეშვეობით წყდება.

მართვის ეკონომიკურ მეთოდებზე გადასვლის ინსტრუმენტი — გამსხვილებული ნორმატივები ორი სახისაა: 1) მაჩვენებლები, რომლებიც აწესრიგებენ სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკურ მხარეს. ასეთებია: შრომის ნაყოფიერებასა და საშუალო ხელფასს შორის თანაფარდობა; ხელფასის ფონდის გადიდების ნორმატივი წმინდა პროდუქციის ზრდის შესაბამისად; მოგების განაწილების ნორმატივი და ა. შ.: 2) შრომატევადი ნაკეთობების გასაშუალოებული ნორმები, ნედლეულის, მასალების, ენერგიის ხარჯვის ხვედრითი წონის გამოსათვლელად; ეს ნორმები აწესრიგებენ საწარმოს საქმიანობას, რომელიც მიმართულია რესურსების მომჭირნეობით, ეკონომიკურად გამოყენებისაკენ.

ხელმძღვანელობის ეკონომიკური მეთოდების განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს განაწილებითი ურთიერთობების ფორმათა სრულყოფას. პრაქტიკაში შრომის ანაზღაურებისა და სტიმულირების კონკრეტული ფორმების ფორმირებისათვის ნორმატიული მეთოდების გამოყენება საშუალებას იძლევა გვქონდეს განაწილებითი ურთიერთობების აგების შედარებით დაბალანსებული და საიმედო ეკონომიკური კრიტერიუმი.

---

[1] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები, 1987 წლის 25—26 ივნისი. გვ. 58.

ქ'მართვის ეკონომიკური მეთოდების გაფართოება ხელს უწყობს სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის არსებით თვისებრივ გაუმჯობესებას, რომელიც გამოდის დამაკავშირებელ რგოლად წარმოებასა, განაწილებასა და მოხმარების პროცესებს შორის. სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი თავისებურება ის არის, რომ მათი მოქმედების საფუძველი — ღირებულების კანონი თითოეულ საწარმოს აიძულებს აამაღლოს პროდუქციის ხარისხი და შეამციროს მისი წარმოების დანახარჯები, ე. ი. წარმოებაში ფართოდ დანერგოს მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები და მოწინავე გამოცდილებები./ ასეთი მოქმედების სქემა შედარებით მარტივია: საზოგადოებას ფასების მეშვეობით მწარმოებლამდე დაჰყავს საზოგადოებრივად აუცილებელი დანახარჯებისა და ხარისხის მტკიცე ნორმატივი, რომლის ბაზაზე და გარშემო ვითარდება უშუალოდ წარმოებასა, განაწილებასა და მიმოქცევას შორის ეკონომიკურ ურთიერთობათა კონკრეტული ფორმები. სწორედ ამიტომ იყო პარტიის XXVII ყრილობამ მოითხოვა ეკონომიკის გეგმიანი ხელმძღვანელობის პრაქტიკაში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის დაგნინების დაძლევა. „... სოციალისტურ საფუძველზე სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის ჯანსაღ ფუნქციონირებას უნარი შესწევს შექმნას ისეთი ვითარება, მეურნეობრიობის ისეთი პირობები, როცა მისი შედეგები მთლიანად დამოკიდებული იქნება კოლექტივის მუშაობის ხარისხზე, ხელმძღვანელთა უნარსა და ინიციატივაზე“ [1].

ყრილობამ პრაქტიკულად დააყენა ამოცანა: თანდათან მოხდეს გადასვლა წარმოების საშუალებების საბითუმო ვაჭრობაზე, დაბალანსდეს მოსახლეობის საქონლისა და მომსახურების ბაზარი და სრულყოფილი იქნეს საგარეო ვაჭრობის საქმიანობა.

შედარებით მყარი ეკონომიკური პირობების შექმნა სამეურნეო სისტემას მხოლოდ საკუთარი შესაძლებლობებით შეუძლია, ე. ი. როცა იგი მუშაობს სრულ სამეურნეო ანგარიშზე. ეს კი მეურნეობრიობის სოციალისტური პრინციპებიდან გამომდინარეობს. თითოეული შრომითი კოლექტივის მთელი საქმიანობა მიმართულია საწარმოო პროგრამის წარმატებით შესრულებისაკენ, დანახარჯების მთლიანად დაფარვისა და დაგროვების შექმნა-გამოყენების უზრუნველსაყოფად.

ცნობილია, რომ სამეურნეო საწარმოებსა და გაერთიანებებზე სახელმწიფოს სისტემატური დახმარება ხელს არ უწყობს მატერიალური, შრომითი და ფულადი რესურსების მაღალეფექტიანად გამოყენებას,

[1] სკკპ XXVII ყრილობის მასალები, გვ. 61.

თვითღირებულების შემცირებასა და წარმოებული პროდუქციის ხარისხის ამაღლებას. უკანასკნელი 10—15 წლის მანძილზე ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო, მთელი რიგი საწარმო და დარგიც კი სამეურნეო საქმიანობას ეწეოდნენ სამეურნეო ანგარიშის პრინციპების უგულვებელყოფით, ხოლო გაფართოებულ კვლავწარმოების პროცესს საბიუჯეტო ასიგნებებით ახორციელებდა.

სამინისტროებისა და უწყებების დიდი ნაწილი, საწარმოები და გაერთიანებები დღესაც კი იმის ცდაშია ყოველნაირად დაასაბუთონ გეგმური ღონისძიებების სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებით განხორციელება და არა საკუთარი წყაროებით. ამას კი იმით ამართლებენ, რომ სოციალიზმის დროს ცენტრალიზებული ეკონომიკური მართვის მექანიზმი ემყარება სახალხო მეურნეობის გეგმიანი განვითარების პირდაპირი დაფინანსების მეთოდს. უდავოდ, სოციალისტური სახელმწიფოს ხელში ცენტრალიზებული წესით სახსრების მობილიზაციასა და გამოყენებას უდიდესი უპირატესობა გააჩნია. მაგრამ ცენტრალიზებული მართვის მექანიზმის უპირატესობის — ფინანსური რესურსების აკუმულაციისა და მისი პირდაპირი განაწილების, ასე ცალმხრივი განხილვა ძირშივე მცდარი და მიუღებელია. იგი ხელოვნურად ზღუდავს საზოგადოებრივი წარმოებისა და მიმოქცევის გეგმიანი რეგულირების უდიდეს შესაძლებლობებს, უგულვებელყოფს უკეთესი საბოლოო შედეგებისათვის კოლექტივის საქმიანობის სამეურნეო ანგარიშიანი სტიმულირების ობიექტურ აუცილებლობას. ამ საფუძვლის ძირის გამოთხრა იწვევს გაუპიროვნებლობას, უყაირათობას და საზოგადოების, კოლექტივისა და პირადი ინტერესების ოპტიმალური შეთანაწყობის დარღვევას. წარმოებული პროდუქტის ხარისხისა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის მიღწევა შეუძლებელია სოციალისტური საწარმოების საქმიანობაში სამეურნეო ანგარიშის პრინციპების განვითარების გარეშე.

არანაკლებ საშიშია მეორე უკიდურესობაში გადავარდნა, როცა სამეურნეო ანგარიშის განმტკიცების პოზიციიდან ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელი და მეცნიერ-ეკონომისტი მოითხოვს საწარმოებსა და გაერთიანებებს მიეცეს განუსაზღვრელი თავისუფლება და დამოუკიდებლობა, რაც საბოლოო ჯამში ნიშნავს ცენტრალიზებული გეგმიანი მართვიდან, მთლიან სახალხომეურნეობრივი ორგანიზმიდან იზოლაციას. ასეთი რევიზიონისტული შეხედულებები, რომლებიც კარებს უხსნის „თავისუფალ“ საბაზრო ურთიერთობას, ჩვენი სოციალისტური სისტემისათვის საზიანო და მიუღებელია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმმა პასუ-

ხი გასცა კითხვას — დაწყებული გარდაქმნის კონცეფცია ხომ არ ნიშნავს სოციალიზმის საფუძვლებიდან გადახვევას ან მის შესუსტებას? გარდაქმნა არა თუ ასუსტებს, არამედ განამტკიცებს სოციალიზმს, საბოლოოდ აამოქმედებს მის უპირატესობებს. „რა თქმა უნდა, — აღნიშნა ამ პლენუმზე მ. ს. გორბაჩოვმა, — სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის გამოყენება მართვის სისტემაში სახალხო-სამეურნეო დაგეგმვის უპირატესობებთან ერთად უფრო ძნელი ამოცანაა, ვიდრე ბრძანებებისა და დირექტივების გაცემა. მაგრამ ჩვენმა სამეურნეო კადრებმა ეს უნდა შეძლონ“ [1].

პარტიის XXVII ყრილობის მიერ ჩამოყალიბებული სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნის ძირითად მიმართულებებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია: გაიზარდოს ეკონომიკის ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის ქმედითობა, გაძლიერდეს ცენტრის როლი პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის ძირითადი მიზნების რეალიზაციაში, სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპებისა და პროპორციების, მისი შეწონასწორების განსაზღვრაში. ამასთანავე დაძლეული უნდა იქნეს ქვემდგომი სამეურნეო რგოლების ოპერატიულ საქმიანობაში ცენტრის ჩარევის პრაქტიკა. ამ ფონზე გადაჭრით გაფართოვდეს საწარმოთა და გაერთიანებათა დამოუკიდებლობის საზღვრები და გაძლიერდეს მათი პასუხისმგებლობა საუკეთესო საბოლოო შედეგების მიღწევისათვის.

წარმოების დაგეგმვის სრულყოფა საზოგადოებრივ მეურნეობაში

თანამედროვე პირობებში ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი საკითხია სურსათით საზოგადოების დაკმაყოფილება. ამ საკითხის გადაწყვეტას ემსახურება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის ნოემბრის დადგენილებით განხორციელებული აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ერთიანი ორგანიზაციული სტრუქტურის გარდაქმნა, აგრეთვე მისი ელემენტების ეკონომიკური ურთიერთმოქმედების სრულყოფა, რომელიც ჩამოყალიბებულია „ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსში მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ პარტიისა და მთავრობის 1986

[1] სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები, 1987 წლის 25—26 იანვისი. გვ. 59.

წლის მარტის დადგენილებაში. ყველა ამ რეორგანიზაციისა და გარდაქმნის მთავარი მიზანია სოფლად სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის შეცვლა, რაც, თავის მხრივ, რთული და მრავალწახნაგოვანი პროცესია. თვისებრივად ახალ დონემდე ამაღლდა სასოფლო-სამეურნეო და სხვა საწარმოების კოლექტივთა ინიციატივა, დამოუკიდებლობა წარმოების განვითარების მიზნის დასახვასა და მისი მიღწევის გზების განსაზღვრაში; გაიზარდა მეურნეობრიობის საბოლოო შედეგებისადმი კოლექტივის მატერიალური პასუხისმგებლობა; დაისახა კონკრეტული გზები ახალი ეკონომიკური მეთოდების ეფექტიანობის ასამაღლებლად, რაშიც გადამწყვეტი შედეგი უნდა მოგვცეს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მოცულობის, მისი საკავშირო და რესპუბლიკურ ფონდებში გადანაწილების ნორმატიული მეთოდებით განსაზღვრამ.

სკკპ XXVII ყრილობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში უმნიშვნელოვანესი როლი უნდა შეასრულოს დაგეგმვის სრულყოფამ, რომელიც სამეურნეო მექანიზმის ცენტრალური რგოლია. ამ დარგში აგროსამრეწველო კომპლექსის ხაზით გათვალისწინებულია შემდეგი გარდაქმნები.

1. სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადებისა და საკავშირო ფონდებში მიწოდების დაგეგმვის სრულყოფა;

2. საზოგადოებრივი წარმოების დაგეგმვის ახალი წესის შემოღება, რომელიც ითვალისწინებს კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობათა მუშების პირად დამხმარე მეურნეობებთან მჭიდრო კავშირს;

3. სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადამმუშავებელ მრეწველობასა და კოოპერატიულ ვაჭრობასთან ინტეგრაციის გაღრმავება;

4. კონცენტრირებული საკვების წარმოების დაგეგმვის პრინციპების მნიშვნელოვანი შეცვლა.

დაგეგმვის სრულყოფის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი თავისებურებაა მისი ახლებური მიდგომა მართვის ყველა რგოლისა და დონისადმი, რომლის არსი ის არის, რომ დაგეგმვის მთელი სისტემა ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსის დაჩქარებული ტემპებით განვითარების ახალი ამოცანების შესაბამისობაშია, იგი უზრუნველყოფს დაგეგმვაში ფართო დემოკრატიზაციას, საზოგადოებრივი წარმოების ყველა მუშაკს მინიჭებული აქვთ ფართო უფლებები, ამასთან მაღლდება მათი პასუხისმგებლობა შრომის საბოლოო შედეგებისათვის; იზრდება წარმოების ყველა რგოლის განვითარებაში კომპლექსურობა, დაბალანსება და პროპორციულობა; უახლოეს პერიოდში უნდა მოხდეს დაგეგმვის

ნორმატიულ მეთოდებზე გადასვლა; გეგმის ფორმირების პროცესში მისი მოცულობითი მაჩვენებლები მჭიდრო, ორგანულ კავშირში უნდა იმყოფებოდეს წარმოების ეკონომიკურ მაჩვენებლებთან, როგორიცაა: ბიუჯეტთან ურთიერთობა, კრედიტი, ფასები, ხელფასი და სხვ.; ხორციელდება საგეგმო და სააღრიცხვო დოკუმენტაციის რაოდენობრივი მაჩვენებლების შემცირება; იქმნება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა სექტორის განვითარებისათვის ოპტიმალური მატერიალური და მორალური პირობები; მნიშვნელოვნად მაღლდება სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების მოცულობის გადიდებაში ადგილობრივი ორგანოების დაინტერესება.

საყურადღებოა, რომ მთელი აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორია სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე სახელმწიფო შეკვეთები იმ მოცულობით, რაც ოპტიმალურად დააკმაყოფილებს ქვეყნის მოსახლეობისა და გადამმუშავებელი მრეწველობის მოთხოვნებს. სწორედ ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვისა და მის საკავშირო ფონდში გაგზავნის დაგეგმვის სრულყოფას პარტია და მთავრობა ესოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ.

რესურსების დაგეგმვის სრულყოფა, როგორც საზოგადოებრივ მეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მოცულობის გადიდებასა და მისი ხარისხის ამაღლებაში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალური დაინტერესების მნიშვნელოვანი ელემენტი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმიდან მოყოლებული დღემდე იკაფავს გზას ოპტიმალურამდე, მაგრამ ყოველთვის სარესურსო პოტენციალის ელემენტები დაგეგმვაში გამოიყენებოდა ცალმხრივად, რის გამოც სასურველ შედეგს არასოდეს არ იძლეოდა. დღეს კი მდგომარეობა შეიცვალა: მეურნეობრიობის ახალი სისტემის პირობებში კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო-კოოპერაციულ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში იგეგმება ამ საწარმოებზე დაყვანილი სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის მოცულობა, კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტებისა და მატერიალური რესურსების საკონტროლო ციფრებით. საკონტროლო ციფრები განისაზღვრება ნორმატივებით, რომლებსაც საფუძვლად უძევს მიწის ეკონომიკური შეფასება, ძირითადი საწარმოო ფონდებით, შრომითი და სხვა რესურსებით საწარმოს უზრუნველყოფა.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის დაგეგმვა წარმოებს დაგეგმვის ნორმატიულ-სარესურსო მეთოდით.

ნორმატივების გაანგარიშების, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების, საკავშირო და რესპუბლიკურ ფონდებში მიწოდების, აგრეთვე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის გამოსაყოფი მატერიალური რესურსების მოცულობის დაგეგმვის ინტეგრირებული მაჩვენებელი აუცილებლად საზოგადოებრივი მეურნეობების სარესურსო პოტენციალს უნდა დავუკავშიროთ. იმის გამო, რომ სახალხო მეურნეობის ისეთ მნიშვნელოვან დარგში, როგორიცაა მრეწველობა, ძირითადი საწარმოო ფონდები ერთ-ერთი მთავარი საწარმოო რესურსებია, ასევე სოფლის მეურნეობაში ანალოგიურად უნდა გამოვითვალოთ საწარმოო სიმძლავრეები. სწორედ საწარმოო სიმძლავრეები მოცემს საწარმოო ძალების განსაზღვრული ნაწილის განვითარების დახასიათებას, იგი გამოხატავს უპირატესად სოციალისტური ეკონომიკის დარგობრივ კავშირებს. საწარმოო სიმძლავრეების გაანგარიშებას ადვილებს აღრიცხვა-ანგარიშგების ამოსავალი მონაცემების არსებობა. ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში მისი გაანგარიშების მეთოდიკა მრავალჯერ აპრობირებულია, და თუ სარესურსო პოტენციალს შევუდარებთ საწარმოო სიმძლავრეებს, ძირითადი საწარმოო ფონდების ნაწილში მთლიანად დაემთხვევა ერთმანეთს.

ორგანული კავშირი არსებობს სარესურსო პოტენციალსა და ეკონომიკურ პოტენციალს შორის. როგორც საწარმოო სიმძლავრეები, ასევე ეკონომიკური პოტენციალი განსაზღვრავს საწარმოო ძალების მდგომარეობას, და, თავის მხრივ, ამ უკანასკნელთან ორგანულად არის დაკავშირებული.

ეკონომიკური პოტენციალის სტრუქტურა მოიცავს: შრომითი რესურსების რაოდენობას, მათი პროფესიული მომზადების ხარისხს, საწარმოო სიმძლავრეების მოცულობას, სოფლის მეურნეობის საწარმოო შესაძლებლობებს მიწის ბუნებრივი და ეკონომიკური ნაყოფიერების გათვალისწინებით, პროდუქტიული პირუტყვის შესაძლებლობებს, სატრანსპორტო საშუალებებს, სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების ხარისხს, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს და სხვ.

ეკონომიკური პოტენციალის ფორმირება მთელი საზოგადოების მასშტაბით მიმდინარეობს, სარესურსო პოტენციალისა კი — ცალკეული რეგიონის ან დარგის მასშტაბით. სწორედ ამიტომ ეკონომიკური პოტენციალი უფრო ფართოა, ვიდრე სარესურსო პოტენციალი. ეს უკანასკნელი მასში მთლიანად შედის.

ამ ორი ეკონომიკური კატეგორიის შედარებითი ანალიზი იმიტომ დაგვჭირდა, რომ ეკონომიკური პოტენციალის მოცულობისა და სტრუქ-

ტურის გაანგარიშების მეთოდიკა მთლიანად შეიძლება გამოვიყენოთ სარესურსო პოტენციალის გაანგარიშებისას.

მეთორმეტე ხუთწლედში და 2000 წლამდე პერიოდისათვის გაგრცელდება აგროსამრეწველო კომპლექსის სარესურსო პოტენციალის ზრდა, სტრუქტურის სრულყოფა და მისი შედარებით აქტიური ნაწილის განახლება. მაგრამ სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადიდების მთავარი მაგისტრალური გზაა, რომელსაც არ სჭირდება დამატებითი დანახარჯები, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სამეურნეობათაშორისო საწარმოებში არსებული საწარმოო პოტენციალის გამოყენების გაუმჯობესება.

საზოგადოებრივი მეურნეობების საწარმოო პოტენციალი მოიცავს ყველა იმ რესურსს, ურომლისოდაც წარმოუდგენელია სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროცესი. სოფლის მეურნეობის საწარმოო პოტენციალში შედის ბუნებრივი და შრომითი რესურსები, წარმოების ძირითადი ფონდები და ფულადი საშუალებები. ამ რესურსების თანაფარდობა ცალკეულ მეურნეობებში, რაიონებსა და რეგიონებში სხვადასხვაა.

სოფლის მეურნეობის საწარმოო პოტენციალის რესურსებს მრავალგვარი განზომილებანი აქვს და მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაგალითად, მიწის რესურსები გაიზომება ჰექტარობით და ხასიათდება სხვადასხვა ბუნებრივი და ეკონომიკური თავისებურებით, შრომითი რესურსები კი კაცსაათებით და კაცდღეებით, მათი შეფასება ხდება მუშაკთა რიცხოვნობის ხარისხით (რამდენია შრომისუნარიანი, სასაშუალო წლოვანების, ხანდაზმული, როგორია მათი განათლება და ა. შ.). წარმოების საშუალებები გაიზომება ნატურალურ მაჩვენებლებში (პირუტყვის სულადობა, ხილის რაოდენობა, საკვები ერთეულები და ა. შ.).

საწარმოო პოტენციალის მრავალფეროვნება, ფუნქციათა სხვადასხვაობა მოითხოვს მისი გამოყენების ეფექტიანობის შეფასებისადმი კომპლექსურ მიდგომას.

საწარმოო პოტენციალის შემადგენელი ნაწილების დასახასიათებლად საჭიროა გაირკვეს თითოეული რესურსის ეფექტიანობის გამოყენების მაჩვენებლები და მთლიანად სარესურსო პოტენციალის გამოყენების ეფექტიანობის განმაზოგადებელი მაჩვენებლები. ეს კი შესაძლებელია ნორმატიულ-სარესურსო მეთოდის გამოყენებით

სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის ნორმატივები გამოიანგარიშება სარესურსო პოტენციალის ერთეულზე (ფულად მაჩვენებელში) შემდგომში სახელმწიფო შესყიდვის მთლიანი მო-

ცულობის ნატურალურ მაჩვენებლებში გადაყვანით. ამისათვის საჭიროა, როგორც მინიმუმი, შეფასდეს მიწა, ძირითადი ფონდები, საბრუნავი საშუალებანი და შრომითი რესურსები. სწორედ ეს ოთხი ფაქტორი მოქმედებს წარმოების მოცულობაზე.

საგეგმოს წინა და საგეგმო პერიოდებისათვის სარესურსო პოტენციალი ერთობლივად ფასდება მიწის, შრომითი და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მიხედვით. იმისათვის, რომ წარმატებით შესრულდეს ქვეყნის სასურსათო პროგრამა, საჭიროა სარესურსო პოტენციალის თითოეული ელემენტის სწორი შეფასება — გაანგარიშება, მათი თანხობრივი შეჯამება, რაც მეტად რთულია, მაგრამ მათემატიკური სტატისტიკისა და ექსპერტული ფაქტობრივი შეფასებით შეიძლება მივიღოთ ერთობლივი სარესურსო პოტენციალის ერთეულზე პროდუქციისა და შემოსავლის გამოსავლიანობის ნორმატივი ქვეყნის რეგიონებისა და მეურნეობების მიხედვით.

ქვეყანაში სარესურსო პოტენციალის გაანგარიშებისა და შეფასების მრავალი მეთოდი არსებობს, რომელთაგან აღსანიშნავია ბალტიისპირეთის რესპუბლიკების, უკრაინის, ბელორუსიის, ნოვოსიბირსკის მეთოდები, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთი ოპტიმალურად არ ჩაითვლება. ყველა გამოცდილების შესწავლა-განზოგადებით 1987 წლიდან დაგეგმვის პრაქტიკაში ქვეყნის მასშტაბით შემოღებულია სარესურსო-ნორმატიული მიდგომა.

რესპუბლიკაში სარესურსო-ნორმატიული მეთოდით სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაგეგმვის განხორციელებას მნიშვნელოვანი სიძნელეები ახლავს: დაუმთავრებელია მიწის კადასტრის დამუშავება; რესპუბლიკაში არ გაგვაჩნია მისი გამოყენების პრაქტიკა; მოუმზადებელია ამ საქმის შესასრულებლად შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები და, ბოლოს, რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსი განიცდის მაღალკვალიფიციური კადრების ნაკლებობას.

სარესურსო-ნორმატიული მეთოდით დაგეგმვის დიდი გამოცდილება აქვს ესტონეთის სსრ სახაგრომრეწვს. ათი წლის წინათ მთელს რესპუბლიკაში მეურნეობების მიხედვით შეაფასეს აგროეკონომიკური სარესურსო პოტენციალი, რომელშიც გაითვალისწინეს შემდეგი:

მიწის ხარისხით, შრომითი რესურსებით და საწარმოო ფონდებით უზრუნველყოფიდან დაწყებული, მინერალური სასუქებისა და კომბინირებული საკვების მიწოდებით დამთავრებული, ყოველწლიურად თითოეულ რაიონსა და მეურნეობაში, მათემატიკური სტატისტიკის მეთოდისა და ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების გამოყენებით გამოიანგარი-

შება რამდენი უნდა იყოს მოგება და მთლიანი შემოსავალი 1 ჰექტარ დასამუშავებელ მიწაზე მეურნეობის ნორმალურად (საშუალო რესპუბლიკურ დონეზე) გაძღოლის პირობებში.

სწორედ ეს არის თანხობრივი სარესურსო პოტენციალის გამოყენების ეკონომიკური ნორმატივი.

საზოგადოებრივი მეურნეობის ან რაიონის ფაქტობრივი შემოსავლიანობის ნორმატიულთან შედარება საშუალებას იძლევა განისაზღვროს მეურნეობრიობის ნამდვილი ეფექტიანობა, მისი ხარისხი.

ამჟამად ესტონეთში აგრარულ-ეკონომიკური სარესურსო პოტენციალის საფუძველზე წარმოებს მეურნეობებისა და რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებების მიხედვით პროდუქციისა და რესურსების მიწოდების, მეურნეობების მიერ ცენტრალიზებულ ფონდებსა და ბიუჯეტში გადასახდელების დაგეგმვა.

საგეგმოს წინა პერიოდისათვის მიწის, მატერიალურ და შრომით რესურსებზე მონაცემების წყაროდ უნდა გამოვიყენოთ საზოგადოებრივი მეურნეობების (კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათაშორისო ფორმირებებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების) წლიური ანგარიშგებანი, ხოლო საგეგმო პერიოდისათვის რესურსების მოცულობა განისაზღვრება სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობის, მუშაკთა რიცხოვნობის დასახული ცვლილებების შესაბამისად, მატერიალური რესურსების გამოყოფის გათვალისწინებით.

მიწის რესურსებით შეფასებისათვის გამოიყენება მიწათმოწყობის საპროექტო ინსტიტუტების მიერ დამუშავებული მასალები, რომლებშიც განსაზღვრულია ცალკეული რაიონებისა და მეურნეობების მიხედვით სახნავის, მრავალწლიანი ნარგავების, სათიბ-საძოვრების ბალები, მთლიანი პროდუქციის, დანახარჯთა ანაზღაურებისა და დიფერენციული შემოსავლების გათვალისწინებით.

ძირითადი საწარმოო ფონდების მოცულობა გამოიანგარიშება მათი გასვლისა და მატების გათვალისწინებით, კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტებიდან გამომდინარე.

საგეგმო პერიოდისათვის საბრუნავი საშუალებების მოცულობა განისაზღვრება საგეგმოს წინა პერიოდისათვის ჩამოყალიბებული ძირითადი საწარმოო ფონდების მოცულობასთან მისი თანაფარდობით, ამ თანაფარდობის შესაძლო გაუმჯობესების მხედველობაში მიღებით.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის მთლიანი მოცულობები (ღირებულებითი მაჩვენებლებით) გამოითვლება უკა-

ნასკნელი სამი წლის მანძილზე რეალიზებული პროდუქციის საშუალო-რესპუბლიკური თვითღირებულებით.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის საკონტროლო ციფრები განისაზღვრება სარესურსო პოტენციალის შეფასების საფუძველზე, რომელიც გაიანგარიშება სსრ კავშირის სახაგრომრეწვისა და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ 1986 წლის 6 ივნისს დამტკიცებული „მიწის ეკონომიკური შეფასების, ძირითადი საწარმოო ფონდებით, შრომითი და სხვა რესურსებით უზრუნველყოფის გათვალისწინებით შედგენილი ნორმატივებიდან გამომდინარე რაიონებსა და მეურნეობებზე დასაყვანი სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის საკონტროლო ციფრების გაანგარიშების მეთოდიკის“ ერთ-ერთი ქვემოთ ჩამოთვლილი ხერხით: თანაზომადი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, საწარმოო რესურსების ფულადი შეფასებისა და სასაქონლო პროდუქციის გამოსავლიანობაზე საწარმოო რესურსების გავლენის დონით.

მიწათმოწყობის საპროექტო ინსტიტუტების მიერ ცალკეული რაიონებისა და მეურნეობებისათვის შემუშავებული და საბჭოთა ორგანოების მიერ დამტკიცებული მიწის ეკონომიკური შეფასების მასალებით განსაზღვრულია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების — სახნავის, მრავალწლიანი ნარგავების, სათიბ-საძოვრების მთლიანი პროდუქციის გამოსავლიანობის, დანახარჯთა ანაზღაურებისა და დიფერენციული შემოსავლის ბალები. გაანგარიშებებში საკონტროლო ციფრები მაჩვენებლით.

სახნავის შეფასებისათვის გამოიყენება დანახარჯთა ანაზღაურება მთელი ქვეყნისათვის, საშუალოდ 2,65 მანეთი. ეს სიდიდე შეესაბამება შემცენარეობის პროდუქციის ღირებულებას 1 მანეთ დანახარჯზე კადასტრულ ფასებში. შესადარი კადასტრული ფასები გაიანგარიშა სამეცნიერო-კვლევითმა დაწესებულებებმა და იგი განსხვავდება იმ შესადარი ფასებისაგან, რომელთა ბაზაზეა აღებული პროდუქციის თვითღირებულება. აქ მთავარი ის არის, რომ ეს ფასები საშუალებას იძლევა გავიანგარიშოთ სხვადასხვა მიწის ნაკვეთზე დახარჯულ ერთ მანეთზე რამდენია პროდუქციის გამოსავლიანობა.

დავუშვათ მეურნეობას სახელმწიფო აღრიცხვის მონაცემებით გააჩნია 1000 ჰა სახნავი, 500 ჰა მრავალწლიანი ნარგავები, 500 ჰა სათიბი და 1000 ჰა საძოვარი. საჭიროა მოვახდინოთ შემდეგი გაანგარიშება. მიწის ეკონომიკური შეფასების მასალებით ვიღებთ დანახარჯთა ანაზღაურებას, რომელიც ამ მეურნეობისათვის 2,3 მანეთია, ბალების რაოდენობა კი იქნება — $(2,3:2,65)\times 100=86,8$. ეს ბალები უნდა გადავიყვანოთ ფულად

მაჩვენებლებში, რისთვისაც გამოიყენება ერთიანი საკავშირო მაჩვენებელი — 1 ბალის შეფასებაა 18 მანეთი. ეს უკანასკნელი კი ასეა გამოანგარიშებული: 1 ჰა სახნავი წელიწადში იძლევა დიფერენციულ შემოსავალს 180 მანეთს და თუ მას გადავიყვანთ რესურსების შესადარი სახეობის ანაზღაურების 0,1 კოეფიციენტზე, რაც 1800 მანეთის ტოლია, მაშინ 1 ბალი ტოლი იქნება 18 მანეთის. ჩვენს მაგალითში 1 ჰა სახნავის ფულადი შეფასება: 86,8×18=1562 მანეთს, ხოლო მეურნეობის მთელ სახნავზე გაანგარიშებით — 1562×1000=1562 ათას მანეთს.

ანალოგიური წესით უნდა გავიანგარიშოთ 1 ჰა მრავალწლიანი ნარგავების ფულადი შეფასება. მიწის შეფასების მასალებით საკვლევი მეურნეობისათვის დანახარჯთა ანაზღაურება ტოლია 3.50 მანეთისა. შესაბამისად ბალების რაოდენობა იქნება (3,5:2,65)×100=132. 1 ჰა ფართობის ბალების რაოდენობა უნდა გავამრავლოთ 18-ზე. მივიღებთ 2376 მანეთს. ხოლო 500 ჰა ფართობის ფულადი შეფასება: 2376×500=1188,0 ათას მანეთს.

მიწის კადასტრის მასალებით 1 ჰა სახნავი 50 ბალად არის შეფასებული. 1 ჰა სათიბი კი — 15 ბალად, ხოლო საძოვარი — 5 ბალად. მაშინ 1 ჰა სათიბი ტოლია 0,3 სახნავის, ხოლო 1 ჰა საძოვარი — 0,1 ჰა სახნავის. მაშინ 1 ჰა სათიბის ფულადი შეფასება: 1562×0,3=469 მანეთს, ხოლო საძოვრის — 1562×0,1=156 მანეთს.

მთელი სათიბი ფართობის ფულადი შეფასება იქნება — 469×500=235 ათასი მანეთი; ხოლო საძოვრების — 156×1000=156 ათასი მანეთი.

ამრიგად, მეურნეობაზე რიცხული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფულადი შეფასება 3141 ათასი მანეთია (1562+1188+235+156).

შრომითი რესურსებით უზრუნველყოფა ფასდება სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებულ მუშაკთა საშუალო წლიური რიცხობრიობის გამრავლებით ერთი მუშაკის გასვლის მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით კომპენსაციის ნორმატივზე. გაანგარიშებით ეს ნორმატივი განსაზღვრულია 16 ათასი მანეთით და ერთიანია ქვეყნის ყველა რაიონისა და მეურნეობისათვის.

იმის გამო, რომ შრომის ფონდაღჭურვა ცალკეულ მოკავშირე რესპუბლიკებში საშუალო საკავშირო მაჩვენებელთან შედარებით მნიშვნელოვნად განსხვავებულია, ერთი მუშაკის გასვლის კომპენსაციის ნორმატივი შეიძლება გაანგარიშდეს შემდეგნაირად:

საშუალო საკავშირო ნორმატივის კორექტირების კოეფიციენტი განისაზღვრება რესპუბლიკაში საშუალო წლიური მუშაკის შრომის ფონდაღჭურვის საშუალო საკავშირო ანალოგიური მაჩვენებელთან გაყოფით,

რომელიც 1985 წლის შეფასებით 12,3 ათასი მანეთია. თუ მეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად მოწვეულია სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშები, მათი შეფასება წარმოებს 0,5 კოეფიციენტით. შედარებით დაბალი კოეფიციენტი განპირობებულია იმით, რომ მოწვეული შრომითი რესურსების გამოყენების დონე შედარებით დაბალია. ძირითადი და მოწვეული მუშაკების საშუალო წლიური გამომუშავების თანაფარდობა 1:2-თანაა. 1985 წელს ქვეყნის საბჭოთა მეურნეობებში 1 მუდმივი მუშაკის გამომუშავება 2,1 ათას მანეთს შეადგენდა. ხოლო მოწვეულის — 1 ათას მანეთს.

საბჭოთა მეურნეობებში მოწვეულ მუშაკთა საშუალო წლიური რიცხოვნობა განისაზღვრება მათ მიერ ნამუშევარი კაცდღეთა მოცულობის 285 დღეზე გაყოფით (სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მეთოდიკით საშუალო წლიური სამუშაო დროის ფონდად მიჩნეულია 285 დღე). ეს მაჩვენებელი ანალოგიურად გაიანგარიშება კოლმეურნეობებშიც და აისახება წლიურ ანგარიშგებაში. მაგალითად. საბჭოთა მეურნეობის სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ჩაბმულია 1000 კაცი, მათ შორის მოწვეულია 100 კაცი. ამ შემთხვევაში შრომითი რესურსების შეფასება იქნება: $1000=(100\times0,5)\times16=950\times16=15\,200$ ათას მანეთს.

ამრიგად, საბჭოთა მეურნეობის შრომითი რესურსების ფულადი შეფასება 15200 ათასი მანეთია.

შრომითი რესურსების ფულადი შეფასების შემდეგ აუცილებელია შევაფასოთ მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.

მატერიალურ-ტექნიკური რესურსების საერთო ღირებულება განისაზღვრება საწარმოო დანიშნულების ძირითადი ფონდებისა და საბრუნავი საშუალებების საშუალო წლიური ღირებულების ჯამით. საწარმოო დანიშნულების ძირითადი ფონდების მონაცემები ამოიღება საზოგადოებრივ მეურნეობათა წლიური ანგარიშგებებიდან. ძირითადი ფონდების საშუალო წლიური ღირებულება გამოიანგარიშება საგეგმოს წინა 5 წლის პერიოდით. საგეგმო პერიოდის ძირითადი ფონდები გამოიანგარიშება 1987 წლის მატების გათვალისწინებით. ძირითადი ფონდების ღირებულებიდან გამოირიცხება მრავალწლიანი ნარგავების ღირებულება იმის გამო, რომ იგი უკვე გათვალისწინებულია მიწის რესურსების ფულადი შეფასებისას.

საგეგმო პერიოდისათვის მატერიალური საშუალებების ღირებულების გამოანგარიშებისათვის საჭიროა ძირითადი საწარმოო ფონდების საგეგმო ღირებულება გავამრაელოთ საგეგმოს წინა პერიოდის საბრუნავი მატერიალური საშუალებების საგეგმოს პერიოდის ძირითადი საწარმოო

ფონდების ღირებულებასთან შეფარდებით მიღებულ თანხასთან. მაგალითად, მეურნეობის წლიური ანგარიშგებით 1985 წელს ძირითადი საწარმოო ფონდების (სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების) ღირებულება შეადგენდა 6120 ათას მანეთს, ხოლო მატერიალური დანახარჯებისა ამორტიზაციის გარეშე 2438 ათას მანეთს, ანუ 39,4 პროცენტს.

ამრიგად, მეურნეობის მთლიანი საწარმოო პოტენციალი 24,4 ათასი მანეთია (3,1+15,2+6,1).

ანალოგიური გზით გამოიანგარიშება საწარმოო პოტენციალი რაიონის, ოლქის, ავტონომიური და მოკავშირე რესპუბლიკისათვის.

მას შემდეგ, რაც მეურნეობაში, რაიონში, ოლქში, რესპუბლიკაში გამოანგარიშებულია საწარმოო პოტენციალი, უნდა შევუდგეთ სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის საკონტროლო ციფრების გაანგარიშებას. რისთვისაც თავდაპირველად საჭიროა გამოვითვალოთ პროდუქციის საშუალო რესპუბლიკური თვითღირებულება პროდუქციის სახეების მიხედვით, ისე როგორც ჩამოყალიბდა უკანასკნელი 3 წლის მანძილზე. დიდ პერიოდს იმიტომ ვიღებთ, რომ ნაკლები იყოს თვითღირებულებაში დანახარჯთა მიკუთვნებისას ცდომილება.

წლების მიხედვით პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის მოცულობებში დიდი მერყეობის თავიდან აცილების მიზნით მიზანშეწონილია იგი გამოანგარიშდეს წლიური ანგარიშგებების ან სტატისტიკური ორგანოების მონაცემებით.

სარესურსო პოტენციალის გაანგარიშებისას გამოირიცხება მსხვილი მეცხოველეობის კომპლექსები, მეფრინველეობის ფაბრიკები, სასათბურე კომბინატები, სამეურნეობათაშორისო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, რომელთაც პროდუქციის შესყიდვის საკონტროლო ციფრები უწესდებათ საწარმოო სიმძლავრეების შესაბამისად.

ამის შემდეგ უნდა გავიანგარიშოთ საგეგმოს წინა პერიოდში 100 მანეთ სარესურსო პოტენციალზე პროდუქციის შესყიდვის მოცულობა. დავუშვათ ამა თუ იმ ოლქის, ავტონომიური რესპუბლიკის ან მოკავშირე რესპუბლიკის (საოლქო დაყოფის არმქონე) სარესურსო პოტენციალი 2540 მილიონი მანეთია, ხოლო პროდუქციის შესყიდვის მოცულობა ფულად გამოსახულებაში — 210 მილიონ მანეთი, მაშინ საშუალოდ რეგიონში 1000 მანეთ სარესურსო პოტენციალზე მოდის 83 მანეთის პროდუქცია. ანალოგიურად გაიანგარიშება რაიონების მიხედვით.

სასურსათო პოტენციალისა და ფულადი გამოსახულებით პროდუქციის შესყიდვის მოცულობებიდან გამომდინარე სხვადასხვა რაიონისათვის 1000 მანეთ რესურსზე სხვადასხვა იქნება პროდუქციის შესყიდვის

მოცულობებიც, ერთისათვის 83 მანეთი, მეორესათვის — 84, მესამესათვის კი 86. აქედან გამომდინარე განისაზღვრება საგეგმოს წინა პერიოდისათვის რაიონის სარესურსო პოტენციალის გამოყენების კოეფიციენტი, თუ რეგიონისათვის (ოლქი, რესპუბლიკა) კოეფიციენტი 1 იქნება, მაშინ ერთი რაიონისათვის იქნება 1,2; მეორისათვის — 1,1, მესამისათვის — 0,9, მეოთხისათვის — 1 და ა. შ.

შემდეგ გამოიანგარიშება გეგმური პერიოდისათვის რეგიონის (ოლქი, ავტონომიური რესპუბლიკა თუ მოკავშირე რესპუბლიკა) 1000 მანეთ სარესურსო პოტენციალზე პროდუქციის შესყიდვის საშუალო ნორმატივი შესყიდვის გეგმური მოცულობის გაყოფით სარესურსო პოტენციალის გეგმურ მოცულობაზე. დავუშვათ, გეგმური პერიოდისათვის სარესურსო პოტენციალის მოცულობა 2712 მილიონი მანეთია, ხოლო დაშვებული შესყიდვის მოცულობა — 238 მილიონი მანეთი, ანუ 1000 მანეთ რესურსზე 88 მანეთი.

შემდგომ ეტაპზე გამოიანგარიშება საშუალოდ რეგიონში პროდუქციის შესყიდვის მატების ნორმატივი 1000 მანეთ სარესურსო პოტენციალზე გეგმური ნორმატივის (88 მანეთის) ფაქტობრივ ნორმატივზე (83 მანეთზე) გაყოფით, რაც 6 პროცენტს შეადგენს. ამით ნორმატივის მატება გაანგარიშებულია რეგიონისათვის, საჭირო კია იგი გამოვითვალოთ თითოეული რაიონისათვის მათი საწარმოო პოტენციალის გათვალისწინებით. თუ რეგიონისათვის რესურსების გამოყენების კოეფიციენტი 1-ია, მაშინ პირველი რაიონისათვის ის იქნება 0,95, მეორისათვის — 1, მესამისათვის — 1,25, მეოთხისათვის — 0,88 და ა. შ.

შეიძლება რაიონების მიხედვით გავიანგარიშოთ შესყიდვის ნორმატივის დასაგეგმი ზრდის ტემპების კოეფიციენტები. თუ საშუალოდ რეგიონისათვის ის 6 პროცენტია, მაშინ პირველი რაიონისათვის იქნება — 5,7 პროცენტი, მეორისათვის — 6,0, მესამისათვის — 7,50, მეოთხისათვის — 5.28 პროცენტი.

ყოველივე ამის შემდეგ შეიძლება გამოვიანგარიშოთ ცალკეული რაიონებისათვის პროდუქციის შესყიდვის ნორმატივი 1000 მანეთ სარესურსო პოტენციალზე გეგმური პერიოდისათვის. ჩვენს მაგალითში თუ პირველი რაიონისათვის შესყიდვის ფაქტობრივი მოცულობა 1000 მანეთ სარესურსო პოტენციალზე 83 მანეთია. ხოლო ზრდის ტემპი — 1,2, მაშინ მისთვის შესყიდვის ნორმატივი იქნება 1000 მანეთ გეგმურ რესურსზე — (83×5,7) — 88 მანეთი, მეორე რაიონისათვის — 89 მანეთი (84×6); მესამე რაიონისათვის — (86×7,5) — 92 მანეთი და ა. შ.

ზემოაღნიშნული მონაცემების პირობებში შესაძლებელია გაანგარიშ-

დეს რაიონისათვის პროდუქციის შესყიდვის მთლიანი გეგმური მოცულობა, რისთვისაც 1000 მანეთ სარესურსო პოტენციალზე შესყიდვის ნორმატივი უნდა გავამრავლოთ ამ რაიონის საწარმოო პოტენციალის მთლიან თანხაზე.

მაგალითად, თუ პირველი რაიონის სარესურსო პოტენციალი 180 მილიონი მანეთია, მაშინ პროდუქციის შესყიდვის მთლიანი გეგმური მოცულობა იქნება (88×180) 15,8 მილიონი მანეთის პროდუქცია; მეორე რაიონისათვის (89×145) — 12,9 მილიონი მანეთის, ხოლო მესამე რაიონისათვის (92×195) — 17,9 მილიონი მანეთის პროდუქცია.

ოპტიმალურად რომ გავიანგარიშოთ და დავუშვათ რაიონებზე პროდუქციის შესყიდვის საკონტროლო ციფრები, რაიონებს, რომლებმაც გასულ ხუთწლედში უკეთ გამოიყენეს საწარმოო პოტენციალი, მას პროდუქციის შესყიდვის რეგიონის საშუალო დონეზე ნაკლები ეძლევა, ხოლო რაიონებს, რომლებსაც აქვთ საწარმოო პოტენციალის გამოყენების დაბალი დონე, მას უწესებენ რეგიონის საშუალო დონეზე მაღალ შესყიდვის ნორმატივს.

შემდეგ ეტაპზე უნდა მოვახდინოთ რაიონისათვის დაშვებული მთლიანი საკონტროლო ციფრის დაშლა ცალკეული სახის პროდუქციის შესყიდვის მოცულობებად. აქ გაანგარიშების მეთოდიკა მარტივია. საჭიროა რაიონისათვის მიცემული შესყიდვის საერთო მოცულობა ფულად გამოხატულებაში გავამრავლოთ ამა თუ იმ პროდუქციის ხვედრით წონაზე და გავყოთ პროდუქციის ერთეულის ღირებულებაზე. მაგალითად, პირველი რაიონისათვის შესყიდვის მთლიანი გეგმური მოცულობაა — 15,8 მილიონი მანეთი, ამ რაიონისათვის რძის სახელმწიფოსათვის მიყიდვის ხვედრითი წონა შესყიდვის მთლიან მოცულობაში (ფულად გამოსახულებაში) — 18 პროცენტი, რომლის ღირებულებითი შეფასებაა (თვითღირებულებით) 300 მანეთი, მაშინ $\left(\frac{15{,}8 \times 18}{300 \times 100}\right)$ 949 ტონა რძეა შესასყიდი.

ასე გამოიანგარიშება სხვა სახის პროდუქტების შესყიდვის მოცულობები, განსხვავებულია მხოლოდ მარცვლეულის სახელმწიფო შესყიდვის გეგმების დაწესების მეთოდიკა. ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსის მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის შემდგომი სრულყოფის თაობაზე პარტიისა და მთავრობის დადგენილების შესაბამისად მეთორმეტე ხუთწლედში რაიონებისა და საზოგადოებრივი მეურნეობებისათვის მარცვლეულის სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები დაწესდა სტაბილურად ხუთწლედის წლების მიხედვით 1986 წლის გეგმის დონეზე.

აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ორგანოები მოვალენი არიან

ზემოაღნიშნული მეთოდით, სარესურსო პოტენციალის მიხედვით, სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის მოცულობის გაანგარიშებისას მხედველობაში იქონიონ აგრეთვე წარმოების სპეციალიზაციის პერსპექტივა, შრომითი და სატრანსპორტო რესურსებით უზრუნველყოფის დონე.

იმისათვის, რომ მცირე იყოს დაგეგმვის პროცესში ცდომილება, საჭიროა გაანგარიშებითი მაჩვენებელი განვიხილოთ და დავამტკიცოთ რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭოს სხდომაზე.

ჩვენ მიერ განხილული მეთოდის უპირატესობა ის არის, რომ იგი საშუალებას გვაძლევს შესყიდვის მოცულობა უფრო დასაბუთებულად გავანაწილოთ, ამასთან ყურად ვიღოთ რეგიონის, რაიონის თუ მეურნეობის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კონკრეტული თავისებურებანი, რათა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა უფრო ოპტიმალური იყოს.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფო შესყიდვის დაგეგმვის სხვა მეთოდიც არსებობს, რომელიც ძირითადად გამოყენებული იყო რსფსრ ოლქებსა და მხარეებში. ამ მეთოდს საფუძვლად უძევს თითოეული სახის რესურსის შეფასება სასაქონლო პროდუქციის გამოსავლიანობით. ასეთი შეფასება წარმოებს მათემატიკური სტატისტიკისა და ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების მეშვეობით. ამ მეთოდით მიღებული მონაცემების ეკონომიკური ანალიზით დადგინდა, რომ კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის ხელთ არსებული რესურსები მჭიდრო კავშირშია სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის მოცულობასთან. მათემატიკური მეთოდების გამოყენება კი საშუალებას გვაძლევს თითოეული რესურსის გავლენა სასაქონლო პროდუქციის გამოსავლიანობაზე ოპტიმალურად გამოვთვალოთ, რაც სხვა არაფერია, თუ არა რესურსების ეფექტიანობის ნორმატივი, რომელიც მათი გამოყენების გარკვეულ დონისათვის არის გამოთვლილი.

თითოეული რესურსის გამოყენების შეფასება იმის საშუალებას გვაძლევს, განვსაზღვროთ თუ ექსპლოატაციაში არსებული საწარმოო რესურსების ერთეული რა მოცულობის სასაქონლო პროდუქციის წარმოებას უზრუნველყოფს.

აღნიშნული მეთოდით დაგეგმვის პირობებში რეკომენდებულია რესურსების შეფასების კრიტერიუმებად გამოვიყენოთ შემდეგი მონაცემები: ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულება, მიწის ეკონომიკური შეფასება, არსებული შრომითი რესურსები, მინერალური სასუქები, ნაყიდი პირუტყვის საკვები. ამ რესურსების ერთობლიობა განსაზღვრავს

დაგეგმვის ობიექტის (კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის) საწარმოო პოტენციალს. თითოეული ამ სარესურსო ელემენტის მიხედვით განისაზღვრება სასაქონლო პროდუქციის ნორმატიული მოცულობები.

მაგალითად, ავიღოთ საბჭოთა მეურნეობის ანგარიშგებებიდან რესურსების შეფასების მონაცემები — მიწის ერთი ბალის შეფასება ტოლია 3 მანეთის, ერთი საშუალო წლიური მუშაკისა — 1750 მანეთის, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი საწარმოო ფონდების 1000 მანეთის ღირებულებისა — 100 მანეთის პროდუქცია; 1 ც მინერალური სასუქების — 16 მანეთის, ნაყიდი საკვების 1 ც საკვები ერთეულისა — 10 მანეთის. ამ მონაცემების შესაბამისად გამოიანგარიშება სასაქონლო პროდუქციის ნორმატიული მოცულობა.

სარესურსო პოტენციალის შეფასების მიხედვით არსებობს სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის ნორმატიული მოცულობის გამოანგარიშების სხვა მეთოდებიც, რომლებიც გავრცელებულია უკრაინის ზოგიერთ ოლქში, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში. მათ განხილვას ჩვენ აქ არ შევუდგებით, რადგან ისინი ფაქტობრივად ზემოაღნიშნული მეთოდების იდენტურია. სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფოსათვის მიყიდვის ნორმატივების გამოსაანგარიშებლად აუცილებელია შემდეგი საინფორმაციო მასალები:

1. მიწის ეკონომიკური შეფასება;

2. სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მუშაკების რიცხოვნობა;

3. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულება;

4. პროდუქციის (სახეების მიხედვით) საშუალო თვითღირებულება;

5. პროდუქციის (მემცენარეობისა და მეცხოველეობის) თვითღირებულებაში შესული მატერიალური დანახარჯები ამორტიზაციის გამოკლებით;

6. საგეგმო წინა და დასაგეგმი წლის პროდუქციის შესყიდვის მოცულობა სახეების მიხედვით.

დასაგეგმი რაიონის, საზოგადოებრივი მეურნეობის სარესურსო პოტენციალის ღირებულების დასადგენად საწყისი მასალები უნდა ავიღოთ მეურნეობათა წლიური ანგარიშგებებიდან და მიწის კადასტრიდან.

სარესურსო პოტენციალის მიხედვით სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის მოცულობათა ნორმატიული დაგეგმვა წარმოების ხელმძღვანელებისა და სპეციალისტებისაგან მეტ სიფრთხილეს და ძალისხმევას მოითხოვს.

სწორედ ამაზე მიუთითებდა მ. ს. გორბაჩოვი პარტიის ცენტრალურ

კომიტეტში 1987 წლის 23 იანვრის თათბირზე: „რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებისათვის მთავარია, რომ ყოველ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას შეეძლოს თავისი პოტენციალის გამოვლენა და ყველაფერი, რასაც იგი აწარმოებს მომხმარებლის სუფრაზე მოხვდეს. ახლა მეურნეობებს უნდა დავეხმაროთ ახალი მეთოდების ათვისებაში, დავეხმაროთ რჩევა-დარიგებით, მივიზიდოთ ეკონომისტები, მეცნიერები, მაგრამ ვიმეორებ, არ უნდა ვიკისროთ მეურნეობათა ხელმძღვანელების ფუნქციები... მოკლედ ყველანი კეთილსინდისიერად უნდა წყვეტდნენ თავიანთ საქმეებს და, მართლაც, არ უშლიდნენ ხელს ერთმანეთს. საერთო საქმე ამით დიდად მოიგებს“[1].

ეკონომიკური ნორმატივების დამუშავებისას თუ ძირითად ყურადღებას შევაქცევთ მატერიალური რესურსების გამოყენების მაქსიმალურ მიღწეულ დონეს, მაშინ, ძალაუნებურად დაკანონდება ერთისათვის უყაირათობა, მეორის ინტერესების საზიანოდ.

ცნობილია, რომ სარესურსო პოტენციალის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია საწარმოო ფონდები, რაც უკანასკნელი 10—15 წლის მანძილზე რამდენჯერმე გაიზარდა. ამასთან ისინი არათანაბრად არის განაწილებული, რის გამოც მათი გამოყენების ეფექტიანობა მნიშვნელოვნად შემცირდა.

ასევე არათანაბრადაა განაწილებული ისეთი სარესურსო პოტენციალი, როგორიცაა სამუშაო ძალა.

იმის გამო, რომ რესპუბლიკაში არ გამოიყენება სარესურსო პოტენციალის მიხედვით საზოგადოებრივ მეურნეობებში პროდუქციის წარმოებისა და დამზადების დაგეგმვა, შეცდომებს ვუშვებთ სუსტძალოვანი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის სახელმწიფოს ფინანსური დოტაციის — ფასდანამატის დაწესება-გაცემის საქმეში. როგორც წესი, ფასდანამატი ეძლევა იმ მეურნეობებს, რომლებიც სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებას ეწევიან არახელსაყრელ ბუნებრივ-ეკონომიკურ პირობებში. რესპუბლიკაში დღემდე დაუმუშავებელია ფასდანამატის გაცემის კრიტერიუმები, ამიტომ მისი განაწილება დავიწყეთ ფაქტობრივად მიღწეული რენტაბელობის მიხედვით და არა მეურნეობის სარესურსო პოტენციალის გამოყენების ხარისხის გათვალისწინებით. ამ წესით უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა შედარებით ეფექტიანად მომუშავე მეურნეობები, იმათთან შედარებით, რომლებიც ძალზე დაბალ დონეზე იყენებენ ეკონომიკურ პოტენციალს. გა-

---

1 „კომუნისტი“. 1987 წლის 25 იანვარი.

მოდის, რომ ფასდანამატით მოვახდინეთ უყაირათო და უგერგილო მუშაობის სტიმულირება.

საზოგადოებრივი მეურნეობების ერთმა ნაწილმა იწამა მცდარი მოსაზრება, რომ სახელმწიფოსათვის მიყიდული პროდუქციის ფასდანამატებისა და შიდარესპუბლიკური დოტაციიდან ფულადი საშუალებების მიღება შესაძლებელია ყოველთვის, მათი უყაირათო თუ ყაირათიანი მუშაობის პირობებში. ჩვენ მიგვაჩნია, რომ პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებების შესაბამისად რადიკალურად უნდა შეიცვალოს წარმოებითი ურთიერთობა სოფლად. ეს კი ნიშნავს იმას, რომ სუსტძალოვანი მეურნეობები ეფექტიანად იყენებდნენ სახსრებს და ცდილობდნენ გადავიდნენ სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითანაზღაურებაზე.

იმისათვის, რომ მივაღწიოთ სარესურსო პოტენციალის გამოყენების მაღალ ეფექტიანობას, სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის საკონტროლო ციფრებთან ერთად დაშვებული უნდა იქნეს კაპიტალური დაბანდებებისა და ძირითადი სახის მატერიალური რესურსების მიწოდების ლიმიტები. ეს ლიმიტებიც ნორმატივებით განისაზღვრება, რომლებსაც რეგიონის, რაიონის, საწარმოს საწარმოო პოტენციალი და მისი გამოყენების დონე უძევს საფუძვლად.

გამოსაყოფი კაპიტალურ დაბანდებათა ნორმატივი გამოიანგარიშება სასოფლო-სამეურნეო საწარმოსათვის და დაიშვება რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებებამდე რესპუბლიკის სახაგრომრეწვის მიერ ერთ ციფრად.

რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებისათვის გამოყოფილი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა ორ ნაწილად იყოფა. ერთი ნაწილი ითვალისწინებს არსებული საწარმოო ფონდების აღდგენას და არასაწარმოო დანიშნულების ფონდების შეცვლას. კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის ეს ნაწილი გაიანგარიშება საამორტიზაციო ანარიცხების თანხით ან ინვენტარიზაციის მასალებით. მეორე ნაწილი უნდა გამოიყოს აუცილებელი შრომითი რესურსების უზრუნველსაყოფად და სოფლად სოციალური პრობლემების გადასაწყვეტად, რომელსაც პარტიის XXVII ყრილობამ უდიდესი მნიშვნელობა მიანიჭა.

საზოგადოებრივი მეურნეობის სარესურსო პოტენციალის მაღალეფექტიანად გამოყენება შეუძლებელია სამუშაო ძალის დეფიციტის პირობებში, რაც განისაზღვრება სხვაობით სამუშაო დროის ფაქტობრივი დანახარჯების ჯამსა და მუდმივი მუშაკების სამუშაო დროის დანახარჯების ჯამს შორის. ამ მონაცემებით განვსაზღვრავთ საჭირო საბინაო

ფონდის მოცულობას, ხოლო 1 კვ. მ-ის ღირებულებით გავიანგარიშებთ ამ საქმისათვის გამოსაყოფი კაპიტალური დაბანდებების მოცულობას.

დავუშვათ, დასაგეგმი რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებს საწარმოო პროგრამის შესასრულებლად დამატებით ესაჭიროება 500 კაცი, ოჯახის წევრების გათვალისწინებით კი — 2000 კაცი. თუ 1 სულზე ნორმით გათვალისწინებულია საბინაო ფართობი 10 კვ. მეტრი, მაშინ რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებს დამატებით დასჭირდებათ 20 ათასი კვ. მეტრი ფართობი. 1 კვ. მეტრი საბინაო ფართობის ასაშენებლად ნორმატივით საჭიროა 250 მანეთი, მაშინ 20 ათასი კვ. მეტრი საბინაო ფონდის ასაშენებლად აუცილებელია გამოიყოს კაპიტალური დაბანდება 5000 ათასი მანეთის ოდენობით.

საბინაო ფონდის კაპიტალურ დაბანდებათა დაგეგმვისას უნდა გავითვალისწინოთ რაიონში ინდივიდუალური და კოლექტიური ბინათმშენებლობის შესაძლებლობები, აგრეთვე სკოლამდელი დაწესებულებების არსებული ქსელის მდგომარეობა და ამ ასაკის ბავშვთა დაკმაყოფილების ხვედრითი წონა.

ამის შემდეგ რაიონისათვის აუცილებელი კაპიტალურ დაბანდებათა მთელი მოცულობიდან უნდა გამოითიშოს ძირითადი ფონდების აღსადგენად, დამატებითი სამუშაო ძალისათვის საბინაო ფონდისა და სკოლამდელი დაწესებულებების ასაშენებლად მიზნობრივი დანიშნულების კაპიტალური დაბანდებები, დარჩენილი თანხა უნდა მივაკუთვნოთ მთლიანი (რეალიზებული) პროდუქციის მატებას. მაგალითი: დასაგეგმი რაიონისათვის განსაზღვრულია კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა 20 500 ათასი მანეთის ოდენობით, რაც ასე ნაწილდება:

1. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი საწარმოო ფონდების აღსადგენად	7 200 000 მან.
2. არასაწარმოო ფონდების შესაცვლელად	800 000 მან.
3. საცხოვრებელი ბინების ასაშენებლად	5 000 000 მან.
4. სკოლამდელი საბავშვო დაწესებულებების ასაშენებლად	1 000 000 მან.
რჩება	6 500 000 მან.

დავუშვათ მეთერთმეტე ხუთწლედის საშუალო წლიურ დონესთან შედარებით მთლიანი (რეალიზებული) პროდუქციის მატების მოცულობა 3250 ათას მანეთია, მაშინ პროდუქციის ყოველ 100 მანეთ მატებაზე უნდა დაწესდეს 200 მანეთის კაპიტალური დაბანდების გამოყოფა.

რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებებისა და მეურნეობების

სპეციალისტებმა კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის ნორმატივის გაანგარიშების დროს უნდა გაითვალისწინონ საზოგადოებრივ მეურნეობათა წარმოების სპეციალიზაციისა და ძირითადი საწარმოო ფონდებით აღჭურვის დონე.

ამრიგად, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების დაგეგმვის ნორმატიულ მეთოდზე გადასვლას უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. ბალანსების სისტემის დამუშავება, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, მოწყობილობების, მინერალური და ორგანული სასუქების, ნავთობპროდუქტების, საკვების მოთხოვნათა პროგრესული ნორმებისა და ნორმატივების ფართოდ გამოყენება ხელს უწყობს საწარმოს, რეგიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების დაბალანსებას, უზრუნველყოფს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე სისტემურ კონტროლს, ქმნის მეურნეობრიობის ეკონომიკური პირობების გამოთანაბრებისათვის ოპტიმალურ პირობებს.

ამ დიდი ამოცანების წარმატებით განხორციელება მაშინ იქნება გარანტირებული, როცა აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ზედა ეშელონი მეცნიერულად დასაბუთებული ნორმებისა და ნორმატივების სისტემას შექმნის დროის მოკლე პერიოდში.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის დაგეგმვის ნორმატიულ-სარესურსო მეთოდს, ჩვენი აზრით, გააჩნია ნაკლოვანებები, რომლებიც რამდენადმე აძნელებენ ამ მეთოდის გამოყენების ეფექტიანობას. როგორც ცნობილია, რაიონის დონეზე დასკვნით ეტაპზე სახელმწიფო შესყიდვის განსაზღვრა პროდუქციის სახეების მიხედვით ნატურალურ მაჩვენებლებში მთლიანად უგულვებელყოფს სარესურსო პოტენციალის გაანგარიშებით მაჩვენებლებს. ამ დროს აქცენტი გადაიტანება წინა ხუთწლედის დამზადების მიღწეულ დონეზე. გამოდის, რომ ის რაიონი, მეურნეობა, რომლებსაც შესყიდვის დაბალი მაჩვენებლები აქვთ, უკეთეს პირობებში ექცევა, რითაც შემოთავაზებული მეთოდის არსი იკარგება — არსებული საწარმოო პოტენციალის გამოყენების შესაძლებლობათა გამოთანაბრება არ მოხდება.

დაგეგმვის ნორმატიული მეთოდის გამოყენება სოფლის მეურნეობაში წინა პლანზე აყენებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის ამაღლებას. საწარმოო პოტენციალი იზრდება შედარებით მაღალნაყოფიერ მიწებზე, რაც შეეხება მთიან რეგიონებს, სადაც წარმოების საშუალებების გამოყენების ეფექტიანობა განსაზღვრულია, ძირითადი საშუალებები ვითარდება შესაძლებლობის მიხედვით ან ერთ დონეზეა.

იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენს რესპუბლიკაში არახელსაყრელ

ბუნებრივ-ეკონომიკურ პირობებში არსებული მეურნეობების ხვედრითი წონა დიდია, მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს მთლიანი რეგიონების მეურნეობათა საზოგადოების ეკონომიკურ ურთიერთობასთან რეგულირებისათვის ნორმატივებს შემუშავებისას შემოღებულ და პრაქტიკულად გამოყენებულ იქნეს საწარმოო ფონდების შეფასების შემასწორებელი კოეფიციენტი. ეს საშუალებას მოგვცემს შევქმნათ მეურნეობრიობის ეკონომიკური გამოთანაბრების პირობები, ავამაღლოთ მატერიალური დაინტერესება.

დაგეგმვის პრაქტიკაში ნორმატიულ-სარესურსო მეთოდის გამოყენება ძნელდება იმის გამოც, რომ ჯერ კიდევ ოპტიმალურად დამუშავებული არ არის მეურნეობათა საწარმოო-საფინანსო გეგმის მაჩვენებლები. მაგალითად, ამა თუ იმ პროდუქციის წარმოების თვითღირებულების განსაზღვრისას აუცილებელია გავიანგარიშოთ შრომის ანაზღაურებაზე, თესლზე, საწვავ-საცხებზე, მინერალურ და ორგანულ სასუქებზე, ტრანსპორტზე, ძირითადი ფონდების ამორტიზაციასა და მის რემონტზე სადაზღვევო გადასახდელების დანახარჯები. ამ შემთხვევაში ნორმატივების გამოყენება გაძნელებულია. ჩვენი აზრით, საჭიროა დანახარჯები დავყოთ 3 ჯგუფად: შრომის ანაზღაურების, მატერიალური და ზედნადები. ამ შემთხვევაში შესაძლებელია გამსხვილებული ნორმატივების დაწესება, რითაც ამ მეთოდს ოპტიმალურად გამოვიყენებთ დაგეგმვის პრაქტიკაში.

ყურადსაღებია ერთი პრობლემაც. დღეს, როდესაც საზოგადოებრივი მეურნეობები თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების პრინციპებზე გადასვლისათვის ემზადებიან, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მუხრუჭია კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის შეზღუდულობა. საქმე ის არის, რომ ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას თავისუფალი საკუთარი ფულადი საშუალებების პირობებში არ შეუძლიათ აწარმოონ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები ან შეიძინონ აუცილებლად საჭირო მანქანა-იარაღები.

ცნობილია, რომ თვითდაფინანსების პრინციპზე მომუშავე მეურნეობის კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების წყაროებია საკუთარი საშუალებანი და სახელმწიფო ბანკის სესხები. ბანკი მოვალეა მეურნეობას მისცეს სესხი მოთხოვნილი ოდენობით, მაგრამ, სამწუხაროდ, კრედიტის მოცულობა მკაცრად ლიმიტირებულია.

„ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსში მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით მე-

თორმეტე ხუთწლედის წლების მიხედვით მოკავშირე რესპუბლიკებისათვის დაწესებულია საკავშირო ფონდში სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდების საკონტროლო ციფრები: კარტოფილის, ბოსტნეულის, ბაღჩეული კულტურების, ხილის, ყურძნის, ხმელი ხილის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, ხორცისა და ხორცის პროდუქტების, რძისა და რძის პროდუქტების, კვერცხის.

ანალოგიურად მტკიცდება ხორცისა და ხორცის პროდუქტების, რძისა და რძის პროდუქტების, კვერცხის საკავშირო ფონდიდან დოტაციის მოცულობები.

ამ დადგენილებით მოკავშირე რესპუბლიკებამდე და ოლქებამდე ზემოაღნიშნულ პროდუქტებზე სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები არ დაიშვება, ე. ი. სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფოსათვის მიყიდვის დაგეგმვა შენარჩუნებულია მოკავშირე რესპუბლიკაში შემდეგ სახეებზე — მარცვლეული კულტურების (მათ შორის: ხორბლის, ბრინჯის. სიმინდის, პარკოსანი კულტურების, ფეტვის, წიწიბურას, ჭვავის), ზეთოვანი კულტურების თესლის, ბამბის, სელის, ჩაის ფოთლის, თამბაქოს, ეთერზეთების. აბრეშუმის პარკის, მატყლის, ხორცის. რძის, ტყავნედლეულის და ა. შ.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფოსათვის მიყიდვის საკონტროლო ციფრები მოკავშირე რესპუბლიკების ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქების სახაგრომრეწვებს დაჰყავთ რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებამდე, ხოლო ამ უკანასკნელთ კოლმეურნეობებამდე და საბჭოთა მეურნეობებამდე.

სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიყიდვის გეგმებს შესაბამისად ამტკიცებენ სახალხო დეპუტატების რაიონული, საოლქო და სამხარეო აღმასკომები, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები.

დასამტკიცებელი ეკონომიკური მაჩვენებლებია:

1. სოფლის მეურნეობის ძირითადი სახეობის პროდუქციის სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები, ხოლო სპეციალიზებულ მეურნეობებში — ჯიშიანი პირუტყვის, თესლის მიწოდების გეგმები;

2. მოგება, სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელები და სახელმწიფო ბიუჯეტიდან ასიგნებები;

3. აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების უზრუნველყოფის დავალებები;

4. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვის დავალებები.

ამასთან საბჭოთა მეურნეობებამდე დაიყვანება კაპიტალურ დაბანდებათა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობების ლიმიტები ან ნორმატივები, კოლმეურნეობებს კი ანალოგიური მაჩვენებლები ეცნობება: საზოგადოებრივ მეურნეობებს აგრეთვე უწესდებათ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, მანქანა-ტრაქტორების, მინერალური სასუქების, კომბინირებული საკვების მიწოდების მოცულობები.

საზოგადოებრივ მეურნეობებს დაგეგმილი საწარმოო პროგრამის შესასრულებლად ეძლევათ ნავთობპროდუქტებისა და სამშენებლო მასალების ლიმიტები ან ნორმატივები.

შრომის გეგმის მაჩვენებლებს თვით მეურნეობები გამოითვლიან ხუთწლედისათვის დაწესებული სტაბილური ნორმატივებით. დანარჩენი მაჩვენებლებიც მუშავდება და მტკიცდება საზოგადოებრივი მეურნეობების მიერ და შეცვლა-კორექტირებას არ ექვემდებარება.

პარტიისა და მთავრობის დადგენილებით საზოგადოებრივ მეურნეობებს უფლება მიეცათ გაყიდონ საკოლმეურნეო ბაზარზე ან მიყიდონ შეთანხმებულ ფასებში სამომხმარებლო კოოპერაციას სახელმწიფო შესყიდვის გეგმის 30 პროცენტამდე ბოსტნეული, კარტოფილი, ბაღჩეული, ხილი, სუფრის ყურძენი, აგრეთვე ზეგეგმური პროდუქცია. მეურნეობებს შეუძლიათ ამ უფლებით ისარგებლონ როგორც დაგეგმვის, ასევე გეგმის შესრულების პროცესში.

მოქალაქეთა პირადი დამხმარე მეურნეობების დაგეგმვის პრობლემები

პარტიისა და მთავრობის დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ მოსახლეობის პირადი დამხმარე მეურნეობა სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემადგენელი ნაწილია და ეყრდნობა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებს დახმარებას, მოწოდებულია მთლიანად დააკმაყოფილოს სოფლის მოსახლეობის მოთხოვნები ხორცის, რძის, კვერცხის, ხილის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ბაღჩეულის პროდუქტებზე, ხოლო ნამეტი პროდუქცია რეალიზებულ იქნეს კოოპერაციული ვაჭრობის ან საკოლმეურნეო ბაზრის მეშვეობით.

სწორედ ამიტომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გეგმები უნდა დამუშავდეს როგორც საზოგადოებრივი მეურნეობების. ასევე მოქალაქეთა პირადი დამხმარე მეურნეობების განვითარების გათვალისწინებით.

როგორია მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობებში პროდუქციის დაგეგმვისა და აღრიცხვის წესი?

სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მოცულობის განსაზღვრისას მოქალაქეთა პირადი დამხმარე მეურნეობის პროდუქცია შედის შესყიდვის მოცულობაში იმ ხელშეკრულებათა შესაბამისად, რომლებიც იდება საზოგადოებრივი მეურნეობების ან სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციების მიერ მოქალაქეებთან სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის შესახებ.

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო საწარმოთა საწარმოო-საფინანსო გეგმის დასამტკიცებელ მაჩვენებლებში პროდუქციის მიყიდვის საერთო მოცულობა ითვალისწინებს მოსახლეობიდან შესასყიდად დაგეგმილ პროდუქციასაც. საყურადღებოა, რომ ამავე ფორმაში უნდა აისახოს მოსახლეობის მიერ სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებზე მისაყიდი პროდუქცია, რომელიც სახელმწიფო გეგმების შესრულებაში ჩაითვლება.

საწარმოო-საფინანსო გეგმაში აისახება მოსახლეობის პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფის მონაცემები დასაგეგმი წლისათვის. ამ გეგმაში გამოიხატება აგრეთვე მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთების ფართობი, საზოგადოებრივი მეურნეობების მიწის ფონდიდან პირადი დამხმარე მეურნეობის პირუტყვისათვის საძოვრებისა და სათიბების გაჟოყოფა, პირუტყვის სულადობა;

საწარმოო-საფინანსო გეგმის სპეციალურ ფორმაში „კოლექტივის სოციალური განვითარება“ არის განაყოფი „პირადი დამხმარე მეურნეობის განვითარება“, სადაც მოცემულია მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობებში არსებული პირუტყვისა და ფრინველის სულადობა, აგრეთვე მათთვის საკვების, თესლის, სარგავი მასალის, სათბობის მიყიდვა.

მოქალაქეებისაგან უშუალოდ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო საწარმოების მიერ ხელშეკრულების შესაბამისად შესყიდულ სოფლის მეურნეობის პროდუქტებს აღრიცხავს მეურნეობის საბუღალტრო აღრიცხვის სამსახური.

სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციების მიერ შესყიდული პროდუქცია, რომელიც არსებული წესებით ჩათვლილია საზოგადოებრივ მეურნეობათა სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმების შესრულებაში, ამ უკანასკნელთა საბუღალტრო სამსახურების მიერ არ აისახება, მაგრამ საზოგადოებრივი მეურნეობების წლიურ ანგარიშგებას ცნობის სახით თან ერთვის პროდუქციის შესყიდვის ქვითრების მონაცემები.

ამრიგად, საზოგადოებრივი მეურნეობების გეგმებში უნდა გავითვა-

ლისწინოთ სამეურნეო საქმიანობის თითოეული მხარე. მეურნეობებს სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმების შესრულებაში ეთვლება ყველა პროდუქცია, პირად დამხმარე მეურნეობებში შესყიდული პროდუქციის ჩათვლით.

როგორია სამომხმარებლო კოოპერაციის მიერ მოსახლეობისგან შესყიდული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სახელმწიფო შესყიდვის გეგმების შესრულებაში ჩართვის წესი?

„ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსში მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით დაწესდა, რომ 1986 წლიდან პირუტყვსა და ფრინველს, რომლებიც გამოზრდილია მოსახლეობის პირად საკარმიდამო მეურნეობაში, დადებული ხელშეკრულების შესაბამისად შეისყიდის სამომხმარებლო კოოპერაცია უშუალოდ ან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ და ყიდის ქალაქებში, სამრეწველო და რაიონულ ცენტრებში კოოპერაციული ვაჭრობის ფასებში.

მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობებში წარმოებული პირუტყვის, ფრინველის, რძისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის (ხორცი, ხორცის პროდუქტები, რძის პროდუქტები) შესყიდვაზე სამომხმარებლო კოოპერაცია ხელშეკრულებას დებს მოსახლეობასთან ან უშუალოდ კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან.

სამომხმარებლო კოოპერაციის მიერ საზოგადოებრივ მეურნეობებთან დადებულ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია პროდუქციის შესყიდვის პირობები, რომლითაც კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ხელმძღვანელობენ მოსახლეობასთან ხელშეკრულების დადებისას: შესყიდვის ფასები (ეს ფასები არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო შესყიდვის ფასებს); სამომხმარებლო კოოპერაციის მიერ კომბინირებული საკვებითა და ფართო მოხმარების საქონლით შემხვედრი ვაჭრობა და ა. შ. ამასთან უნდა აღვნიშნოთ იმ ხარჯების დაფარვის ვადები და წესი, რომლებიც გაწეულია პროდუქციის დამზადების დროს.

კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, აგრეთვე სამომხმარებლო კოოპერაცია პროდუქციის შესყიდვაზე მოსახლეობასთან ხელშეკრულების დადებისას ხელმძღვანელობენ „მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების დამატებით ღონისძიებათა

შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის იანვრის დადგენილებით.

პირუტყვი, ფრინველი, სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები, რომლებიც კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ შესყიდულია სამომხმარებლო კოოპერაციისათვის მათ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისაგან, მათ ჩაეთვლებათ სახელმწიფო შესყიდვის გეგმის შესრულებაში. პროდუქციის ამ ნაწილზე გავრცელდება სახელმწიფო შესყიდვის ფასებზე დანამატი სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებიდან წინა ხუთწლედის საშუალო წლიურ დონეზე გადაჭარბებისათვის. მასზე ვრცელდება მეურნეობათა ხელმძღვანელი მუშაკებისა და სპეციალისტების შრომის ანაზღაურების ჯგუფის განსაზღვრის წესი.

ამ აქტით მოქალაქეთა პირადი დამხმარე მეურნეობა გახდა სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემადგენელი ნაწილი, რომელიც ეყრდნობა საზოგადოებრივ მეურნეობათა დახმარებასა და მხარდაჭერას. დამხმარე მეურნეობა მოწოდებულია მთლიანად დააკმაყოფილოს სოფლის მოსახლეობა ხორცით, რძით, კვერცხით, კარტოფილით, ბოსტნეულით, ხილითა და კვების სხვა პროდუქტებით, ხოლო ნამეტი პროდუქტი რეალიზებული იქნება შეთანხმებულ ფასებში სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებზე კოოპერაციული ვაჭრობის წესით ან საკოლმეურნეო ბაზარზე გასაყიდად.

მნიშვნელოვან მომენტად მიგვაჩნია ისიც, რომ კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების გეგმების ფორმირება მიმდინარეობს როგორც საზოგადოებრივი მეურნეობებისათვის, ასევე იმ მოქალაქეთა პირადი დამხმარე მეურნეობებისათვის, რომლებიც მეურნეობათა ტერიტორიაზე ცხოვრობენ.

ამრიგად, საზოგადოებრივი მეურნეობების მსგავსად მოქალაქეთა პირადი დამხმარე მეურნეობების მიერ წარმოებული პროდუქციის სასაქონლო რესურსებში მოქცევით დამთავრდა საუწყებათაშორისო დავა იმაზე, თუ რომელი პროდუქცია ჩაეთვალოს საზოგადოებრივ მეურნეობებს შესყიდვის გეგმის შესრულებაში. მასში ჩაითვლება ყველა პროდუქცია, რომელიც წარმოებულია მეურნეობის ტერიტორიაზე და რეალიზებულია საზოგადოებრივი ორგანიზაციების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათაშორისო საწარმოების, სამომხმარებლო კოოპერაციის მიერ მათი რეალიზაციის გზების მიუხედავად, იქნება ის სახელმწიფო შესყიდვისა თუ სამომხმარებლო კოოპერაციის მიერ შესყიდული, შემდგომში ამ პროდუქციის სახელმწიფო რესურსებში ჩართვით, მათ შორის სხვა რესპუბლიკებზე საკავშირო ფონდის ან-

გარიშზე გადაგზავნილი თუ მეურნეობების მიერ უშუალოდ საკოლმეურნეო ბაზარზე გაყიდული.

პარტიისა და მთავრობის დადგენილებით მოქალაქეებს შეუნარჩუნდა შესაძლებლობა, რომ მათ პროდუქცია შეიძლება გაყიდონ უშუალოდ საკოლმეურნეო ბაზარზე, სამომხმარებლო კოოპერაციის გვერდის ავლით. ამასთან საზოგადოებრივი მეურნეობები მოვალენი არიან დახმარება აღმოუჩინონ მოქალაქეებს პირადი დამხმარე მეურნეობების ეფექტიანობის გასაღიდებლად, მიყიდონ დადგენილი წესებით უხეში და წვნიანი საკვები, მოზარდეული, თესლი, ნერგები; დაეხმარონ მიწის დამუშავებაში, გაუწიონ აგროქიმიური და ვეტერინარული მომსახურება და ა. შ.

საზოგადოებრივ მეურნეობებს მიეცათ უფლება დადონ ხელშეკრულება, პირუტყვის გამოზრდასა და რძის შესყიდვაზე იმ მოქალაქეებთან, რომლებიც არ ცხოვრობენ მეურნეობის ტერიტორიაზე. ამასთან ეს პროდუქცია მათ ჩაეთვლებათ სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმის შესრულებაში.

პროდუქციის ტერიტორიული პრინციპის მიხედვით შესყიდვა ფაქტობრივად გზას უკეტავს წარმოების ზოგიერთ ხელმძღვანელს, რომელიც სხვის ტერიტორიაზე ყიდულობს პირუტყვს, არ ეხარჯება მასზე შრომა და ჯაფა, აგრეთვე მოსახლეობა ყიდის თავის პროდუქციას იქ, სადაც უფრო მაღალია შესყიდვის ფასები.

პროდუქციის წარმოებისა და დამზადების ეკონომიკური სტიმულირება

ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსის მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის შემდგომი სრულყოფის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის ეკონომიკური სტიმულირება, რომელიც ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა რგოლში — კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოო გაერთიანებებსა და სამეურნეობათაშორისო საწარმოებში სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებას. ეს კი ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა მათ თვითდაფინანსების პრინციპებზე გადასაყვანად.

პარტიისა და მთავრობის დადგენილებაში — აგროსამრეწველო კომპლექსში მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფის თა-

ობაზე ჩამოყალიბებულია კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც ხელს უწყობენ სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასვლას. ასეთ ღონისძიებათა რიცხვში შედის: აგროსამრეწველო კომპლექსის დარგებში მიზნობრივი გეგმური ღონისძიებების საბიუჯეტო დაფინანსება, სახელმწიფო ბანკის გრძელვადიანი და მოკლევადიანი დაკრედიტება, თითოეულ სასოფლო-სამეურნეო საწარმოში ფინანსური და მატერიალური რეზერვების შექმნა, მართვის ზედა რგოლებში ცენტრალიზებული სარეზერვო ფონდების ჩამოყალიბება, ქონებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზღვევა, სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელები და ა. შ.

ზემოაღნიშნული დადგენილებით მეთორმეტე ხუთწლედში შენარჩუნებულია არსებული მატერიალური სტიმულირების ღონისძიებები, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებით შემოიღეს. ღონისძიებების ეს სისტემა მოიცავს:

1. სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის ფასებს, რომლებიც დიფერენცირებულია ქვეყნის რეგიონებისა და მეურნეობათა ჯგუფების მიხედვით. გამომდინარე წარმოების ბუნებრივ-ეკონომიკური პირობებიდან;

2. პროდუქციის ხარისხისათვის ფასდანამატები და დათმობები;

3. წინა ხუთწლედის საშუალო წლიურ დონესთან შედარებით სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიყიდვის გადამეტებისათვის შესყიდვის ფასებზე დანამატი;

4. ზარალიანი და დაბალრენტაბელური საზოგადოებრივი მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის მიყიდული სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის ფასებზე დანამატი 75 პროცენტამდე;

5. სახელმწიფოსათვის ცალკეული პროდუქციის მიყიდვისათვის საკვებით შემხვედრი ვაჭრობის ორგანიზაცია ან მეურნეობებისათვის სხვა მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით შემხვედრი ვაჭრობა;

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებით შემოღებულმა მატერიალური სტიმულირების ღონისძიებებმა შემდგომი განვითარება პოვა პარტიის XXVII ყრილობაზე, სადაც მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა: „...ძირითადი ჩანაფიქრი ის არის, რომ ფართო ასპარეზი გადავუშალოთ მეურნეობრიობის ეკონომიკურ მეთოდებს, მნიშვნელოვნად გავაფართოოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დამოუკიდებლობა, გავზარდოთ მათი დაინტერესება, პასუხისმგებლობა საბოლოო შედეგებისათვის. არსებითად საქმე ეხება

თანამედროვე პირობების მიხედვით სასურსათო გადასახადის შესახებ ლენინური იდეის შემოქმედებითს გამოყენებას“ [1].

რას გულისხმობს ყრილობის პოლიტიკურ მოხსენებაში მოყვანილი დებულება?

პარტიისა და მთავრობის ახალი გადაწყვეტილებებით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს უფლება მიეცათ სახელმწიფოსათვის მისაყიდი გეგმური პროდუქციის ნაწილი (კარტოფილი, ბოსტნეული, ბაღჩეული, ხილი და ა. შ.), აგრეთვე მთელი ზეგეგმური პროდუქცია გაყიდონ სამომხმარებლო კოოპერაციაზე ან საკოლმეურნეო ბაზარზე. აგრეთვე მრეწველო კომპლექსის სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნის ეს ახალი ასპექტი წარმოადგენს სახელმწიფო ვალდებულების ზევით წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციით თავისუფალი ვაჭრობის შემოღებას. რომელიც ვ. ი. ლენინმა თავის დროზე განაცითარა სასურსათო გადასახადზე გადასვლით.

დღეს ქვეყანაში სულ სხვა სოციალურ-ეკონომიკური პირობებია ახალ ეკონომიკურ პოლიტიკასთან შედარებით, მაგრამ იმისათვის, რომ თითოეულ შრომით კოლექტივს კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მესაკუთრის, მეპატრონის გრძნობა გაუჩნდეს. მას უნდა ჰქონდეს განსაზღვრული დამოუკიდებლობა მიცემული როგორც წარმოების ორგანიზაციაში, ასევე წარმოების შედეგების გამოყენებაში, მათ შორის სოფლის მეურნეობის პროდუქციის ნაწილის რეალიზაციაში.

უკანასკნელ პერიოდამდე მოქმედი სამეურნეო მექანიზმის ერთ-ერთი სერიოზული ნაკლოვანება სწორედ ის იყო. რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს უფლება არ ჰქონდათ გამოსულიყვნენ საქონელმწარმოებლების როლში, რის გამოც მათში დარღვეული იყო სამეურნეო ანგარიშის პრინციპები, ბევრი მათგანი გამოდიოდა სახელმწიფოს ხელის შემყურე და მუშაობდნენ არარენტაბელურად.

მეურნეობრიობის ახალი სისტემის შემოღების შემდეგ პრესაში ცხოველი ინტერესი გამოიწვია შემდეგმა კითხვებმა: ვინ უნდა განახორციელოს სავაჭრო საქმიანობა? სად გაიყიდოს გეგმურის ნაწილი და ზეგეგმური პროდუქცია? არის აზრთა სხვაობა, ზოგიერთი მეცნიერი ეკონომისტი კი ივიწყებს ღირებულების კანონის ელემენტარულ მოთხოვნებს. მაგალითად, ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე, პროფ. ვ. პეშეხონოვი ასაბუთებს, რომ გეგმიანი მეურნეობის პირობებში არასწორი იქნება დავადგეთ საბაზრო „თვითრეგულირების“

---

[1] სკკპ XXVII ყრილობის მასალები. გვ. 47—48.

გზას. „აუცილებლად უნდა შევინარჩუნოთ პროდუქციის ნაწილის რეალიზაციის პირობებსა და მის ხასიათზე სახელმწიფოს გეგმიანი ზემოქმედება ეკონომიკური ბერკეტებისა და სამართლებრივი ნორმების საშუალებით“[1]. ამ დებულების შემდეგ იგი კატეგორიულად მოითხოვს, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს არ მიეცეს საკოლმეურნეო ბაზრებზე პროდუქციის თავისუფლად გაყიდვის საშუალება. ეს ფუნქცია უნდა აიღოს რაიონულმა აგროსამრეწველო გაერთიანებებმა, მათ უნდა მიეცეს გარკვეულ ტერიტორიაზე არსებული საკოლმეურნეო ბაზრებზე ვაჭრობის უფლება ზემოდან დაწესებული ზღვრული ფასების მეშვეობით. აქ ერთბაშად, ჩვენი აზრით, ორ შეცდომასთან გვაქვს საქმე: საზოგადოებრივი მეურნეობა საქონელმწარმოებლად რომ გამოდის, მას უფლება უნდა ჰქონდეს პროდუქცია ბაზარზე ჩამოყალიბებული ფასებით გაყიდოს და არა ზემოდან დადგენილი ფასებით, საკოლმეურნეო ბაზარი ხომ არაორგანიზებული ბაზარია და იქ ფასები წესდება საქონლის მიწოდება-მოთხოვნების საფუძველზე. საკოლმეურნეო ბაზრებზე ფასების რეგულირების ერთადერთი გზაა სახელმწიფო საცალო ქსელში პროდუქციის სიუხვე და არა საკანონმდებლო გზით ფასების დაწესება; გაუმართლებლად მიგვაჩნია ისიც, რომ რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებს დაეკისროს გეგმური პროდუქციის ნაწილისა და გეგმის ზევით წარმოებული პროდუქციის მთლიანი მასის რეალიზაცია.

საზოგადოებრივი მეურნეობების სრულ სამეურნეო ანგარიშზე და თვითდაფინანსებაზე გადაყვანა მოითხოვს, მათ მიეცეს ფართო უფლებები წარმოებული პროდუქციის უშუალო რეალიზაციაში და თუ იგი ამას ვერ შეძლებს, იგი მიყიდოს სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებს. ამასთან გამორიცხული არც ის არის, რომ რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებამ ან თვით მეურნეობებმა სამეურნეობათაშორისო ინტეგრაციის მეშვეობით აწარმოონ პროდუქციის რეალიზაცია.

აგროსამრეწველო კომპლექსის მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება მნიშვნელოვნად ავითარებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და დამზადების ეკონომიკური სტიმულირების არსებულ სისტემას, რაც უშუალოდ დაკავშირებულია:

1. ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ორგანოების

---

[1] См. „Экономика сельского хозяйства“. 1986, № 10, с. 72.

სრულყოფასთან. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტებს, საოლქო და სამხარეო აგროსამრეწველო კომიტეტებს დიდი უფლებები მიეცათ ფასწარმოქმნაში, ხოლო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებმა მიიღეს წარმოებული პროდუქციის გამოყენებაში მნიშვნელოვანი დამოუკიდებლობა;

2. საზოგადოებრივი მეურნეობების სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება-დამზადების დაგეგმვასთან, რომელიც წარმოებს ნორმატიულ-სარესურსო მეთოდით, როცა გაითვალისწინება მიწის, როგორც წარმოების ძირითადი საშუალების ეკონომიკური შეფასება, ძირითადი საწარმოო ფონდებითა და შრომითი რესურსებით უზრუნველყოფა. ყურადსაღებია ისიც, რომ საზოგადოებრივ მეურნეობასთან ერთად იგეგმება მოქალაქეთა პირადი საკარმიდამო მეურნეობები, რომლებიც მეურნეობის ტერიტორიაზე იმყოფება;

3. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სამომხმარებლო კოოპერაციასთან და მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობებთან მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობების განხორციელებასთან;

4. საზოგადოებრივ მეურნეობათა შრომითი კოლექტივების მატერიალურ დაინტერესებისა და პასუხისმგებლობის გაძლიერებასთან წარმოების ინტენსიფიკაციის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა ფართოდ გავრცელებისა და მაღალი საბოლოო შედეგების მისაღწევად;

5. სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმ დარგების წარმოების განვითარების სტიმულირების გაძლიერებასთან, რომლებზედაც არის დამოკიდებული ქვეყნის სასურსათო პროგრამის განხორციელება, სახელდობრ: მარცვლეულის, ზეთოვანი კულტურების, შაქრის ჭარხლისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება.

განვიხილოთ კონკრეტული ღონისძიებები, რომლებიც გათვალისწინებულია პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებაში.

დაწესებულია მეთორმეტე ხუთწლედში მარცვლეულის შესყიდვის სტაბილური გეგმები წლების მიხედვით, 1986 წლის შესყიდვის გეგმის დონეზე. მარცვლეულის სახელმწიფო რესურსებში დამზადების გადიდების სტიმულირების მიზნით 1986—1990 წლებში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის მეთერთმეტე ხუთწლედის საშუალო წლიური დონის ზევით მიყიდული მარცვლეულისათვის ეძლევათ შესყიდვის ფასზე 100 პროცენტი ფასდანამატი მარცვლეულის მიყიდვის სახელმწიფო გეგმის შესრულების პირობებში, ხოლო

ამ მეურნეობებზე, რომლებმაც გადააჭარბეს წინა ხუთწლედის საშუალო წლიურ დონეს, მაგრამ ვერ შეასრულეს სახელმწიფო შესყიდვის გეგმა, ფასდანამატი გაიცემა 50 პროცენტის ოდენობით. შესყიდვის ფასებზე აღნიშნული დანამატები გაიცემა მაგარ ხორბალზე, წიწიბურაზე, ბარდაზე, ფეტვზე, ლობიოზე, სოიოსა და ოსპზე მარცვლეულის მთლიანი რეალიზაციის გეგმის შესრულებისაგან დამოუკიდებლად.

ის საზოგადოებრივი მეურნეობა, რომელსაც წინა ხუთწლედში სახელმწიფოსათვის არ მიუყიდია მარცვლეული და არც მიმდინარე ხუთწლედში აქვს ამ კულტურის მიყიდვის გეგმები, ფასდანამატი აუნაზღაურდება 50 პროცენტით.

მეურნეობაზე, რომელსაც მარცვლეულის მიყიდვის გეგმა დაუწესდა პირველად, 1984 წლიდან დაწყებული ან მეთორმეტე ხუთწლედის წლებში, ფასდანამატი გაიცემა გეგმური შესყიდვის პირველ სამ წელიწადში გეგმურ მოცულობაზე 100 პროცენტის ოდენობით.

სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის საზოგადოებრივ მეურნეობებს შემხვედრი ვაჭრობის წესით მიეყიდება ტრაქტორები, ავტომობილები, სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და რესურსები, რომლის ფონდები წინასწარ იქმნება სსრ კავშირის სახაგრომრეწვში. საყურადღებოა ისიც, რომ მოკავშირე რესპუბლიკებზე, ოლქებსა და მხარეებზე სახელმწიფო რესურსების გეგმის ზევით მარცვლეულის თესლი გაიცემა გაცვლის ან სესხის სახით, რომელიც უნდა დაიფაროს მომავალი წლის მოსავლიდან.

1987—1990 წლებში შენარჩუნებულია შესასყიდ ფასებზე 50 პროცენტის დანამატის გაცემა იმ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებისათვის, რომლებმაც მეთერთმეტე ხუთწლედის საშუალო წლიური დონის ზევით მიყიდეს სახელმწიფოს მზესუმზირა, შაქრის ჭარხალი, ნედლი ბამბა, სოია, კანაფი, კარტოფილი, ჩაის ფოთოლი, სვია, მდოგვი, ეთერზეთოვანი კულტურები, ყაყაჩო, პირუტყვი, ფრინველი, რძე, მატყლი, კრაველი, სუფრის ყურძენი, ციტრუსოვანთა ნაყოფი, ხახვი, ნიორი, იონჯა, სამყურა, მარცვლოვანი ბალახების თესლი.

დადგენილია საზოგადოებრივი მეურნეობების მიერ 1986—1990 წლებში სახელმწიფოსათვის მეთერთმეტე ხუთწლედში მიღწეული საშუალო წლიური დონის ზევით მიყიდული სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესასყიდ ფასებზე დანამატის გაცემის შემდეგი წესი:

1. ფასდანამატები გაიცემა იმ მეურნეობებზე, რომლებზეც ვრცელდება სახელმწიფო სოციალისტური სამრეწველო საწარმოს დებულება;

1983—1985 წლებში ფაქტობრივად მიღწეული საშუალო წლიური დონის გადამეტებით პროდუქციის რეალიზაციის (წარმოების) თითოეული პროცენტის მატებისათვის ხელფასის ფონდის გასადიდებლად (0,8) შემასწორებელი კოეფიციენტის დიფერენციაციის ცხრილი

სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციის (წარმოების) გეგმის შესრულების დონე, საშუალოდ 1983—1985 წლებში (%-ობით)	ხელფასის ნორმატივის კორექტირებისათვის გამოყენებული (0,8) დიფერენცირებული კოეფიციენტი
100 და მეტი	1,00
98	0,99
97	0,96
96	0,87
95	0,79
94	0,73
93	0,69
92	0,65
91	0,61
90	0,58
89	0,56
88	0,54
87	0,43
86	0,42
85	0,41
84	0,40
83	0,39
82	0,38
81	0,35
80	0,34
79	0,33
78	0,33
77	0,32
76	0,32
75	0,32
74	0,31
73 და ნაკლები	0,30

ხელფასის ფონდის წლიური ეკონომია განისაზღვრება როგორც სხვაობა პროდუქციის რეალიზაციის (წარმოების) ფაქტობრივი მოცულობისათვის ნორმატივებით გაანგარიშებულ ხელფასის ფონდსა და ფაქტობრივად დარიცხულ ხელფასის ფონდს შორის.

ხელფასის ფონდის ეკონომია თანაბარ ნაწილებად გადადის საბჭოთა

მეურნეობის მატერიალური წახალისების ფონდსა და სარეზერვო ხელფასის ფონდში. გადახარჯვა დაიფარება ამ ფონდების, აგრეთვე რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების ხელფასის ფონდის რეზერვის ანგარიშიდან, ხოლო ამ ფონდების უკმარისობის შემთხვევაში — იმ პრემიების შემცირების ხარჯზე, რომელიც დაერიცხა მეურნეობის კოლექტივს.

იმ შემთხვევაში, როცა წლის დამლევამდე საბჭოთა მეურნეობა მთლიანად გამოიყენებს საბაზო ხელფასის ფონდის 95 პროცენტს, იგი ბანკს განყოფილებას წარუდგენს ცნობას, რომ ხელფასს ვასაცემად გამოიყენება გასული წლის ეკონომია, მატერიალური წახალისების ფონდი, რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების ხელფასის ფონდის რეზერვი, ამ უკანასკნელის ნებართვით.

იმ შემთხვევაში, როცა შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპთან შედარებით ხელფასის ზრდის ტემპი უფრო მაღალია, საბჭოთა მეურნეობას მატერიალური წახალისების ფონდის შესაბამისი ნაწილი გადააქვს რეზერვში, რათა მომდევნო წელს მოახმაროს იგი შრომის ნაყოფიერების ზრდასა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას.

ამრიგად, შრომის ნაყოფიერების ფონდის ფორმირების ნორმატიული მეთოდი ითვალისწინებს როგორც ხელფასის ფონდის ეკონომიისათვის კოლექტივის მატერიალურ დაინტერესებას, ასევე ხელფასის ფონდის გადახარჯვა იწვევს კოლექტივის მატერიალურ პასუხისმგებლობას, რაც მეურნეობებში სამეურნეო ანგარიშის განმტკიცების მნიშვნელოვანი საშუალებაა. ხელფასის ფორმირების ნორმატიული მეთოდის ეფექტიანობა დიდად არის დამოკიდებული თითოეული მეურნეობისათვის ნორმატივების სწორად და დასაბუთებულად დაწესებაზე. ეს კი, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად ამაღლებს რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების მუშაკთა პასუხისმგებლობას, რათა დაქვემდებარებული საწარმოებისათვის დროულად და ხარისხიანად დამუშავდეს ხელფასის ფორმირების ნორმატივები.

აგროსამრეწველო კომპლექსის საზოგადოებრივ მეურნეობებში 1986 წლიდან შემოღებულია ხელმძღვანელების, სპეციალისტებისა და მოსამსახურეების შრომის ანაზღაურების ახალი წესი რეალიზებული (წარმოებული) სოფლის მეურნეობის პროდუქციის ნორმატივების მიხედვით. ამიერიდან საბჭოთა მეურნეობის მუშების, ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების ხელფასის დარიცხვა დამოკიდებულია მიღებულ მოსავალზე, პროდუქციის რაოდენობასა და ხარისხზე. ამით მიიღწევა საზოგადოებრივი მეურნეობის ყველა კატეგორიის მუშაკების ინტერესთა

ერთიანობა სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის საბოლოო შედეგებისათვის.

რეალიზებული (წარმოებული) პროდუქციისათვის სტაბილურ განფასებებს (ნორმატივებს) აწესებს უშუალოდ საბჭოთა მეურნეობა. იგი, როგორც წესი, უნდა იყოს კოლექტიური, მეურნეობის ყველა კატეგორიის მუშაკებისათვის, დაწყებული წარმოების ხელმძღვანელით და დამთავრებული მუშით. განფასებები წესდება 1000 მანეთ რეალიზებულ (წარმოებულ) პროდუქციაზე.

საზოგადოებრივი მეურნეობის ხელმძღვანელი მუშაკებისათვის, სპეციალისტებისა და მოსამსახურეებისათვის, რომლებიც საქმიანობენ მთელი საბჭოთა მეურნეობის მასშტაბით, განფასებები დგინდება წინა ხუთწლედში მთლიანად საბჭოთა მეურნეობაში მიღწეული სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციის საშუალოწლიური მოცულობისა და მოცემულ წელს ამ მუშაკთა წლიური ხელფასის ფონდისა და თანამდებობრივი სარგოების საფუძველზე, ხოლო იმ მუშაკებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ერთი დარგის (მემცენარეობის ან მეცხოველეობის) მუშაობისათვის, განფასება დაუდგინდება დარგის მიერ რეალიზებული პროდუქციისათვის.

საზოგადოებრივი მეურნეობის განყოფილებების, ფერმების, უბნების, საამქროების ხელმძღვანელი მუშაკების, სპეციალისტებისა და მოსამსახურეებისათვის განფასებები გაიანგარიშება წინა ხუთი წლის მანძილზე შესაბამისი ქვედანაყოფების მიერ მიღწეული პროდუქციის წარმოების საშუალოწლიური მოცულობისა და მოცემულ წელს ამ მუშაკთა წლიური ხელფასის ფონდიდან გამომდინარე თანამდებობრივი სარგოების მიხედვით.

განფასებების (ნორმატივების) გაანგარიშებისათვის ხელფასის წლიური ფონდი გამოითვლება ხელმძღვანელ მუშაკთა, სპეციალისტთა და მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოებით მათი შრომის ანაზღაურების ჯგუფიდან გამომდინარე იმ თანამდებობრივი სარგოების ჩათვლით, რომლებიც ვაკანტური იყო.

წინა ხუთწლედის სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციის საშუალო წლიური მოცულობა, რითაც გამოითვლება განფასება (ნორმატივი), აგრეთვე საანგარიშო წლის პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა აიღება მეურნეობის წლიური ანგარიშგებებიდან.

გასათვალისწინებელია ის, რომ პროდუქციის რეალიზაციის (წარმოების) მოცულობის დონე არ უნდა იყოს წინა ხუთწლედში მიღწეულ დონეზე ნაკლები.

პროდუქციისათვის განფასებებს ზემდგომი ორგანო ამტკიცებს.

ხელმძღვანელ მუშაკებს, სპეციალისტებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც შედიან საიჯარო კოლექტივების შემადგენლობაში, რეალიზებული პროდუქციის ანგარიშსწორებამდე მიეცემათ ავანსი დაწესებული თანამდებობრივი სარგოების 80 პროცენტი, მაგრამ იმ საზოგადოებრივ მეურნეობებში, სადაც წლის მანძილზე პროდუქციის წარმოება და რეალიზაცია თანაბრად მიმდინარეობს, ხელმძღვანელი მუშაკების, სპეციალისტებისა და მოსამსახურეების შრომა ანაზღაურდება პროდუქციისათვის დაწესებული განფასებებით ყოველთვიურად. ამ შემთხვევაში ავანსირება 80 პროცენტის მოცულობით აღარ იწარმოებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელ მუშაკებს, სპეციალისტებსა და მოსამსახურეებს გაუდიდდათ თანამდებობრივი სარგოები საშუალოდ 30 პროცენტით. საყურადღებოა, რომ ამ დროს სახალხო მეურნეობის სხვა დარგების ანალოგიურ მუშაკებს ხელფასი არ გაზრდიათ, რის გამოც ამჟამად საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელი მუშაკებისა და სპეციალისტების თანამდებობრივი სარგოები ეკონომიკის სხვა დარგების ხელმძღვანელთა სარგოებს 20—25 პროცენტით აღემატება.

ამჟამად პრაქტიკაში უკეთესი საბოლოო შედეგების მიღწევისათვის სოფლის მეურნეობის მუშაკთა სტიმულირება წარმოებს სხვადასხვა ფორმით, მაგრამ გამოცდილებით დადასტურებულია, რომ ყველაზე ოპტიმალურად მიჩნეულია შრომის ანაზღაურება მთლიანი შემოსავლის გათვალისწინებით. ქვეყნის ცალკეულ რეგიონებში ფართოდ გავრცელებულია შრომის ანაზღაურების ზემოაღნიშნული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი მეურნეობის მუშაკთა მატერიალურ დაინტერესებას თავიანთი შრომის მაღალი საბოლოო შედეგებისათვის, ე. ი. იზრდება პროდუქციის წარმოება მისი თვითღირებულების სისტემატური შემცირების პირობებში.

განვიხილოთ მთლიანი შემოსავლის გათვალისწინებით შრომის ანაზღაურების პრინციპები და ამ სისტემის უპირატესობანი.

სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია შედგება სამი ნაწილისაგან — მატერიალური დანახარჯები, შრომის ანაზღაურების სახსრები და მოგება. მთლიანი შემოსავალი არის სხვაობა მთლიანი პროდუქციის ღირებულებასა და მის წარმოებაზე გაწეული მატერიალური დანახარჯების ღირებულებას შორის. მთლიანი შემოსავალი ცოცხალი შრომით შექმნილი ღირებულება, ანუ ახლად შექმნილი პროდუქტის ღირებულებაა

და გამოიყენება გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების ძირითად წყაროდ და მეურნეობის მუშაკთა მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის.

მთლიანი შემოსავლის გადიდებასთან მაშინ გვაქვს საქმე, როცა იზრდება პროდუქციის მასა და მის საწარმოებლად მცირდება დანახარჯები. იმ მეურნეობებში, სადაც მოსავლიანობისა და პროდუქტიულობის მაღალი დონეა, აუცილებელია მთლიანი პროდუქციის მატების მიღწევა დანახარჯთა შემცირებით.

მთლიანი შემოსავლების ანარიცხების ნორმატივით შრომის ანაზღაურების სისტემა თავისთავად სამეურნეო ანგარიშის პრინციპზეა აგებული, რამდენადაც იგი ითვალისწინებს პროდუქციის რაოდენობასა და ხარისხთან ერთად მის საწარმოებელ დანახარჯებსაც. შრომის ანაზღაურების ეს სისტემა ემყარება ხარჯვასაწინააღმდეგო მექანიზმს, რომელიც მოქმედებს ავტომატურად. სწორედ ამ გზით ხდება შრომის ანაზღაურების ორგანული დაკავშირება შიდასამეურნეო ანგარიშთან.

მთლიანი შემოსავლის მიხედვით შრომის ანაზღაურების სიდიდე დამოკიდებულია წარმოებული პროდუქციის რაოდენობასა და ხარისხზე, აგრეთვე ამ პროდუქციის წარმოების დანახარჯებზე.

მთლიანი შემოსავლის მიხედვით შრომის ანაზღაურების სისტემა სავსებით ეხმიანება სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებს. ყრილობაზე ხაზგასმულია, რომ სამეურნეო ანგარიშზე არსებული საწარმოს, გაერთიანების ხელფასის ფონდის მოცულობა უშუალოდ დაუკავშირდეს მათი პროდუქციის რეალიზაციით მიღებულ შემოსავალს. სწორედ ამის შედეგად გამოირიცხება მშრომელებისათვის უვარგისი და უხარისხო ნაწარმის წარმოება და მიწოდება. ასეთი პროდუქციის მწარმოებლები, იქნება ეს მუშა თუ წარმოების ხელმძღვანელი, ვერ მიიღებს მთლიან ხელფასს; ხოლო პრემიებზე ლაპარაკიც არ უნდა იყოს. ერთი სიტყვით, არ უნდა ანაზღაურდეს ისეთი პროდუქციის მწარმოებლის შრომა, რომელიც საზოგადოების მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს. „შრომითი კოლექტივი ვალდებულია პასუხს აგებდეს ყველაფრისათვის, ზრუნავდეს საზოგადოებრივი სიმდიდრის მატებისათვის, მისი მატება, ისევე როგორც დანაკარგები, გავლენას უნდა ახდენდეს კოლექტივის თითოეული წევრის შემოსავლის დონეზე"[1]. სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახული ამ ამოცანის რეალიზაციაში ზემოაღნიშნული შრომის ანაზღაურების სისტემამ გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს. მან უნდა დაამყაროს

[1] სკკპ XXVII ყრილობის მასალები. გვ. 60.

ორგანული კავშირი შრომის ორგანიზაციისა და შრომის ანაზღაურების კოლექტიურ-საიჯარო ფორმასა და შიდასამეურნეო ანგარიშს შორის, რათა დავაინტერესოთ მეურნეობაში დასაქმებული მუშაკები სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადიდების, მატერიალური, შრომითი და ფულადი რესურსების მომჭირნეობით და ეფექტიანად გამოყენებისა და საწარმოს მთლიანი შემოსავლის ზრდის უზრუნველსაყოფად.

მთლიანი შემოსავალი, როგორც მეურნეობრიობის დონის კრიტერიუმი, საშუალებას იძლევა ყველა რანგის ხელმძღვანელისა და სპეციალისტის ინტერესები აკუმულირებულ და მიმართულ იქნეს მეტი წმინდა პროდუქტის შექმნისაკენ, რაც საბოლოო ანგარიშში საზოგადოებრივი წარმოებისა და მშრომელთა კეთილდღეობის ზრდის წყაროა.

შრომის ანაზღაურების ამ სისტემის განსაკუთრებული უპირატესობა ის არის, რომ იგი სპობს მრავალრიცხოვან მაჩვენებელთა სისტემას და სტიმულირების გათანაბრებითობას. ადრე არსებულ მრავალნაირ ხელფასზე დანამატებისა და პრემიების ნაცვლად შემოღებულია წლის მანძილზე მიღებული მთლიანი შემოსავლისათვის ერთიანი ანაზღაურება, ე. ი. ყველა მუშაკის შრომის შეფასების მთავარი კრიტერიუმია — მთლიანი შემოსავალი. აქვე საყურადღებოა ისიც, რომ შრომის ანაზღაურების ფორმირების ნორმატივების მთლიანი შემოსავლის მიხედვით გაანგარიშების მექანიზმი საშუალებას იძლევა დაწესდეს შრომის ნაყოფიერებისა და შრომის ანაზღაურების ზრდის ტემპებს შორის საჭირო თანაფარდობა.

მთლიანი შემოსავლის მიხედვით მუშაკთა შრომის ანაზღაურების რეკომენდაციები ითვალისწინებს შრომის ანაზღაურებისა და მატერიალური წახალისების ფონდების ნაწილის დარეზერვებას და მათ გამოყენებას შემდგომ წელს შრომის ნაყოფიერების სტიმულირებისათვის ან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა ფონდის შესავსებად. შრომის ანაზღაურება შეიძლება ფართოდ გამოვიყენოთ საწარმოთა იმ ქვედანაყოფებში, რომლებიც მუშაობენ კოლექტიური იჯარის პრინციპებით. მაგრამ ანაზღაურების ეს სისტემა თავისთავში გულისხმობს მტკიცე და სტაბილური ბრიგადების არსებობას.

შრომის ანაზღაურების ასეთი სისტემა, როგორც ეფექტიანი სტიმული, საიჯარო კოლექტივების მთელს საქმიანობას მიმართავს საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ასამაღლებლად, ე. ი. ასტიმულირებს ნაკლები დანახარჯებით მეტი მაღალხარისხიანი პროდუქცია აწარმოონ.

მთლიანი შემოსავლის მიხედვით შრომის ანაზღაურების ნორმატივების გამოსაანგარიშებლად პრაქტიკაში გამოიყენება ორი ვარიანტი:

1. უკანასკნელი 3—4 წლის მანძილზე საბჭოთა მეურნეობებში, მის დარგებსა და ქვედანაყოფებში ფაქტობრივად ჩამოყალიბებული პროდუქციის მთლიანი ღირებულების, მატერიალური დანახარჯებისა და შრომის ანაზღაურების მაჩვენებლებით;

2. ნორმატიული (გეგმური) მაჩვენებლებით.

პრაქტიკაში უფრო მეტად მეორე ვარიანტი გამოიყენება, ვიდრე პირველი. და ეს სავსებით გამართლებულია. პირველი ვარიანტის დროს ფაქტობრივად მაჩვენებლებში ძევს უარყოფითი სუბიექტური მომენტები — უყაირათობა, უგერგილობა, პროდუქციის წარმოების ჩამორჩენილი ტექნოლოგია.

მთლიანი შემოსავლიდან შრომის ანაზღაურების ნორმატივი პროცენტებში განისაზღვრება ფორმულით — შრომის ანაზღაურების ფონდი გაყოფილი მთლიანი პროდუქციის ღირებულებასა და პროდუქციის წარმოებაზე გაწეულ მატერიალურ დანახარჯებს შორის სხვაობის მაჩვენებელზე.

ასეთი შემოსავლის მიხედვით შრომის ანაზღაურების ნორმატივების გამოანგარიშების პირველი ვარიანტი უმეტესად იმ მეურნეობებში გამოიყენება, სადაც აღრიცხვა-ანგარიშგება მოგვარებულია. საყურადღებოა ისიც, რომ პირველ ვარიანტს მეორესთან შედარებით უარყოფითი მხარეები გააჩნია — იგი დამყარებულია მიღწეულ დონეზე, რაშიც შრომის ანაზღაურების ნაკლოვანებებიც იგულისხმება, ამასთან გამორიცხული არ არის უყაირათობა და მიწერების შესაძლებლობებიც.

მთლიანი შემოსავლიდან შრომის ანაზღაურების ნორმატივები წესდება სტაბილურად მთელი ხუთწლედისათვის, ხოლო მათი კორექტირება და დაზუსტება მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევებში ხდება, როცა მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის შესყიდვის ფასები, წარმოების სტრუქტურა და მოცულობა, თანამდებობრივი სარგოები და სატარიფო შეფასებები, აგრეთვე მსხვილი მეცხოველეობის კომპლექსებისა და საწარმოო დანიშნულების სხვა ობიექტების ექსპლოატაციაში გაშვება.

შრომის ანაზღაურების ამ სისტემის მოქმედებისას კოლექტიური იჯარის პრინციპებზე მომუშავე საწარმოები აუცილებლად შიდასამეურნეო ანგარიშზე უნდა იყვნენ გადაყვანილი. დიდ ეფექტს იძლევა საიჯარო კოლექტივების დანახარჯების ოპერატიული კონტროლის — საჩეკო ფორმების გამოყენება.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების მიერ წარმოებული

მთლიანი შემოსავლისათვის მაქსიმალური შრომის ანაზღაურების ოდენობა კოლექტივს განესაზღვრება მყარი ნორმატივით დაწესებული ხელფასის ფონდის მოცულობით, საიდანაც გამოირიცხება საშუალო წლიური ხელფასის ფონდიდან გაცემული თანხა.

საზოგადოებრივ მეურნეობაში მთლიანი შემოსავლიდან შრომის ანაზღაურების ნორმატივის დაწესებისათვის საჭიროა გავიანგარიშოთ მთლიანი პროდუქციის ღირებულება, მის წარმოებაზე დანახარჯები, ხელფასის ფონდი ქვედანაყოფების მიხედვით და მთლიანად მეურნეობაში.

ბრიგადაში, რგოლში, განყოფილებაში კოლექტივისათვის ნორმატივები გაანგარიშდება ცალ-ცალკე მემცენარეობასა და მეცხოველეობაში პროდუქციის ყველა სახეზე. ამ წესით მიღებული მთლიანი შემოსავლიდან შრომის ანაზღაურების ნორმატივები დაწესდება ქვედანაყოფის მუშაკებისათვის, ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების ჩათვლით.

რეკომენდაციებით გათვალისწინებულია საწარმოო ქვედანაყოფებისათვის წარმოების ნორმები დაწესდეს ისეთი კონკრეტული პირობების მხედველობაში მიღებით, როგორიცაა მიწის ეკონომიკური შეფასება, რესურსებით უზრუნველყოფა, წარმოების ტექნოლოგია, მინერალური და ორგანული სასუქების შეტანის ნორმები, თესლის ხარისხი და ჯიში, პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობა, საკვებით უზრუნველყოფა, მექანიზაციის ხარისხი და სხვ. იმ საზოგადოებრივ მეურნეობებში, სადაც შესაძლებელი არ არის ზემოაღნიშნული ფაქტორებით გამოვითვალოთ წარმოების ნორმები, ეს უკანასკნელი წესდება გასული 3—5 წლის საშუალოწლიურად მიღწეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და პირუტყვის პროდუქტიულობის დონითა და გეგმური მაჩვენებლებით.

პროდუქციის ღირებულება გამოითვლება ნატურაში წარმოების ნორმიდან და ფაქტობრივი რეალიზაციიდან საშუალო ფასებით. პროდუქციის წარმოების მატერიალურ დანახარჯებში შეიტანება დანახარჯები თესლზე, სასუქებზე, საკვებზე, საწვავ-საცხებზე, ძირითადი ფონდების ამორტიზაციასა და მიმდინარე რემონტზე, სატრანსპორტო ხარჯებზე და სხვა.

წარმოების პირდაპირი დანახარჯები წესდება ტექნოლოგიური რუკებითა და წარმოების გეგმური მაჩვენებლებით.

ნორმატივებით შრომის ანაზღაურების ფონდი გამოიანგარიშება სატარიფო ხელფასის ფონდის, კლასისა და წოდებისათვის დანამატების, მიმდინარე წახალისებისა და იმ საშუალებების საფუძველზე, რომლებიც

წლიური საბოლოო შედეგებისათვის ხელფასზე დანამატებისა და პრემიების გასაცემად არის გათვალისწინებული.

მემცენარეობაში მუშაკთა ხელფასის ფონდი გაიანგარიშება ტექნოლოგიური რუკებით პროდუქციის წარმოების ნორმებით გათვალისწინებული სამუშაოების, გამომუშავების ნორმებისა და შესაბამისი სატარიფო ხელფასების საფუძველზე.

მეცხოველეობაში ხელფასის სატარიფო ფონდი გაიანგარიშება პირუტყვის პროდუქტიულობიდან გამომდინარე მომსახურების ტექნიკურად დასაბუთებული ნორმებით გაანგარიშებული მუშაკთა გეგმური რიცხოვნობის, მეცხოველეობაში დასაქმებული მუშაკების პროფესიული შემადგენლობისა და შესაბამისი სატარიფო შეფასებების მიხედვით.

ნორმატივებით შრომის ანაზღაურების ფონდში სატარიფო ფონდის გარდა შეიტანება წარმოებული პროდუქციისათვის დანამატი სატარიფო ფონდის 50 პროცენტამდე, სამუშაოების ხარისხიანად და აგროვადებში შესრულებისათვის დანამატების სახსრები, კლასისა და ოსტატობისათვის, მაღალი კვალიფიკაციისათვის, პროფესიათა და თანამდებობათა შეთავსებისათვის, მომსახურების ზონის გაფართოებისათვის დანამატები და მოსავლის აღებაზე გადიდებული ანაზღაურებისათვის, აგრეთვე უკანასკნელი 3—5 წლის საშუალოწლიური ფაქტობრივად გაცემული შრომის ანაზღაურების (1 მანეთზე გაანგარიშებით) პრემიები ხელფასის ფონდიდან და მოგებიდან. რაც შეეხება მატერიალური წახალისების ფონდიდან გაცემულ სახსრებს, იგი გაანგარიშებაში შეიტანება შრომითი კოლექტივის შეხედულებისამებრ.

სამეურნეოანგარიშიანი ქვედანაყოფის კოლექტივის წევრებზე მუშაობის წლიური შედეგებისათვის საბოლოო ანგარიშსწორებამდე გაიცემა ავანსი, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისა და მეცხოველეობის პროდუქციის მიღების დამთავრებისას მოხდება საბოლოო ანგარიშსწორება მთლიანი შემოსავლის მიღებისათვის დაწესებული ნორმატივით გაანგარიშებული შრომის ანაზღაურების ფონდიდან.

ფაქტობრივად მიღებული მთლიანი შემოსავლისათვის დარიცხული ხელფასის აკორდული ფონდიდან გამოირიცხება წლის განმავლობაში გაცემული ავანსი და მოწვეულ მუშაკთა შრომის ანაზღაურება, დარჩენილი სახსრები კი წარმოადგენს შრომის ანაზღაურების საბოლოო ანგარიშსწორების თანხას, რომელიც ნაწილდება კოლექტივის მუდმივ წევრებსა და მოწვეულ მუშებზე საბოლოო სახალხომეურნეობრივ შედეგებში ამ მუშაკთა წვლილის ან შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის მიხედვით.

საინტერესოა ის წესი, რომელიც ვრცელდება მეურნეობათა ხელმძღვანელი მუშაკების, სპეციალისტებისა და მოსამსახურეების მთლიანი შემოსავლისათვის დადგენილი ნორმატივით შრომის ანაზღაურების თაობაზე. ამ კატეგორიის მუშაკებს, რომლებიც მთლიანად საბჭოთა მეურნეობის მასშტაბით ასრულებენ სამუშაოს, შრომის ანაზღაურების ნორმატივების დაწესების წესის რამდენიმე ვარიანტი არსებობს:

1. უკანასკნელი 3—5 წლის მანძილზე მიღებული საშუალო წლიური მთლიანი შემოსავლიდან;

2. უშუალოდ საზოგადოებრივ მეურნეობაში შემუშავებული პროდუქციის წარმოებისა და მის საწარმოებლად გაწეული მატერიალური დანახარჯების ნორმატიული (გეგმური) მაჩვენებლებით;

თუ საზოგადოებრივმა მეურნეობამ ვერ შეასრულა მარცვლეულის, ხორცისა და რძის სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები, ამასთან შრომის ანაზღაურების ზრდის ტემპი უსწრებს შრომის ნაყოფიერების ამაღლების ტემპს, ხელმძღვანელი მუშაკები, სპეციალისტები და მოსამსახურეები მთლიანად ან ნაწილობრივ კარგავენ წლიური მუშაობის შედეგებისათვის დარიცხული ხელფასის იმ ნაწილს, რომელიც მეტია თანამდებობრივი სარგოებით კუთვნილ ხელფასზე (სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულების პროცენტით კორექტირებული).

სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მუშაკთა პრემირების აქტუალური საკითხები

საზოგადოებრივ მეურნეობებში მემცენარეობასა და მეცხოველეობაში დასაქმებული ქვედანაყოფების (ბრიგადების, განყოფილებების, რგოლების) კოლექტივებისა და ცალკეული მუშების პრემირება წარმოებს:

1. პროდუქციის წარმოების პირდაპირი დანახარჯების ეკონომიისათვის (მიღებული ეკონომიის 70 პროცენტამდე), თუ პირდაპირი დანახარჯების სიდიდე დამოკიდებულია მუშათა კოლექტივის საქმიანობაზე. ასეთებს მიეკუთვნება — თესლი, საკვები, ელექტროენერგია, ნედლეული და მასალები, საწვავ-საცხების გარდა, ნედლეულისა და საკვების დანახარჯთა ეკონომიისათვის (საკვებერთეულებში) გამოიანგარიშება დავალება, ფაქტობრივად საწარმოო-საფინანსო გეგმაში გათვალისწინებული ფასებით ამ პრემიების გაცემასთან დაკავშირებული ხარჯები პროდუქციის თვითღირებულებაში ჩაირთვება და ეს ლოგიკურიცაა. პირდაპირი დანა-

ხარჯების ეკონომია თუ გადახარჯვა თვითღირებულებაზე პირდაპირ მოქმედებს.

საზოგადოებრივი მეურნეობების ხელმძღვანელებს მიეცათ უფლება, პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით წარმოების კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე დააწესონ ქვედანაყოფების მუშაკთათვის პრემირება პროდუქციის წარმოების გეგმების გადაჭარბებით შესრულების, მოსავლიანობისა და პროდუქტიულობის გადიდების, სახელშეკრულებო ურთიერთობათა წარმატებით განხორციელების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და მრავალი სხვა მაჩვენებლისათვის. ასეთი სახის პრემიები გაიცემა ხელფასის ფონდიდან.

საზოგადოებრივ მეურნეობებში შემუშავებული მაჩვენებლების მიხედვით მუშაკზე გაიცემა არაუმეტეს 5 თვის ხელფასი. აქ არ გაითვალისწინება პირდაპირი დანახარჯების ეკონომიისათვის გაცემული პრემია.

დაწესებულია მემცენარეობის კულტურებისა და მეცხოველეობის პროდუქციის ცალკეული სახეობებისათვის მუშათა დამატებითი ანაზღაურება და პრემია, რომლის ოდენობა არ აღემატება მათზე წლიურად დარიცხული ხელფასის 60 პროცენტს, რომელიც ქვედანაყოფმა (ბრიგადამ, რგოლმა) მიიღო შესრულებული სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის თითოეული ამ კულტურის ან მეცხოველეობის პროდუქციის მიხედვით.

საზოგადოებრივ მეურნეობაში დასაქმებულ მუშაკთა ზემოაღნიშნული პრემიები არ უნდა აღემატებოდეს მათ წლიურად დარიცხულ ხელფასს.

საწარმოების ხელმძღვანელებს უფლება აქვთ პროფკავშირთან შეთანხმებით გასცენ უგანრიგო კოლექტივებზე ხელშეკრულებით განსაზღვრული მოცულობის გადამეტებით მიღებული პროდუქციის 25 პროცენტამდე ნატურალური ანაზღაურების სახით იმ პირობით, რომ გაცემული პროდუქციისათვის ხელფასი არ დაირიცხება. ნატურალური ანაზღაურების ოდენობის ასეთი განსაზღვრა დიდ ეფექტს არ იძლევა. ამ საქმეში საყურადღებოა რესპუბლიკის ზოგიერთი რეგიონის გამოცდილება, განსაკუთრებით მარცვლეულის წარმოებაში. აბაშის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში მარცვლეულის წარმოებაში დასაქმებულ მუშაკებს, წარმოების გეგმის გადაჭარბებიდან ეძლეოდათ 70—80 პროცენტამდე ნატურით პრემიის სახით, ამასთან განსაზღვრული იყო ერთ მუშაკზე გასაცემი მარცვლეულის მაქსიმალური ოდენობა, რამაც მეტად დიდი ეფექტი გამოიღო.

საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, მი-

ზანშეწონილად მიგვაჩნია საპრემიოდ გასაცემი ნატურალური ფონდის პროცენტი განისაზღვროს არა მარტო გეგმის ზევით პროდუქციის გადაჭარბებით წარმოება, არამედ მისი თვითღირებულების შემცირების მდგომარეობაც, ე. ი. საჭიროა ნატურალური პრემირება ეკონომიკურ საწყისებზე აიგოს, მით უმეტეს დღეს საქონლურ-ფულადი ურთიერთობის განვითარებას ფართო გაქანება ეძლევა.

უგანრიგო ბრიგადების კოლექტივებს უწესდებათ დამატებითი წახალისება, ანაზღაურება უმნიშვნელოვანეს სამუშაოთა ხარისხიანად და დროულად შესრულებისათვის, რომელსაც მეურნეობის ადმინისტრაცია პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით აწესებს. სწორად მიგვაჩნია ის განსაზღვრულობა, რომელიც ასეთი წახალისებისათვის არის დაწესებული. მემცენარეობაში წლის მანძილზე მუშაკს არ შეიძლება მიეცეს ერთი თვის ხელფასზე მეტი, ხოლო სათოხნ კულტურებზე დასაქმებულ მუშაკს — თვე-ნახევრის ხელფასის ოდენობაზე მეტი. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში უმნიშვნელოვანესი სამუშაოები არ შეიძლება ხანგრძლივი იყოს. ასეთი დამატებითი წახალისება ყველაზე მეტად შეიძლება საკვების დამზადებაში გამოვიყენოთ ან მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებაში.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ფართოდ გავრცელდა მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის პრემირების სისტემა. ასეთ მატერიალურ სტიმულირებას მიეკუთვნება:

1. ტრაქტორისტ-მემანქანეების პრემირება კვალიფიკაციის I, II და III კლასისათვის;

2. მემცენარეობის კულტურების რწყვაზე დასაქმებულთათვის შემოღებული — „I კლასის რწყვის ოსტატისა“ და „II კლასის რწყვის ოსტატის“ წოდებები;

3. მემცენარეობაში ხელით შრომაში დასაქმებულთათვის „I კლასის მემცენარეობის ოსტატის“ და „II კლასის მემცენარეობის ოსტატის“ წოდებები:

4. მეცხოველეობაში დასაქმებულთათვის — „I კლასის მეცხოველეობის ოსტატის“ და „II კლასის მეცხოველეობის ოსტატის“ წოდებები;

ყველა ამ წოდების მქონე მუშაკებს: I კლასისას ეძლევათ ხელფასზე დანამატი 20 პროცენტის ოდენობით, ხოლო მე-2 კლასისას — ხელფასის 10 პროცენტი;

მექანიზატორებს ეძლევათ ხელფასზე დანამატი მუშაობის სტაჟისათვის 8-დან 16 პროცენტამდე.

იმასთან დაკავშირებით, რომ მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ

აღებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, მეურნეობათა ხელმძღვანელებს უფლება აქვთ მოსავლის აღებაზე დასაქმებულ მუშებს დაუწესონ შრომის ანაზღაურების გადიდებული განფასებები 60 პროცენტით. ეს ხარჯები შეევა მეურნეობისათვის დაწესებულ ხელფასის ფონდში.

მეურნეობის ადმინისტრაციას უფლება აქვს ბრიგადირებსა და ქვედანაყოფების ხელმძღვანელებს მიაკუთვნონ I და II კლასის წოდებანი და დამატებით დაუწესონ თანამდებობრივი სარგოს 50—30 პროცენტამდე.

ბრიგადირები, რომლებიც განთავისუფლებული არ არიან ძირითადი სამუშაოსაგან, ეძლევათ დანამატი მათი სანარდო ხელფასის 25 პროცენტამდე, ხოლო მერგოლურებსა და უფროს მუშებს — 15 პროცენტამდე.

საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი მუშაკების, სპეციალისტებისა და მოსამსახურეების პრემირება წარმოებს: სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და მისი გადამუშავებით მიღებული პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის წინა ხუთწლედის საშუალო წლიურ დონესთან შედარებით მატების ყოველი პროცენტისათვის წლიური ხელფასის ფონდის 2 პროცენტი; მეურნეობაში მიღწეული რენტაბელობის დონის ყოველი პროცენტისათვის თანამდებობრივი სარგოს 10 პროცენტი; წინა ხუთწლედში მიღწეულ დონესთან შედარებით რენტაბელობის ზრდის ყოველი პროცენტისათვის თვიური თანამდებობრივი სარგოს 50 პროცენტამდე: გეგმური ზარალის შემცირებისათვის — წინა ხუთწლედის საშუალო წლიურ დონესთან შედარებით ზარალის შემცირების თანხის 10 პროცენტამდე:

მეურნეობრიობის ახალი ეკონომიკური მექანიზმით გათვალისწინებულია სოფლის მეურნეობის მომსახურე სარემონტო საწარმოების, აგროქიმიური, ენერგეტიკული, მომარაგების საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთა პრემირება. ამ კატეგორიის მუშაკთა პრემირება წარმოებს ბრიგადის, უბნის, საამქროს მიერ საწარმოსა და ბაზასთან ნაკისრი სახელშეკრულებო ვალდებულებების დროულად და ხარისხიანად შესრულებისათვის კვარტალში გაწეული მუშაობის შედეგების მიხედვით ერთ მუშაკზე 1,5 თვემდე სატარიფო განაკვეთის ოდენობით.

მომსახურე საწარმოებისა და ბაზების ხელმძღვანელებს, სპეციალისტებსა და მოსამსახურეებს პრემია ეძლევათ — კვარტალის მუშაობის შედეგებით საზოგადოებრივ მეურნეობებთან და აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულების წარმატებით შესრულებისათვის თვიური თანამდებობრივი

სარგოს 75 პროცენტი; სამეურნეო წლის შედეგების მიხედვით წინა ხუთწლედის საშუალო წლიურ დონესთან შედარებით სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციის მიღწეული მატების ყოველი პროცენტისათვის თანამდებობრივი სარგოების შესაბამისად წლიური ხელფასის 4 პროცენტის ოდენობით.

ზემოაღნიშნული პრემიების მოცულობა ერთ მუშაკზე არ შეიძლება წლის მანძილზე აღემატებოდეს 6 თანამდებობრივ სარგოს.

ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსის მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის თანამედროვე სრულყოფის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი თავისებურება ის გახლავთ, რომ სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების დანერგვა წინა პლანზე აყენებს საბოლოო შედეგებისათვის არა მარტო მატერიალური წახალისების ღონისძიებათა განხორციელებას, არამედ მატერიალური პასუხისმგებლობის ღონისძიებების ეფექტიან გამოყენებასაც.

საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებს უფლება ეძლევათ ნაწილობრივ ან მთლიანად შეუმცირონ მუშებს პრემიები და დამატებითი ანაზღაურებები: თუ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, პროდუქცია უხარისხოა, დარღვეულია წარმოების ტექნოლოგია, ცუდი მოვლა-პატრონობის შედეგად იკლო მასზე მიმაგრებული პირუტყვის სულადობამ და მუშაობაში დაშვებულია სხვა საწარმოო დაუდევრობები. იმ შემთხვევაში, თუ ის მოხდა მთლიანად კოლექტივის მიზეზით, საწარმოს ხელმძღვანელს პროფკავშირთან შეთანხმებით შეუძლია შეუმციროს კოლექტივის ყველა წევრს დარიცხული პრემიისა და დანამატების ოდენობა 50 პროცენტამდე.

კუთვნილი პრემია მთლიანად ან ნაწილობრივ არ მიეცემა იმ მუშებს, რომლებიც ლოთობისა და ხულიგნობისათვის მიცემული იქნებიან ადმინისტრაციულ ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში;

მეურნეობის ის მუშები, რომლებიც თავს მიანებებენ სამუშაოს მეცხოველეობაში პროდუქციის მიღებამდე, მოსავლის აღების დამთავრებამდე პროდუქციისათვის პრემიებსა და დამატებით ანაზღაურებას არ მიიღებენ.

იმათ, რომლებსაც დანამატები ეძლევათ ცალკეული პროდუქციის წარმოებისა თუ საკვების დამზადებისათვის, მათ ეს წახალისება ეხსნება დავალებათა შეუსრულებლობის ან უხარისხოდ შესრულებისათვის.

სოფლის მეურნეობის მომსახურე სარემონტო, აგროქიმიური, მომმარაგებელი, სატრანსპორტო საწარმოების მუშაკებს, რომლებიც არღვევენ საწარმოო და ტექნოლოგიურ დისციპლინას და იჩენენ საწარმოო

დაუდევრობას. შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ მოეხსნათ პრემიები. [illegible] ვისაც პოალი მიუღია წამატებებსა და ანგარიშგებათა დამახინჯებებში, ერთი წლით.

ცალკეული კატეგორიის ხელმძღვანელ მუშაკებსა და სპეციალისტებს მთლიანად ან ნაწილობრივ მოეხსნებათ პრემია: დებიტორული დავალიანებების დროულად გადაუხდელობისა და ვადაგადაცილებული კრედიტორული დავალიანების წარმოშობის, ვაგონების მოცდენის, სახელშეკრულებო ვალდებულებების, საწარმოო სიმძლავრეებისა და მშენებლობის ობიექტების ამოქმედების გეგმების შეუსრულებლობის, უსაქონლო საანგარიშსწორებო დოკუმენტების წარდგენის ან ანაზღაურების, ბუნებრივი რესურსების გამოყენების ნორმებისა და წესების დაუცველობის, სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ხარჯვის ნორმების დარღვევის და უყაირათობის, წესრიგისა და დისციპლინის განსამტკიცებლად, კადრების დენადობის შესამცირებლად, სამუშაო დროის დანაკარგების უტყუარი აღრიცხვის უზრუნველსაყოფად ზომების მიუღებლობის, სასაქონლო-სატრანსპორტო დოკუმენტების არასწორად გაფორმების, რასაც შედეგად მოჰყვა ტვირთის გადაზიდვის სამუშაოთა შეუსრულებელი მოცულობის მიწერა და ტვირთზიდვის შესრულებული მოცულობის შემოწმების დადგენილი წესის დაუცველობის, ადმინისტრაციული შენობების, სტადიონებისა და სხვა სანახაობითი ობიექტების დასაპროექტებლად შეკვეთების უკანონო მოცემის, ტრაქტორების, სატრანსპორტო საშუალებების, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების ექსპლუატაციის, შენახვისა და ჩამოწერის წესების დარღვევის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების წვრილმანი დატაცებისათვის.

რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებების, ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის და საოლქო აგროსამრეწველო კომიტეტების სამმართველო აპარატის შრომის ანაზღაურებისა და პრემირების საკითხები

აგროსამრეწველო კომპლექსში მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფის პრობლემებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის აგროსამრეწველო კომიტეტების სამმართველო აპარატების მუშაკთა შრომის ანაზღაურებისა და პრემირების სრულყოფა, რომელმაც დააინტერესა ისინი მუშაობის საბო-

ლოო შედეგების, პროდუქციის წარმოების გადიდებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების, შრომის ნაყოფიერებისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

1986 წლიდან აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის საშუალო რგოლის მუშაკთა შრომის ანაზღაურება წარმოებს რეალიზებული პროდუქციისათვის სტაბილური ნორმატივებით. ამ ნორმატივების დაწესებას საფუძვლად უძევს ყოველი 1000 მანეთი რეალიზებული პროდუქცია.

რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების სამმართველო აპარატის ხელმძღვანელი მუშაკებისა და სპეციალისტებისათვის ნორმატივები დგინდება სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და მისი გადამუშავების პროდუქციის რეალიზაციის საშუალოწლიური მოცულობიდან გამომდინარე, რომელიც მიღწეულია კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სახელმწიფო საწარმოების მიერ წინა ხუთწლედსა და მოცემულ წელს ამ მუშაკების თანამდებობრივი სარგოებით განსაზღვრული წლიური ხელფასის ოდენობიდან გამომდინარე.

ანალოგიურად დგინდება ნორმატივები ავტონომიური რესპუბლიკისა და საოლქო აგროსამრეწველო კომიტეტების სამმართველო აპარატის მუშაკებისათვის.

საბოლოო პროდუქციისათვის ანგარიშსწორებამდე ხელმძღვანელ მუშაკებს და სპეციალისტებს ეძლევათ ავანსი საშტატო განრიგით დადგენილი თანამდებობრივი სარგოს 90 პროცენტი.

აგროსამრეწველო კომპლექსის რაიონული, ავტონომიური, რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის სამმართველო აპარატის მუშაკთა პრემირება წარმოებს დაქვემდებარებული საწარმოების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის წლიური შედეგებისათვის.

სამეურნეო აპარატის ხელმძღვანელ მუშაკებსა და სპეციალისტებზე პრემია გაიცემა:

სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და მრეწველობის პროდუქციის რეალიზაციის გადიდების ყოველი პროცენტისათვის, რომელიც მიღწეულია წინა ხუთწლედის საშუალო წლიურ დონესთან შედარებით წლიური ხელფასის ფონდის 2 პროცენტამდე;

რენტაბელობის დონის ყოველი პროცენტისათვის რეალიზაციის მოცულობიდან გამომდინარე თვიური თანამდებობრივი სარგოს 10 პროცენტი;

წინა ხუთწლედის მანძილზე მიღწეულ დონესთან შედარებით რენტაბელობის გადიდების ყოველი პროცენტისათვის რეალიზაციის მოცულობიდან გამომდინარე თვიური თანამდებობრივი განაკვეთის 50 პროცენტი;

მეურნეობრიობის ახალი ეკონომიკური მექანიზმით რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თითოეულ მუშაზე წელიწადში გაცემული პრემიის საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის აგროსამრეწველო კომიტეტების ერთ მუშაზე — 4 თვის თანამდებობრივ განაკვეთს.

იმ შემთხვევაში, თუ რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების და ავტონომიური რესპუბლიკების (ოლქების) აგროსამრეწველო კომიტეტის დაქვემდებარების საწარმოებმა და ორგანიზაციებმა ხელფასის ფონდი გადახარჯეს, ამ ორგანოთა სამმართველო აპარატის მუშაკების დარიცხული პრემიის თანხა 50 პროცენტით მცირდება. პრემიის დარჩენილი მეორე ნახევრის გაცემა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ ხელფასის გადახარჯვის დამშვები საწარმოები ამ გადახარჯვას 6 თვეში აანაზღაურებენ.

რაიონული გაერთიანების, ავტონომიური რესპუბლიკის (ავტონომიური ოლქის) კომიტეტის ხელმძღვანელ მუშაკებზე პრემია გაიცემა ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით, ხოლო მათი სამმართველო აპარატების დანარჩენ მუშაკებზე — შესაბამისი ხელმძღვანელის მიერ.

ხელმძღვანელი მუშაკები, რომლებიც დაუშვებენ საწარმოო და ტექნოლოგიური ხასიათის დარღვევებს, ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით მთლიანად ან ნაწილობრივ კარგავენ პრემიის მიღების უფლებას.

ამრიგად, აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოების, ორგანიზაციების, გაერთიანებების, მართვის ორგანოების კოლექტივების მუშაკთა შრომის ანაზღაურების სრულყოფა გამოწვეულია იმით, რომ სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის რაოდენობრივი მაჩვენებლები ორგანულად დაუკავშირდეს წარმოების ეფექტიანობის მაჩვენებლებს. თუ ადრე საწარმოები მუშაკებს უხდიდნენ შრომის პროცესისათვის, დღეს კი გადასული არიან შრომის საბოლოო შედეგებისათვის ანაზღაურებაზე.

ამიერიდან მატერიალური სტიმულირების გარდაქმნისა და სატარიფო განაკვეთების გადიდებისათვის ფულადი საშუალებების ბიუჯეტიდან გამოყოფა აკრძალულია. საჭიროა თვით საწარმოებში გამოვლინდეს რეზერვები. 1965 წლის სამეურნეო რეფორმა ხშირ შემთხვევაში ითვალისწინებდა შრომის ანაზღაურების წყაროდ საბიუჯეტო ასიგნებებს, მაგრამ ამით სერიოზული უკუგება სახალხო მეურნეობას არ მიუღია. სკკპ XXVII ყრილობაზე ითქვა, რომ ხელფასის მოსაწესრიგებლად სახსრები საწარმოს, გაერთიანების კოლექტივებმა უნდა გამოიმუშაონ, ურომლისოდაც ვერ გადავლენ ახალ სარგოებსა და სატარიფო განაკვეთებზე.

შრომის ანაზღაურების სრულყოფის ახალი მექანიზმი ძირეულად

ცვლის ძველ მექანიზმს. საწარმოო დარგებში ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის კატეგორიის გაგება შეიცვალა, საშტატო განრიგის ტიპიური სტრუქტურა გაუქმდა, ყველაფერს სწყვეტს უშუალოდ ხელმძღვანელი. ეს უკანასკნელი თავდაპირველად განსაზღვრავს მუშათა რიცხოვნობას, შემდეგ კი თანამდებობრივ ნომენკლატურას. თითოეული სპეციალისტი გაივლის ინდივიდუალურ ატესტაციას და შემდეგ ისაზღვრება თანამდებობრივი სარგო. ყველა სახის ხელფასზე დანამატი გაუქმდა, გარდა სამეცნიერო ხარისხისა.

საინტერესო სიახლედ უნდა მივიჩნიოთ ის, რომ გაძლიერდა იმ სამსახურების თანამდებობრივი სარგოების სქემა, რომლებიც დასაქმებული არიან ადამიანის ფაქტორის აქტივიზაციის დარგში. დღეს აგროსამრეწველო კომპლექსის მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულ სპეციალისტებს შეუძლიათ მიიღონ არათუ ერთი წლის ოდენობით ხელფასი, არამედ 18 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით, თუ ხელფასის ფონდი ამის საშუალებას იძლევა.

საფინანსო-საკრედიტო მექანიზმის სრულყოფის პროგლემები აგროსამრეწველო კომპლექსში

პარტიის თანამედროვე აგრარული პოლიტიკის მთავარი მიზანი, რომელიც ჩამოყალიბებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმისა და პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებში, არის უმოკლეს ვადაში გადავწყვიტოთ სურსათითა და ნედლეულით ქვეყნის სრული უზრუნველყოფა.

აღნიშნული მიზნის მიღწევა შეუძლებელია მყარი ეკონომიკური ბაზის გარეშე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის შემდეგ განხორციელებულმა უდიდესმა ეკონომიკურმა და სოციალურმა ღონისძიებებმა, გადამწყვეტი გავლენა იქონიეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდების საქმეში საბჭოთა მეურნეობათა ჰუშაკებისა და კოლმეურნეობის მატერიალურ დაინტერესებაში.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის ფასების გადიდებითა და დაბალრენტაბელური და ზარალიანი მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის მიყიდული პროდუქციის შესყიდვის ფასების დანამატის დაწესებით ყოველწლიურად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოფა 16 მილიარდი მანეთი. ამასთან ამ კატეგორიის სუსტძალოვან კოლმეურნეობებს ყოველწლიურად ეძლევა სახელმწიფოსაგან შიდასამეურნეო გზების, სო-

ციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების მშენებლობისა და მათი მოვლა-პატრონობისათვის 3,3 მილიარდი მანეთი.

სოფლის მეურნეობის სახელმწიფოსთან ეკონომიკური ურთიერთობა აგებულია ეკვივალენტობის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაფართოებულ კვლავწარმოებას.

ეკვივალენტობის პრინციპი მდგომარეობს არა მარტო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და სამრეწველო წარმოების საქონელთა გაცვლაში დირექტიული წესით დაწესებული ფასებით, არამედ ბიუჯეტიდან კაპიტალური დაბანდებების, მიწების მელიორაციის, ვეტერინარული სამსახურების შენახვის, სხვადასხვა დაავადების წინააღმდეგ ღონისძიებების სადაზღვევო გადასახადების, კრედიტის გამოყენების სარგებლის და სხვა ღონისძიებათა დაფინანსებაში.

სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებით დასახულია დამატებითი ღონისძიებები, „...რომელთა მიზანია აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა დარგის ეფექტიანობის გაზრდა. მათი არსი ის გახლავთ, რომ შევცვალოთ სოფლის სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია, შევქმნათ უფრო ღრმა ინტენსიფიკაციის, პროდუქციის გარანტირებული წარმოების პირობები. მთავარი ყურადღება ეთმობა მეურნეობრიობის ეკონომიკურ მეთოდებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დამოუკიდებლობის გაფართოებასა და თავიანთი საქმიანობის შედეგებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერებას“[1].

ყველაზე მისაღებად შეიძლება მივიჩნიოთ მექანიზმი, როცა საწარმო ბიუჯეტში შეიტანს ხუთწლედში თავის მოგების მტკიცე ფიქსირებულ ნაწილს. საკითხისადმი ასეთი მიდგომა დააინტერესებს შრომით კოლექტივს გაზარდოს მოგების მოცულობა, რათა საწარმოს განკარგულებაში თავი მოუყაროს მეტ ფინანსურ რესურსებს. ახალი ეკონომიკური მექანიზმის ამოქმედებისათვის, პირველ რიგში, აუცილებელია ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება, რისთვისაც უნდა შევიმუშაოთ სახალხო მეურნეობის ფინანსური გაჯანსაღების სპეციალური პროგრამა, ფულის მიმოქცევა მოვიყვანოთ მატერიალური რესურსების ბრუნვასთან შესაბამისობაში. მატერიალური წარმოების პროცესში ყოველგვარი ხარჯები უნდა გავწიოთ გამომუშავებული სახსრების ანგარიშიდან, რასაც შეეუფარდებათ განხორციელებულ ღონისძიებათა ეფექტიანობას.

სკკპ XXVII ყრილობამ სასურსათო პრობლემის გადაჭრის უზრუნ-

---

1 სკკპ XXVII ყრილობის მასალები. გვ. 46.

ველსაყოფად დასახა ისეთი ქმედითი ფინანსური ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც არსებითად ზრდიან სამეურნეო ანგარიშის როლს. „წარსულის გამოცდილებამ ცხადყო, — აღნიშნა პოლიტიკურ მოხსენებაში მ. ს. გორბაჩოვმა, — რომ თვითანაზღაურების პრინციპის უგულებელყოფამ, მუშაობის შედეგებით მატერიალური დაინტერესებისა და პასუხისმგებლობის დარღვევამ გააუარესა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობა, გამოიწვია მეურნეობათა მნიშვნელოვანი დავალიანება. ნამდვილი სამეურნეო ანგარიში, საბოლოო შედეგებზე საწარმოთა შემოსავლის დამოკიდებულება ნორმა უნდა გახდეს აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა რგოლისათვის და, უწინარეს ყოვლისა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის“[1].

აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოთა სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადაყვანა ნაკარნახევია იმით, რომ დაბალია კომპლექსში არსებული უდიდესი ეკონომიკური პოტენციალის გამოყენების ეფექტიანობა, რაც თავის მხრივ განპირობებულია მართვის თანამედროვე ეკონომიკური მეთოდების არასრულყოფილად გამოყენების, საზოგადოებრივი მეურნეობებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის მეურნეობრიობის პროგრესულ ფორმებზე გადაყვანის შენელების მიზეზით.

პარტიისა და მთავრობის მიერ უკანასკნელ წლებში განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად, ქვეყნის სახაგრომრეწვის სისტემაში ნელა ინერგება ხარჯვასაწინააღმდეგო მექანიზმი, არ ვითარდება მეურნეობის წარმართვის სამეურნეოანგარიშიანი მეთოდები, სახელშეკრულებო ურთიერთობანი. განსაკუთრებით რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებების დონეზე ნელა გარდაიქმნება წარმოების მართვის ხელმძღვანელობის კონსერვატორული, მოძველებული მეთოდები. სწორედ ამის ძიზეზია, რომ ფაქტობრივად ბევრგან საწარმოო ინტეგრაციის ნაცვლად მმართველობითი რგოლების მექანიკური შეერთება მოხდა.

ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოებისა და ორგანიზაციების სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსების პრინციპებზე გადაყვანა დაიწყო 1988 წლის 1 იანვრიდან და დამთავრდება 1989 წლის პირველ იანვარს.

დაწესდა, რომ სახაგრომრეწვის სისტემის საწარმოები, რომლებიც გადაყვანილი იქნებიან სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსე-

---

1 სკკპ XXVII ყრილობის მასალები, გვ. 48.

ბაზე, დამოუკიდებლად ამუშავებენ და ამტკიცებენ ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლიან გეგმებს მათზე დაყვანილი ამოსავალი მონაცემებით — საკონტროლო ციფრებით, სახელმწიფო შეკვეთებით, ხანგრძლივი პერიოდის ეკონომიკური ნორმატივებითა და ლიმიტებით, აგრეთვე პირდაპირი შეკვეთებით მომხმარებლებთან და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანოებთან სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) კანონის შესაბამისად ან კოლმეურნეობათა სანიმუშო წესდებით.

პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებით სახაგრომრეწვის სისტემის მართვის ორგანოებს ევალებათ საწარმოებისა და ორგანიზაციების საბოლოო შედეგებთან მატერიალური სტიმულირებისა და მატერიალური პასუხისმგებლობის ასამაღლებლად მოაწყონ შრომის ანაზღაურების საერთო შემოსავლების მიხედვით ეტაპობრივი გადასვლა.

მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობებს, ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებს უფლება მიეცათ სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის ფასებზე დააწესონ დიფერენცირებულად დანამატი საბიუჯეტო ასიგნებების ანგარიშზე, რომლებსაც ღებულობენ სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილი მეურნეობები.

ამ მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ის საბიუჯეტო ასიგნებები, რომლებიც გამოყოფილია ზარალიანი და დაბალრენტაბელური მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის მიყიდული პროდუქციის ფასდანამატის, კაპიტალური დაბანდებების, გეგმიანი დანახარჯების დაფინანსების, სადაზღვევო გადასახდელების კომპენსაციის, მინერალური სასუქებისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ღირებულების ფასთასხვაობის, მძიმეწონიანი მოზარდეული პირუტყვის ფასდანამატის და სხვა მიზნებისათვის.

თვითდაფინანსების პრინციპებზე საწარმოს (გაერთიანების) მუშაობა არის წარმოების ორგანიზაცია, რითაც მიიღება მოგების ის მოცულობა, რაც დააკმაყოფილებს გაფართოებული კვლავწარმოების მოთხოვნებს და უზრუნველყოფს კოლექტივის მატერიალურ სტიმულირებას.

სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ კანონით მას სრული ეკონომიკური პასუხისმგებლობა ეკისრება თავისი საქმიანობის შედეგებისათვის, რომელზედაც უშუალოდ არის დამოკიდებული კოლექტივის შემოსავლის მოცულობა. ეს კი მოითხოვს ყველა საწარმოსა და გაერთიანების გადაყვანას სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე. საწარმოს (გაერთიანების) მიერ გამომუშავებული შემოსავლებით იფარება პროდუქციის წარმოებისათვის გაწეული მიმდინარე დანახარჯები მთლიანად, მათ შორის შრომის ანაზღაურების ხარჯებიც. ამ შემოსავლებით უნდა განხორციელდეს აგრეთვე წარმოების გაფართოების, რეკონ-

სტრუქციის და სოციალური განვითარების დაბანდებები. ამით სახელმწიფო პასუხს არ აგებს საწარმოთა ვალდებულებებისათვის. საწარმოთა თვითდაფინანსებაზე გადასვლამ გამორიცხა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება. ამასთან ამაღლდა საწარმოთა პასუხისმგებლობა ბანკის კრედიტით სარგებლობისათვის.

საწარმოს კოლექტივის ფუნქციონირების მთავარი საფინანსო წყაროდ გახდა სამეურნეო-ანგარიშებრივი შემოსავალი, რომელიც იქმნება პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგებისაგან, რომელსაც აკლდება მატერიალური დანახარჯები, საბიუჯეტო და ზემდგომი ორგანოებისათვის გადასარიცხი გადასახდელები და კრედიტის სარგებელი.

საწარმოს მიეცა უფლება დამოუკიდებლად გამოიყენოს საამორტიზაციო ანარიცხები დადგენილი ნორმატივით, რომელიც ხმარდება წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდის ან სხვა ანალოგიური ფონდების შექმნას.

საზოგადოებისა და საწარმოს კოლექტივის ინტერესთა შეთანაწყობა მიიღწევა სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელთა გრძელვადიანი სტაბილური ნორმატივებით, აგრეთვე ფასებისა და კრედიტის სარგებლის მეშვეობით. ეს ეკონომიკური ბერკეტები მოწოდებულია შექმნან საწარმოთა ფუნქციონირების ისეთი ეკონომიკური პირობები, რომლის დროსაც საწარმოსათვის ხელსაყრელი იქნება ეძებონ მოთხოვნის ყველაზე ეფექტიანი დაკმაყოფილების, წარმოების ზრდისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების გზები, შეასრულონ სახელმწიფო შეკვეთები, მიაღწიონ საკონტროლო ციფრების დონეს, ქმედითად დანერგონ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევები.

თვითდაფინანსების ყველგან დანერგვის მოთხოვნა იმით არის განპირობებული, რომ ამის გარეშე სამეურნეო ანგარიში შეუძლებელია. იქ, სადაც წარმოების დანახარჯები იფარება სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან სისტემის სხვა საწარმოების მოგებიდან, ლაპარაკიც არ შეიძლება საწარმოს სამეურნეო ანგარიშის პრინციპებით მუშაობაზე. დაუმსახურებელი, სხვისი თანხების ხარჯვა საწარმოს ისეთ ეფექტს როდი აძლევს, როგორც საკუთარი წყაროების გამოყენება.

ქვეყნის ეკონომიკაში თვითდაფინანსების პრინციპების დანერგვით ბიუჯეტის ასიგნებები მატერიალური წარმოების სფეროს დაფინანსებისათვის არ გამოიყენება, ხოლო სახელმწიფოს ცენტრალიზებული წყაროებიდან განხორციელდება მსხვილმასშტაბური ღონისძიებები, რომლებიც მნიშვნელოვნად გაზრდის საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკურ ეფექტიანობას.

ჩვენი აზრით, თვითდაფინანსება, მით უმეტეს თვითანაზღაურება, არ არის სრული სამეურნეო ანგარიშის იდენტური კატეგორია. სრული სამეურნეო ანგარიშის პრინციპით საწარმო მუშაობს, როცა იგი იმდენ მოგებას ღებულობს, რაც საკმარისია გაფართოებული კვლავწარმოებისა და საკუთარი საწარმოო ბაზის უზრუნველსაყოფად, შრომითი კოლექტივის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების დასაფინანსებლად. ამასთან აქტიურად უნდა მონაწილეობდეს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირებისათვის, ე. ი. საწარმოს სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანა იწვევს, როგორც თვით საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, ასევე სახელმწიფო ფინანსების განმტკიცებას. სამეურნეო ანგარიშის ცნება უფრო ფართოა. თვითდაფინანსებასთან ერთად სამეურნეო ანგარიში მოიცავს კოლექტივის შედარებით დამოუკიდებლობას, მისი წევრების მონაწილეობას სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის მართვაში.

რა არის თვითანაზღაურება? თვითანაზღაურება, როგორც ეკონომიკური კატეგორია გულისხმობს საწარმოს მიერ გაწეული დანახარჯების თვითანაზღაურებას, დაფარვას. თვითანაზღაურება — ეს არის თვითდაფინანსების მომენტი, მისი აუცილებელი პირობა. თვითდაფინანსება თვითანაზღაურებასთან შედარებით არის სამეურნეო ანგარიშის წინგადადგმული ნაბიჯი.

თვითდაფინანსება არ შეიძლება სრული იყოს, თუ სამეურნეო ანგარიშიანი კოლექტივის წმინდა შემოსავალი გათვალისწინებულია ნაწილობრივ. დღეს სამეურნეო ანგარიში წარმოდგენილია მისი ერთი ფორმით — მოგებით. წმინდა შემოსავლის მეორე ფორმა — ბრუნვიდან გადასახადი — თვითდაფინანსებაში არ არის გათვალისწინებული.

პრაქტიკაში სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე საწარმოთა გადაყვანის ორი მოდელი არსებობს:

პირველი მოდელის საფუძველია მოგების ნორმატიული განაწილება. ხელფასის ფონდი იქმნება წმინდა პროდუქციისაგან, ხოლო მომპოვებელ დარგებში აგრეთვე პროდუქციის რეალიზაციისადმი ნორმატივის მიხედვით ნატურალური გამოხატულებით.

ბიუჯეტთან და ზემდგომ ორგანოებთან ანგარიშსწორება წარმოებს მოგებიდან, საიდანაც ხდება აგრეთვე კრედიტის სარგებლის გადახდა. ყოველივე ამის შემდეგ წარმოშობილი ნარჩენი მოგება რჩება კოლექტივის განკარგულებაში. ნარჩენი მოგება გამოიყენება წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების, მატერიალური წახალისებისა და სოციალური განვითარების ფონდების წყაროდ. ამ მოდელის პირობებში

სამეურნეო ანგარიშებრივ შემოსავალს ქმნის ხელფასის ფონდი და ნარჩენი მოგება.

მეორე მოდელის — კოლექტიური იჯარის მოდელის საფუძველია პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგებიდან მატერიალური დანახარჯების ანაზღაურების შემდეგ მიღებული შემოსავლის ნორმატიული განაწილება. ამ შემოსავლიდან ახდენენ სახელმწიფო ბიუჯეტთან და ზემდგომ ორგანოებთან ანგარიშსწორებას, აგრეთვე იხდიან კრედიტის სარგებელს. ყოველივე ამის შემდეგ სამეურნეოანგარიშებრივი შემოსავლიდან იქმნება წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებისა და სოციალური განვითარების ფონდები. სამეურნეო ანგარიშებრივი შემოსავლის დარჩენილი ნაწილიდან იქმნება შრომის ანაზღაურების ერთიანი ფონდი.

აგროსამრეწველო კომპლექსის საფინანსო მექანიზმი და მისი სრულყოფის გზები

აგროსამრეწველო კომპლექსის შეწონასწორებული განვითარების უზრუნველსაყოფად და მისი დარგების უკეთესი საბოლოო შედეგების მისაღწევად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოების სრულ სამეურნეო ანგარიშს და თვითდაფინანსებაზე გადასვლას. ამასთან დაკავშირებით სპეციალურ განხილვას ექვემდებარება მთელი აგროსამრეწველო კომპლექსის ფინანსურ-საკრედიტო მექანიზმი, განსაკუთრებით კი ისეთი ელემენტების, როგორიცაა: ფინანსების, ფასების, კრედიტის, საკასო და ფულადი მიმოქცევის სრულყოფის პრობლემები „ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსში მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 20 მარტის დადგენილების შუქზე.

როგორც ცნობილია, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმოების სამეურნეო ანგარიშის პრინციპებზე საქმიანობა უშუალოდ დამოკიდებულია ფასებზე, დაფინანსებისა და დაკრედიტების პირობებზე. პარტია და მთავრობა ამ საკითხების რეგულირებას ყოველთვის აქცევდა შეუნელებელ ყურადღებას.

განსაკუთრებით უდიდესი ღონისძიებები განხორციელდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის შემდეგ. მნიშვნელოვ-

ნად გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე შესყიდვის ფასები, დაწესდა ზარალიანი და დაბალრენტაბელური საზოგადოებრივი მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის მიყიდული პროდუქტების ფასდანამატი. ამასთან მოიხსნა ბენზინზე, სათადარიგო ნაწილებზე ფასთასხვაობის დასაფარავად დოტაცია. ამ ღონისძიებათა დასაფინანსებლად მიმართულ იქნა 21 მილიარდი მანეთი.

ეს და განხორციელებული სხვა ღონისძიებები ხელს უწყობს საზოგადოებრივ მეურნეობათა შემოსავლებისა და რენტაბელობის დონის გადიდებას. რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 1986 წელს მიიღეს 249,3 მილიონი მანეთის მოგება, ხოლო რენტაბელობის დონე გახდა: კოლმეურნეობებში — 19,9%, საბჭოთა მეურნეობებში — 9,08%, სამეურნეობათაშორისო საწარმოებში — 0,8%.

მაგრამ რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეურნეობებში ჯერ კიდევ არ შექმნილა სათანადო პირობები ნამდვილი სამეურნეო ანგარიშის პრინციპებზე გადასასვლელად. 1986 წლის მონაცემებით, ზარალიანი დარჩა კოლმეურნეობების 0,3%, საბჭოთა მეურნეობების — 11,18%, სამეურნეობათაშორისო საწარმოების 6,1%, აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემაში ზარალის თანხამ 160,8 მილიონ მანეთს გადაამეტა, ხოლო აღებული კრედიტის დავალიანებამ გადააჭარბა 3952 მილიონ მანეთს, მათ შორის სესხების ვადაგადაცილებულმა დავალიანებამ — 575 მილიონ მანეთს[1]. სახბანკის დავალიანების დიდი ნაწილი მთავრობის გადაწყვეტილებით მეთორმეტე ხუთწლედში განვადებულ იქნა. ამის გამო რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოები და ორგანიზაციები ახალ ხუთწლედში გადმოვიდნენ ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი სერიოზული ფინანსური პრობლემებით.

აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოებში სამეურნეო ანგარიშის განმტკიცება მოითხოვს საფინანსო-საკრედიტო მექანიზმის არსებით, ხარისხობრივ სრულყოფას, რისთვისაც საჭიროა საფუძვლიანად განვიხილოთ ამ მექანიზმის მრავალწახნაგოვანი მხარეები.

როგორ უნდა გავიგოთ საფინანსო-საკრედიტო მექანიზმი?

საფინანსო-საკრედიტო მექანიზმი ეკონომიკის მართვის სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია. სახალხო მეურნეობაში მისი გა-

---

1 მონაცემები აღებულია საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის 1986 წლის წლიური ანგარიშგებიდან.

მოყენება დაკავშირებულია ფულად ურთიერთობათა ფუნქციონირებასთან, რომლებიც ასე შეიძლება დაჯგუფდეს:

1. ის ფულადი ურთიერთობანი, რომლებიც ჩამოყალიბდება სამეურნეოანგარიშიან საწარმოებს შორის შეძენილ მატერიალურ ფასეულობათა, შესრულებულ სამუშაოთა და გაწეული მომსახურების ანაზღაურების პროცესში;

2. ის ფულადი ურთიერთობანი, რომლებიც ჩამოყალიბდება სამეურნეოანგარიშიან საწარმოებსა და საფინანსო ორგანოებს შორის, ერთი მხრივ, ბიუჯეტის შემოსავლების (ფონდების გადასახდელის, მოგების ანარიცხების, გადასახადებისა და გამოსაღებების) დროს, მეორე მხრივ, ბიუჯეტიდან კაპიტალური დაბანდებების, საბრუნავი საშუალებების მატების და სხვა გეგმურ ღონისძიებათა დაფინანსების პროცესში.

3. ის ფულადი ურთიერთობანი, რომლებიც ჩამოყალიბდება საწარმოებსა და საბანკო დაწესებულებებს შორის სესხის მიღების, მისი დაფარვის და სესხის სარგებლის გადახდასთან დაკავშირებით;

4. ის ფულადი ურთიერთობანი, რომლებიც ჩამოყალიბდება საწარმოებსა და მათ ზემდგომ ორგანოებს შორის მოგების შიდასაუწყებო გადანაწილების, საამორტიზაციო ფონდის, საბრუნავი საშუალებების გადანაწილებისა და ზემდგომი ორგანოების შენახვის ხარჯების დასაფარავი სახსრების გადარიცხვის დროს;

5. ის ფულადი ურთიერთობანი, რომლებიც არსებობს საწარმოებსა და ამ საწარმოთა კოლექტივების თითოეულ წევრს შორის ხელფასისა და პრემია-დანამატების მიღებისას.

საფინანსო-საკრედიტო მექანიზმი იმ ფორმებისა და მეთოდების ერთობლიობაა, რითაც ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ამოცანების გადასაწყვეტად სახელმწიფო გამოიყენებს ფინანსებსა და კრედიტს.

საფინანსო-საკრედიტო მექანიზმი შედგება მთელი რიგი ურთიერთდაკავშირებული სისტემისაგან, რომლებიც უზრუნველყოფენ საფინანსო და საკრედიტო ორგანოების ზემოქმედების აუცილებელ დონეს საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობათა მთელს სფეროზე, რომელშიც შედის საფინანსო-საკრედიტო დაგეგმვა, ფულადი ანგარიშსწორების ფორმები, მეთოდები და პრინციპები, დაფინანსება და დაკრედიტება, წინასწარი და შემდგომი კონტროლი.

საფინანსო-საკრედიტო მექანიზმი უზრუნველყოფს ფულის განაწილება-გადანაწილებისათვის ორგანიზაციულ წანამძღვრებს, იგი მართვის უმნიშვნელოვანესი ქვესისტემაა, რომლის მეშვეობითაც სოციალისტური

სახელმწიფო მასტიმულირებელ გავლენას ახდენს მთელს კვლავწარმოების პროცესზე: წარმოებაზე, განაწილებაზე, გაცვლასა და მოხმარებაზე.

საფინანსო-საკრედიტო მექანიზმში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია ფინანსები, რომელიც ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის განაწილებისა და გადანაწილების ეკონომიკური ინსტრუმენტია, რომლის ღერძია სახელმწიფო ბიუჯეტი. ფინანსები თავის ფუნქციებს ასრულებს ფულადი ფონდების წარმოშობა-გამოყენებაში. ამ ფულადი ფონდების ფორმირების წყაროები დაკავშირებულია საზოგადოებრივი პროდუქტის განაწილება-გადანაწილებასთან.

ფულად საშუალებათა ფონდების მობილიზაცია-გამოყენებას შორის აუცილებელი თანაფარდობა მიიღწევა ეროვნული შემოსავლის ზრდით, სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარებით, მატერიალური და შრომითი რესურსების ეფექტიანად და რაციონალურად გამოყენებით.

ფინანსების გარეშე შეუძლებელია ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის წარმოებისა და განაწილების გეგმაზომიერი ორგანიზაცია. სკკპ XXVII ყრილობამ მოითხოვა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში ყველა ეკონომიკური ბერკეტის უფრო სრულყოფილად გამოყენება, რომელთა შორის ფინანსებს გამორჩეული ადგილი უკავია. მაგრამ „უკანასკნელ ხანს შესუსტდა **ეკონომიკაზე საფინანსო-საკრედიტო ზემოქმედება.** საფინანსო სისტემა საკმარის გავლენას ვერ ახდენს ეკონომიკის ეფექტიანობის ზრდაზე. დიდი მასშტაბი შეიძინა შემოსავლის გადანაწილების უვარგისმა პრაქტიკამ, როცა ჩამორჩენილ საწარმოთა, სამინისტროთა, რეგიონთა ზარალი ეფარება მოგებით მომუშავეთა ხარჯზე. ეს ძირს უთხრის სამეურნეო ანგარიშს, წარმოშობს სხვის მოიმედოობას, დაუსრულებელ მოთხოვნებს, რომ ცენტრიდან გაუწიონ დახმარება. თავისი ნამდვილი დანიშნულება დაკარგა კრედიტმა“ [1]. უფრო მეტიც, ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობაზე ზემოქმედება დაკარგა სახელმწიფო ბიუჯეტში ბრუნვის გადასახადისა და მოგების ანარიცხების გადახდევინების არსებულმა წესმა. საფინანსო პოლიტიკაში წარმატებების მიღწევა მიაჩნდა ვ. ი. ლენინს სოციალისტური საზოგადოებრივი წარმოების განვითარების ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ძალად. სწორედ ამიტომ მოითხოვა პარტიამ ძირეულად შეიცვალოს

---

1 სკკპ XXVII ყრილობის მასალები. გვ. 52.

საფინანსო-საკრედიტო ორგანოების მუშაობის შინაარსი, ორგანიზაცია და მეთოდები. რადაც არ უნდა მძიმე და მიუჩვეველი იყოს, საჭიროა სამეურნეო ანგარიშზე არსებულ საწარმოებსა და გაერთიანებებს მიეცეს ფართო თავისუფლება, შეიზღუდოს წვრილმანი მეურვეობა, რეგლამენტაცია. უმნიშვნელოვანეს სახალხომეურნეობრივ ამოცანად არის მიჩნეული სამეურნეო ანგარიშის, ეკონომიკური სტიმულირების, ფულადი მიმოქცევის განმტკიცება. „მომწიფდა საკითხი, რომ სრულვყოთ ბიუჯეტში ბრუნვის გადასახადის, მოგების გადასახდელებისა და სხვა შემოსულობათა გადახდევინების პრაქტიკა. მათი ოდენობა და გადახდის წესი უფრო აქტიურად უნდა ახდენდეს ზემოქმედებას წარმოების დანახარჯების შემცირებაზე, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასა და მისი რეალიზაციის დაჩქარებაზე“ [1].

საფინანსო-საკრედიტო მექანიზმი მოწოდებულია უზრუნველყოს თითოეული სამეურნეო რგოლის დაინტერესება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა წარმოებაში დანერგვით, რათა მიღწეულ იქნეს საზოგადოებრივი კვლავწარმოების მთელი პროცესის დინამიური განვითარება და საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების მაღალი ტემპებით ზრდა.

„საბჭოთა ფინანსები ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაა, რომლის მეშვეობითაც გეგმაზომიერად იქმნება ფულადი რესურსების ფონდები გაფართოებული კვლავწარმოებისა და საზოგადოების სხვა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. საბჭოთა ფინანსების ამოცანა ის არის რომ ფულადი შემოსავლების დაგროვების დროულად და სწორად შექმნის, განაწილების, ხარჯვისა და მანეთით კონტროლის განმტკიცების გზით უზრუნველყოს სახალხო მეურნეობაში არსებული რესურსების რაციონალური და ეფექტიანი გამოყენება და ამით უფრო სრულად იქნეს დაკმაყოფილებული მშრომელთა მატერიალური და კულტურული მოთხოვნები“ [2].

სოციალისტური საზოგადოების ეკონომიკის გეგმაზომიერი განვითარებისას ფინანსებისა და კრედიტის ერთიანობა მათ ურთიერთშემავსებელ რგოლში გამოიხატება. უმეტესწილად ისინი თავიანთი ფუნქციების შესრულებისას ერთმანეთს ავსებენ. საილუსტრაციოდ შეიძლება შემდეგი მაგალითი მოვიყვანოთ. სახელმწიფო საწარმოთა და გაერთიანებათა

---

[1] სკკპ XXVII ყრილობის მასალები. გვ. 53.

[2] რ. კაკულია. საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საფინანსო ღეთოდები. თბილისი, 1978, გვ. 153—154.

საბრუნავი საშუალებების ფორმირების საფინანსო მეთოდი ხშირად საკრედიტო მეთოდით იცვლება, რომელსაც დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საწარმოების თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების პრინციპებზე გადასვლასთან დაკავშირებით. ამასთან გრძელვადიანი დაკრედიტების ფონდის შექმნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტის დროებით თავისუფალი ფინანსური რესურსები.

სოციალისტურ საზოგადოებაში შეუძლებელია ფინანსების აქტიური მონაწილეობის გარეშე განხორციელდეს ისეთი უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებები, როგორიცაა: სახალხო მეურნეობაში საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება საჭონლურფულად ურთიერთობათა სრულყოფილად გამოყენების, სრული სამეურნეო ანგარიშის დანერგვა-განმტკიცებისა და ეკონომიკური სტიმულირების გაძლიერება, შრომის ორგანიზაციისა და შრომის ანაზღაურების პროგრესული ფორმებისა და მეთოდების დანერგვა შრომის მიხედვით განაწილების ეკონომიკური კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე; ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებული პროპორციების შესაბამისი ღირებულებით პროპორციების უზრუნველყოფა; სახალხო მეურნეობაში მატერიალური, შრომითი და ფულადი საშუალებების მოძრაობისას აუცილებელი ბალანსების ჩამოყალიბება; მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების წარმოებაში დანერგვის საქმეში ყოველმხრივი ხელშეწყობა; ეკონომიკის ზრდის ფაქტორების ეფექტიანი სტიმულირება წარმოების ხარისხობრივი მაჩვენებლების მნიშვნელოვნად გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად, საქმე ეხება პროდუქციის ასორტიმენტისა და ხარისხის გაუმჯობესებას, თვითღირებულების შემცირებას, პროდუქციის რეალიზაციის სახელშეკრულებო ურთიერთობათა 100%-იან შესრულებას, მოგებისა და რენტაბელობის გადიდებას და, საერთოდ, საბოლოო სახალხომეურნეობრივი პროდუქტის მაჩვენებელთა მნიშვნელოვან ამაღლებას.

საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების საფინანსო-საკრედიტო ბერკეტებში განსაკუთრებული როლი ენიჭება სახელმწიფო ბიუჯეტს, რომელიც წარმოებაზე ზემოქმედებს ფინანსური რესურსების მობილიზაციისა და მათი გეგმაზომიერი განაწილებისა და გამოყენების პროცესში, აგრეთვე საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელებით.

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებით იზრდება სახელმწიფო ბი-

უჯეტის, როგორც ეროვნული შემოსავლის განმანაწილებელი ბერკეტის როლი და მნიშვნელობა. ბიუჯეტი დიდ ზემოქმედებას ახდენს არა მარტო ეროვნული შემოსავლის განაწილებაზე, არამედ მთელს ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტზე, განსაკუთრებით მისი ღირებულების უმნიშვნელოვანეს ნაწილზე — დაფარვის ფონდის ფორმირება-გამოყენებაზე ამორტიზაციის ანარიცხების მეშვეობით.

სახელმწიფო ბიუჯეტის გარეშე შეუძლებელია სახალხო მეურნეობის დარგებს შორის ოპტიმალური პროპორციების შენარჩუნება. იგი ხელს უწყობს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა წარმოებაში დანერგვას. იმისათვის, რომ ჩვენი საუკუნის დამლევისათვის გაიზარდოს ქვეყნის ეროვნული შემოსავალი თითქმის ორჯერ, გაორკეცდეს საწარმოო პოტენციალი, ამაღლდეს შრომის ნაყოფიერება 2,3-2,5-ჯერ, შემცირდეს ეროვნული შემოსავლის ენერგოტევადობა 1,4-ჯერ და ლითონტევადობა — 2-ჯერ, აუცილებელია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა წარმოებაში დანერგვა. „გამოსავლად მიგვაჩნია სახალხო მეურნეობის ღრმა რეკონსტრუქცია მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ავანგარდული მიმართულებით წინ გაჭრის, სამეურნეო მექანიზმის, მართვის სისტემის გარდაქმნის ბაზაზე“ [1].

როგორც წესი, საზოგადოებრივი წარმოების მყარი ტემპები, ამ დარგების სწრაფი განვითარება, რომლებიც უზრუნველყოფენ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებისათვის შესაბამისი მეცნიერულ-ტექნიკური ბაზის შექმნა-განმტკიცება მოითხოვს დიდი ოდენობით ფულადი რესურსების აკუმულაციას, რომელიც შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის მეშვეობით.

მეურნეობრიობის ახალი ეკონომიკური მექანიზმი და საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობათა სრულყოფის პრობლემები

გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების პროცესს თან ახლავს საზოგადოებრივი ფონდების წრებრუნვა. სწორედ ამ პროცესში ჩაბმულიბდება ფინანსურ ურთიერთობათა შემდეგი ფორმები:

1. საწარმოებსა (გაერთიანებებსა) და ზემდგომ ორგანიზაციებს შო-

---

[1] სკკპ XXVII ყრილობის მასალები. გვ. 37.

რის ცენტრალიზებული ფონდების ფორმირების, საბრუნავი საშუალებების შევსების, ზემდგომი ორგანიზაციების შესანახი ხარჯების დასაფარავად სახსრების გადარიცხვის მეშვეობით;

2. საწარმოებსა (გაერთიანებებსა) და სახელმწიფოს შორის წმინდა შემოსავლის ნაწილის სახელმწიფო ბიუჯეტში ამოღებისა და ბიუჯეტიდან გეგმურ ღონისძიებათა დასაფინანსებლად ასიგნებების გამოყოფის გზით;

3. საწარმოებსა (გაერთიანებებსა) და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებს შორის სესხების მიღებისა და დაფარვის საკუთარი ფულადი საშუალებებით ახალი ძირითადი ფონდების შესაქმნელად და ძველის აღსადგენად კაპიტალურ დაბანდებებსა და კაპიტალური რემონტის, ძირითადი ჯოგის ფორმირების, ბანკის სესხების სარგებლის დაფარვის გზით;

4. საწარმოებსა (გაერთიანებებსა) და მათ მუშაკთა შორის შრომის ანაზღაურების, მატერიალური წახალისების ფონდიდან პრემირების და სხვა ერთდროული დახმარებების გაცემის გზით;

5. საწარმოს (გაერთიანების) შიგნით პროდუქციის (მომსახურების) რეალიზაციიდან ფულადი ამონაგებით ყველა გაწეული დანახარჯების დაფარვის, აგრეთვე კაპიტალური დაბანდებების, კაპიტალური რემონტის, ეკონომიკური სტიმულირებისა და სხვა მიზნობრივი ფონდების შექმნის გზით;

6. ცალკეულ საწარმოებს (გაერთიანებებს) შორის მატერიალურ ფასეულობების ყიდვა-გაყიდვის, აგრეთვე გაწეული მომსახურებისა და შესრულებულ სამუშაოთა ჩარიცხვა-ანაზღაურების გზით;

7. სახელმწიფოსა და მოსახლეობას შორის გადასახადების გადახდისა და სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის სახელმწიფოდან სახსრების მიღების გზით.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და სახელმწიფოს შორის (ბიუჯეტში გადასახდელები და ბიუჯეტიდან ასიგნებები) და ზემდგომ ორგანიზაციებთან ფინანსურ ურთიერთობათა სრულყოფაში მთავარია ხანგრძლივი, მყარი ნორმატივების შემოღება, რომლებიც წესდება მიწის ეკონომიკური შეფასების, ძირითადი ფონდებითა და შრომითი რესურსებით უზრუნველყოფის გათვალისწინებით. ფინანსურ ურთიერთობათა ნორმატივების დაწესების ასეთი საფუძვლები საერთოა სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დაგეგმვისა და ცენტრალიზებული სარეზერვო ფონდების შექმნისათვის.

სწორედ ნორმატივების შემოღებით გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეურნეობრიობის ეკონომიკური პირობების გამოთანაბრების, საწარმოო და ფინანსური საკითხების გადაწყვეტისას დამოუკიდებლობის გაფართოების და საქმიანობის საბოლოო შედეგებისათვის მათი ეკონომიკური პასუხისმგებლობის ამაღლების საქმეში. მეურნეობრიობის სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის ღონისძიებები საწარმოებს სტიმულს აძლევს უფრო სრულყოფილად გამოიყენონ არსებული საწარმოო სიმძლავრეები და მთლიანად საწარმოო პოტენციალი, უზრუნველყონ სოფლის მეურნეობის მყარი ტემპებით განვითარება, დანერგონ ნამდვილი სამეურნეო ანგარიში, სამეურნეო საქმიანობის პროცესში განავითარონ ინიციატივა და გერგილიანობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილებით ფინანსური მექანიზმის სრულყოფა, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატება შემდეგში:

1. ბიუჯეტში გადასახდელები განისაზღვრება ნორმატივების საფუძველზე;

2. ბიუჯეტიდან ასიგნებები გამოიყოფა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მაღალი ტემპებით გადიდებისა და სოფლად სოციალისტური პრობლემების გადასაწყვეტად მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარების დანახარჯების დასაფარავად;

3. გაფართოვდა ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების უფლებები;

4. გათვალისწინებულია საბჭოთა მეურნეობების დაფინანსების ადგილობრივი ბიუჯეტებზე გადატანა;

5. საწარმოებსა და ორგანიზაციებს ფართო უფლებები მიეცათ საკუთარი სახსრების გამოყენებაში;

6. გათვალისწინებულია მეურნეობრიობის ეკონომიკური პირობების გამოთანაბრება ცენტრალიზებული სარეზერვო ფონდის შექმნით;

7. საბჭოთა მეურნეობები უშუალოდ თვითონ ანაწილებენ მოგებას;

8. გადიდდა სტიქიური მოვლენების შედეგად მემცენარეობიდან მიუღებელი პროდუქციის სადაზღვეო ღირებულების დასაფარავი პროცენტი;

9. გამარტივდა კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების წესები;

10. საქმიანობის საბოლოო შედეგებისათვის მეურნეობათა პასუხისმგებლობის ამაღლებაში.

პრინციპულად შეიცვალა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების საერთო სახელმწიფოებრივი ფინანსური რესურსების ფორმირებაში მონაწილეობის წესი.

ადრე ბიუჯეტში გადასახდელებს იხდიდნენ ის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რომელთა რენტაბელობის დონე 25 პროცენტს აღემატებოდა. 25 პროცენტამდე რენტაბელობის მქონე მეურნეობები არ მონაწილეობდა ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირებაში, თუმცა ჩვენი რესპუბლიკის სინამდვილეში ბევრ მათგანს გააჩნდა მნიშვნელოვანი საწარმოო პოტენციალი, რომელიც შექმნილი იყო სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებით. ბიუჯეტთან ანგარიშსწორების მოქმედ სისტემაში გაუთვალისწინებელი არ იყო მეურნეობრიობის ეკონომიკური პირობები, რის გამოც რენტაბელობის დონის ამაღლების სტიმული საზოგადოებრივ მეურნეობებს ფაქტობრივად არ ჰქონდათ. საქმე ის არის, რომ რენტაბელობის ზრდის პროპორციულად პროგრესულად იზრდებოდა ბიუჯეტში გადასახდელების მოცულობა. ამჟამად საზოგადოებრივი მეურნეობის ბიუჯეტში გადასახდელები განისაზღვრება ნორმატივით, რომელსაც საფუძვლად უძევს მიწის ეკონომიკური შეფასება, მათი ძირითადი ფონდებითა და შრომითი რესურსებით უზრუნველყოფა, ე. ი. ისინი იმავე მეთოდიკით გაიანგარიშება, რა მეთოდიკითაც გამოვითვლით სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის მოცულობას. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დონეს და ცენტრალიზებულ სარეზერვო ფონდებში ანარიცხებს.

ერთი სიტყვით, მეურნეობების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში შენატანების მოცულობა განისაზღვრება მტკიცე ნორმატიულ ეკონომიკურ საფუძველზე. და ეს მეტად მნიშვნელოვანი მომენტია, რამდენადაც დაწესებული ნორმატივი ბოჭავს ზემდგომი ორგანოების მიერ ვოლუნტარისტულად, თავისუფალ გადაწყვეტილებათა მიღებას იმის შესახებ, რომ იმ მეურნეობის ბიუჯეტში გადასახდელები, რომლებიც არამწარმოებლურად აწარმოებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციას და ეწევიან უყაირათო ხარჯებს, გადააკისრონ მაღალრენტაბელურ მეურნეობებს.

ნორმატივების შემოღება საფუძველს უსპობს იმ მეურნეობათა ხელმძღვანელებს, რომლებიც საწარმოთა ცუდ მუშაობას „ობიექტური“ მიზეზებით ამართლებენ და ჩქმალავენ საკუთარ უგერგილობას.

ბიუჯეტის გადასახდელების განსაზღვრისათვის, საჭიროა გავიანგარიშოთ საწარმოო პოტენციალი რაიონის თითოეული მეურნეობისათვის და საშუალოდ რაიონისათვის 100 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე. დადგენილებით გათვალისწინებულია, რომ ყველა ის საბჭოთა მეურნეობა, რომლის საწარმოო პოტენციალი რაიონის საშუალო მაჩვენებელზე მაღალია, ბიუჯეტში გადასახდელების გადამხდელია.

ბიუჯეტის გადასახდელების ასეთი წესის შემოღებით, ბუნებრივია,

ბიუჯეტში გადასახდელები გადანაწილდება მეურნეობებს შორის, ამასთან ზოგიერთი საბჭოთა მეურნეობა, რომლებსაც ბიუჯეტში შეაქვთ გეგმური გადასახდელები, განთავისუფლდებიან. სამაგიეროდ, მაღალი საწარმოო პოტენციალის მქონე ის საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც ძველი წესით არ იხდიდნენ ბიუჯეტში გადასახდელებს, ახალი დებულებით გახდებიან გადამხდელები.

მეთორმეტე ხუთწლედისათვის ბიუჯეტში გადასახდელების სტაბილური ნორმატივების გადასაანგარიშებლად, 1985 წლისათვის ფაქტობრივად გადასახდელების რაიონის ნაერთი ჯამი გაიყოფა რაიონის საშუალო დონეზე მაღალი საწარმოო პოტენციალის მქონე საბჭოთა მეურნეობის რაცხვზე.

მოკავშირე რესპუბლიკების სახაგრომრეწვები მოვალენი არიან ფინანსთა სამინისტროსთან ერთად დააზუსტონ გადასახდელების ნორმატივების გაანგარიშებანი რეგიონებისათვის მოკავშირე რესპუბლიკაში დაწესებული ბიუჯეტის გადასახდელების საერთო თანხის ფარგლებში.

რით არის ეს გამოწვეული? დადგენილებით განსაზღვრულია, რომ ნორმატივები გაანგარიშდება 1985 წელს ბიუჯეტში ფაქტობრივად შეტანილი გადასახდელებით. მაგრამ 1985 წელს პროდუქციის წარმოების დონე და შესაბამისად რენტაბელობა ქვეყნის ზოგიერთ ოლქსა და რაიონში მეტად არასასურველი აღმოჩნდა, ხოლო ზოგიერთისათვის ეს დონე მეტად მაღალია.

ბუნებრივია ამ პირობებში მეურნეობათა ერთი ნაწილი უსამართლოდ იჩაგრება და მეტს იხდის ბიუჯეტში, ხოლო მეორე ნაწილი ცხოვრობს დიდი შეღავათებით, რომლებიც მათ არ დაუმსახურებიათ. ამ დროს აუცილებელია გავითვალისწინოთ მეურნეობათა საერთო ფინანსური მდგომარეობა და მიმდინარე ხუთწლედში განვითარების პერსპექტივები.

ამრიგად, ბიუჯეტში გადასახდელების ნორმა განისაზღვრება 1000 მანეთ საწარმოო პოტენციალზე მანეთებში. დაწესებული ნორმის გამრავლება საწარმოო პოტენციალზე ცალკეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობისათვის მოგვცემს გადასახდელის თანხას.

გადასახდელების ნორმის გაანგარიშებაში გათვალისწინებული არ არის კოლმეურნეობების საშემოსავლო გადასახადის თანხა კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების ფონდიდან. კოლმეურნეობათა ეს გადასახდელი ძველი წესით გადაიხდება, ე. ი. ერთ კოლმეურნეზე თვეში დაუბეგრავი მინიმუმის ზევით შრომის ანაზღაურების ფონდიდან 8 პროცენტის ოდენობით.

განვიხილოთ ბიუჯეტში გადასახდელების სტაბილური ნორმატივის გაანგარიშების პირობები ქვემოთ მოყვანილი მაგალითის მიხედვით:

კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები	საწარმოო პოტენციალი 1986 წლის ანგარიშგებით (ათ. მან.)		ბიუჯეტში გადასახდელებ მოგებიდან 1986 წელს (ათ. მან.)	ბიუჯეტში გადასახდელე-ბის ნორმატივი 1000 მა-ნეთ საწარმოო პოტენცი-ალზე (მან.)	ბიუჯეტში გადასახდელებ გეგმით 1987 წელს (ათ. მან.)
	ს ე ლ	ეკე ჰა სა-სოფლო-სა-მეურნეო სა-ვარგულზე			
ლენინის სახ. კოლმე-ურნეობა	21 760	99.3	27.8	1	25,9
მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა	27 140	68.3	15.3	—	—
კიკვიძის სახ. კოლმე-ურნეობა	34 450	174.5	—	1	32,5
მებოსტნეობის საბჭო-თა მეურნეობა	26 850	95.4	30.2	1	26,8
და ა. შ.					
მთლიანად რაიონისათვის	1 085 880	92,5	554,2	—	554,2
მათ შორის: იმ მეურნე-ობებისათვის, რომელთა საწარმოო პოტენციალი აღემატება რაიონის საშუ-ალო მაჩვენებელს	524 135	105,8	554.2	1	554.2

აქედან ჩანს, რომ ბიუჯეტში გადასახდელების გეგმური ნორმატივი და თანხა წესდება მეურნეობათა ფაქტობრივი რენტაბელობის გაუთვალისწინებლად. რამდენადაც მეურნეობას გააჩნია დიდი საწარმოო პოტენციალი, იგი მოვალეა მოგვცეს მეტი უკუგება, ვალდებულია სახელმწიფოს ბიუჯეტის ფორმირებაში მიიღოს მონაწილეობა. ბიუჯეტში ნორმატიული გადასახდელების შეტანა დაიწყო 1987 წელს 1986 წლის შედეგებით. ბიუჯეტის გადასახდელი, რომელიც გეგმურად არის დაწესებული, სავალდებულოა შესასრულებლად, იგი შეიტანება მეურნეობათა მიერ მათი საქმიანობის შედეგების გაუთვალისწინებლად. სწორედ ეს

მომენტი ამაღლებს მეურნეობათა პასუხისმგებლობას მუშაობის საბოლოო შედეგებისათვის და სახელმწიფოს წინაშე აღებულ ვალდებულებათა უთუო შესრულებისათვის, ამასთან წარმოებს რენტაბელობის ამაღლების სტიმულირება.

ბიუჯეტში გადასახდელები დაწესებული ნორმატივის შესაბამისად საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობას შეაქვთ წელიწადში ერთჯერ, წლიური ანგარიშგების მონაცემების საფუძველზე.

იმისათვის, რომ ადგილობრივი საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები დიდ ყურადღებას აქცევდნენ საწარმოთა სამეურნეო-საფინანსო საქმიანობას, გათვალისწინებულია, რომ ბიუჯეტში გადასახდელები შეტანილ იქნეს ადგილობრივ ბიუჯეტებში, მეურნეობათა დაქვემდებარების მხედველობაში მიუღებლად.

1987 წლისა და შემდგომი წლების მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტებში გათვალისწინებული იქნება საკავშირო დაქვემდებარების საბჭოთა მეურნეობების გადასახდელები.

ბიუჯეტის გადასახდელების გაანგარიშება მყარი ნორმატივების გზით გაზრდის ხუთწლედის წლებში ბიუჯეტში შენატანების მოცულობას საწარმოო პოტენციალის გადიდების შესაბამისად.

რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებებს უფლება აქვთ საფინანსო განყოფილებებთან შეთანხმებით ბიუჯეტში გადასახდელების გადახდისაგან გაანთავისუფლონ გეგმით ზარალიანი მეურნეობები, ასევე მცირერენტაბელური კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სამეურნეობათაშორისო საწარმოები, რომლებსაც დაბალი საწარმოო პოტენციალი გააჩნიათ.

საყურადღებოა ისიც, რომ ბიუჯეტში გადასახდელებისაგან განთავისუფლებული მეურნეობების საწარმოო პოტენციალი უნდა გამოითიშოს რაიონის მეურნეობათა საერთო საწარმოო პოტენციალისაგან. ნორმატივი გამოიანგარიშება ბიუჯეტში გადამხდელ მეურნეობათა საწარმოო პოტენციალზე.

საანგარიშგებო წელს ბიუჯეტში გადასახდელების თანხა გაიანგარიშება მეურნეობების მიერ დაწესებული ნორმატივისა და წინა წლის ანგარიშგებით ფაქტობრივად ჩამოყალიბებული საწარმოო პოტენციალის მიხედვით. ზემოაღნიშნულ გაანგარიშებებს აქ მოცემული ფორმის მიხედვით მეურნეობები საფინანსო განყოფილებას უდგენენ დაწესებულ ვადებში.

ბიუჯეტში გადასახდელების გაანგარიშება
1987 წლის ანგარიშგებით

(მეურნეობის სახელწოდება)

(ათ. მანეთებში)

საწარმოო პოტენციალი (1987 წლის წლიური ანგარიშგებით) ფულადი შეფასებით

ა) მიწის რესურსები	2530
ბ) შრომითი რესურსები	3150
გ) ძირითადი ფონდები	4125
ს უ ლ	9805

რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების მიერ რაისაფინანსო განყოფილებასთან შეთანხმებით გამოთიშულია გეგმით ზარალიანი და მცირერენტაბელური მეურნეობების საწარმოო პოტენციალი	556
საწარმოო პოტენციალი, რომლითაც გაიანგარიშება ბიუჯეტში გადასახდელები (1-ის ჯამს+2) . .	9249
ბიუჯეტში გადასახდელების ნორმატივი 1000 მანეთ საწარმოო პოტენციალზე (მან.)	0,385
ბიუჯეტში გადასახდელების თანხა (3×4) (მან.)	3561
1987 წლის მანძილზე გადახდილია . .	2565
გადასარიცხია 1987 წლის გადასახდელიდან (5—6)	996
გადასაანგარიშებელია შემცირების მხრივ (6—5) .	—
მოგება (წმინდა შემოსავალი) 1987 წლის ანგარიშგებით	225

კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სამეურნეო ორგანიზაციები ბიუჯეტში გადასახდელებს იხდიან მოგებიდან (წმინდა შემოსავლიდან) დეცენტრალიზებულად ადგილობრივ ბიუჯეტებში დამტკიცებული სტაბილური ნორმატივებით წელიწადში ერთჯერ საანგარიშგებო წლის მომდევნო წელს ზემდგომ ორგანოებში წლიური ანგარიშების წარმოსადგენად დაწესებული ვადის გასვლიდან 15 დღეში.

ბიუჯეტში გადასახდელების გამოანგარიშების სისწორესა და დროულად გადახდაზე, ანგარიშგების საფინანსო ორგანოებში წარმოდგენაზე პასუხისმგებლობა დაკისრებული აქვთ უშუალოდ მეურნეობის ხელმძღვანელებს და მთავარ ბუღალტრებს.

ადგილობრივი საფინანსო ორგანოები აკონტროლებენ მეურნეობების მიერ ბიუჯეტში გადასახდელთა გამოანგარიშების სისწორესა და ანგარიშგების დროულ წარდგენას. დაწესებულ ვადაში ბიუჯეტში შეუტანელი გადასახდელი ჩამოიწერება მეურნეობის ანგარიშიდან დაუყოვნებლივ, ხოლო შეუტანელ ნარჩენებზე დაერიცხება ჯარიმა ყოველდღიურად 0,05%-ის ოდენობით. თუ სტაბილური ნორმატივების მიხედვით გამოანგარიშებული გადასახდელი მეტია მეურნეობის მიერ ფაქტობრივ მოგებაზე, მაშინ მეურნეობა გადასახდელს იხდის ბიუჯეტში მიღებული მოგებიდან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში გათვალისწინებულია კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სახაგრომრეწვის სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების დაფინანსება ოლქების, ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებიდან. ეს მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებაა. ბელორუსიის სსრ საბჭოთა მეურნეობებს უკვე 20 წელიწადია აფინანსებენ ადგილობრივი ბიუჯეტებიდან. პრაქტიკამ დაგვანახა, რომ ამ ღონისძიებამ მნიშვნელოვანწილად იმოქმედა საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო-საფინანსო მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე. რესპუბლიკაში ფაქტობრივად ყველა საზოგადოებრივი მეურნეობა რენტაბელურია, მათ ძალზე დაბალი აქვთ არამწარმოებლური ხარჯები და დანაკარგები, გაფლანგვები, დანაკლისები. მეურნეობებში მაღალ დონეზეა ეკონომიკური და საფინანსო მუშაობა.

ზემოთაღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ ადგილობრივ საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს ეკისრებათ მთელი პასუხისმგებლობა მეურნეობების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობაზე, ისინი დაინტერესებული არიან საზოგადოებრივმა მეურნეობებმა გააუმჯობესონ ეკონომიკური მდგომარეობა.

ხშირია ისეთი ფაქტები, როცა მთელი რიგი რეგიონების კოლმეურ-

ნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საწინააღმდეგო სურათია. ეს გამოწვეულია იმით, რომ ისინი ფინანსდებიან რესპუბლიკური ბიუჯეტებიდან და არა ადგილობრივი ბიუჯეტებიდან. ზარალიანობასა და მეშალობაში არსებული ნაკლოვანებების მიზეზია ხელმძღვანელობაში ადგილობრივი ორგანოების როლის შესუსტება, მაშინ, როცა დანაკარგები გადაკისრებულია რესპუბლიკური ბიუჯეტებისათვის.

ამ ღონისძიების განხორციელებას უნდა მოვეკიდოთ დაკვირვებით, საგნობრივად, ამასთან შემოქმედებითად, რომ ზიანი არ მივაყენოთ ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა დაფინანსებას, განსაკუთრებით ინფრასტრუქტურის ღონისძიებების გატარებას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ასამაღლებლად. ამასთან მას წინ უნდა წავუმძღვაროთ უმნიშვნელოვანესი ორგანიზაციულ-ეკონომიკური ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება საზოგადოებრივი მეურნეობების მყარი რენტაბელური მუშაობის უზრუნველსაყოფად.

დადგენილებით პრინციპულად მნიშვნელოვანი ცვლილებებია შეტანილი საბიუჯეტო ასიგნებათა დაგეგმვა-გამოყენების წესებში.

ადრე საბიუჯეტო ასიგნებათა მოცულობა განისაზღვრებოდა ბიუჯეტური კლასიფიკაციის მუხლების შესაბამისად, ხოლო ანგარიშსწორება წარმოებდა თითოეული მუხლის მიხედვით, გამომდინარე ხარჯების მოცულობიდან და მათ დასაფინანსებლად გამოყოფილი საკუთარი საშუალებებიდან. საბოლოო ჯამში საბიუჯეტო ასიგნებები ისაზღვრებოდა, როგორც თითოეული მუხლის ხარჯების საერთო თანხასა და ამ ხარჯებისათვის გათვალისწინებულ საკუთარ საშუალებებს შორის სხვაობით. ანალოგიურად საბიუჯეტო ასიგნებები გამოიყოფოდა ბიუჯეტური კლასიფიკაციის ცალკეული მუხლებით. ამასთან, საბიუჯეტო ასიგნებების გადანაწილებას ხარჯების მუხლიდან მუხლში სჭირდებოდა მრავალნაირი განგარიშება და დასაბუთება, ამიტომ იგი იშვიათად გამოიყენებოდა, რის გამოც დიდი ოდენობის საბიუჯეტო ასიგნებანი აუთვისებელი რჩებოდა, მაშინ, როდესაც მეურნეობათა დიდი ნაწილი მოკლებული იყო საშუალებას ხარჯების ერთი მუხლიდან მეორეში გადაეტანა საბიუჯეტო ასიგნებები და გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები დაეფინანსებინა. ამასთან გამოუყენებელი ასიგნებები წლის ბოლოს იხურებოდა. მეურნეობის ზოგიერთმა ხელმძღვანელმა ამას დაუპირისპირა სერიოზული დარღვევები, ყოველგვარი აუცილებლობის გარეშე იხარჯებოდა სახსრები, რათა წლის ბოლოს აუთვისებელი არ დარჩენილიყო.

დღეს, როდესაც განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება მეურნეობრიე გერგილიანობას და ამაღლდა პასუხისმგებლობა სამეურნეო საქმიანობის შედეგებისათვის. საბიუჯეტო ასიგნებების ასეთი დაგეგმვა და გამოყენება მიუღებელია და არ შეესაბამება მეურნეობრიობის ახალ პირობებს.

ახალი დადგენილებით აგროსამრეწველო კომიტეტებს მიეცათ უფლება მეურნეობების ბიუჯეტიდან დააფინანსონ ხარჯები გამსხვილებული მუხლების მიხედვით, გადაანაწილონ ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებები, შეცვალონ საბიუჯეტო ასიგნებების კვარტალური დაყოფა გეგმური ღონისძიებების შესრულების მიმდინარეობის გათვალისწინებით. სოფლის მეურნეობაში ხშირად იცვლება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ვადები, სახელმწიფოსათვის პროდუქციის მიყიდვის გეგმები, კაპიტალური მშენებლობის გეგმის შესრულება, შესაბამისად ცვლილებები უნდა იქნეს შეტანილი საბჭოთა მეურნეობების დანახარჯთა დაფინანსებაში, რისი უფლებაც სახაგრომრეწვებს და ფინანსთა სამინისტროებს აქვთ.

აგროსამრეწველო ორგანოებს უფლება მიეცათ შესაბამის საფინანსო ორგანოებთან ერთად შეიტანონ წინადადებები საბიუჯეტო ასიგნებებისა და გადასახდელების შეცვლის თაობაზე მთლიანად ბიუჯეტთან კავშირურთიერთობის შეუცვლელად.

საბიუჯეტო ასიგნებების გადიდების შემთხვევაში აგრომრეწვი საფინანსო ორგანოში წარადგენს რეესტრს ბიუჯეტის დამატებითი გადასახდელების შესახებ კონკრეტული საწარმოების ჩვენებით.

მეურნეობრიობის ახალ პირობებში ფინანსური უზრუნველყოფის საკითხებში ერთი მნიშვნელოვანი მომენტია ის, რომ საბიუჯეტო ასიგნებების მოცულობა განისაზღვრება მეთორმეტე ხუთწლედში წლების ჩვენებით ბიუჯეტში ნორმატივების მიხედვით გამოთვლილი გადასახდელების ანალოგიურად. იგი დაწესდება 1986 წლის გეგმიდან გამომდინარე მთლიანი პროდუქციის და კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის გადიდებისა და წარმოების განვითარებისათვის საკუთარი საშუალებების წილის ზრდის კვალობაზე. საბიუჯეტო ასიგნებების დაწესების ასეთი მიდგომა ხელს შეუწყობს მათი მოცულობის ობიექტურად გაანგარიშებას.

მოვიყვანოთ საბიუჯეტო ასიგნებების მოცულობათა გაანგარიშების მაგალითები:

კაპიტალურ დაბანდებებზე ასიგნებები განისაზღვრება 1987 წლის მოცულობებიდან გამომდინარე 1988 წლის ზრდის გათვალისწინებით. სხვა დანახარჯების დასაფინანსებლად ასიგნებები გაითვალისწინება მთლიანი პროდუქციის ზრდის ტემპის შესაბამისად. ხარჯების ისეთ მუხლებს, როგორიცაა მეცნიერების, კულტურის, მმართველობითი აპარატის

შენახვის და სხვათა დასაფინანსებლად, ასიგნებების დაგეგმვისათვის გამოიყენება გაანგარიშების მეთოდი გამომდინარე დაწესებული ნორმებიდან. ასიგნების ნორმის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია საკუთარი სახსრების გადიდება მოგებისა და რენტაბელობის ზრდის შესაბამისად.

საბიუჯეტო ასიგნებების ნორმების განსაზღვრისას ზემოაღნიშნული ფაქტორები გაითვალისწინება დაბალრენტაბელური და მაღალრენტაბელური მეურნეობების დაყოფის გარეშე, აგრეთვე კაპიტალურ დაბანდებათა გამოყენების მიმართულებების — ბინების, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტების, მეცხოველეობის კომპლექსების, მელიორაციული მშენებლობების ჩვენების გარეშე. აგროსამრეწველო კომპლექსის ორგანოებმა საზოგადოებრივი წარმოების განვითარებისა და სოციალურ პრობლემათა გადასაწყვეტად საბიუჯეტო ასიგნებები უნდა გაანაწილონ საბჭოთა მეურნეობების მიხედვით.

გაფართოვდა აგროსამრეწველო ორგანოების უფლებები გასავლის განრიგების გამოწერის წესების გამარტივებით. საბიუჯეტო ასიგნებები გაიხსნება არა დანახარჯთა ცალკეული მუხლების მიხედვით, არამედ მთელ თანხაზე ერთი გასავლის განრიგით. აგროსამრეწველო ორგანოებს უფლება მიეცათ საბიუჯეტო ასიგნებები გადაანაწილონ დანახარჯთა მუხლიდან მუხლში თავიანთი საწარმოო აუცილებლობიდან გამომდინარე.

1986 წლის II კვარტალიდან შემოღებულია სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების გახსნის ერთიანი წესი სსრ კავშირის სახაგრომრეწვის სისტემის საწარმოებსა და ორგანიზაციებში. გასახსნელ გასავლის განრიგებში ამიერიდან აღინიშნება მხოლოდ საბიუჯეტო ასიგნებები. რაც შეეხება საკუთარ სახსრებს, კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების გეგმა საკუთარი წყაროებით დგება საწარმოსა და ორგანიზაციის მიერ და წარედგინება უშუალოდ სსრ კავშირის აგრომრეწვბანკის განყოფილებაში, სადაც გახსნილია კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების ანგარიში. დაფინანსების ასეთი წესი ამაღლებს აგრომრეწვის ორგანოების პასუხისმგებლობას გამოყოფილი კაპიტალური დაბანდებების დაფინანსების წყაროებით უზრუნველყოფის თაობაზე და აძცირებს საბუთბრუნვას.

ამჟამად საბიუჯეტო ასიგნებები, რომელიც გაკუთვნილია მოკავშირე რესპუბლიკების სახაგრომრეწვისათვის, გამოიყოფა ქვემდგომ რგოლებში (საოლქო, ავტონომიური რესპუბლიკის, რაიონების აგროსამრეწველო კომიტეტების) ცალკეული დარგებისა და დანახარჯთა მუხლებად დაყოფის გარეშე. რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებს საბიუჯეტო

ასიგნებები დაჰყავთ დაქვემდებარებულ საწარმოებამდე და ორგანიზაციებამდე და აღრიცხავენ დარგებისა და დანახარჯთა მუხლების მიხედვით. რა თქმა უნდა, ეს ფაქტორიც მნიშვნელოვნად ამცირებს ქაღალდბრუნვას.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ აგროსამრეწველო მართვის რგოლებს უფლება მიეცათ წლის მეორე ნახევარში გამოუყენებელი კაპიტალურ დაბანდებათა სახსრები (გარდა საკუთარისა) გამოიყენონ საპროექტო და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ასანაზღაურებლად, რომლებიც გეგმაშია ჩასმული, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, მანქანებისა და მოწყობილობათა დასაფინანსებლად. ამრიგად, კაპიტალურ დაბანდებათა ისეთი წყაროები, როგორიც არის საბიუჯეტო ასიგნებები და სახბანკის გრძელვადიანი კრედიტი, შეიძლება გამოვიყენოთ უფრო ეფექტიანად.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც გადაწყდა პარტიის ზემოაღნიშნული დადგენილებით, არის მეურნეობათა განვითარების ეკონომიკური პირობების გამოთანაბრების ქმედით ღონისძიებათა განხორციელება. ეკონომიკური პირობების სხვადასხვაობა ამუხრუჭებს იმ სუსტ-ძალოვან მეურნეობათა განვითარებას, რომლებიც არახელსაყრელ ეკონომიკურ პირობებში მუშაობენ. ამასთან წლიური შედეგების განხილვის შემდეგ მეურნეობათა ზარალის თანხები და საკუთარი საბრუნავი საშუალებების დანაკლისი იფარებოდა იმ სახსრებიდან, რომელსაც იღებენ კარგად მომუშავე მეურნეობებიდან. მეურნეობათა განვითარების ეკონომიკური გამოთანაბრების ასეთი მეთოდი ცხარე კრიტიკის ობიექტი იყო. ეს ღონისძიება იწვევდა მეურნეობათა ერთ ნაწილში „სხვის მოიმედეობას“, ამასთან არ ეწეოდნენ არსებული სახსრების მომჭირნეობით და ეფექტიანად გამოყენებას, ხოლო მეორე ნაწილს, გერგილიანად მუშაობის სტიმულს უკარგავდა.

მეურნეობრიობის ახალი სისტემის პირობებში, როცა მთელი ეკონომიკური მექანიზმი მიმართულია ერთი მიზნისაკენ — ამაღლდეს წარმოების მთელი კოლექტივის პასუხისმგებლობა საბოლოო სახალხომეურნეობრივი შედეგებისათვის, მიუღებელია მართვის ადმინისტრაციული მეთოდები და ბაღალტრენტაბელური საწარმოების სახსრების სხვა მეურნეობებში გამოყენება.

სწორედ ამ მიზნით იქმნება ცენტრალიზებული სარეზერვო ფონდი. ეს ფონდიც მტკიცე ნორმატივების ბაზაზე უნდა შეიქმნას, რომელსაც საფუძვლად დაედება მეურნეობათა ეკონომიკური პოტენციალი. ასეთი ფონდები შეიქმნება რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებში, საოლქო, სამხარეო, ავტონომიური რესპუბლიკების აგროსამრეწველო

კომიტეტებში, მოკავშირე რესპუბლიკების სახაგრომრეწვებში და საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებისათვის სსრ კავშირის სახაგრომრეწვში.

საყურადღებოა, რომ ცენტრალიზებულ სარეზერვო ფონდსაც საფუძველად უძევს ნორმატივები, რომლებიც განისაზღვრება თითოეული მეურნეობის მიხედვით 1000 მანეთ საწარმოო პოტენციალზე, რომელიც 1985 წლის ფაქტობრივი ანგარიშგებიდან გამოითვლება. ავიღოთ ასეთი მაგალითი:

საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები	საწარმოო პოტენციალი	1988 წლის გეგმით თავისუფალი სახსრები, ნაკლები მატების გასაანგარიშებლად	ანარიცხების სტანდარტული ნორმატივები მე-12 ხუთწლედისათვის 1000 მანეთ საწარმოო პოტენციალზე	1987 წელს გადასარიცხი თანხა (ათ. მან.)
კოლმეურნეობა	21 760	25,9	1	25,9
მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა	27 140	52,2	2	52.2
კოლმეურნეობა	34 450	50,3	1,5	50.3
მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა	26 850	77,3	3	77,3
სულ რაიონში		980	—	980

გაანგარიშებიდან ჩანს, რომ მეურნეობებს უწესდებათ ცენტრალიზებულ სარეზერვო ფონდში თანხების ანარიცხების ინდივიდუალური ნორმატივები, რომელთა სიდიდე დამოკიდებულია 1986 წლისათვის არსებული თავისუფალი ფულადი სახსრების ოდენობაზე. საწარმოები, მიუხედავად მათი საწარმოო პოტენციალის სიმცირისა, მაინც გადარიცხავენ თანხებს.

დასაშვებია ისეთი შემთხვევა, როცა მაღალეფექტიანად მომუშავე მეურნეობამ მთელი თავისუფალი ფულადი საშუალებები გადარიცხოს ცენტრალიზებულ სარეზერვო ფონდში, მაშინ, როცა ცუდად მომუშავე მეურნეობამ, რომელსაც მაღალი საწარმოო პოტენციალი გააჩნია, არც

კი მიიღოს მონაწილეობა ამ ფონდის შექმნაში, თუმცა სახსრებზე მოთხოვნები მას პირველზე მეტი გააჩნია.

განვიხილოთ მეორე ვარიანტი, როცა ცენტრალიზებულ სარეზერვო ფონდში ანარიცხებს საფუძვლად დაედება საწარმოო პოტენციალი 100 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე გაანგარიშებით. მხედველობაში მიიღება ის მეურნეობა, რომლის საწარმოო პოტენციალი რაიონის საშუალო დონესთან შედარებით მაღალია, მყარი, ერთიანი ნორმატივით მონაწილეობს ზემოაღნიშნული ფონდის შექმნაში, მის განკარგულებაში არსებული თავისუფალი სახსრების მხედველობაში მიღებით. კოლმეურნეობებს, რომლებსაც რაიონის საშუალო დონეზე დაბალი საწარმოო პოტენციალი აქვთ (30%-ის ფარგლებში), უწესდებათ ამ ფონდში ანარიცხებისათვის ხუთწლედის სტაბილური ნორმატივი პირველი ჯგუფის მეურნეობებისათვის დაწესებული ნორმატივის ნახევრის ოდენობით. ის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რომელთაც გააჩნიათ რაიონის საშუალო დონეზე დაბალი (30%-ზე მეტი) საწარმოო პოტენციალი, განთავისუფლებულია ამ ფონდების გადახდისაგან. მოვიყვანოთ მაგალითი:

კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები	საწარმოო პოტენციალი (ათ. მან.)		1987 წლის გეგმით თავისუფალი ფულადი სახსრების საანგარიშებლად (ათ. მან.)	ანარიცხების სტაბილური ნორმატივი 1000 ხუთწლედისათვის მასინ საწარმოო პოტენციალზე (მან.)	1987 წელს გადასარიცხი თანხა (ათ. მან)
	სულ	100 ჰა სავარგულზე			
კოლმეურნეობა	21 760	99,3	25,9	1,64	32,4
მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა	27 140	68,3	52,2	0,82	21,4
კოლმეურნეობა	34 450	124,5	50,3	1,64	55,0
მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა	26 850	95,4	77,3	1,64	42,2
სულ რაიონში		92,5	980	—	1005,7
საშუალო რაიონულზე ზევით		105,8	857,9	1,64	857,9
საშუალოზე დაბალი 30%-ის ოდენობით		71,2	110	0,82	147,8

გაანგარიშების ასეთი წესი უფრო მეტად დაასტიმულებს საწარმოო პოტენციალის ეფექტიან გამოყენებას და რენტაბელობის დონის ამაღლებას.

რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანება ცენტრალიზებულ სარეზერვო ფონდში ანარიცხების გაანგარიშებას ახდენს მის დაქვემდებარებაში არსებულ მეურნეობებში. ანალოგიურად აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის სხვა ორგანოები გამოითვლიან იმ მეურნეობების მიხედვით, რომლებიც უშუალოდ მათ დაქვემდებარებაში იმყოფებიან.

სამრეწველო, მომმარაგებელი, სამშენებლო და სისტემის სხვა საწარმოები და ორგანიზაციები, რომელთაც მიწის სავარგულები არ გააჩნიათ, ცენტრალიზებულ სარეზერვო ფონდში თანხებს ჩარიცხავენ ნორმატივებით, რომლებიც გამოითვლება მათი საწარმოო პოტენციალის მიხედვით.

ცენტრალიზებული სარეზერვო ფონდის შექმნის დამატებით წყაროდ მიჩნეულია სახაგრომრეწვის სისტემის სოფლის მეურნეობის. მომსახურების საწარმოებისა და ორგანიზაციების, აგრეთვე წყალთა მეურნეობის ორგანიზაციების ზეგეგმური მოგების 50%. მოქმედი წესებით ეს თანხები უბრუნდებოდა იმ მეურნეობებს, რომელთა მეშვეობითაც შეიქმნა ზეგეგმური მოგება, მაგრამ მეტად რთული გაანგარიშების გამო ამ თანხებს ბევრგან არ უბრუნებდნენ.

ჩვენი აზრით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ცენტრალიზებული სარეზერვო ფონდების სახსრების განაწილებას რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებსა, საოლქო, ავტონომიური და მოკავშირე რესპუბლიკების სახაგრომრეწვებს შორის. ძირითადი თანხები რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებში შეიქმნება. ამასთან ამ სახსრებით ოპერატიული მართვის აუცილებლობა მოითხოვს რესპუბლიკის მასშტაბით მათ გარკვეული ნაწილის თავმოყრას. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოკავშირე რესპუბლიკათა სახაგრომრეწვებმა დაწესონ სისტემის მართვის ყველა საფეხურზე ამ თანხების განაწილების წესი.

ცენტრალიზებული სარეზერვო ფონდის სახსრები გამოიყენება წარმოების, გადამუშავებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისათვის, სამეურნეობათაშორისო საწარმოებისა და ორგანიზაციების განვითარებისათვის, სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული მეურნეობის ფინანსური დახმარებისათვის, აგრეთვე იმ საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და სისტემის სხვა საწარმოების გეგმური და ზეგეგმური ღონისძიებების დაფინანსებისათვის, რომლებსაც საამისო წყაროები არ გააჩნიათ. ფინანსური დახმარების გაწევისას აუცილებლად გასათვალისწინებელია საკუთარი საშუალებებიც.

ამ ფონდების შექმნა და გამოყენება იმაზე მიუთითებს, რომ მეურნეობებიდან თანხების ამოღება და გადანაწილება უნდა მოხდეს მხოლოდ ცენტრალიზებული სარეზერვო ფონდების ანგარიშიდან.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მნიშვნელოვნად იზრდება სამეურნეო ანგარიშის როლი. სკკპ XXVII ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ წარსულში თვითანაზღაურების პრინციპის უგულებელყოფამ, მუშაობის საბოლოო შედეგებისათვის მატერიალური დაინტერესებისა და მატერიალური პასუხისმგებლობის დავიწყებამ მოშალა საზოგადოებრივ მეურნეობათა დიდ ნაწილში სამეურნეო-საფინანსო მდგომარეობა, გაიზარდა მათი სახბანკის სესხები და მომწოდებელთა დავალიანებები. ამიტომ დღის წესრიგში დგას საკითხი: ვანვამტკიცოთ მეურნეობებში საფინანსო დისციპლინა, არ დავუშვათ სახსრების უყაირათო და უმიზნო ხარჯვა. ასეთი მიდგომა სამეურნეო საქმიანობისადმი მოითხოვს, რომ ქმედითი ხარჯვასაწინააღმდეგო მექანიზმი გაბატონდეს ყველა კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის საქმიანობაში.

ეს მით უფრო აუცილებელია, რომ პარტიისა და მთავრობის ახალი დადგენილებით 1987 წლიდან კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები გაფართოებულ კვლავწარმოების განსახორციელებლად იყენებენ მხოლოდ საკუთარ წყაროებსა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის სესხებს. 1986 წელს ქვეყნის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისათვის მიმართული იყო 53,2 მილიარდი მანეთი, მათ შორის მათმა საკუთარმა წყაროებმა შეადგინა 35,7 მილიარდი მანეთი, ანუ მთელი დაფინანსების 67%, ბანკის სესხებმა — 5,2 მილიარდი მანეთი, საბიუჯეტო ასიგნებებმა — 12,3 მილიარდი მანეთი. ახალი დადგენილებით უფრო მეტად გაიზრდება დაფინანსების საკუთარი წყაროების ხვედრითი წონა, მით უმეტეს მატულობს მოგების გადიდების შესაძლებლობანი.

1986 წლიდან 100%-ით გაიზარდა მარცვლეულის ფასდანამატი შესყიდვის იმ მოცულობაზე, რომელიც აღემატება მეთერთმეტე ხუთწლედში სახელმწიფოსათვის მიყიდულ საშუალო წლიურ დონეს (თუ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის გეგმა შესრულებულია);

დამატებით შესყიდვის ფასებზე შემოღებულია 50%-იანი დანამატი სახელმწიფოსათვის მეთერთმეტე ხუთწლედში მიყიდულ საშუალო-წლიური დონის გადამეტებით ციტრუსის, ხახვის, ნიორის და სხვა პროდუქტების სახელმწიფოზე მიყიდვისათვის;

შემოღებულია ხილის, ბოსტნეულის, გარეული ხილ-კენკრის, სოკოს გადამუშავებით მიღებულ პროდუქციაზე წამახალისებელი (გადადებუ-

ლი) ფასები იმ შემთხვევაში, როცა ეს პროდუქცია სახაგრომრეწვის სისტემის საცალო ქსელში გაიყიდება;

ნებადართულია სამომხმარებლო კოოპერაციის ან საკოლმეურნეო ბაზრის მეშვეობით კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შეთანხმებულ ფასებში გაყიდონ კარტოფილის, ბოსტნეულის, ბაღჩეულის, ხილის, სუფრის ყურძნის შესყიდვის გეგმური მოცულობის 30%-მდე, აგრეთვე ზეგეგმური პროდუქციის მთელი მოცულობა.

საყურადღებოა ისიც, რომ დადგენილებით ბანკის სესხების სარგებლობის პროცენტის გადახდა წარმოებს მოგებიდან, შესაბამისად ამ თანხით მოგების მოცულობა უნდა გაიზარდოს, რამდენადაც კრედიტის სარგებლის თანხა ადრე პროდუქციის თვითღირებულებაში შედიოდა.

10%-ით გაიზარდა სტიქიური უბედურების შედეგად მეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მიუღებელი მოსავლის ღირებულების სადაზღვევო დაფარვის დონე.

ძირეულად იცვლება საბჭოთა მეურნეობებში მოგების განაწილების წესი. და სწორედ ეს უნდა იქნეს მიჩნეული მეურნეობების უფლებათა გაფართოებისა და ინიციატივის გაზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად.

მოგების განაწილების წესის შეცვლა იწვევს მეურნეობათა როგორც პასუხისმგებლობის, ასევე მათი დაინტერესების გადიდებას მოგების ზრდა-გამოყენების საქმეში.

მოგების განაწილებაში შეტანილი ცვლილებების გასარკვევად საჭიროა განვიხილოთ ადრე არსებული წესი.

დღემდე მიღებული მოგების საერთო თანხიდან გამოითიშებოდა ბიუჯეტის გადასახდელები და ამ გზით განისაზღვრებოდა გასანაწილებელი მოგება. ამ მოგებიდან, უპირველეს ყოვლისა, იქმნებოდა ეკონომიკური სტიმულირებისა და სპეციალური ფონდები. ფონდებში გადაირიცხებოდა: მატერიალური წახალისების ფონდში — მოგების 15% ანარიცხები, სოციალურ-კულტურული ღონისძიებისა და საბინაო მშენებლობის ფონდში — 10%; მეურნეობის განმტკიცებისა და გაფართოების ფონდში — 5%; სარეზერვო ფონდში — 20—30%, ხელმძღვანელი მუშაკებისა და სპეციალისტების პრემირების ფონდში — 2,5%. დანარჩენი მოგება გამოიყენებოდა გეგმური ღონისძიებების დასაფინანსებლად. და თუ ბალანსით ამის შემდეგ დარჩებოდა თავისუფალი მოგება, მას გადანაწილების წესით ზემდგომი ორგანოები ამოიღებდა სხვა მეურნეობისათვის, ხოლო 10% მიდიოდა მეურნეობის ეკონომიკური სტიმულირების ფონდების შესავსებად.

მოგების ასეთ განაწილებას სერიოზული ნაკლოვანებები გააჩნდა. საბჭოთა მეურნეობები მოგების გეგმის შეუსრულებლობის პირობებშიც კი თანხებს პირველ რიგში მიმართავდნენ ეკონომიკური სტიმულირების ფონდების შესავსებად, მიუხედავად იმისა, რომ გეგმური ღონისძიებების დასაფინანსებლად საკმარისი ოდენობით თანხები არ ჰქონდათ, რაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან ზემდგომი ორგანოების სახსრებით იფარებოდა.

ამრიგად, ძველი წესით მოგების განაწილება ასტიმულირებდა კოლექტივებს საზოგადოებრივი ინტერესების საზიანოდ.

მოგების განაწილების ახალი წესი პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებით ხორციელდება. სწორედ ამ საკითხზე მიუთითებს მ. ს. გორბაჩოვი: „ბოლო მოვუღოთ ეგრეთ წოდებული „ობიექტური გარემოებების“ მომიზეზებას, რომლებიც კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნაწილისათვის იმის საფარი გახდა, რომ უნარი არ შესწევთ, ზოგჯერ კი არ სურთ უკეთ იმუშაონ. წარმოების განვითარება, მოგებისა და შემოსავლის გადიდება, შრომის სტიმულირება ძირითადად უნდა მოხდეს საკუთარი სახსრების ხარჯზე“[1].

საბჭოთა მეურნეობებში მოგების განაწილების ახალი წესით დადგენილია, რომ ბიუჯეტის გადასახდელებისა და კრედიტის სარგებლის გადახდის შემდეგ მოგება ნაწილდება მეურნეობის მიერ დამოუკიდებლად, იყენებს მას კრედიტების დასაფარავად, წარმოების განვითარებისათვის, ეკონომიკური სტიმულირების ფონდების შესაქმნელად (მატერიალური წახალისების, სოციალურ-კულტურული ღონისძიების), მეურნეობის სარეზერვო ფონდისა და ცენტრალიზებული სარეზერვო ფონდების შესაქმნელად.

დარჩენილი მოგება საბჭოთა მეურნეობიდან არ ამოიღება და შეუძლია მეურნეობას გამოიყენოს ყველა იმ სამუშაოს განსახორციელებლად, რომელსაც მეურნეობა გადაწყვეტს.

ამრიგად, მოგების განაწილების ახალი წესის პრინციპული თავისებურებებია:

1. არ წესდება მოგების ეკონომიკური სტიმულირების ფონდებში ანარიცხების ნორმატივები. მატერიალური წახალისების ფონდი განისაზღვრება მეურნეობის ხელფასის ფონდის 17%-ით, ხოლო სოციალურ-კულტურული ღონისძიებების ფონდი მატერიალური წახალისების ფონ-

1 სკკპ XXVII ყრილობის მასალები, გვ. 49.

დის მხოლოდ 50%-ით, ე. ი. ამ ფონდების მოცულობა განისაზღვრება მეურნეობის მოგების მოცულობით;

2. არ არის გათვალისწინებული მეურნეობის სარეზერვო ფონდის შექმნის ნორმატივის შემოღება. თვით მეურნეობები გადაწყვეტენ ამ ფონდში წარმოების განვითარების პერსპექტივებიდან გამომდინარე რა ოდენობის თანხები შეიტანონ.

3. მატერიალური წახალისებისა და სოციალურ-კულტურული ღონისძიების ფონდები რენტაბელურ მეურნეობაში იქმნება არსებითად ნარჩენი თანხების პრინციპზე, ე. ი. ბიუჯეტში გადასახდელების, ბანკის პროცენტის გადახდის, გრძელვადიანი სესხების დაფარვის, გეგმური ღონისძიებების დაფინანსების, ცენტრალიზებულ სარეზერვო ფონდში თანხების გადარიცხვის შემდეგ დარჩენილი სახსრებიდან იქმნება ზემოაღნიშნული ფონდები, ეს თანხები შრომითმა კოლექტივმა უნდა გამოიმუშაოს;

4. არ არსებობს გასანაწილებელი მოგების კატეგორიის ცნება. ნაწილდება მოგების მთელი თანხა;

5. არ არის გათვალისწინებული მეურნეობის განმტკიცებისა და განვითარების ფონდის შექმნა, აგრეთვე საბინაო მშენებლობისათვის თანხების გადარიცხვა. მთელი თავისუფალი მოგება შეიძლება წარიმართოს ამ მიზნებისათვის;

6. 2,5%-ის გადარიცხვა მეურნეობათა ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების პრემირებისათვის გათვალისწინებული არ არის;

7. მეურნეობების მოგების გადიდების სტიმულირება იმით წარმოებს, რომ მოგების თავისუფალი ნაშთი რჩება მეურნეობის განკარგულებაში და მისი ამოღება სასტიკად აკრძალულია.

8. ახალი დადგენილებით სტიმულირდება ხარჯების ყოველმხრივი ეკონომია და შემოსავლების გადიდება, რაც ძირითადად მეურნეობის მუშაკთა მატერიალურ წახალისებას ხმარდება; იმისათვის, რომ მეურნეობამ ეკონომიკური სტიმულირების ფონდებში მოგებიდან მეტი ანარიცხები შეიტანოს, უნდა მიაღწიოს ხარჯების ეკონომიას, საკუთარი შემოსავლების გადიდებას, რითაც გაიზრდება მოგების მასა, რომელიც დამატებითი წყარო იქნება ფონდების გასადიდებლად.

9. იმასთან დაკავშირებით, რომ ეკონომიკური სტიმულირების ფონდები იქმნება ნარჩენი თანხების პრინციპზე, საჭირო არ არის გამოვიყენოთ ეკონომიკური ზემოქმედების ისეთი ფორმა, როცა უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ეკონომიკური სტიმულირების ფონდებში გადასა-

რიცხი თანხების 30 პროცენტის შემცირება მიიმართებოდა მეურნეობის საკუთარი საბრუნავი საშუალებების დანაკლისის დასაფარავად.

საბჭოთა მეურნეობებს უფლება მიეცათ გეგმური ღონისძიებების დასაფინანსებლად გამოიყენონ თავისუფალი ფულადი რესურსები, მათი წარმოშობის წყაროების მიუხედავად. საყურადღებოა, რომ ფინანსური ურთიერთობის ახალი წესების შემოღებამდე თითოეული წყარო მხოლოდ მიზნობრივი დანიშნულებით გამოიყენებოდა. ეს კი იწვევდა იმას, რომ მეურნეობაში ფაქტობრივად გეგმური ღონისძიებების ნაწილი დაფინანსებით უზრუნველყოფილი არ იყო, მაშინ როდესაც მეორე ნაწილში თავისუფალი სახსრები გააჩნდა. ამასთან საზოგადოებრივი მეურნეობის ხელმძღვანელობას უფლება არ ჰქონდა მათი გადანაწილების, რის გამოც აფორმებდა სახბანკის სესხებს, რაც ეკონომიკური თვალთახედვით გაუმართლებელი იყო. ახალი წესით მეურნეობებს ეს უფლება მიეცათ. დღეს მათ მეურნეობის ინტერესებიდან გამომდინარე, საკუთარი და მოზიდული წყაროები შეუძლიათ მაღალწარმოებლურად გამოიყენონ.

სსრ კავშირის სახაგრომრეწვის სისტემის საწარმოებისა და ორგანიზაციების სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადაყვანის შესახებ პარტიისა და მთავრობის 1987 წლის დადგენილებაში დაწესებულია საწარმოების მოგების (შემოსავლების) განაწილების შემდეგი წესი: საწარმოო ფონდების, შრომითი და ბუნებრივი რესურსების და სხვა გადასახდელების, მოკლევადიანი ბანკის სესხების სარგებლის და ზემდგომი ორგანოების ცენტრალიზებული ფონდებისა და რეზერვების შესაქმნელად თანხების გადარიცხვის შემდეგ დარჩენილი მოგება (შემოსავალი) მიმართული უნდა იქნეს დამტკიცებული ნორმატივების შესაბამისად წარმოების განვითარების, მეცნიერებისა და ტექნიკის, სოციალური განვითარების, მატერიალური წახალისებისა და სარეზერვო ფონდებში.

სასურსათო-სამეურნეო საწარმოების დაკრედიტების ერთიანი წესები და აგროსამრეწველო კომპლექსის გადამმუშავებელი და მომსახურე საწარმოების დაკრედიტების უნიფიკაციის ღონისძიებები

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო სოციალისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ სამეურნეო ანგა-

რიშიანი საწარმოების ეკონომიკის განმტკიცების საკითხებს. საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის გადიდებაში საკრედიტო ურთიერთობის სრულყოფას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

სკკპ XXVII ყრილობის პოლიტიკურ მოხსენებაში აღინიშნა, რომ ბოლო ხანებში კრედიტმა დაკარგა თავისი დანიშნულება, შესუსტდა მისი როლი საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში. ამასთან დაკრედიტების მექანიზმი რთული და მოუქნელი გახდა. მეთორმეტე ხუთწლედში აგროსამრეწველო კომპლექსის დარგებში საკრედიტო ურთიერთობები უნდა განვითარდეს სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის რეალიზაციისა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების უზრუნველსაყოფად კრედიტის მასტიმულირებელი როლის გაძლიერების მიმართულებით.

სსრ კავშირის აგროსამრეწველო ბანკის კრედიტი საზოგადოებრივი წარმოების ფინანსური უზრუნველყოფის ორგანიზებული სისტემის ერთერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. უკანასკნელ წლებში ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საკრედიტო დაბანდებები, რომელმაც 1986 წლის დასაწყისისათვის მიაღწია 250 მილიარდ მანეთს, ანუ სახელმწიფო ბანკის მთელი საკრედიტო დაბანდებათა 61 პროცენტს. აგროსამრეწველო ბანკის კრედიტით წარმოებს: კოლმეურნეობებში — 60%, საბჭოთა მეურნეობებში — 70%, გადამმუშავებელი მრეწველობის დარგებში — 80% საბრუნავი საშუალებების ფორმირება, ხოლო კოლმეურნეობებში — კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების წყაროების 30% კრედიტზე მოდის.

პარტიისა და მთავრობის ზემოაღნიშნულ დადგენილებაში დასახულია ღონისძიებათა კომპლექსი აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოებში საკრედიტო ურთიერთობათა სრულყოფის უზრუნველსაყოფად.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოები გაფართოებულ სოციალისტურ კვლავწარმოებას ახორციელებენ საკუთარი სახსრებითა და ბანკის სესხებით საკრედიტო გეგმის ფარგლებში.

დღემდე არსებული წესებისაგან განსხვავებით, ამიერიდან საწარმოთა საბრალის დასაფარავად და ბანკის კრედიტის განვადებისათვის არ გამოიყოფა საბიუჯეტო ასიგნებები.

საზოგადოებრივ მეურნეობათა საკრედიტო ურთიერთობებში ბევრი დაუჭრელი პრობლემა დაგროვდა, ამასთან სახელმწიფო ბანკის ინსტრუქციები სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დაკრედიტების შესახებ ხშირად რთულია. საწარმოებს კრედიტის გასაფორმებლად საკმაოდ ბევრი წესით წარსადგენი აქვთ ბანკის განყოფილებაში დიდძალი

საგეგმო და სააღრიცხვო მაჩვენებლები, ამასთან რეგლამენტირებული არ არის კონტროლისა და შემოწმებების უფლებები. სწორედ ამიტომ მიუთითა სკკპ XXVII ყრილობამ იმის აუცილებლობაზე, რომ საწარმოები გაეთავისუფლებინა საფინანსო და საბანკო ორგანოებს წვრილმანი მეურვეობისაგან.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობამ შეიმუშავა და 1987 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მოკლევადიანი დაკრედიტების ერთიანი წესი.

რა სიახლეებია სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მოკლევადიანი დაკრედიტების ახალ წესებში?

1. კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები კრედიტდება მეურნეობათა საკუთარი სახსრების შენარჩუნების, მათი ეფექტიანად და მომჭირნეობით გამოყენებისა და აღებული სესხების დროულად დაბრუნების გათვალისწინებით;

2. ყველა სასოფლო-სამეურნეო საწარმოს მოკლევადიანი კრედიტი ეძლევა ერთადერთი პრინციპით — სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული დანახარჯებისა და ნაშთების ქვეშ. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შესაძენი და წარმოების დანახარჯების სესხი მეურნეობებს ეძლევათ დაკრედიტების ცალკე ობიექტების გამოყოფის გარეშე საბრუნავი საშუალებების ერთიანი ნორმატივის მხედველობაში მიღებით.

საკუთარი საბრუნავი საშუალებების ნორმატივი სახელმწიფო და სამეურნეობათაშორისო საწარმოებში დაკრედიტებისას გათვალისწინებულია არსებული წესების მიხედვით. კოლმეურნეობათა დაკრედიტების ახალ წესებზე გადასვლა რამდენადმე შეაფერხა იმ გარემოებამ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმამდე ბევრი მათგანი პროდუქციის დაბალი შესყიდვის ფასების, სამეურნეო-საფინანსო საქმიანობაში არსებული არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შედეგად ვერ ინარჩუნებდა საკუთარ საბრუნავ საშუალებებს, ურომლისოდაც მათ არ შეუძლიათ საკუთარი საბრუნავი საშუალებების ნორმატივის ფარგლებში ფორმირება. იმ კოლმეურნეობების დაკრედიტება, რომლებსაც არ გააჩნდათ საკუთარი საბრუნავი საშუალებები, მთავრობის დადგენილებით მიმდინარე ხუთწლედში დაკრედიტების ნორმატივად გაითვალისწინება 1987 წლის 1 იანვრისათვის საკუთარი საბრუნავი საშუალებების ფაქტობრივი მოცულობა და მისი წლიური საგეგმო მატება. ასეთი კოლმეურნეობები მოვალენი არიან მეთორმეტე ხუთწლედშივე უზრუნველყონ

საკუთარი საბრუნავი საშუალებების გადიდება დაწესებულ ნორმატივამდე.

დაკრედიტების ახალი წესით გათვალისწინებულია კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მიეცეთ საკუთარი საბრუნავი საშუალებების ნორმატივის მატებაზე კრედიტი 3 წლის ვადით, რომელიც იფარება მოგებიდან და წმინდა შემოსავლიდან.

კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები კრედიტდება სპეციალური სასესხო ანგარიშიდან კრედიტის გეგმური მოცულობით, ხოლო მიზნობრივი კრედიტი გაიცემა თითოეული გეგმური ღონისძიებისათვის ცალკე სასესხო ანგარიშიდან.

სპეციალური სასხესო ანგარიშიდან მოკლევადიანი კრედიტი გაიცემა:

— ყველა სასოფლო-სამეურნეო საწარმოსათვის სეზონური საწარმოო მარაგების, პირუტყვის გამოზრდისა და სუქების ზენორმატიულ ნაშთზე, აგრეთვე მემცენარეობის, მეცხოველეობისა და სამრეწველო წარმოების სეზონურ დანახარჯებზე;

— სასოფლო-სამეურნეო, დამხმარე სამრეწველო და მომსახურე წარმოების დარგთა მზა პროდუქციის ზენორმატიულ ნაშთებზე, რომლებიც გათვალისწინებულია სარეალიზაციოდ და უზრუნველყოფილია გასაღების ხელშეკრულებებით. დასაკრედიტებლად მიიღება ის პროდუქტებიც, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველზე შესყიდულია მოსახლეობისაგან;

— დამამზადებელ ორგანიზაციებთან და მყიდველებთან დაუმთავრებელი ანგარიშსწორებანი გადატვირთულ საქონელზე, რომლის ანაზღაურების ვადა ჯერ არ დამდგარა;

— წლის განმავლობაში გეგმურ დანახარჯებზე საკუთარი სახსრების უკმარისობაზე, რომლებიც იფარება მომავალი პერიოდის მოგებითა და საამორტიზაციო ანარიცხებით;

სპეციალური სასესხო ანგარიშიდან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებზე გაიცემა სესხები მელიორირებული მიწების პირველადი გაკულტურებისათვის.

ამავე ანგარიშიდან გაიცემა კოლმეურნეობებისათვის შრომის ანაზღაურების დასაფარავად კრედიტი, მიუხედავად გააჩნიათ თუ არა მათ ბანკის სესხების ვადაგადაცილებული დავალიანება.

სპეციალური სასესხო ანგარიშიდან სახელმწიფო დაზღვევის ინსპექციისათვის შეაქვთ სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ქონების სახელმწიფო დაზღვევის გადასახდელები, აგრეთვე ბიუჯეტში ბრუნვის გადასახადი.

ამრიგად, დაკრედიტების ახალი წესის მიხედვით ყველა სასოფლო-სამეურნეო საწარმოსათვის იქნება კოლმეურნეობები თუ საბჭოთა მეურნეობები, დაწესდა დაკრედიტების ერთიანი პირობები;

3. დაკრედიტების ახალი წესი მნიშვნელოვნად ზრდის სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ანგარიშსწორების ანგარიშის როლს საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების უზრუნველსაყოფად.

ყველა კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობასა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოსა და ორგანიზაციაში გახსნილია ანგარიშსწორების ანგარიში, რომელიც უზრუნველყოფს მეურნეობათა საკუთარი და მოზიდული სახსრების მტკიცედ გამიჯვნას. ახალი წესის შემოღებამდე ანგარიშსწორების ანგარიშზე არ ხვდებოდა პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგების მთლიანი თანხა, რის გამოც ფერხდებოდა ამ სახსრების მანევრირება და მათ ხარჯვაში საწარმოთა დამოუკიდებლობა.

ახალი წესის პირობებში სასოფლო-სამეურნეო საწარმოს ყველა შემოსავალი თავს იყრის ანგარიშსწორების ანგარიშზე და საწარმო იყენებს გეგმური საწარმოო და არასაწარმოო დანახარჯების დასაფარავად.

სპეციალური სასესხო ანგარიშიდან ანგარიშსწორების ანგარიშზე ჩაირიცხება აგრეთვე სესხის დავალიანების უზრუნველყოფის შემოწმების შედეგად გამოვლინებული ჭარბი უზრუნველყოფის თანხები.

საყურადღებოა ისიც, რომ ანგარიშსწორების ანგარიშზე პრეტენზიების არარსებობის პირობებში საწარმოს საშუალება აქვს კაპიტალური დაბანდებების დასაფინანსებლად გათვალისწინებული საკუთარი სახსრები უშუალოდ სპეციალური სასესხო ანგარიშიდან კაპიტალურ დაბანდებათა ანგარიშზე გადაიტანოს, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მოიჯარადრე ორგანიზაციებთან შესრულებული სამუშაოების, აგრეთვე მომწოდებლებისაგან მიწოდებული მოწყობილობებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების ანგარიშსწორებას.

ამრიგად, ანგარიშსწორების ანგარიშის არსებობა ამაღლებს ანგარიშსწორებათა განხორციელებისას საწარმოთა დამოუკიდებლობას, რაც ხელს უწყობს სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებას და ნიადაგის მომზადებას თვითანაზღაურებასა და თვითდაფინანსებაზე გადასასვლელად.

4. დაკრედიტების ახალი წესებით რადიკალურად შეიცვალა მოკლევადიან კრედიტზე მოთხოვნათა დაგეგმვა, იგი მნიშვნელოვნად გამარტივდა და ხელმისაწვდომი გახდა.

ადრე მოკლევადიან სესხებზე მოთხოვნა იგეგმებოდა ცალკე საბჭოთა მეურნეობებისათვის, კოლმეურნეობებისათვის, სასოფლო-სამეურნეო

სამეურნეობათაშორისო საწარმოებისათვის, ხოლო გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოებისათვის საკრედიტო გეგმა დგებოდა ცალკეული დარგებისა და დაკრედიტების მრავალი ობიექტისათვის. საკრედიტო გეგმის შედგენის ასეთი რთული წესი მოითხოვდა სახელმწიფო ბანკისა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების დიდ ჯაფას და დროის ხარჯვას, რაც საბოლოო ჯამში უარყოფითად მოქმედებდა როგორც საკრედიტო დაწესებულებებში, ასევე სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში ეკონომიკური და ანალიზური მუშაობის გაუმჯობესებაზე.

დაკრედიტების ახალი წესებით დგება კვარტალური საკრედიტო გეგმის პროექტი ქვეყნის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის სისტემის საწარმოებზე მთლიანად.

საკრედიტო გეგმის პროექტს ადგენს აგროსამრეწველო ბანკის აღგილობრივი განყოფილებები რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებასთან ერთად მოკლევადიან სესხებზე მოთხოვნილებათა გაანგარიშების საფუძველზე, რომლებიც გათვალისწინება სასოფლო-სამეურნეო და სისტემის სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების საწარმოო-საფინანსო გეგმებში და მიეცემა კანონის ძალა.

მოკლევადიან კრედიტზე მოთხოვნა იგეგმება ყოველკვარტალურად აგრომრეწვის სისტემის საწარმოებზე წარმოების დამტკიცებული გეგმებისა და მათი შესრულების სააღრიცხვო მონაცემთა და ანგარიშგებათა საფუძველზე. მიმდინარე კვარტალის საკრედიტო გეგმის შესადგენად წინა კვარტალის პირველი თვის 15 რიცხვისათვის საზოგადოებრივი მეურნეობები და სისტემის სხვა საწარმოები, ორგანიზაციები რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებას დაწესებული ფორმების შესაბამისად წარუდგენს საჭირო გაანგარიშებებს. ეს უკანასკნელი 10 დღის გასვლამდე სახელმწიფო ბანკის რაიონულ გაერთიანებას უდგენს განაცხადს კრედიტის გეგმურ მოცულობაზე სათანადო ნაერთი გაანგარიშებებით. რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანება იმავე თვის ბოლომდე აგზავნის რესპუბლიკის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტში სპეციალურ ცნობას, სადაც აღნიშნულია მოთხოვნილი კრედიტის მოცულობა ობიექტების ჩვენებით. აქვე აღნიშნულია საკრედიტო განაცხადი რა მოცულობით მიიღო აგროსამრეწველო ბანკის განყოფილებამ და რა თანხაზე (მიზეზების ჩვენებით) აქვს ბანკის დაწესებულებასთან პრეტენზია.

სსრ კავშირის აგროსამრეწველო ბანკის რესპუბლიკური ბანკი სახაგრომრეწვთან ერთად ადგენენ საკრედიტო გეგმის პროექტს მათზე დაქვემდებარებული ბანკის დაწესებულებებისა და აგროსამრეწველო გაერ-

თიანებების მიერ შედგენილი საკრედიტო გეგმის პროექტების შესაბამისად და წარადგენენ სსრ კავშირის აგროსამრეწველო ბანკის გამგეობასა და სსრ კავშირის სახაგრომრეწვში.

5. ადრე არსებული წესებისაგან განსხვავებით სსრ კავშირის სახაგრომრეწვის სისტემის მართვის ორგანოები მოკლევადიან დაკრედიტების ლიმიტებს ანაწილებს სისტემის დარგებს შორის და დაჰყავს სსრ კავშირის აგროსამრეწველო ბანკის დაწესებულებებამდე. დაკრედიტების ლიმიტებს საწარმოებზე ანაწილებს რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებები;

6. იმასთან დაკავშირებით, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით თვიური ბუღალტრული ანგარიშგებები არ დგება, შეიცვალა კრედიტის უზრუნველყოფის შუალედურ თარიღებში შემოწმების პრაქტიკა.

კრედიტის უზრუნველყოფა მოწმდება მხოლოდ კვარტალური და წლიური ბუღალტრული ანგარიშგებების მონაცემებით, აუცილებლობის შემთხვევაში კი საწარმოსა და ბანკის დაწესებულებების ურთიერთშეთანხმებით — ცალკეული თვეების მონაცემებით;

7. აგროსამრეწველო ბანკის რესპუბლიკური ბანკის მმართველს ეფლება აქვს სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს სტიქიური უბედურებით მემცენარეობის კულტურების დაღუპვის შედეგად გამოწვეული ფინანსური სიძნელეების დასაძლევად რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების ან სახაგრომრეწვის შუამდგომლობით განუვადონ არაუზრუნველყოფილი და ვადაგადაცილებული სესხების დაფარვა წლიური ანგარიშგების წარმოდგენამდე და გამოწვეული ზარალის დასაფარავად ღონისძიებათა შემუშავებამდე არაუმეტეს მომდევნო წლის 15 მარტამდე.

საწარმოებს სესხების დავალიანებათა დაფარვის განვადება ეძლევათ სტიქიური უბედურებით მიყენებული ზარალის იმ თანხით, რომელიც სახელმწიფო დაზღვევის, მეურნეობის სარეზერვო ფონდისა და რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების ცენტრალიზებული სარეზერვო ფონდის სახსრებით დაუფარავი დარჩა.

განვადების მთელს მანძილზე მეურნეობათა ხელმძღვანელები ბანკის ადგილობრივ დაწესებულებასთან ერთად იხილავენ მეურნეობის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგებს, განსაზღვრავენ დამატებითი შემოსავლების მიღების წყაროებს იმის გათვალისწინებით, რომ მეურნეობაში უნდა განხორციელდეს ხარჯების შემცირების, კაპიტალურ დაბანდებებსა და კაპიტალურ რემონტში დაბანდებული საბრუნავი საშუალებების აღდგენის, ყოველგვარი არამწარმოებლური ხარჯებისა და დანაკარგების სალიკვიდაციო ღონისძიებანი, აგრეთვე უნდა შემუშავდეს

აღებული სესხების დაწესებულ ვადებში დაბრუნების ეფექტიანი ღონისძიებები. სსრ კავშირის აგროსამრეწველო ბანკს დაწესებულებას სისტემატური კონტროლი აქვს დაწესებული შემუშავებული ღონისძიებების შესრულებისადმი.

აგროსამრეწველო ბანკის რაიონულ განყოფილებათა ხელმძღვანელებს უფლება აქვთ ცალკეულ საწარმოებს, რომლებსაც შეექმნათ დროებითი ფინანსური სიძნელეები, რის გამოც ვერ აბრუნებენ დაწესებულ ვადაში ბანკის კრედიტს, განუვადონ მისი დაბრუნების ვადა 6 თვემდე, თუ ბანკის განყოფილებას წარედგინება კრედიტის ამ ვადაში დაფარვის უზრუნველსაყოფად კონკრეტული ღონისძიებანი და ზემდგომი აგროსამრეწველო გაერთიანების საგარანტიო წერილი. იმ შემთხვევაში, როცა მეურნეობის მიერ შემუშავებული ღონისძიებებით დროულად არ დაიფარება განვადებული სესხი, ბანკის განყოფილება საგარანტიო წერილის გამცემი მისი ზემდგომი ორგანიზაციის ანგარიშიდან გაუფრთხილებლად ჩამოწერს კრედიტის დავალიანების თანხას.

ი ე Სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, რომლებმაც სტიქიური უბედურების შედეგად ვერ მიიღეს მოსავლის გეგმური ოდენობა ან მათზე დამოუკიდებელი მიზეზებით წარმოეშვათ საკუთარ საბრუნავ საშუალებებში დანაკლისი და სარეზერვო ფონდის სახსრებით ვერ ფარავენ ამ დანაკლისს, შეიძლება მიეცეთ საკუთარი საბრუნავი საშუალებების დროებით შესავსებად სესხი 3 წლის ვადით, რომელიც იფარება მომავალი წლების დამატებითი მოგებიდან ან წმინდა შემოსავლიდან;

8. სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის აგროსამრეწველო ბანკს გამგეობას ნება დართო წელიწადში ორჯერ ჩაატაროს სახაგრომრეწვის საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის დავალიანებათა ურთიერთჩათვლა ამ ანგარიშსწორებათა დასამთავრებლად 90 დღემდე ვადით კრედიტის გაფორმებით.

9. სკკპ XXVII ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საწარმოებსა და ორგანიზაციებში სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებას და, აქედან გამომდინარე, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების მომჭირნეობით და ეფექტიანად გამოყენებას და უკეთესი საბოლოო სახალხო-მეურნეობრივი შედეგების მიღწევას. ყოველივე ამის გამო მნიშვნელოვნად ფართოვდება ცუდად და კარგად მომუშავე საწარმოთა დიფერენცირებული დაკრედიტების რეჟიმი. ამიტომ მოკლევადიანი დაკრედიტების ახალი წესით ის მეურნეობები, რომლებიც სისტემატურად ვერ ასრულებენ საწარმოო გეგმებს, დაუშვეს არამწარმოებლური

ხარჯები და დანაკარგები, არღვევენ ფინანსურ დისციპლინას, დროულად არ აბრუნებენ კრედიტს, გადაიყვანებიან დაკრედიტების განსაკუთრებულ რეჟიმზე. ასეთი მეურნეობების მიმართ ბანკი 50%-ით ზრდის სარგებლის გადასახადს. ბანკის განყოფილება ყოველთვიურად ამოწმებს სესხის მიზნობრივად გამოყენებას.

ამასთან იმ მეურნეობების მიმართ, რომლებიც წარმატებით ასრულებენ პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის საგეგმო დავალებებს, აქვთ მტკიცე ფინანსური ბაზა, ვადაზე აბრუნებენ ბანკის სესხებს, გათვალისწინებულია დაკრედიტებაში დამატებითი შეღავათები, სახელდ-ბრ: ბანკი კრედიტით სარგებლობისათვის წლის განმავლობაში დარიცხული თანხის 50 პროცენტს უბრუნებს იმ მეურნეობებს, რომლებიც ინარჩუნებენ საკუთარ საბრუნავ საშუალებებს და უზრუნველყოფენ ბანკისა და მომწოდებლების დავალიანებათა დროულად დაფარვას.

ქვეყნის სასურსათო პროგრამის წარმატებით განხორციელება შეუძლებელია თუ სათანადოდ არ სრულყავით გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოებში ეკონომიკური მექანიზმი, მათ შორის საკრედიტო ურთიერთობის საკითხები.

გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოების დაკრედიტების ადრე არსებული პრაქტიკა სრულყოფილად ხელს არ უწყობდა ამ დარგის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვას და არამწარმოებლური ხარჯებისა და დანაკარგების ლიკვიდაციას.

ამის შედეგად მნიშვნელოვნად შეიცვალა გადამმუშავებელი, დამამზადებელი, გამსაღებელი და მომმარაგებელი ორგანიზაციების დაკრედიტების წესი. ამ დარგებში კრედიტდება სპეციალური სასესხო ანგარიშებიდან მხოლოდ დაკრედიტების ორ ობიექტზე — ცალკეული საწარმოების სასოფლო-სამეურნეო ნედლეულსა და მისგან წარმოებულ პროდუქციაზე — ულიმიტოდ, ხოლო სხვა სახის მატერიალურ ფასეულობებსა და წარმოების დანახარჯებზე კრედიტის გეგმური მოცულობით. საყურადღებოა, რომ ყველა სახის ამონაგები ჩაირიცხება სპეციალურ სასესხო ანგარიშზე, ხოლო მოგებისა და საამორტიზაციო ანარიცხები, რომლებიც რეალიზაციის ამონაგებში შედიან, გადაირიცხება ანგარიშსწორების ანგარიშში. სპეციალური სასესხო ანგარიშიდან ანაზღაურდება ყველა ის გადასახდელები, რომლებიც წარმოების დანახარჯთა ხარჯთაღრიცხვით არის გათვალისწინებული.

მომმარაგებელ-გამსაღებელი ორგანიზაციების საქონელბრუნვის მიხედვით დაკრედიტება წარმოებდა საკუთარი საბრუნავი საშუალებებისა

და ბანკის კრედიტის მონაწილეობით. ამასთან, დაკრედიტების ობიექტად მიჩნეულია საქონლის ზენორმატიული მარაგი, რომლის წარმოშობის მიზეზია მათი მიწოდების სეზონურობა და სხვა ორგანიზაციაზე დამოკიდებული მიზეზები.

ამჟამად მოქმედი წესებით მომმარაგებელ-გამსაღებელი ორგანიზაციების საქონლის უზრუნველყოფის ქვეშ გაცემული ყველა სახის კრედიტი გაერთიანებულია დაკრედიტების ერთ ობიექტში, ამასთან სესხები გაიცემა ერთიან სპეციალური სასესხო ანგარიშიდან, რის გამოც მნიშვნელოვნად შემცირდა სესხის გაცემისათვის საჭირო სამუშაოები.

მნიშვნელოვანი ცვლილებებია შეტანილი კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსება-დაკრედიტებაში. ქვეყნის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის საწარმოებისა და ორგანიზაციების კაპიტალური დაბანდებების დაფინანსების გაფორმების წესი შესამჩნევად გამარტივდა. ბანკის განყოფილებებში კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების გასახსნელად საწარმოები ადგენენ სათანადო წესებით დამტკიცებულ მშენებლობის სატიტულე სიებს, სადაც გამოყოფილია ობიექტები და დანახარჯები, რომელთა დაფინანსება ხორციელდება აგროსამრეწველო ბანკის გრძელვადიანი კრედიტით.

1987 წლიდან დაწესებულია გრძელვადიანი კრედიტის დაგეგმვის ერთიანი წესი. გრძელვადიანი დაკრედიტების გეგმების პროექტს ადგენენ ბანკის განყოფილებები რაიონული აგროსაპრეწველო გაერთიანებების განაცხადების საფუძველზე. ბანკის რაიონული განყოფილებები გრძელვადიანი დაკრედიტების გეგმის პროექტებს უდგენენ ბანკის რესპუბლიკურ კანტორებს, რომლებიც, თავის მხრივ, ნაერთ პროექტებს წაუყენებენ სსრ კავშირის აგროსამრეწველო ბანკის გამგეობას. გრძელვადიანი დაკრედიტების გეგმის დამტკიცების შემდეგ სსრ კავშირის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტი გაანაწილებს გამოყოფილ სახსრებს დაქვემდებარებულ საწარმოებზე. წლის განმავლობაში ადგილობრივ აგროსამრეწველო კომიტეტებს უფლება აქვთ გამოყოფილი სესხების გადანაწილების.

კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სისტემის სხვა საწარმოებს გრძელვადიანი სესხები ეძლევათ სამი ჯგუფის ღონისძიებებზე:

1. საწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობაზე, გაფართოებაზე, რეკონსტრუქციასა და ტექნიკურ გადაიარაღებაზე, რომლის ანაზღაურების ვადა არ აღემატება 20 წელს და რომლის დაფარვა დაიწყება კრედიტის მიღებიდან მე-5 წელს;

2. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებებისა

და მოწყობილობის (რომელიც მშენებლობის ხარჯთაღრიცხვაში არ შედის) შეძენაზე 7 წლამდე ვადით, რომლის დაფარვა დაიწყება სესხის მიღებიდან მე-3 წელს:

3. არასაწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობაზე 15 წლამდე ვადით, რომლის დაფარვა დაიწყება სესხის მიღებიდან მე-5 წელს.

პარტიისა და მთავრობის დადგენილებით სსრ კავშირის აგროსამრეწველო ბანკს ნება დაერთო კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოებს მისცეს გრძელვადიანი კრედიტი კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტებს ზევით საწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობაზე, გაფართოებაზე, რეკონსტრუქციასა და ტექნიკურ გადაიარაღებაზე 6 წლამდე ვადით, რომელიც დაიფარება დამატებით მიღებული შემოსავლებიდან. ამასთან დაწესებულია სესხის სარგებელი 3%-ის ოდენობით.

იმისათვის, რომ განისაზღვროს გრძელვადიანი სესხების დაფარვის ვადები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები ბანკის განყოფილებებში ადგენენ სესხის ეფექტიანობის გაანგარიშებას. გაანგარიშებაში მოცემულია ობიექტის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება, პროდუქციის წლიური წარმოება, გეგმური თვითღირებულება, გასაცემი ფასი, მოსალოდნელი დაგროვება და მისი ის ნაწილი, რომელიც მიმართული იქნება კრედიტის დასაფარავად და კრედიტის დაფარვის ვადა.

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სისტემის სხვა საწარმოების გრძელვადიანი სესხებით დავალიანება, რომელიც წლის განმავლობაში მიეცემა მათ, ფორმდება მეურნეობის ვადიანი ვალდებულებებით მხოლოდ ერთჯერ — წლის ბოლოს.

გრძელვადიანი სესხებით სარგებლობისათვის მეურნეობები იხდიან სარგებელს ვადიანი სესხისათვის წლიური თანხის 0,75 პროცენტს, ხოლო ვადაგადაცილებული სესხისათვის — წლიური თანხის 3 პროცენტს. თუ მშენებლობა ვადაზე ადრე დამთავრდა სარგებლის განაკვეთი მცირდება, ხოლო მშენებლობის ვადების დარღვევისათვის — პროცენტის განაკვეთი 2-ჯერ იზრდება. სარგებელს იხდიან სახელმწიფო საწარმოების ანგარიშსწორების ანგარიშიდან, ხოლო კოლმეურნეობებში — კაპიტალურ დაბანდებათა ანგარიშიდან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებების წარმატებით განხორციელების უზრუნველსაყოფად აუცილებელია აღმოიფხვრას ზოგიერთი პრობლემა, რომელიც

ხელს უშლის თვითდაფინანსების პრინციპების დანერგვას აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა სფეროში.

მნიშვნელოვან უნიფიცირებას მოითხოვს საწარმოებისა და ორგანიზაციების დაფინანსებისა და დაკრედიტების წესები, უნდა ამაღლდეს ფინანსების როლი სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებაში.

როგორც ცნობილია, საზოგადოებრივ მეურნეობებს ამჟამად მიცემული აქვთ ფართო უფლებები საფინანსო რესურსების გამოყენების საქმეში. მათ არ უმტკიცდებათ ეკონომიკური სტიმულირების ფონდებში ანარიცხების ნორმატივები. მატერიალური წახალისების ფონდში ანარიცხების თანხებს უშუალოდ მეურნეობები განსაზღვრავენ, ამასთან იგი არ შეიძლება აღემატებოდეს ხელფასის მთლიანი ფონდის 17 პროცენტს.

შეტანილია ცვლილებები ეკონომიკური სტიმულირების ფონდების სტრუქტურაში, გაუქმდა მეურნეობის განმტკიცებისა და გაფართოების ფონდი, ხოლო სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდის ნაცვლად შეიქმნა სოციალურ-კულტურული ღონისძიებების ფონდი მატერიალური წახალისების ფონდის 50 პროცენტის მოცულობით. მოქმედებს კაპიტალურ დაბანდებათა ერთიანი სახელმწიფო გეგმა. თავისუფალი ფულადი საშუალებები, როგორიცაა მოგება, ამორიტიზაცია და სხვა, შეიძლება გამოყენებული იქნეს ყოველგვარი ღონისძიებების დასაფინანსებლად, რასაც მეურნეობის ხელმძღვანელობა გადაწყვეტს.

რაც შეეხება აგროსამრეწველო კომპლექსის სამრეწველო და სხვა სახის საწარმოებს, იქ ეკონომიკური სტიმულირების ფონდები იქმნება ნორმატივებით, რომლებსაც ამტკიცებს მართვის ზემდგომი ორგანოები. ამ საწარმოებში იქმნება წარმოების განვითარებისა და სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდები. აქ მოქმედებს კაპიტალურ დაბანდებათა ორი გეგმა — ცენტრალიზებული და არაცენტრალიზებული. ყოველივე ეს საწარმოთა უფლებებს რამდენადმე ბოჭავს და ფინანსური რესურსების გამოყენებაში არ გააჩნიათ ფართო მანევრირების საშუალება.

სერიოზული პრობლემები არსებობს ზარალიან და დაბალრენტაბელურ საზოგადოებრივ მეურნეობებში მატერიალური წახალისების ფონდის შექმნის საქმეში. არსებული წესებით, სუსტძალოვან საბჭოთა მეურნეობებში ეს ფონდი იქმნება პროდუქციის ყოველი გადაჭარბებული პროცენტის ხელფასის ფონდის თანხის 0,3%-ისა და წინა წლების ზარალის შემცირების თანხის 15%-ის ოდენობით. ამასთან აგროსამრეწველო კომპლექსის სამრეწველო და სხვა საწარმოებში ეკონომიკური სტიმუ-

ლირების ფონდების წყაროდ გამოიყენება საწარმოსა და მისი ზემდგომი ორგანოების სახსრები, აუცილებლობის შემთხვევაში კი საბიუჯეტო ასიგნებებიც. ჩვენი აზრით, უმჯობესი იქნება ამ საწარმოთა წამახალისებელი ფონდების წყარო იყოს მხოლოდ საკუთარი და ზემდგომი ორგანოების სახსრები, ხოლო ფონდების მოცულობა უშუალოდ საწარმოებმა განსაზღვრონ მათი სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის კვალობაზე.

მეტად რთულია აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოთა მოგებისა და ბიუჯეტში ანარიცხების დაგეგმვა. სასურველია მოგების მოცულობა განსაზღვრონ თვით საწარმოებმა არსებული ფასებიდან გამომდინარე. მით უმეტეს ზოგიერთი სახის ფასისა და ტარიფის დაწესების უფლება მათ აქვთ მოცემული. განა შეიძლება კვების მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოებს წლის დასაწყისისათვის რეალურად დაუწესდეს მოგების მოცულობა. ამ საწარმოთა მუშაობა დამოკიდებულია ბუნებრივ პირობებზე, შემოსული ნედლეულის ხარისხსა და რაოდენობაზე. ასეთ პირობებში არავითარი ეკონომიკური გამართლება არ გააჩნია გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოთა მოგების ცენტრალიზებულ დაგეგმვას.

საბიუჯეტო ასიგნებათა ერთიანი ხაზით გამოყოფა ხელს უწყობს აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოთა ფინანსური რესურსების მანევრირებასა და ეფექტიან გამოყენებას. მაგრამ სისტემის სხვადასხვა საწარმოთა მოგებიდან გადასახდელების წესი სხვადასხვაა, რის გამოც ზოგჯერ ეს გადასახდელები შემთხვევითი ხასიათის მატარებელია. მაგალითად, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს 1987 წლამდე ბიუჯეტში შეჰქონდათ ანარიცხები, თუ მათი რენტაბელობის დონე აღემატებოდა 25 პროცენტს, 25 პროცენტამდე რენტაბელობის მქონე საზოგადოებრივი მეურნეობები სახელმწიფოს ცენტრალიზებული ფონდების შექმნაში არ მონაწილეობენ. გათვალისწინებულია რა ის უხერხულობანი, რომლებსაც ადგილი აქვს საზოგადოებრივი მეურნეობების ბიუჯეტთან ურთიერთობას, 1987 წლიდან კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ბიუჯეტში გადასახდელებს გადაიხდიან არსებული საწარმოო პოტენციალის მხედველობაში მიღებით.

სახელმწიფო-კოოპერაციული სამშენებლო ორგანიზაციებისათვის ბიუჯეტში გადასახდელების მოცულობა განსაზღვრულია 1985 წელს ფაქტობრივად ჩამოყალიბებული საანგარიშგებო თანხითა და ამ ორგანიზაციის საწარმოო პოტენციალით.

სისტემის სამრეწველო საწარმოები ბიუჯეტში იხდიან მოგებიდან საწარმოო ფონდების გადასახდელს (მათი საშუალო წლიური ღირებულე-

ბის 3 პროცენტის ოდენობით) და მოგებიდან ანარიცხებს წინასწარ დაწესებული სტაბილური ნორმატივების სახით. უმჯობესი იქნება, საწარმოო ფონდების გადასახდელების ოდენობა განისაზღვროს რენტაბელობის დონით გამოთვლილს ამ ფონდებთან, ხოლო მოგებიდან ანარიცხების მოცულობა — რენტაბელობის დონით გამოანგარიშებულს პროდუქციის თვითღირებულებასთან.

იმასთან დაკავშირებით, რომ რესპუბლიკის საზოგადოებრივი მეურნეობების დიდი ნაწილი არ მონაწილეობს სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებაში მათი რენტაბელობის დაბალი დონის ან ზარალიანობის გამო, მიზანშეწონილად უნდა მივიჩნიოთ დაწესდეს ბიუჯეტში ერთიანი შენატანი მოგების ანარიცხების სახით დაწესებული ნორმატივით.

სრული სამეურნეო ანგარიშის პრინციპებს სრულყოფილად ვერ პასუხობდა აგროსამრეწველო კომპლექსის დარგთა პირდაპირი საბიუჯეტო დაფინანსება. ადრე არსებული წესით სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილი საბჭოთა მეურნეობების მიზნობრივი დანახარჯების ერთი ნაწილი (საცხოვრებელი სახლების მშენებლობის, სამელიორაციო სამუშაოების, მიწის გაუმჯობესების და საბავშვო დაწესებულებათა შენახვის ხარჯები) იფარებოდა საბიუჯეტო ასიგნებებიდან, მაშინ, როცა სხვა დანარჩენი ხარჯების დაფარვა საკუთარი ან ბანკის კრედიტით ხარჯზე წარმოებდა.

საყურადღებოა ისიც, რომ მეურნეობრიობის ამჟამად არსებული წესი ჯერ კიდევ არ გამხდარა ხარჯვასაწინააღმდეგო ფაქტორად და მთლიანად ვერ პასუხობს სრული სამეურნეო ანგარიშის პრინციპებს. ამასთან აღსანიშნავია რომ საბჭოთა მეურნეობებზე მიცემული უფლება დამოუკიდებლად გადაწყვიტონ ხელფასის ფონდის 17%-ის ფარგლებში მატერიალური წახალისების ფონდში თანხების გადარიცხვა, ვერ უზრუნველყოფს ამ ფონდის ზრდის ორგანულ შეთანაწყობას პროდუქციის წარმოების გადიდებასთან.

არის სხვაგვარი პრობლემაც. სახელდობრ, განვაცითაროთ თუ არა მომავალში შესყიდვის ფასების დიფერენცირება, თუ დავაწესოთ ერთიანი ფასები, რათა იგი სრულყოფილად პასუხობდეს ბაზრის მოთხოვნებს. ამასთან გადასაწყვეტია ზარალიან და დაბალრენტაბელურ საზოგადოებრივ მეურნეობებზე გასაცემი ფასდანამატების შემდგომი არსებობის ბედი.

აგროსამრეწველო კომპლექსის გაერთიანებებისა და საწარმოების სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლა დიდ ამოცანებს უყენებს საფინანსო და საკრედიტო ორგანოების მუშაკებს, რომელთაგან მთავარია სა-

ფინანსო-საკრედიტო მექანიზმს მიეცეს ხარჯვასაწინააღმდეგო მიმართულება, ურომლისოდაც შეუძლებელია წარმოების მაღალი ეკონომიკური ეფექტიანობის მიღწევა.

საფინანსო ორგანოების ძირითადი ამოცანაა დაადგინონ ახალ საფინანსო პოლიტიკის განხორციელების გზას, რომელსაც საფუძვლად უძევს სახელმწიფოსა და საწარმოების ინტერესთა ერთიანობა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ასამაღლებლად მანეთით მტკიცე კონტროლი. ამასთან მათ აეკრძალათ ფისკალური გადანაწილებითი საქმიანობა, საწარმოთა წვრილმანი მეურვეობა, დეტალური რეგლამენტაცია, სხვისი მოიმედოობა. საფინანსო ორგანოების მუშაობის სტილი, მეთოდები და ფორმები შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი მეურნეობრიობის ახალ მეთოდებთან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებით დასახულია განხორციელდეს კარდინალური ცვლილებები კრედიტის მართვაში. უნდა გაიმიჯნოს საბიუჯეტო და საკრედიტო რესურსები, გამოირიცხოს დაკრედიტებისათვის ემისიის გამოყენება, კრედიტი უნდა გადაიქცეს მანეთით კონტროლის იარაღად.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შ ე ს ა ვ ა ლ ი 3
თ ა ვ ი I. სოციალისტური წარმოების ეფექტიანობის ეკონომიკური შინაარსი და კრიტერიუმები 10
თ ა ვ ი II. აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის სრულყოფა 32
რესპუბლიკაში აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ორგანიზაციული და ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფა 32
აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოებს შორის ეკონომიკური ურთიერთობანი 55
ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ორგანიზაციის მექანიზმი 67
თ ა ვ ი III. აგროსამრეწველო კომპლექსის მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფა და საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის პრობლემები 96
მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმი და მისი სრულყოფის მეცნიერული საფუძვლები 96
აგროსამრეწველო კომპლექსის მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფის პრობლემები 131
წარმოების დაგეგმვა და ეკონომიკური სტიმულირება, მათი სრულყოფის ძირითადი მიმართულებანი 159
ეკონომიკური მართვა და დაგეგმვა 159
წარმოების დაგეგმვის სრულყოფა საზოგადოებრივ მეურნეობებში 162
მოქალაქეთა პირადი დამხმარე მეურნეობების დაგეგმვის პრობლემები 183
პროდუქციის წარმოებისა და დამზადების ეკონომიკური სტიმულირება 187
ფასწარმოქმნის სრულყოფის პრობლემები 202
შრომის ორგანიზაციის სრულყოფა და ბუშაკთა მატერიალური სტიმულირების გაძლიერება 212
შრომის ანაზღაურების სისტემის გარდაქმნის საკითხები 212
ხელფასის ორგანიზაციის სრულყოფა აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოებში 215
სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მუშაკთა პრემირების აქტუალური საკითხები 228
რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებების, ავტონომიური რესპუბლიკების სახაგრომრეწვების და საოლქო აგროსამრეწველო კომიტეტების სამართველო აპარატის შრომის ანაზღაურებისა და პრემირების საკითხები 233
საფინანსო-საკრედიტო მექანიზმის სრულყოფის პრობლემები აგროსამრეწველო კომპლექსში 236
აგროსამრეწველო კომპლექსის საფინანსო მექანიზმი და მისი სრულყოფის გზები 242
მეურნეობრიობის ახალი ეკონომიკური მექანიზმი და საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობათა სრულყოფის პრობლემები 248
სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დაკრედიტების ერთიანი წესები და აგროსამრეწველო კომპლექსის გადამმუშავებელი და მომსახურე საწარმოების დაკრედიტების უნიფიკაციის ღონისძიებები 268

КАКУЛИЯ РЕВАЗ ШАЛВОВИЧ

Совершенствование экономического механизма хозяйствования и повышение эффективности производства в АПК

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5.
1938

რედაქტორი ა. არობელიძე
მხატვრული რედაქტორი ა. ტუხაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლ. ჰელიძე
კორექტორი ე. ყარყარაშვილი
გამომშვები ნ. მანაგაძე

ს. ბ. 6343

გადაეცა წარმოებას 15.11.87. ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.05.88. უე 01997. საბეჭდი ქაღალდი № 1. 60×84¹/₁₆. გარნიტური ვეხა. ბეჭდვის ხერხი მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 16.51. პირ. საღ.-გატ. 16.51. საღრ.-საგამომც. თაბახი 16.37. ტირაჟი 1.000. შეკვ. № 670.
ფასი 3 მან. 60 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.